კვირის პალიტრა

გზა

№27 (421) 3/VII
ფასი 80 თეთრი

მოდელისა და ფეხბურთელის ბედნიერების ფორმულა

„ინგლისში უფრო მეტ დროს ვუთმობთ ერთმანეთს“...

არ გამოგრჩეთ „ცხოვრება“ „გზაში“!

ჯონდი ბალათურიამ ჟურნალისტობა დაიწყო

მაია ასათიანი „სახლში“ ბრუნდება

მარიკა ლორთქიფანიძე ამერიკელებმა წლის ადამიანად აღიარეს

კაცი, რომელმაც 15000 ქალი ამშობიარა

როგორ გაქრისტიანდა აზერბაიჯანელი ქალბატონი

ხვამლის მთის განძსაცავის საიდუმლო

ISSN 1987 - 2037

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათძაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲙᲘᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№27 (421)
3 – 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2008 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲒ ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲡ

„ძალიან ყურადღებიანი ადამიანია. სხვათა შორის, საოცრად კარგი გემოვნება აქვს. ყოველთვის მომწონს მისი მორთმეული სამკაულები. უცხოეთიდან ისე არ ჩამოვა, რომ პატარა სუვენირი მაინც, ოჯახის წევრებს არ ჩამოგვიტანოს“.

26

ᲛᲐᲠᲝ ᲑᲔᲖᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲘ....

„ცოტა, რომ წამოვიზარდე და სწავლა დავიწყე, ურმისა და კევრის გამოჩარხვაც ვისწავლე. სკოლას თუ რამე სჭირდებოდა, ყველაფერს ვაკეთებდი, ურთულესი ფორმის ჩუქურთმებს ვჭრიდი“.

32

ᲛᲘᲜᲐᲑᲔᲠᲐ

ᲒᲖᲐᲡ ᲙᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓ ᲔᲛᲘᲜᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝᲚᲘ ᲧᲘ ᲮᲔᲒᲓᲘᲗ ᲐᲛᲘᲜᲔᲑᲓᲔᲜ.

ᲛᲔᲢᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲘᲡᲘ

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲗᲣ „ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲐ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ! 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲑᲔᲕᲠᲘ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲧᲕᲘᲠᲝᲓᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲑᲝᲘᲙᲝᲗᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...“ 6
■ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
„ᲠᲐᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ?“ 7
■ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ 9
■ ᲡᲪᲔᲜᲐ
ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ „ᲯᲐᲛᲑᲐᲖᲝᲑᲐ“ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ 10
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲘᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ „ᲡᲐᲮᲚᲨᲘ“ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ 12
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ „ᲗᲐᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲔ“, ᲛᲐᲪᲓᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲚᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲬᲜᲔᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲘ 14
✓„ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲐᲙᲘ“ 15
■ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
✓ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲘ 17
✓„ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ ᲜᲣ ᲛᲝᲕᲘᲡᲕᲠᲘᲗ“... 96
■ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ 19
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
„ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ“ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲘᲐᲜᲢᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲘᲙᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ 22
■ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 24
■ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ
ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲒ ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲡ 26

ᲐᲰᲛᲔᲓᲛᲐ ᲥᲘᲡᲐᲡ ᲩᲐᲮᲔᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲘᲠᲰᲔᲛᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ, ᲓᲘᲜᲯᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲗᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ.

— ᲐᲥ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ!

— ᲛᲐᲒ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲨᲘ ᲝᲗᲮ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲥᲐᲚᲡ ᲘᲧᲘᲓ!

— ᲑᲠᲐᲖᲘᲗ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲰᲐᲡᲐᲜᲛᲐ.

— ᲛᲔ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲓᲘ ᲛᲐᲒ ᲒᲣᲠᲯᲡ. ᲨᲔᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲠᲰᲔᲛᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲛᲔᲢᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ: ᲐᲜ ᲔᲠᲗ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲒᲔ, ᲐᲜ ᲙᲘᲚᲔᲕ. — ᲮᲛᲐᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲐᲰᲛᲔᲓᲛᲐ.

— ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ, — ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲰᲐᲡᲐᲜᲛᲐ.

82

■ პროფესია
კაცი, რომელმაც 15000 ქალი ამშობიარა 28
■ საქმე
36 კილომეტრი ძაფი, უნიკალური ქართული ხალიჩა და ფასდაუდებელი საქმე სიღნაღში 29
■ ანტიდეპრესანტი 30
■ ადამიანი
მარო ბებო და მისი ხელით მოჩუქურთმებული ავეჯი... 32
■ ჩემი ცხოვრების გზა
ყოფილი ბალერინა, წარმატებული აკადემიკოსი და მისი აუხდენელი ოცნებები 33
■ ჯანმრთელობა
✓ მსოფლიოში შიდსის მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება 36
✓ როგორ მოვიმატოთ სიმაღლეში 37
■ ქურნალი ქურნალში
■ ცხოვრება 39
გზავნილები 55
■ გამოცანა
ხვამლის მთის განძსაცავის საიდუმლო 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ქალი და ბიოლოგიური საათი 80
✓ რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი ქორწინება 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები 86
■ ვარსკვლავები
✓ რომან პოლანსკის ახალი ტრილერი 88
✓ ირაკლი ფირცხალავა გაძარცვეს?! 89
✓ სტივენ სპილბერგი მსოფლიოში ყველაზე ყოვლისშემძლე ოჯახის საიდუმლოს გაგვიმხელს 89
■ თანამემამულენი
უცხოეთის ცის ქვეშ 91
■ წმინდანები
„...ესე ყოველი დამიტევებია შენი და საქართველოს სიყვარულისთვის“ 92
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 94
■ დაიჯესტი 98
■ მრწამსი
„ბოლომდე მეყვარება ღმერთი, რომელიც ჩვენი გულისთვის ევნო...“ 100
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ფასდაუდებელი საქმე სიღნაღში

საქვეყნოდ ცნობილია ძველებური ქართული ხალიჩების უნიკალურობა. XIX საუკუნემდე ჩვენი წინაპრები ნაცადი წესებით, ბუნებრივი საღებავების გამოყენებით, ათასგვარი ორნამენტით შემკულ ქართულ ხალიჩას ქსოვდნენ.

29

როგორ მოვიმატოთ სიმაღლეში

ზრდის პროცესი ადამიანის ორგანიზმში რამდენიმე ჰორმონული სისტემით რეგულირდება. მას უშუალოდ ჰიპოფიზის ჰორმონი – სომატოტროპინი – იგივე ზრდის ჰორმონი აძლევს სტიმულს.

36

ირაკლი ფირცხალავა გაძარცვეს?!

მომღერალმა ნიუ-იორკში გამართა კონცერტები და არაერთი თავგადასავლიც გადახდა თავს – ჯერ ბუნებრივი კატაკლიზმების, შემდეგ კი სავარაუდოდ, პროფესიონალი ქურდბაცაცების მსხვერპლი გახდა.

89

მორიელის ნიშანი

– შენკენ რა ხდება, მშვიდობაა?

– კი, რა ვიცი, მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი მომხდარა.

– ახალი ამბავი გაიგე?

– რა ამბავი? არაფერი ვიცი. – ყასიდად გაიკვირვა მამაკაცმა.

– აფეთქება მოხდა აეროპორტის გზაზე.

– რას მეუბნები, დაშავდა ვინმე? როდინდელი ამბავია?

– გეყოფა მასხრობა, – დაღლილი ხმით ალაპარაკდა გამომძიებელი, – არ გიცნობდე მაინც. ყველაფერს მიხვდი, ერთი რამის გარდა და ეს ერთი იქნებ შენ ამიხსნა.

74

მორიგი საწყლევიზიო ჩეფორმა
თუ „მზის დაბნელება" საქართველოში?!

მზის დაბნელება ისეთი ასტროლოგიური მოვლენაა, რომელიც ძალიან იშვიათად ხდება. ის ქვეყანა კი, რომელშიც ეს ყველაზე კარგად ჩანს, საგრძნობლად მდიდრდება, რადგან უამრავი მეცნიერი და ტურისტი ჩადის ამ საოცრების სანახავად. ალბათ ამ მიზნით მოხდა საქართველოშიც ტელეკომპანია „მზის" „დაბნელება", მაგრამ ეჰ, იღბალი უნდა ყველაფერს — გახვრეტილი შაურიანი არ მიმატებია ამით საქართველოს ბიუჯეტს.



კი გაიძახიან, არ დავხურულვართო, მაგრამ მეტი დახურვა რაღა გინდა, საინფორმაციო პროგრამა „მზერა" გაქრა ეკრანიდან, ტოქშოუებიც შეწყდა, ამოწურავენ სასპონსორო კონტრაქტების ვადას და მერე სანთლით რომ ეძებო მზე, ვეღარ ნახავ. ახლა რომ თქვა, ოპოზიციური არხი იყო და ხელისუფლებამ დახურაო, არ იქნება მართალი, რადგან თვითონ ოპოზიციის ლანძღვის ადრესატი იყო „მზე" და თუ ვინმეს მისი სხივები თვალს სჭრიდა, სწორედ ოპოზიცია გახლდათ.

რომ გითხრათ, ჩემი ტელევიზორი მუდამ „მზეზე" მქონდა ჩართული-მეთქი, მაინც არ დამიჯერებთ, მაგრამ რამდენიმე გადაცემას სიამოვნებით ვუყურებდი ისევე, როგორც თქვენ. პირველ რიგში, მაინც უმუშევრად დარჩენილი ჩემი ტელეკოლეგები მეცოდებიან — ნაწილი, რა თქმა უნდა, თორემ უმრავლესობა რომ უკვე დასაქმებულია, ეს ამბავიც მომიტანა ჩიტმა. მაგალითად, „მატარებლის პრავადნიკი" — გია როინიშვილი პარლამენტშიც მუშაობს და თეატრშიც, მაგრამ „ტაბუს" რომ ტაბუ დაედო და „მზის დარტყმამ" რომ დარტყმა მიიღო, იმათ რა ეშველებათ?!

ისე, მგონი, სწორედ ბატონი გია როინიშვილის ფეხის ბრალია ყველაფერი: ჯერ „მე-9 არხზე" მიჰყავდა ის რელსებიდან ამოვარდნილი „მატარებელი" და არხი დაიხურა, მერე „მზეზე" გადავიდა და ისევ „ჩააყენეს დეპოში" — ნეტავ, ამ კაცს პარლამენტის დახურვაც ხომ არ აქვს გეგმაში?!

ასეა თუ ისეა, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტი ერთია — „მზე" მოკვდა... არ მინდა, უხეში ხუმრობა გამომივიდეს, მაგრამ სიკვდილის მერე სიცოცხლის მართლა მჯერა და ვიცი, „მზის" შემთხვევაშიც ასე მოხდება: მოვა მზე, მაგრამ „იმედის" სახით, აბა, ამოდენა ტელევიზია რომ უნდა ამუშავდეს სექტემბრიდან სრული დატვირთვით, ხალხი ხომ უნდა?! სადაა მერე ხალხი, როცა ყველა ჟურნალისტი წამოვიდა და ზოგი პარლამენტშია, ზოგიც — „რუსთავი 2"-ზე და ზოგიც — „სსმ"-ზე. ორი სუსტი ტელევიზიის არსებობას ხომ სჯობია, ერთი იყოს და ძლიერი, რომელსაც მაუწყებლობის ხარისხიც მაღალი ექნება და ტექნიკაც — საუკეთესო?! ასე რომ, დარწმუნებული ვარ, „მზე" „იმედში" იცოცხლებს და იმ ცნობილი სიმღერის სიტყვები — „მომაგებებ მზეს და იმედს" — ისევ აქტუალური იქნება.

ახლა ისმის მეორე კითხვა: ვის აძლევს ხელს „იმედის" ასეთი გაძლიერება? ეს შეკითხვა ბევრჯერ დავუსვი იმ ჩიტს, ამბები რომ მოაქვს ხოლმე, მაგრამ ფრთები აიჩეჩა, — რა ვიცი მე, ჩიტი ვარ, უშიშროების გენერალი კი არაო... ამიტომ, დავძაბოთ გონება და თვითონ გავარკვიოთ, რაშია საქმე: „მზე" მაშინ იყო საჭირო, როცა „იმედზე" ანტისახელისუფლებო შეძახილები ისე ხმამაღლა ისმოდა, რომ თავი მიტინგზე გეგონებოდა. თუ იმ მაყურებელს, „იმედის" განახლებას რომ მოუთმენლად ელის, ჰგონია, რომ ისევ ოპოზიციური „იმედი" ექნება, ძალიან შემცდარა — აგერ ნახავთ, თუ განახლებული „იმედი" დითირამბების სიმღერას არ მოჰყვება. ასე რომ, ანტიოპოზიციური საინფორმაციო ფრონტის აუცილებლობა და შესაბამისად, „მზის" აუცილებლობაც არააქტუალური გახდა. სამაგიეროდ, გვექნება მთელ საქართველოში სამი სახელმწიფო არხი, უფრო სწორად — ორი კერძო და ერთი სახელმწიფო არხი და სამ ხმაში იმღერებენ „მიშა მაგარიას". ოპოზიციას კი ამ არხებზე ინტერვიუების მიცემასა და კომენტარების გაკეთებას, რა თქმა უნდა, არავინ დაუშლის, მაგრამ მათ მთავარი ტრიბუნის იმედად მხოლოდ „აქუTV" შემორჩათ, რომელსაც მაუწყებლობა მცხეთიდან ვარკეთილამდე აქვს მხოლოდ — ახლა რაღას იტყვით, „მიშა მაგარია" თუ — არა?!

აგერ, არც ინგა გრიგოლიამ შეგვისრულა დანაპირები, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ისევ შევხვდებითო, — და ორშაბათი საღამო „უპრაიმტაიმოდ" გავატარეთ. არც იმის თქმა შემიძლია, PRIMETIME ოპოზიციური ტოქშოუ იყო-მეთქი, რადგან მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში საათობით ისხდნენ ოპოზიციის ლიდერები ამ გადაცემის ეთერში, მაგრამ გაივსო პარლამენტი „ნაციონალი" დეპუტატებით. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გრიგოლიას სახით ნამდვილად არ შემატებია კიდევ ერთი უმუშევარი ჩვენს ქვეყანას და ისიც მალე დაგვიბრუნდება „პირველ არხად" ან „იმედად" — ისევ გათენდება დილა ჩვენს ქვეყანაში, ისევ იკაკანებს „რუსთავი 2"-ის ეთერში ნატა ნიჟარაძე, ისევ იყვირებს „სსმ"-ზე ინგა გრიგოლია, ისევ იჩურჩულებს „იმედზე" მაია ასათიანი, მაგრამ ქვეყანას მაინც დააკლდება რაღაც თბილი და ახლობელი და ჩვენ მივხვდებით, რომ ეს რაღაც — „მზეა"...

P.S. ჟურნალისტი — ტელევიზიის შეფთან:

— იცით, თქვენს ტელევიზიაში მინდა ვიმუშაო, პროექტებიც მაქვს.

— გამოცდილება გაქვთ?

— შენ დებილი ხომ არ ხარ?! ყველა ტელევიზია მაქვს მოვლილი და აქაც მესამე „კრუგზე" ვარ უკვე. არ გახსოვს, ჩემი ოპერატორი რომ იყავი?!.

პროვოკატორი

„ბევრი ოპოზიციონერი ყვიროდა, ხელისუფლებას ბოიკოტს გამოვუცხადებთო, მაგრამ...“

გასული კვირის მოვლენად საზოგადოების ნაწილს ეკა ბესელიას 15 წლის შვილის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მიაჩნია. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიიჩნიეს პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციის შექმნა, ასევე სეტყვა კახეთში და აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე აფეთქებები...

„როგორ შეიძლება მისი გასამართლება?!“

ნათია ქივიძე

ნანა კოგიაშვილი, *ექიმი, 45 წლის:*

— პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციის შექმნა, ჩემი აზრით, საკმაოდ დადებითი მოვლენაა. ბევრი ოპოზიციონერი ყვიროდა, ხელისუფლებას ბოიკოტს გამოვუცხადებთო, მაგრამ საბედნიეროდ, მათ ყველა არ დაეთანხმა და პარლამენტში მაინც შევიდა. გია ცაგარეიშვილსა და გია თორთლაძეს ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს ვცემდი. მიხარია, ამ ფრაქციის ხელმძღვანელად სწორედ გია თორთლაძე რომ დაინიშნა. ისიც მიხარია, ჯონდი ბაღათურია ამ ფრაქციის მიღმა რომ დარჩა, რადგან ჩემი აზრით, ამ ადამიანის ადგილი პოლიტიკაში არ არის. ახლა რამდენიც უნდათ, იმდენი იყვირონ გაჩეჩილაძემ და გამყრელიძემ. პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენლებიც არიან და ხელისუფლებისაც, შესაბამისად, მათ გარეშეც კარგად მოაგვარებენ ქვეყნის საქმეებს და დარწმუნებული ვარ, ბევრ რამეში შეთანხმდებიან კიდეც. ეს ყველაფერი კი ქვეყნის წინსვლაზე იმოქმედებს...

არჩილ ქოგალავა, *ინჟინერი, 56 წლის:*

— საკმაოდ სერიოზული ფაქტია აფეთქებები აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელსაც რატომღაც ქართველებს გვაბრალებენ. ახლა იქ საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული და ძალიან მეშინია, ომი არ დაიწყოს, თორემ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უამრავი „რეზერვისტი“ ჰყავს, მაინც ვფიქრობ, რომ 18 დღეში ადამიანი ომში მოქცევის წესებს ვერ ისწავლის. ამიტომ დიდი შანსია, რომ ჩვენი „რეზერვისტების“ იმედზე მყოფები წაგებულები დავრჩეთ. გარდა ამისა, ნამდვილად მომეწონა ის ფაქტი, ოპოზიციის წევრებს საპარლამენტო მანდატები რომ გაუუქმეს. შვებულებაში გავდივართო, ხომ გაიძახოდნენ, შვებულება თუ უნდათ, უხელფასოდაც უნდა დათანხმდნენ. პარლამენტში უკვე შეიქმნა ოპოზიციური ფრაქცია და მიმაჩნია, რომ ამაზე მეტი ოპოზიცია ქვეყნისთვის საჭირო აღარ არის. მოკლედ, ახლა პარლამენტში ყველაფერი რიგზეა და ჩვენს ქვეყანასაც მალე ეშველება...

ნინელი ჭყოიძე, *დიასახლისი, 53 წლის:*

— საკმაოდ საინტერესო ფაქტია, ეკა ბესელია საკუთარი 15 წლის ვაჟისთვის საფრანგეთს პოლიტიკურ თავშესაფარს რომ სთხოვს. თვითონ სულ მიტინგებზე დარბის და ეტყობა, ოჯახის წევრებისთვის ვეღარ იცლის. ამიტომაც იმ ბავშვს ალბათ ყურადღება დააკლდა და მეგობრებთან ჩხუბი მოუვიდა. ჯერ ერთი, ასეთი რამ ყველა მოზარდს შეიძლება შეემთხვას და უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ვინმეს შვილს დასაკითხად წაიყვანენ, მასზე პოლიტიკურ ზეწოლას ახდენენ? ჩემი აზრით, ქალბატონმა ეკამ დამნაშავე საკუთარ ოჯახსა და საკუთარ თავში უნდა ეძებოს და არა — ხელისუფლებაში. არა მგონია, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ისე დაეცნენ, რომ ვისი შვილიც უნდა იყოს, 15 წლის ბავშვს ცილი დასწამონ და ტყუილად გადაემტერონ. ვისაც შესაძლებლობა არ გვაქვს და შვილებს მართლა გვიჩაგრავენ, რა ვქნათ, ვის მოვთხოვოთ დახმარება და თავშესაფარი?..

ლია ელგაძიძე, *იურისტი, 42 წლის:*

— გასულ კვირას საშინელი ფაქტი მოხდა: კუს ტბაზე 29 წლის ბიჭი დაიხრჩო. მეორე დღეს კი 18 წლის ბიჭიც ზუსტად იქ დაიღუპა. ამ შემთხვევებში, რასაკვირველია, დამნაშავის ძებნა შეუძლებელია. უბრალოდ, ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა, რამაც საოცრად შემძრა.

ვასილ მუსერიძე, *პენსიონერი, 72 წლის:*

— გული დამწყდა, კახეთის უამრავი სოფელი რომ დაისეტყვა. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე ნატურალურ და ჯანსაღ პროდუქტს კახეთიდან ვიღებთ და ისიც განადგურდა. თვითონ გლეხებიც მეცოდებიან. მთელი წელი შრომობენ, მიწას ამუშავებენ, მერე კი წუთებში მათი ნაოფლარი სეტყვას მიაქვს. არადა, მთელი წელი მოსავალს ელოდებიან, რომ საარსებო თანხა მოაგროვონ. სამწუხაროა, რომ ბუნებრივ მოვლენას წინ ვერავინ აღუდგება... გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ეკა ბესელიას შვილი ხულიგნობის მუხლით რომ გაასამართლეს და გირაოს გადახდა დააკისრეს. ბავშვი ჯერ მხოლოდ 15 წლის არის და როგორ შეიძლება მისი გასამართლება, მით უფრო, რომ საგანგაშო არაფერი ჩაუდენია. მისი თანატოლი ბიჭები ერთმანეთს ხოცავენ, დანებით დარბიან და ისინი ვერ დაუჭერიათ. ჩვენს პოლიციას რამდენი გაუხსნელი მკვლელობა ადევს ზურგზე და ამ ბავშვს ხულიგნობის გამო სჯიან?! რასაკვირველია, ის ეკა ბესელიას შვილი რომ არის, ამიტომაც მოექცნენ ასე. ღმერთმა ქნას, საფრანგეთი დათანხმდეს და ბავშვს პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს. იქ გაიზრდება, ისწავლის და ალბათ საქართველოში აღარც დაბრუნდება... ■

რას მოასწავებს სეპარატისტთა ლიდერთან დმიტრი მედვედევის შეხვედრა?

რაც დრო გადის, აფხაზეთის კონფლიქტი უფრო მეტად ექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. რუსეთის აგრესიული ქმედებების გააქტიურებას, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისგან კრიტიკული განცხადებების მთელი სერია მოჰყვა. ერთი შეხედვით, მოსკოვში ამას დიდად არ ნაღვლობენ. მეტიც, რუსეთის პრეზიდენტი კრემლში აფხაზეთის სეპარატისტული მმართველობის ლიდერს დაუფარავად შეხვდა. სერგეი ბაღაფშს თავის დროზე, ვლადიმირ პუტინიც ხვდებოდა, მაგრამ ამ შეხვედრებს ტელეკამერები არ აფიქსირებდა. რას ნიშნავს რუსეთის ახალარჩეული პრეზიდენტის ასეთი გამაღიზიანებელი ნაბიჯი? როგორ შეიძლება შეფასდეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ბოლოდროინდელი, უკიდურესად გამომწვევი ნაბიჯები და რამდენად შესაძლებელია, ეს საქართველომ თავის სასიკეთოდ გამოიყენოს? ამ საკითხებზე რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩს, პოლიტოლოგ ზურაბ აბაშიძეს ვესაუბრეთ.

„რუსეთი დიდი გემივით არის, შემოსაბრუნებლად დიდი დისტანციის აღება სჭირდება“

ლალი პაპასკირი

— ბატონო ზურაბ, ამ რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ლიდერისა და რუსეთის ახალი პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართა. როგორ აფასებთ ამ შეხვედრის ფაქტს?

— რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოებისთვის უსიამოვნოა ის ფაქტი, რომ რუსეთის პრეზიდენტი კრემლში დიდი ამბით ხვდება სეპარატისტული რეჟიმის ლიდერს. თავის დროზე ვლადიმირ პუტინსაც ჰქონდა სერგეი ბაღაფშთან შეხვედრები, მაგრამ ტელეკამერების წინ ასე ანგაჟირებული და დაპიარებული არ ყოფილა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებას ჩვენს უარყოფით რეაქციაზე ერთგვარი პასუხიც აქვს — ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მედიატორის როლი გვაქვს და ვალდებული ვართ, ორივე მხარის წარმომადგენლებს შევხვდეთ და ვესაუბროთო. სხვა საკითხია, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ამგვარი პასუხი ქართული მხარისთვის. უფრო მნიშვნელოვანია ამ შეხვედრის შინაარსობრივი მხარე. ჩვენთვის უცნობია, თუ რა საკითხებზე ისაუბრეს მათ. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეხვედრა რაიმე დადებით შედეგს მოგვიტანს, თუნდაც მცირედს, მისი სხვაგვარად შეფასებაც შეიძლება. რაც შეეხება იმას, თუ რას ემსახურებოდა ეს შეხვედრა, უახლოეს მომავალში, შეიძლება — 6 ივლისის შემდეგაც გაირკვეს, როცა ერთმანეთს მიხეილ სააკაშვილი და დმიტრი მედვედევი შეხვდებიან.

— რამდენად დასაშვებია, რომ მედვედევის ასეთი გამაღიზიანებელი ნაბიჯი განპირობებული იყო საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებით? ასეთი ქმედებებით რუსეთის პრეზიდენტმა მსოფლიო ორგანიზაციები ხომ არ „აიძულა“, უფრო აქტიურად ჩაერთონ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში?

— მართლაც, ბოლო დროს საერთაშორისო მასშტაბით, აფხაზეთის თემის აქტუალიზება მოხდა. პროცესში აქტიურად ჩაერთო ევროკავშირი, ჩამოსული იყო ხავიერ სოლანა, რომელიც სოხუმსაც ეწვია. საგულისხმოა ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ რუსეთის მიმართ გაკეთებული საკმაოდ კრიტიკული განცხადებები და იმ მეგობარი ქვეყნების პოზიციები, რომლებიც გაეროს გენერალური მდივნის მანდატით მუშაობენ: საფრანგეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს ვგულისხმობ. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა დასავლეთში შესაბამისი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ეს განსაკუთრებით, ვლადიმირ პუტინის 16 აპრილის ბრძანებულების შემდეგ იგრძნობა. ამერიკის კონგრესის ორივე პალატის, ევროკავშირის, ნატოს გენერალური მდივნისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რუსეთის ქმედებებს მწვავე შეფასებები მიეცა, რის გამოც, რუსეთი საერთაშორისო სარბიელზე თავდაცვით პოზიციაში აღმოჩნდა. აფხაზეთის თემა ახლახან, ევროკავშირ-რუსეთის სამიტზეც განიხილებოდა. სწორედ ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ხელისუფლება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რაღაც ნაბიჯის გადადგმაზე ფიქრობდეს, თუმცა უფრო კონკრეტულად იმის თქმა, თუ რა შეიძლება იყოს ეს ნაბიჯი, — ძნელია. მართალია, მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, მაგრამ მაინც ვვარაუდობ, რომ ეს ასე შეიძლება იყოს. ამის საფუძველს კი, ისევ და ისევ, საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება მაძლევს. რუსეთს აქვს შანსი, დაანახვოს მსოფლიოს, რომ ის საერთაშორისო სამართალს ანგარიშს უწევს.

— თქვენ ბრძანეთ, რუსეთმა მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რომ საერთაშორისო სამართალს ანგარიშს უწევსო. თუ შეიძლება, მედვედევისა და ბაღაფშის შეხვედრა ამას დავუკავშიროთ?

— შეიძლება. თუ მოვლენების განვითარების დინამიკას დავაკვირდებით, ასეთი ვარაუდი არ უნდა გამოვრიცხოთ. რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს და შესაძლოა, საქართველოსთან ურთიერთობაში რაიმე ახალი ელემენტებიც გაჩნდეს. თუმცა ვიმეორებ — ასეთ ვარაუდს ფრთხილი ოპტიმიზმით ვუყურებ...

— გვაქვს თუ არა საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მედვედევი, პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური კურსიდან თუნდაც მცირედ გადახვევას შემოგვთავაზებს?

— არა მგონია, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახლო მომავალში რაიმე ცვლილებები მოხდეს, მაგრამ შესაძლოა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გარკვეული აქცენტები შეიცვალოს, რაც სულაც არ ნიშნავს პუტინის პოლიტიკის უარყოფას.

— ბოლო დროს განხორციელებული აგრესიული ქმედებების გამო, რუსეთი და თითქმის მთელი დანარჩენი მსოფლიო სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. რამდენად აძლევს ხელს ამ სახელმწიფოს ასეთი მდგომარეობა?

— საინტერესო კითხვაა, მხოლოდ საგარეო პოლიტიკას არ ეხება, უფრო ღრმაა — რუსეთის ეგზისტენციალურ პრობლემას ეხება... რუსეთის პოლიტიკურ ელ-

იტაში არსებობს ორგვარი მოსაზრება: ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ფედერაციის შიდა კონსოლიდაციისთვის, პუტინის მიერ შექმნილი რეჟიმის გასამყარებლად, ნაციონალური იდეის განმტკიცებისა და პატრიოტული სულისკვეთების გასაძლიერებლად, გარეშე მტრების არსებობა — აუცილებელი ფაქტორია. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ასეთი იდეოლოგია რუსეთის საზოგადოების, „დერჟავული“ ნაწილის მოთხოვნაცაა, რაც ამ ქვეყნისთვის ახალი არ არის. საბჭოთა კავშირი 70 წლის განმავლობაში ამ ფილოსოფიით საზრდოობდა — იმპერიალისტურმა სამყარომ მიზანში ამოგვიღო და ჩვენი განადგურება სურსო!.. თუ რატომ ირჩევენ ასეთ გზას — ამაზე ბევრი ლაპარაკი შეიძლება... ჩემი აზრით, ასეთი იდეოლოგია გამართლებაა იმ

მედვედევისა და ბაღაფშის შეხვედრის შემდეგ, შესაძლოა, რუსეთს საქართველოსთან დათმობაზე წასვლამ მოუწიოს

არადემოკრატიული რეჟიმისა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. როცა გვერდზე დემოკრატიული ქვეყნებია, არადემოკრატიული რეჟიმის დაცვა ძნელია. გარე სამყაროსთან ასეთი ქიშპობა რუსეთს ჯერ კიდევ იმპერიის დროიდან მოსდევს, ამიტომ ეს ერთგვარი მექანიზმია, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება საზოგადოების კონსოლიდაციისთვის ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მიმართავდა. ამავე დროს, რუსეთის პოლიტიკური ელიტის მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლეთთან დაპირისპირება არასწორი ისტორიული არჩევანია და ქვეყანა ამით უფრო მეტს კარგავს, ვიდრე იგებს. მე მაინც მგონია, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ შესაძლოა, კრემლსა და თეთრ სახლს (*იგულისხმება მოსკოვის თეთრი სახლი. — ავტ.*) შორის, გარკვეული „დერჟავნიკული“ და ლიბერალური ძალების გადანაწილება მოხდეს — ანუ ეს ხალხი მედვედევისა და პუტინის მომხრეებად დაიყოს. ჩემი აზრით, „დერჟავნიკული“ ძალები გარკვეული დროის შემდეგ, პუტინის მხარეს დაიჭერენ. უფრო ახალი თაობის წარმომადგენლები კი, ვინც თანამედროვე იდეებს აღიარებენ, მედვედევის გარშემო შემოიკრიბებიან. მაგრამ ამას დრო დასჭირდება. რუსეთი იმ დიდი გემივით არის, რომელსაც ზღვაში შემოსატრიალებლად დიდი დისტანციის გავლა სჭირდება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მისი შემობრუნება, საერთოდ არ მოხდეს. დღევანდელ მსოფლიოში ბევრს მარჩიელობენ — ვინ არის მედვედევი? — ისევე, როგორც 8 წლის წინ, პუტინი აინტერესებდა ყველას. რუსეთი იმდენად რთული ქვეყანაა, რომ არც ერთი პროგნოზი არ არის სანდო. 1985 წელს, როცა საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივნად აირჩიეს თუ დანიშნეს მიხაილ გორბაჩოვი, ვინ იფიქრებდა, რომ 6 წლის შემდეგ ეს მრისხანე რეჟიმი საერთოდ აღარ იარსებებდა?!. ასე რომ, რუსეთთან მიმართებაში რეალისტები უნდა ვიყოთ და ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად გამოვნახოთ მასთან საერთო ენა.

— რამდენად სწორია ჩვენი ხელისუფლების ახლანდელი კურსი და რამდენად წაადგება საქმეს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა?

— დასავლელი პარტნიორები ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ რუსეთთან და აფხაზეთთან პირდაპირი დიალოგი აუცილებელია და ყოველთვის ცდილობდნენ, ამისთვის ხელი შეეწყოთ. რუსეთთან სასაუბროდ კი დასავლეთის ძლიერი მხარდაჭერა უნდა გვქონდეს და ეს პრინციპში, უკვე გვაქვს. რაც მთავარია, საქართველო უნდა გახდეს აფხაზებისთვის მიმზიდველი ქვეყანა. კონფლიქტის მოსაგვარებლად, ეს სამი აუცილებელი პირობაა შესასრულებელი. რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების თვალსაზრისით, ბევრი დრო დავკარგეთ. შესაძლოა, მასთან დიალოგით, ბევრი არც არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ რაღაც უსიამოვნებების თავიდან აცილება შეიძლებოდა. არ მინდა, კონკრეტული ფაქტები დავასახელო, მაგრამ ამ 3 წლის წინ ქართულმა მხარემ რომ გადაწყვიტა, — რუსეთთან დიალოგი არ ღირს, რადგან მაინც არაფერი იცვლებაო, — ეს დიდი შეცდომა იყო. ჩვენშიც და მოსკოვშიც, მგონი, ახლა უფრო ხვდებიან, რომ საერთო ენის გამონახვა აუცილებელია. რუსეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა და ვერსად გადავსახლდებით.

— თუმცა რუსეთთან საერთო ენის გამონახვა მაინც გაგვიჭირდება, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში რუსული კაპიტალი ტრიალებს...

— თუ კონფლიქტთან დაკავშირებით რაიმე შეთანხმებას მივაღწევთ და იქ ქართული იურისდიქცია აღდგება, შემოვიდეს რუსული კაპიტალი — ამაში ცუდი არაფერია. თან, იქ რუსული კაპიტალის შემოსვლას ვერავინ შეაჩერებს. ამის სამართლებრივი მექანიზმი დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს, დაინტერესებული რუსი მეწარმე, ვთქვათ, იტალიურ ფირმას შექმნის და მერე შეიძენს ქონებას აფხაზეთში. გარდა ამისა, რუსეთი ჩვენი მეზობელია, იქ ბოლო წლებში ბევრი ფული დაგროვდა და პირველ რიგში, ალბათ მისი კაპიტალი შემოვა.

— რამდენიმე ხნის წინ, გავლენიანმა რუსულმა გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ქართული მხარე რუსეთს ფაქტობრივად, აფხაზეთის ნახევარს სთავაზობს. ეს, რუსეთის მიერ „შემოგდებული“ თემა ხომ არ არის?

— ალბათ ასეა. ჩემი აზრით, ეს პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის ბოლოდროინდელ გააქტიურებასთან და ქართული მხარის მიერ წამოყენებულ სამშვიდობო გეგმასთან. რუსეთისთვის ამ ყველაფრის ხელაღებით უარყოფა რთულია. ამიტომ, ასეთი სახის სტატიებით უნდათ ამ პროცესის გარშემო წყლის ამღვრევა და სიტუაციაში არეულობის შეტანა. მერე უცხოელებთან სალაპარაკო ექნებათ: რა ვქნათ, ჩვენ კი გვინდა ამ ხალხთან ნორმალური ურთიერთობა, მაგრამ ამ ქართველებმა თავად არ იციან, რა უნდათ — ხან ერთს ამბობენ, ხან მეორესო... ფაქტია, რომ ამ სტატიამ რაღაც ეჭვები უკვე წარმოშვა: ამას წინათ, მიღებაზე ვიყავი და უცხოელები მეკითხებოდნენ, — რა ხდებაო?.. მართალია, ერთი სტატია მნიშვნელოვნად ვერაფერს შველის, მაგრამ რაღაც მაინც გააფუჭა. ასე რომ, ასეთი „გაუონვები“ პრესაში ხელოვნურად კეთდება... ■

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, უნდა ჩაერიოს თუ არა მშობელი შვილის პროფესიის არჩევაში?

გიორგი მოსიძე:

— მშობელმა შვილზე კეთილი მრჩევლის სახით, გავლენა უნდა მოახდინოს. 15-16 წლის ასაკში მოზარდები ბოლომდე ჯერ ჩამოყალიბებულები ხომ არ არიან?! მშობელმა ბავშვში უპირველესად ნიჭი უნდა აღმოაჩინოს, მაგრამ არ უნდა ჩაკლას მასში პიროვნება, მისგან ამა თუ იმ პროფესიის დაუფლება, დაჟინებით არ უნდა მოითხოვოს. 16 წლის რომ ვიყავი, მსახიობობაც მინდოდა, ჟურნალისტობაც და რეჟისორობაც, მაგრამ მშობლებმა მირჩიეს: მსახიობობა რთული და არაშემოსავლიანი პროფესიაა. ამიტომ, სამედიცინოზე ჩავაბარე. ბოლოს კი პოლიტიკოსი გავხდი. ■

შავი ზღვის ქვეყნების წიგნის ფესტივალი

საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ შავი ზღვის ქვეყნების წიგნის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა საგამომცემლო სახლი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებიც. გამომცემლობებმა ახალი წიგნების პრეზენტაციები მოაწყვეს, იყო უამრავი სიურპრიზი. აღსანიშნავია საგამომცემლო სახლის — „პალიტრა L“ — და ნაყინის მწარმოებელი კომპანია „გურჯაანის“ ერთობლივი აქცია: „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემული ყოველი წიგნის მყიდველი „გურჯაანის“ ნაყინით დასაჩუქრდა. ჩვენმა საგამომცემლო სახლმა ორი ახალი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო, ესენია: ტარიელ ზოზრაშვილის „დიდი ქართველები“ და ლექსების კრებული — „ეს სიმღერაა საქართველოსი“.

მასობრივ მკითხველთან ერთად, გამოფენაზე წარმოდგენილი გამოცემების გასაცნობად, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებიც მივიდნენ. ჩვენც დავინტერესდით იმით, თუ რა ლიტერატურა შემატეს მათ საკუთარ ბიბლიოთეკებს.

მაკა მატარაძე

ლადო პაპავა:

— წიგნის პოპულარიზაცია მუდმივად უნდა ხდებოდეს და მისასალმებელია, რომ თბილისში შავი ზღვის ქვეყნების წიგნის ფესტივალი ტარდება. თუმცა, ჩემი აზრით, სხვა ქვეყნებს არა აქვთ წარმოდგენილი საუკეთესო გამოცემები. რაც შეეხება ჩემს შენაძენს, — ჩვენი მეზობლების, სომხების გამოცემა შევიძინე, ახლა კი ჩემი წიგნის პრეზენტაციას ველოდები. ეს არის „ცენტრალური კავკასია — გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევი“, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი.

სოსო ციხკარიშვილი:

— წიგნის ფესტივალის მიმართ ქართველ საზოგადოებას ნოსტალგია აქვს და გული მწყდება, რომ ის უფრო ხანგრძლივად არ მიმდინარეობს. ძალიან მიხარია, რომ საბავშვო გამოცემების სიმრავლეა და ბავშვებს აღარ უწევთ უცხოური წიგნების შეძენა. შევიძინე რუსული გამოცემები და, რა თქმა უნდა, ბავშვებისთვის ენციკლოპედიები.

რომან გოცირიძე:

— მისასალმებელია, რომ ქართული გამოცემები, წინა წლებთან შედარებით, რაოდენობრივადაც გაიზარდა და კარგი ხარისხის წიგნებსაც უშვებენ. შევიძინე რამდენიმე თარგმანი, ასევე — ქართული ლიტერატურა, გამომცემლობებს შეგნებულად არ ვასახელებ, სხვებს რომ არ ეწყინოთ.

ირაკლი იაშვილი:

— ყოველ წელს ვესწრები ამ ფესტივალს. წელს შედარებით უფრო მასშტაბურია, როგორც მონაწილე ქვეყნების თვალსაზრისით, ისე არჩევანის საშუალებით. უამრავი წიგნი შევიძინე.

კახა ლომაია:

— ჩვენ ვხედავთ, რომ წლიდან წლამდე, სულ უფრო და უფრო იზრდება გამომცემლობები, წიგნის გაყიდვა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და ადასტურებს, რომ საზოგადოება იხსენებს დავიწყებულ კულტურას. წიგნი არის საშუალება იმისა, რომ სხვა ქვეყნებს გააცნო საკუთარი კულტურა და — პირიქით. მართალია, სხვა ქვეყნების სტენდებთან ნაკლები ხალხია, მაგრამ ესეც დროის საკითხია. რაც შეეხება ჩემს შენაძენს, — ბავშვებისთვის დეტექტიური ლიტერატურა, ხოლო ჩემთვის — მემუარები და ისტორიული წიგნები შევიძინე.

ზაალ სულაკაური:

— ყოველ წელს, გულის ფანცქალით ველოდები ამ დღეს, იმისათვის, რომ რაღაც ახალი ვნახო და კარგი იქნება, მომავალში არა მარტო შავი ზღვის ქვეყნები, არამედ მსოფლიოს სხვა გამომცემლობებიც თუ მიიღებენ მონაწილეობას ჩვენს ფესტივალში. ის წიგნები, რომლებიც მსურს, რომ შევიძინო, საკმაოდ ძვირია. ბედნიერი ვარ, რომ ბაკურ სულაკაური ჩემი ძმაა და მჩუქნის ხოლმე წიგნებს, თორემ დავიღუპებოდი...

გიორგი ხუბუა:

— მკითხველისთვის ახალი წიგნის გამოჩენა ყოველთვის დიდი ზეიმია. ვფიქრობ, ასეთი გამოფენა მკითხველის გემოვნების დახვეწასაც უწყობს ხელს და წიგნის პოპულარიზაციასაც, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ეს გამოფენა არ უჩივის ხალხის სიმცირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება, როგორც ადრე გამოირჩეოდა, ასევე დღესაც გამოირჩევა წიგნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ცხადია, ამ მხრივ გასაკეთებელიც ბევრი გვაქვს, რადგან წიგნს უკვე კონკურენტები ჰყავს, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სახით. მოგეხსენებათ, ინფორმაციის მიღების უამრავი წყარო გაჩნდა, მაგრამ წიგნს მაინც თავისი უპირატესობები აქვს. მსგავსი ფესტივალები არ უნდა იყოს ეპიზოდური, მით უმეტეს, რომ არა მგონია, მკითხველს წიგნთან შეხვედრის სურვილი სეზონურად უჩნდებოდეს. რაც შეეხება იმას, რომ წელს უკვე გამოფენის მასშტაბები გაიზარდა და მასში შავი ზღვის სხვა ქვეყნებიც მონაწილეობენ, — ძალზე მისასალმებელია, რადგან კულტურა ხალხებს შორის დიალოგის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

გიორგი ზანგური:

— ვცდილობ, არც ერთ გამოფენას არ გამოვაკლდე, დღეს კი — განსაკუთრებით, რადგან ჩემი მეგობრის, დავით-დეფი გოგიბედაშვილის წიგნის — „დემნა გედევანიშვილის“ პრეზენტაციაა, რომლის გამოსვლასაც დიდი ხანია, ველოდები.

გიგა ნასარიძე:

— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ფესტივალმა და მისასალმებელია, რომ მისი მასშტაბები გაიზარდა. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, — 15 საუკეთესო მოთხრობის დაჯილდოება გაიმართა, რომელთა შორისაც, ჩემი მოთხრობა — „ვირტუალური სექსიცაა“.

ცოცხალი ლეგენდების „ჯაჭვაჯოგა“ რუსთაველის თეატრის სცენაზე

„ყოველი ჩემი იუბილე ამ სცენაზე იმართება, სადაც ჩემი სპექტაკლებიდან ნაწყვეტებს ვთამაშობ ხოლმე. ამ სცენაზე ახალი როლის თამაში მენატრებოდა...“ — გვითხრა ქართული თეატრის ცოცხალმა ლეგენდამ, ქალბატონმა მედეა ჩახავამ სპექტაკლში — „მოხუცი ჯამბაზები“ — გამოსვლის შემდეგ. მასთან ერთად, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ უფროსი თაობის ჩვენი სახელგანთქმული მსახიობების თანავარსკვლავედს მოუყარა თავი და ამით, როგორც მათ, ასევე მაყურებელს დიდი საჩუქარი მოუმზადა: კახი კავსაძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, ზაზა ლებანიძე, ზინა კვერენჩხილაძე, სევდიანი კომედიის პერსონაჟებად გვევლინებიან და თავიანთი ოსტატობით გვატკბობენ. „მოხუც ჯამბაზებში“ მაყურებელმა იხილა აგრეთვე საშუალო თაობის მსახიობები — ორი მშვენიერი ქალბატონი — მარინა კახიანი და მარი ჯანაშია.

„რით ვერ შეგაგნებინეთ, რომ ბებერი ვარ?!“; „რა ხალხი იდგა და ახლა ვინ დგანან!..“; „გრიმის სუნი მომენატრა“; „ჯობს, ადრე წახვიდე, ვიდრე სცენიდან სტვენით გაგაგდონ!..“ — ამ ფრაზების მოსმენისას მაყურებელი გულგრილი ვერაფრით დარჩებოდა. ჰოდა, თითოეული მსახიობის გამოსვლას ის მქუხარე აპლოდისმენტებით ეგებება. როგორც მოსალოდნელი იყო, სპექტაკლებზე სრული ანშლაგებია.



მათთან მუშაობა უდიდესი ბედნიერებაა

„წლებმა ჩაიქროლა და სიბერემ ყველას აქ მოგვიყარა თავი...“

მაია ღუღუნიშვილი

გოჩა კაპანაძე, *რეჟისორი:*

— ამ სპექტაკლს როლანდ ჰარვუდის პიესა „კვარტეტი“ უდევს საფუძვლად. ის თავიდან, მარჯანიშვილის თეატრში უნდა დაგვედგა. როლებიც კი გავანაწილეთ. ოთარ მეღვინეთუხუცესს, ლეო ანთაძეს, თამარ სხირტლაძეს და ან განსვენებულ, ქალბატონ სოფიკო ჭიაურელს უნდა ეთამაშათ. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელეთ. მოგვიანებით, ამ პიესის დადგმის სურვილი, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას გავუზიარე და მხარდაჭერაც მივიღე. პიესაში ცვლილებები შევიტანე და 4 მსახიობის ნაცვლად, მასში 8 მსახიობი დავაკავე. ავტორს თავად ჰქონდა მიწერილი პიესაზე, რომ დასაშვებია მსახიობების დამატება. მე და ქალბატონმა მანანა გეგეჭკორმა მასში მცირედი ცვლილებები შევიტანეთ. არც ერთი მსახიობისგან უარი არ მიმიღია, გარდა ბატონი კახისა, რომლის დათანხმებაც ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, რადგან მას უკვე ნათამაშები ჰქონდა, მოსკოვში, ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. მუშაობის პროცესი ძალზე საინტერესოდ წარიმართა. ხშირად ჩვენი „მოხუცები“ გამოცდებსაც კი მიწყობდნენ, რომელსაც წარმატებულად ვაბარებდი ხოლმე. უკვირდათ, მათი აზრით რთულ ამოცანას თავს რომ გავართმევდი (*იცინის*)... ეს იყო დაუვიწყარი დღეები, მათთან მუშაობა უდიდესი ბედნიერებაა.

კახი კავსაძე:

— მე უარზე ვიყავი, რადგან ეს როლი ადრე მითამაშია და გამეორება აღარ მინდოდა, თანაც, გულის ოპერაცია უკვე ორჯერ გავიკეთე. მეგონა, სცენაზე დიდ დატვირთვას ვერ გავუძლებდი. გოჩამ მითხრა, — ძალიან არ დაგტვირთავ და თანაც, სხვა როლს გთავაზობო. როგორც იტყვიან, შემიტყუა და არცთუ ისე მცირე ენერგიის დახარჯვა მიხდება: საკმაოდ დიდი ტექსტი მაქვს, ამასთანავე, ვმღერი კიდეც. როგორც აღმოჩნდა, ამდენიც შემძლებია!..

— ბატონო კახი, თქვენ ბოლო სპექტაკლი ამ სცენაზე, რობერტ სტურუას — „მერე რა, რომ სველია სველი იასამიანია“, სადაც ბატონი დევის როლს ასრულებდით. ეს სპექტაკლი უკვე დიდი ხანია, რაც თეატრის რეპერტუარში აღარ არის. ამ ხნის განმავლობაში სცენის ნოსტალგია არ გქონიათ?

— სიმართლე გითხრათ, ვერ ვგრძნობ, მქონდა თუ არა ამ სცენის მიმართ ნოსტალგია. ალბათ, ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი. თამაშს მონატრებული არა ვარ. ფიზიკურად



ალბათ, ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი

NASA – მოდის ჯვალდაჯვალ



NASA-მ (აშშ-ის კოსმოსისა და აეროდინამიკის ნაციონალური სააგენტო) ბოლო 40 წლის განმავლობაში პირველად, მკერავის შეცვლა გადაწვიტა. სააგენტოს წარმომადგენელთა აზრით, სკაფანდრი, რომლითაც ნილ არმსტრონგმა მთვარეზე პირველად დააბიჯა, დღეს მხოლოდ მუზეუმს თუ დაამშვენებს. XXI საუკუნის ასტრონავტთა კოსტიუმი საიმედოობასთან ერთად, უფრო მსუბუქი (ახლანდელი კოსტიუმი 80 კილოგრამს იწონის), იოლად სამართავი იქნება. ასტრონავტები თავისუფლად იმოძრავებენ და მთვარეზე 6-თვიან ექსპედიციაში მინიმალური ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფილნი გაემგზავრებიან. NASA-ს უცვლელმა მომწოდებელმა, კომპანიამ — Hamilton Standard — უკანასკნელ მომენტში Oceaneering International Inc-ის სასარგებლოდ კონტრაქტზე უარი განაცხადა. International Inc ვარსკვლავებს არ „ეთამაშება“, სამაგიეროდ, ზღვის წიაღიდან ნავთობისა და გაზის მოპოვების აღიარებული ლიდერია. როგორც ამბობენ, კონტრაქტის საერთო ღირებულება 745 მილიონ დოლარს შეადგენს. ■

დავსუსტდი, სცენაზე დგომაც მიჭირს უკვე.

— ახალგაზრდებისთვის ეს სპექტაკლი დიდი საჩუქარია, რადგანაც მათ ცოცხალი ლეგენდები იხილეს სცენაზე...

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ცოცხალი ლეგენდები ვართ?..

— რა თქმა უნდა! მადლობას გიხდით იმ სიამოვნებისთვის, რომელიც ამ სპექტაკლით მოგვანიჭეთ...

— იცით, ამაზე არ მიფიქრია, ალბათ მართალი ხართ. თუკი ახალგაზრდობას ჩვენი თამაში აინტერესებს, ეს ძალიან სასიამოვნოა. ამ სიტყვებით დამაფიქრეთ. დიდი მადლობა ამ სითბოსთვის!

მედეა ჩახავა:

— ამ სცენაზე ახალი როლის თამაში მენატრებოდა. თუმცა კარგი იქნებოდა, ეს სპექტაკლი დიდ სცენაზე წარმოგვედგინა. შემოქმედებითი პაუზა სიბერის გამო არ მქონია. საბედნიეროდ, მომეცა საშუალება, რამდენიმე სპექტაკლში სხვადასხვა სცენაზე მეთამაშა, მაგრამ ძველ პარტნიორებთან მუშაობა და დიდ სცენაზე გამოსვლა ძალიან მენატრებოდა.

— ეი. თუ შემოგთავაზებენ როლს ახალ სპექტაკლში, რომელიც დიდ სცენაზე დაიდგმება, ითამაშებთ?

— რატომ არ ვითამაშებ?! აქ თუ ვთამაშობ, „ხალტურას“ ხომ არ ვაკეთებ, ვთამაშობ სრული დატვირთვით და არა „დავჩოჩავ“... ვერ ვიხსენებ, ჩემი ასაკის მსახიობი სცენაზე მდგარიყოს. მართალია, უკვე ასაკში ვარ, მაგრამ თამაში ჯერ კიდევ შემიძლია. პასუხისმგებლობა ისეთივეა, როგორიც ახალგაზრდობაში მქონდა. სცენას ისეთი ხიბლი აქვს, მისი დათმობა ძალიან ძნელია. ჩემ გარშემო არიან ასაკოვანი ადამიანები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. მათ ძალიან დიდი სურვილი აქვთ სცენაზე დადგომის; თუკი შესაფერის როლებს შეურჩევენ, ისინი აუცილებლად ითამაშებენ.

მარინა კახიანი:

— ამ სპექტაკლზე მუშაობა ძალიან საინტერესო და სახალისო იყო. ჩემდა საბედნიეროდ, თითოეულ პარტნიორთან სხვადასხვა სპექტაკლში მითამაშია. მათთან სცენაზე დგომა — დღესასწაულია. ძალიან კარგი პარტნიორები არიან. მუშაობის პროცესი საინტერესო და სახალისო იყო. რაც შეეხება ჩემს როლს, — ვფიქრობ, ერთ-ერთი გამორჩეული სახეა მათ შორის, რაც აქამდე სცენაზე მითამაშია. მაყურებლის ემოციით თუ ვიმსჯელებთ, სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა წილად.

— ბატონო გურამ, ერთ-ერთ სცენაში თქვენი პერსონაჟი პარტნიორს ეუბნება: „თუკი წელიწადში ერთხელ სცენაზე გამოვალთ, ამით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვარსებობთ...“ ასეა თქვენს რეალურ ცხოვრებაშიც?



გურამ სალარაძე:

— ასეა, რა თქმა უნდა. ეს შემოქმედებითი წვაა, წუხილია, რომელიც ათეული წლების მანძილზე არსებობდა ჩვენში, ილექებოდა. ახლა უკვე იმას ვამტკიცებთ, რომ ისე ვმუშაობთ, როგორც შეგვიძლია. მართალია, ეს სპექტაკლი სენტიმენტალურიცაა, მაგრამ ემოციები შიგნიდან — სხეულიდან მოდის. რაც მთავარია, ძალიან ეხმიანება დღევანდელობას...

თამუნა კვინიკაძე

ჯონდი ბაღათურია დღესაც შეუვარებულია

ჟურნალისტი – მაია ასათიანი
რესპონდენტი – ჯონდი ბაღათურია

— ჟურნალისტებისთვის ჯონდი ბაღათურია ყოველთვის საინტერესო რესპონდენტია. ვიცით, როგორი ხართ დღეს, მაგრამ საინტერესოა, როგორი იყავით 16-17 წლის ასაკში?

— ყოველთვის აქტიური ვიყავი და ყურადღების ცენტრში ვექცეოდი სკოლაშიც, ინსტიტუტშიც, ჯარშიც...

— მაშინ წარმოიდგენდით, რომ პოლიტიკოსი გახდებოდით?

— იმ პერიოდში პოლიტიკოსობაზე კი არ ვფიქრობდი, მხოლოდ ერთი დღით ვცხოვრობდი. ჩემი საზრუნავი ის იყო, დრო როგორ გამეტარებინა. ხშირ შემთხვევაში, არასწორადაც ვიქცეოდი. ზოგჯერ კონფლიქტში შევდიოდი მაშინაც კი, როცა შეიძლებოდა, გაუგებრობა ამერიდებინა.

— ახლა ასეთი აღარ ხართ?

— არა, იმ ჯონდისგან დიამეტრულად განვსხვავდები, თუმცა კონფლიქტებში ახლაც ვეხვევი ხოლმე, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ამის წამომწყები არ ვარ. პროვოკატორი მაინცდამაინც არც მაშინ ვიყავი, მაგრამ ხომ შეიძლება, რაღაც „გაატარო“?! მაშინ არაფერს „ვატარებდი“...

— ახლა „ატარებთ“?

— ვცდილობ, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამომდის.

— სახელი ვინ დაგარქვათ?

— მშობლებმა. ეს სახელი ბაბუის პატივსაცემად მქვია. ისიც ჯონდი ბაღათურია იყო. ჯონდი ძველი მეგრული სახელია.

— ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებული და საინტერესო იმიჯი გაქვთ. ეს შემთხვევითობაა?

— ბაბუაჩემი, ჯონდი ბაღათურიაც ჩემნაირად, თავგადაპარსული იყო. იმიჯზე არ მიზრუნია, უბრალოდ, თმა გამცვივდა, მერე შუაში „მოედანს“ ვამჯობინე, რომ გადამეპარსა. უკვე 10 წელზე მეტია, რაც თავს ვიპარსავ.

ბაბუაჩემი, ჯონდი ბაღათურიაც ჩემნაირად, თავგადაპარსული იყო

— როდის უფრო მოგწონდათ საკუთარი თავი — თმით თუ უთმოდ?

— (*იცინის*) თავზე თმა რომ მქონდა, ის დრო აღარც მახსოვს. ცვენის შეჩერება ნივრისა და კიდევ რაღაც ნივთიერებების ნაზავით არც მიცდია.

— როცა ახალი გადაცემისთვის მზადება დავიწყე, ხშირად მეკითხებოდნენ: პოლიტიკოსებსაც თუ მოიწვევთ სტუდიაშიო? — რა თქმა უნდა, მოვიწვევთ, — იყო ჩემი პასუხი. პოლიტიკოსებსაც ხომ უყვარდებათ, სტკივათ, უხარიათ... გაგიმხელთ, რომ განსაკუთრებულად ითხოვდნენ სტუდიაში თქვენს მოწვევას. ახლა მაყურებლების (ქალბატონების) სახელით მინდა გკითხოთ: როგორია ჯონდი ბაღათურია ეკრანს მიღმა? როგორი მანდილოსნები მოსწონს?

— ქალბატონებს თქვენგან ეს აინტერესებთ.

— როგორი ქალები მომწონს (*იცინის*)?.. ქალი შეიძლება, შავგვრემანიც მომეწონოს და — ქერაც. ზოგს სიგამხდრეც ძალიან უხდება. ამჟამად პოლიტიკით უფრო ვარ დაკავებული, ვიდრე ქალებზე ფიქრით. ქალს ინტელექტი უნდა ჰქონდეს — ეს აუცილებელია. რაც უნდა ლამაზი იყოს, თუ ინტელექტი არა აქვს, მასთან ურთიერთობა ჩემთვის წარმოუდგენელია. ასე ვფიქრობდი მაშინაც, როცა მთელი სილაღით ვცხოვრობდი და დღევანდელი ჯონდისგან რადიკალურად განვსხვავდებოდი.

— როგორია შეყვარებული ჯონდი?

— ბევრი გატაცება მქონია... ქალებთან ურთიერთობას ყოველგვარი ტრაგედიის გარეშე ვასრულებდი. შემდეგ ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი და შემიყვარდა. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი 1 თვე გაგრძელდა, მალე დავქორწინდით. ასე რომ, მე ახლაც შეყვარებული ვარ...

— რომანტიკული ადამიანი ხართ?

— ძალიან...

— შეყვარებულისთვის ლექსი წაგიკითხავთ?

— ლექსი შეყვარებულისთვისაც წამიკითხავს და ბევრი სხვა ქალისთვისაც. პოეზია ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, გალაკტიონი. ზეპირად უამრავი ლექსი ვიცი.

— თქვენ შვილები თუ გგვანან და რა ძირითად პრინციპებს ეყრდნობით შვილების აღზრდისას?

— უფროსი ვაჟი, თორნიკე ძალიან მგავს, მაგდა და თეკლა — ნაკლებად. მგონია, რომ კარგი მამა ვარ, ცოტა — მკაცრიც. ვცდილობ, კარგი ქართველები აღვზარდო. პირველ რიგში, ზნეობას ვასწავლი. ზნეობა ჩემთვის, ქრისტიანული ცხოვრების წესთან არის გაიგივებული.

— ეკლესიურად ცხოვრობთ?

— დიახ.

— ეკლესიამდე როგორ მიხვედით?

— პირველად აღსარება 1984 წელს ვთქვი და ვეზიარე. მაშინაც მიმაჩნდა, რომ ეკლესიურად ვცხოვრობდი, მაგრამ ამ სფეროში განათლება არ მქონდა, ეკლესიური ცხოვრების

როდესაც პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას დავუკავშირდით და ჩვენს რუბრიკაში ჟურნალისტ მაია ასათიანთან შეხვედრა ვთხოვეთ, გვითხრა: ამ წინადადებაზე უარს როგორ გეტყვით, თქვენს სამსახურში მიგულეთო... იგი ისე აზარტულად შევიდა როლში, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ — მისი სახით ჟურნალისტებს სერიოზული კონკურენტი გაგვიჩნდა. არც მაია ასათიანისთვის ყოფილა უინტერესო, „ქართული დასის“ ლიდერთან შეხვედრა... რედაქციაში ორივე დათქმულ დროს გვესტუმრა. „დღეს მე ხომ თქვენი კოლეგა ვარ“, — გაგვიშინაურდა ბატონი ჯონდი. სტუმრებმა ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, საჟურნალო დიალოგი დაიწყეს.

მაია ასათიანი „სასლში“ ბრუნდება

წესი და რიგი მოგვიანებით შევისწავლე, რელიგიური ლიტერატურის კითხვა 2003-2004 წლიდან დავიწყე. უფრო აქტიური გავხდი.

— მინდა, ერთი კითხვით პოლიტიკასაც შევეხოთ. პარლამენტში თქვენს შესვლას როგორ ახსნით? ალბათ, ეს რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო...

— იყო ყალბი აზრი შექმნილი: პარლამენტში არშესვლა ზნეობრივ საქციელად მიაჩნდათ. „ეროვნული საბჭოს“ წევრებს სულ ვეუბნებოდი, ასეთი შინაარსის განცხადებები არ გაეკეთებინათ, მაგრამ არ დამიჯერეს. პარლამენტში შესვლით, გადაწყვეტილების მიღების უნარი გამოვიჩინე. საკანონმდებლო ორგანოში ხმაურიანად შევედი. კარი ფართოდ გამოვაღე და, — რა, არ მელოდით-მეთქი?!. — გამოვაცხადე.

— გიყვართ, როცა თქვენ გარშემო ხმაურია?

— ამას მიჩვეული ვარ. ბავშვობიდანვე ჩემ გარშემო სულ ხმაური იყო. ლექციას გავაცდენდი თუ შატალოზე წავიდოდი, ყველაფერი ინგრეოდა. თუ ფანჯარა ჩატყდებოდა, მთელი სკოლა რომ იქ ყოფილიყო, მაინც მე მბრალდებოდა.

— ამ ყველაფრის მიზეზი რა არის?

— არ ვიცი. რესტორანში საქეიფოდ რომ შევდივარ და კარგ ხასიათზე ვარ, იქ აუცილებლად ვინმე მთვრალი დამხვდება — ძალიან რომ „ტიპობს“; იმდენ ხალხში გამომარჩევს და საკუთარი გმირობის დამტკიცებას ჩემთან კონფლიქტით ცდილობს. ეტყობა, გამომწვევი გარეგნობა მაქვს.

— გმადლობთ ინტერვიუსთვის, საინტერესო რესპონდენტი იყავით. ვნახოთ, ჟურნალისტობას თავს როგორ გაართმევთ. თქვენ პირველი პოლიტიკოსი ხართ, ვისი რესპონდენტიც უნდა ვიყო.

ჟურნალისტი – ჯონდი ბაღათურია
რესპონდენტი – მაია ასათიანი

— მაია, შენ ერთ-ერთი საუკეთესო ხარ მათ შორის, ვინც დღეს ქართულ ჟურნალისტიკაში მუშაობს. ინტელექტის გარდა, გარეგნობაც ხელს გიწყობს. მახსოვს, შენი ჩართვები ირანდან, გადაცემა „დროებაში“. შავი თავსაბურავი ძალიან გიხდებოდა.

— დიდი მადლობა. შეიძლება, ძალიან სასაცილოა, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ჩემი თავი ყველაზე მეტად, ჩადრიანი მიყვარს. ფერეიდანში მცხოვრები ქართველი ქალები მეუბნებოდნენ, — ეს არის ტვირთი, რომელიც უნდა ატაროო. ამ „ტვირთის“ ტარებას იმდენად შევეჩვიე, თბილისში ჩამოსულს, ჩადრის გარეშე სიარული მეხამუშებოდა.

— ერთმა საკმაოდ ცნობილმა ჟურნალისტმა ჩემთან საუბრის დროს, თქვა: ბოლო პერიოდში „იმედში“ პოლიტიკა დიდი დოზით შემოიჭრაო. შენ რას იტყვი ამასთან დაკავშირებით?

— გასული წლის სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე ჩემი რეპორტაჟებიც პოლიტიკურ თემებს ეხებოდა. პოლიტიკა მართლაც მოჭარბებულად შუქდებოდა. ეს იყო დიდი ტალღა, რომელსაც ჩვენ ყველანი გავყევით.

— კარგი ახსნაა... თუ გახსოვს, 2003 წელს, როცა „ვარდების რევოლუცია“ უნდა მომხდარიყო, ცესკოში შეგხვდი. აუიტირებული იყავი, ასე ვთქვათ, მოახლოებულ რევოლუციას გულშემატკივრობდი. მაშინაც დიდი ტალღა იყო აგორებული. შენი მოლოდინი გამართლდა?

— მაშინ მჯეროდა, რომ ის ხელისუფლება უნდა წასულიყო... დროა, ქართული ჟურნალისტიკა გაიზარდოს. როცა მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება, ჟურნალისტი უნდა იდგეს შუაში და მოვლენები ობიექტურად შეაფასოს, რათა წლების შემდეგ, იმის თქმამ, — ტალღას ავყევითო, — არ მოგვიწიოს. ჟურნალისტიკა ემოციისგან უნდა დაიწრიტოს, რაც ძალიან რთულია.

— გეთანხმები, მაგრამ დასმულ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე...

— დამისვით კითხვა, რომელზეც ორი პასუხი შეიძლება გაეცეს — „დიახ“ და „არა.“ მე რომ პასუხი გაგცეთ, არ ვიქნები ისეთი ჟურნალისტი, რომელზეც ცოტა ხნის წინ ვლაპარაკობდით. ამიტომ, არც „ჰოს“ გეტყვით და არც — „არას“. მათ შორის, შუაში დავრჩები.

„იმედის“ დარბევის შემდეგ დიდი დეპრესიის პერიოდი მქონდა

— შენი ნებაა. შენი ახალი პროექტის („პროფილის“) შესახებ რას მეტყვი? როგორ დაიბადა ამ გადაცემის შექმნის იდეა?

— „იმედის“ დარბევის შემდეგ დიდი დეპრესიის პერიოდი მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძე და მივხვდი — ჩემი საქმის კეთება უნდა გამეგრძელებინა. ისევ ჟურნალისტობა დამეხმარა ამ დეპრესიის დაძლევაში. როცა ტელევიზორს ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამქვეყნად პოლიტიკოსებს შორის ჩხუბისა და აყალმაყალის მეტი არაფერი ხდება. არადა მათ, ისევე, როგორც სხვა ადამიანებს, საინტერესო ამბები გადახდენიათ. ეს გადაცემა არ არის გათვლილი მხოლოდ მანდილოსნებზე ან — მამაკაცებზე. მინდა, „პროფილი“ ყველა თაობისთვის თანაბრად საინტერესო იყოს. მორიგი გმოშვება ვფიქრობ, უფრო ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვის იქნება საინტერესო — ის ლამაზ ქალებს დაეთმობა. სტუდიაში სტუმრად უამრავი ლამაზი ქალბატონი გვეყოლება.

— იქნებ, „დაკარგულების“ თემაც გააგრძელოთ. ძალიან საინტერესო იყო...

— ბევრი მასალა დაგვიგროვდა, ვფიქრობ, ამ თემას ნოემბერ-დეკემბერში მივუბრუნდებით. ძალიან მახარებს ის, რომ სექტემბრიდან „საკუთარ სახლში“ ვბრუნდები — „სახლში“, რომელსაც „იმედი“ ჰქვია. შემოთავაზება თვით ამ ტელევიზიისგან მივიღე. მათაც რომ უნდათ ჩემი დაბრუნება, ამით ორმაგად ბედნიერი ვარ.

— გადაცემაში ჩაცმულობის სტილი, 60-იანი წლების ვარცხნილობა, შენი შერჩეულია? ძალიან გიხდება.

— ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ ჩაცმის სტილით რეპორტიორს არ ვგავარ. სულ მინდოდა, ისეთი გამოჭრილიყავი ეკრანზე, როგორიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვარ, უფრო ქალური ვყოფილიყავი.

— პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების უერთმანეთოდ ცხოვრება წარმოუდგენელია. ბევრი პოლიტიკოსი ცოტათი ერკვევა ჟურნალისტიკაში და — პირიქით. როგორ შეაფასებ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?

— ყველაფერი მაინც, ქვევრში ღვინის დუღილის პროცესს მაგონებს. დიდი ხანია, რაც ქართული პოლიტიკა ამ მდგომარეობაშია, ყველანი ველოდებით, როდის დადგება ქართული პოლიტიკისგან კარგი „ღვინო“. ასე რომ, იქეცით „ღვინოდ“, ბატონო ჯონდი!

— გეთანხმები, ყველაზე კარგი შეფასებაა. ახლა პარლამენტში ჩემს შესვლას როგორ შეაფასებ?

— ჩემი აზრით, მორალურად, ამ გადაწყვეტილების მიღება თქვენთვის რთული იქნებოდა. ადამიანებმა ხმა იმიტომ არ მოგცეს, რომ გარეთ დარჩენილიყავით. მე თქვენს ამ ნაბიჯს გაბედულს ვუწოდებდი.

— დიდი მადლობა. ჟურნალისტიკაში ასე აქტიურად ჩართულს, პირადი ცხოვრებისთვის დრო რამდენად გრჩება?

— სულ ვამბობ, ტელევიზიაზე ვარ დაქორწინებული-მეთქი. ეს პროფესია იმდენ დროსა და ენერგიას მოითხოვს, საღამოს სახლში დაღლილი რომ ვბრუნდები, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, — მაღე დავიძინო, მეორე დღეს საქმის გაკეთება რომ შევძლო-მეთქი. ეს არ არის სწორი ცხოვრების წესი. ქალი ხომ მაინც სუსტი არსებაა და გვერდით ძლიერი დასაყრდენი სჭირდება. სულ მეშინია, წლების შემდეგ, როცა მოვხუცდები, ჩემ მიერ განვლილი ცხოვრების გამო არ ვინანო...

— გისურვებ, სანანებელი არაფერი გქონდეს.

— გმადლობთ. ჩემი აზრით, ჟურნალისტობას თავი შესანიშნავად გაართვით. ■

ტრაგიკული „თაფლობის თვე", მაცდუნებელი დაზღვევა და ზეღაცემული მეორე ნახევრები

ცოლ-ქმარი სომერები

უკვე დიდი ხანია, რაც განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო ბიზნესი ყვავის და ამ კომპანიების მომსახურების გარეშე მოქალაქეებს ვერც კი წარმოუდგენიათ არსებობა. სადაზღვევო კომპანიები მათ ცხოვრებაში გარანტის როლს ასრულებენ. მაგრამ სადაზღვევო თანხის მიღების გზით გამდიდრების ცდუნება ზოგისთვის შესაძლოა, საბედისწეროც აღმოჩნდეს. ადამიანი მართლაც, არაფრისგანაა დაზღვეული, მათ შორის, არც ახლობლის სამიზნედ გადაქცევისგან — ამას ბოლო დროს გახშირებული, სპეციფიკური დანაშაულის მომრავლება ადასტურებს.

რაოდენ სამწუხარო და წარმოუდგენელიც უნდა იყოს, არის შემთხვევები, როცა სადაზღვევო კომპანია, ოჯახური ტრაგედია და წინასწარ განზრახული მკვლელობა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. საზარელი დანაშაულების გამოძიებისას, გამომძიებლები სულ უფრო ხშირად აწყდებიან ანგარების მოტივს, რასაც სწორედ სადაზღვევო კომპანიასთან დადებული, მრავალათასიანი ან მილიონიანი სადაზღვევო კონტრაქტები განაპირობებს. შეშფოთებული სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს მსგავსმა ფაქტებმა ძალიან იმატა. მარტო გასულ თვეში, აშშ-ში რამდენიმე მსგავსი დანაშაული მოხდა.

პროფესიონალმა მყვინთავმა თვეების მანძილზე შემუშავებული საშინელი გეგმა ავსტრალიაში განახორციელა — მან საკუთარი ცოლი მოკლა... დევიდ გაბრიელ უოტსონი და მისი 26 წლის მეუღლე — კრისტინ მე უოტსონი ახალი დაქორწინებულები იყვნენ და „თაფლობის თვის" გასატარებლად, ქმრის ინიციატივით, ავსტრალიაში გაემგზავრნენ. ტრაგედია ქორწინებიდან მე-11 დღეს, ზღვის სიღრმეში მოხდა — მაშინ, როცა წყვილმა კიდევ ერთხელ ჩაყვინთა, რათა ქუინსლენდის ნაპირებთან ჩაძირული გემი — „იონგალა" დაეთვალიერებინა. სამართალდამცველების ცნობით, მზაკვრული გეგმის იოლად განსახორციელებლად, ქმარმა ცოლს წყალქვეშა „მოგზაურობა" შესთავაზა: წყლის სიღრმეში მკვლელობის კვალის დაფარვას უპრობლემოდ მოახერხებდა. როცა ჩაყვინთეს, დევიდ უოტსონმა ცოლის აკვალანგიდან ჟანგბადის მილი გამოაძრო, შემდეგ მოეხვია და მკლავებში მომწყვდეული ქალის დახრჩობას დაელოდა. კრისტინის სიკვდილში რომ დარწმუნდა, მილი აკვალანგს ისევ შეუერთა და მეუღლის უსიცოცხლო სხეულს მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა ხელი. გვამი ფსკერისკენ დაეშვა, დევიდმა კი გამოცურა... ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ქმარმა დანაშაული კატეგორიულად უარყო და სამართალდამცველებს განუცხადა, რომ სიღრმეში ცოლი უეცრად პანიკამ შეიპყრო და ჟანგბადის მილი პირიდან თავად გამოიღო. ხედავდა, რომ კრისტინი იძირებოდა, მაგრამ ყურთან დაკავშირებული პრობლემების გამო, თავად უფრო ღრმად ჩასვლა ვერ შეძლო; შეშინებულმა, ზედაპირზე ამოყვინთა, რათა ვინმესთვის შველა ეთხოვა. მერე ისევ ჩაყვინთა, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ეჭვმიტანილის ჩვენების მიმართ გამომძიებლები თავიდანვე სკეპტიკურად განეწყვნენ, მას შემდეგ კი, რაც გაარკვიეს, რომ კრისტინის სიცოცხლე დაზღვეული გახლდათ და მისი უეცარი სიკვდილის შემთხვევაში, დევიდ უოტსონი საკმაოდ სოლიდური თანხის მფლობელი ხდებოდა, ეჭვები კიდევ უფრო განმტკიცდა. გარდაცვლილის მამა — ტომ ტომასი ამბობს, რომ ქორწინების მეორე დღეს უოტსონმა კრისტინს დაზღვევის მის სახელზე გაფორმება და თანხის მნიშვნელოვნად გაზრდაც სთხოვა. *„არ ვიცი, რა სიტყვებით ურჩია ეს ან როგორ დაარწმუნა ჩემი ქალიშვილი ამის აუცილებლობაში, მაგრამ ვიცი, რომ კრისტინი იოლად დათანხმდა. მას ქმარი ძალიან უყვარდა და მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არ შეეძლო",* — აღნიშნავს მოკლულის მამა.

ჯეიმს კიოუნი

უოტსონის სასტიკ დანაშაულში გამოძიება წინააღმდეგობრივმა და არადამაჯერებელმა ჩვენებებმაც დაარწმუნა. უოტსონს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. ბრალდებულის ადვოკატი აცხადებს, რომ გამოძიებას მტკიცებულება არ გააჩნია, ხოლო მის კლიენტს მკვლელობის ჩასადენად, არავითარი მოტივი არ ჰქონდა. სამართალდამცველები ადვოკატს არ ეთანხმებიან, თუმცა აღიარებენ, რომ დამნაშავემ ისინი ჩიხში მოამწყვდია. მათ ამ მკვლელობას „იდეალურიც" კი უწოდეს...

ამავე მოტივით მკვლელობა მისურის შტატშიც დაფიქსირდა. დამნაშავე ამჯერად, ერთ-ერთი რადიოსადგურის თანამშრომელი, პროფესიით ჟურნალისტი, 34 წლის ჯეიმს კიოუნი გახლავთ. გამოძიების ინფორმაციით, კიოუნმა საკუთარი ცოლი ანტიფრიზით მოწამლა და მომხდარი, უბედურ შემთხვევად გაასაღა, შემდეგ კი სადაზღვევო კომპანიისგან სოლიდური თანხის მიღებას შეეცადა. სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა განაცხადა, რომ კიოუნმა დანაშაული ანგარებით ჩაიდინა და მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს დამამტკიცებელი საბუთებიც წარუდგინა. მტკიცებულებებს შორისაა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნაც: სპეციალისტების თქმით, საწამლავის მიღების შემდეგ, ჯულია ოლდაგ კიოუნი მთელი 10 საათის განმავლობაში იტანჯებოდა; გამოძიებით დადგენილია, რომ ამ ხნის მანძილზე ქმარი შინ, ცოლის გვერდით იმყოფებოდა, მაგრამ „სასწრაფო დახმარების" გამოძახებას „არ ჩქარობდა". შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, კრიმინალისტებმა ვიტამინიზებული სასმელი — „გატორადი" ამოიღეს. სითხის გამოკვლევისას ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ის სასიკვდილო დოზით, ანტიფრიზს შეიცავდა. გამოძიების ინფორმაციით, ქმარმა კარგად იცოდა, რომ ცოლი აღნიშნულ სასმელს სისტემატურად იღებდა, ამიტომაც შხამი მასში ჩაასხა, ოღონდ ვერ განსაზღვრა, რომ ჭურჭელი შეიძლებოდა, ექსპერტ-კრიმინალისტების ხელში ჩავარდნილიყო და მის განადგურებაზე არ უზრუნია...

მსგავსი დანაშაული სან-დიეგოშიც მოხდა. ოღონდ ამჯერად, დამნაშავე არა ქმარი, არამედ ცოლი აღმოჩნდა. 33 წლის სინტია სომერმა მასზე გაცილებით უმცროსი ქმარი — 23 წლის სერჟანტი, ტოდ სომერი სასიკვდილოდ იმისთვის გაიმეტა, რათა მკერდის გაზრდის მიზნით, პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინა,

საჭირო თანხა კი სადაზღვევო კომპანიისგან მიეღო(!). სინტია სომერმა ქმარი თაგვის წამლით მოწამლა, ახლობლებს კი აცნობა, რომ ტოდი ინფარქტით გარდაიცვალა. მკვლელობიდან რამდენიმე საათში სინტიამ სადაზღვევო კომპანიას მიაკითხა და სასურველი თანხაც მიიღო. საქმეში დევს მოწმეთა ჩვენებები, რომელშიც ნათქვამია, რომ ქმრის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, ქვრივმა საკუთარ სახლში წვეულება გამართა, ახალგაზრდა სერჟანტები დაპატიჟა და მათთან სექსულური კონტაქტიც დაამყარა...

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა განაცხადა, რომ ქმრის ყოველთვიური შემოსავალი — 1.300 დოლარი ნორმალური ცხოვრებისთვის საკმარისი არ იყო და ის სერიოზული მატერიალური და ყოფითი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. დაძაბულობამ და ნერვიულობამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ქმრის მოკვლა გადაწყვიტა. აღიარებითი ჩვენება და საბოლოო სიტყვა სინტია სომერმა, როგორც სასამართლო სხდომის დამსწრეები ამბობენ, სრულიად უემოციოდ წარმოთქვა... ■

სინგია სომერი

„ჩემი ძმა ნარკომანია, მაგრამ არა მკვლელი და მანიაკი"

33 წლის განსასჯელი მკვლელობასა და სექსუალურ ძალადობას არ აღიარებს

დახურული სასამართლო პროცესი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მძიმე დანაშაულს — მკვლელობას, ყაჩაღობასა და სექსუალურ ძალადობას ეხება, უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. საქმის მასალების მიხედვით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 68 წლის მამაკაცი მისსავე მეზობელმა დააყაჩაღა და დაზარალებულისგან წინააღმდეგობას რომ შეხვდა, სასიკვდილოდაც გაიმეტა.

მკვლელობის იარაღი — მოზრდილი ქვა სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან — დაზარალებულის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს. იქვე დააფიქსირეს სისხლიანი ნაკვალევიც, რომელიც ზომებით სწორედ განსასჯელის ბოტასებს ემთხვევა... თვითმხილველების თქმით, ოთახში, სადაც მკვლელობა მოხდა, სისხლის უზარმაზარი გუბეები იდგა, მოკლულის თავგაჩეჩქვილი გვამი კი ორ საწოლს შუა, იატაკზე ეგდო... ვერაგული მკვლელობის გარდა, საქმეში სხვა საზარელი ფაქტებიც ფიქსირდება. ბრალდების თანახმად, განსასჯელი საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოურიდებლად, გარყვნილ ქმედებებს სჩადიოდა. მკვლელობის მეორე დღეს, მან ერთ-ერთი ტოტალიზატორის თანამშრომელი ქალის მიმართ ძალადობას მიმართა...

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ განსასჯელი — გია კირთაძე (გვარები შეცვლილია) ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო. ამას ჩვენებაში თავად ბრალდებულიც აღიარებს, თუმცა გამოძიების მიერ წარდგენილ მუხლებს არ ეთანხმება. არადა, ბრალდების მიხედვით, კირთაძემ სწორედ ნარკოტიკის მორიგი დოზის შეძენის მიზნით განიზრახა ყაჩაღობა და მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით მკვლელობაც გადაწყვიტა.

კირთაძე ტყიბულის რაიონში, ცოლშვილთან და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა. მოკლულს — ნოდარ სულაძეს წლების მანძილზე იცნობდა და მასთან ყოველთვის ნორმალური, მეზობლური ურთიერთობა ჰქონდა. არსად მუშაობდა, თუმცა მატერიალურ გაჭირვებას მისი ოჯახი ნამდვილად არ განიცდიდა. ცოლი ვაჭრობდა; დედა, ასაკის მიუხედავად, თავს ენერგიულად გრძნობდა და სამეურნეო საქმეებს უძღვებოდა. ჩვენებების მიხედვით, გია კირთაძემ ნარკომანობა დიდი ხნის წინ დაიწყო, საჭირო თანხით კი მას მეუღლე ამარაგებდა...

„...ახალგაზრდა ცოლი ჰყავს, რომელსაც ქმრის არასწორი ცხოვრების წესის გამო, ოჯახის ტვირთი მხრებზე დააწვა. გიას აგრესიული ხასიათი ჰქონდა, მით უმეტეს მაშინ, როცა რაიმე სურვილს და მიზანს ვერ აღწევდა. არაერთხელ მოუწყვია ოჯახში სკანდალი. თეას (განსასჯელის ცოლი) ჩემთან ამ თემაზე საუბრისას ბევრჯერ უტირია. ქმარს წინააღმდეგობას ვერ უწევდა და ბოლოს, მასთან ბრძოლა საერთოდ შეწყვიტა. მიხვდა, რომ მას ვეღარ გარდაქმნიდა და უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი ძალა და ენერგია შვილებისთვის მოეხმარა. ვაჭრობის საქმეში დახმარება მთხოვა. მე წლების მანძილზე ამ საქმიანობას ვეწეოდი და ბევრი რამ გამეგებოდა. შემეცოდა და, რა თქმა უნდა, დავეხმარე. პირველ წლებში თურქეთში ერთად დავდიოდით, შემდეგ დამოუკიდებლადაც ააწყო საქმე... ვიცი, რომ ქმარი ფულს სისტემატურად სთხოვდა. თუ თეა საკმარის თანხას არ მისცემდა, საშინლად ეჩხუბებოდა, შეიძლებოდა, ეცემა კიდეც. თეამ ერთხელ მითხრა, რომ ასეთ ფაქტსაც ჰქონია ადგილი... იმ დღეს რა მოხდა, არ ვიცი. მე თეასთან ამაზე არ მისაუბრია. მხოლოდ სხვებისგან შევიტყვე, რომ გიას მისთვის, წამლისთვის ფული მოუთხოვია. თეას უთქვამს, არ მაქვსო. ის გაბრაზებულა, ჯერ სახლში დაულეწავს ყველაფერი, შემდეგ სადღაც გავარდნილა. სწორედ იმ დღეს, უფრო სწორად, შუაღამით მოხდა სოფელში მკვლელობაც. ჩვენ ამის შესახებ მეორე დილით შევიტყვეთ. კვილი ატყდა და სახლიდან ყველანი გარეთ გავცვივდით. ნოდარი მოკლესო! — ქალები კიოდნენ... იმავე დღეს გავიგეთ ისიც, რომ ამ დანაშაულისთვის გია დააკავეს...“ — წერს ჩვენებაში, მოწმის სახით დაკითხული, განსასჯელისა და დაზარალებულის მეზობელი, **ელენე ჯაოშვილი**.

საქმის მასალების მიხედვით, კირთაძემ კარგად იცოდა, რომ სულაძე შინ მარტოდმარტო იმყოფებოდა. მასთან საკმარისი ფულიც ეგულებოდა და ღამით, დაახლოებით 11.30 საათზე, მისი სახლისკენ გაემართა. გზაში, წინასწარ მოზრდილი ქვა შეარჩია და ასე შეიარაღებული, სულაძის ღობეზე გადაძვრა. ხმაურზე, აწ გარდაცვლილს გაეღვიძა და წამოდგა კიდეც, მაგრამ ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, საძინებელში ფანჯრიდან გადამძვრალი კირთაძე წამოადგა თავს. მეზობელს მან 100 ლარი მოსთხოვა. სულაძემ უთხრა, რომ ფული საერთოდ არ გააჩნდა და ვერაფერს მისცემდა. გაბრაზებულმა კირთაძემ მოთხოვნა გაუმეორა, მაგრამ პასუხად, კვლავ უარი მიიღო. აწ გარდაცვლილი მისთვის ქვის წართმევას შეეცადა, მაგრამ ხანში შესული კაცი კირთაძემ ადვილად მოიგერია, ძირს დააგდო და ქვა რამდენჯერმე ზედიზედ ჩაარტყა თავში. როცა დარწმუნდა, რომ მოკლა, სახლის ძარცვას შეუდგა. მოკლულის საცხოვრებელი ბინიდან მან „ნოკიის“ ფირმის მობილური ტელეფონი და რამდენიმე საოჯახო ნივთი წაიღო. შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

იმ ღამეს კირთაძე შინ არ მიბრუნებულა. ის პირდაპირ თავის ნაცნობთან, იმავე რაიონში მცხოვრებ დავით ონიანთან მივიდა, ნაყაჩაღარი ნივთების ნაწილი მასთან დატოვა, თავად კი გაურკვეველი მიმა-

რთულებით წავიდა. ონიანი ირწმუნება, რომ კირთაძეს მისთვის ყაჩაღობის შესახებ არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ნივთების ერთი დღით შენახვა სთხოვა. გამოძიების ვარაუდით, კირთაძემ მოკლულის სახლიდან წაღებული მობილური ტელეფონი ნარკოტიკების ერთ დოზაში იმავე ღამეს გადაცვალა, მეორე დილით კი, როგორც ჩანს, იმით შეშინებულმა, რომ შეიძლებოდა, პოლიციას რაიმე ეეჭვა, თბილისის მიმართულებით მოძრავ სამარშრუტო ტაქსიში მოკალათდა და დედაქალაქისკენ გასწია.

გამოძიების მასალებში დაფიქსირებული მეორე ეპიზოდი, რომელიც სექსუალურ ძალადობას ეხება, სწორედ თბილისში, ერთ-ერთ ტოტალიზატორში დაფიქსირდა. ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა კირთაძემ იქ მომუშავე ერთ ქალბატონს თავიდან ფული მოსთხოვა; უარი რომ მიიღო, გაბრაზებულმა, გინება დაუწყო, შემდეგ, შარვალი ჩაიხადა და გაუპატიურებით დაემუქრა. ქალმა კივილი ატეხა, რაზეც ტოტალიზატორის სხვა თანამშრომლები და იქ მყოფი რამდენიმე მოქალაქე მიცვივდნენ, კირთაძე დაიჭირეს და ცემა დაუწყეს. 2-3 წუთში შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციაც გაჩნდა. ამბობენ, რომ კირთაძე, ფაქტობრივად, ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველების თქმით, დაკავებულმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც, გამოძიებამ, სხვა ბრალდებებთან ერთად, მას შესაბამისი მუხლიც წაუყენა.

სექსუალური ძალადობის ფაქტზე აყვანილ კირთაძეს მოგვიანებით სამართალდამცველებმა ისიც გამოუცხადეს, რომ ნოდარ სულაძის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. პირველად მან აღიარებითი ჩვენება მისცა, მაგრამ ტოტალიზატორის თანამშრომელზე სექსუალური ხასიათის ძალადობა მაშინვე კატეგორიულად უარყო. მოგვიანებით, არც ყაჩაღობისა და მკვლელობის ჩადენა დაადასტურა და თქვა, რომ როცა დააკავეს, შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო ჩვენებას გამომძიებლის კარნახით წერდა...

ნინო კირთაძე, *განსასჯელის და:*

— სამწუხაროდ, გამოძიების მასალებში ფაქტები დამახინჯებულადაა გადმოცემული, თანაც, ისე დამახინჯებულად, რომ ადვილია, ადამიანმა შეატყო — სიმართლესთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. წამებისა და წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად მიღებულ აღიარებით ჩვენებაზე არ უნდა იყოს მთელი საქმე აგებული. ამას სასამართლომაც ყურადღება უნდა მიაქციოს. დანაშაულს მტკიცებულებებით გამყარება სჭირდება, ასეთი რამ კი საქმეში, ფაქტობრივად, არ დევს. იმ დღეს, როცა გია დააკავეს, პატრულის თანამშრომლებმა ის სასტიკად სცემეს, ძლივს სუნთქავდა და ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა, არათუ მათთვის წინააღმდეგობის გაწევის. საქმეში რომ წერია, ტოტალიზატორში მყოფი მოქალაქეები მიცვივდნენ და სცემესო, ისინი სინამდვილეში, მს სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ. ჩემს ძმას ხმაც არ ამოაღებინეს, პირდაპირ წიხლებით შესდგნენ და მერე მანქანაში „ჩაკუჭეს“.

— ეს საიდან იცით?

— განყოფილებაში თავად გამოუცხადეს ჩემს ძმას, — ყველანი პოლიციელები არიან და ჩვენებას არასდროს გადათქვამენ; რასაც გეუბნებიან, დაწერე, — წინააღმდეგობას რა აზრი აქვსო?!

— არსებობენ სხვა მოწმეებიც და დაზარალებული — ტოტალიზატორის თანამშრომელი ქალი, რომელიც მას ხელს ადებს...

— ის ქალი ისეთივე დაქირავებული მუშაკია მს სამინისტროსი, როგორიც მამაკაცები, რომელთაც გია უმიზეზოდ ფეხქვეშ გაიგდეს. დაავალეს, ასეთი საზარელი ჩვენება დაეწერა და მანაც დაწერა. დარწმუნებული ვარ, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ეს ქალი პოლიციის დავალებით, უდანაშაულო ადამიანს ხელს ადებს. წარმოუდგენელია, გიას ასეთი რამ ჩაედინა. შეიძლება, მას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ასე უმსგავსოდ არასდროს მოიქცეოდა. მით უმეტეს, რომ ტოტალიზატორში, იმ ქალის გარდა, ჩემი ძმა შარვალჩახდილი არავის დაუნახავს. ცალკე ოთახში არ ყოფილან, ყველაფერი დარბაზში მოხდაო, — და ასე შეუმჩნეველი როგორ დარჩა იქ მყოფ ხალხს?

— თქვენი აზრით, დაზარალებულის ჩვენება თუ გამოძიების მითითებითაა დაწერილი, მის დასადასტურებლად, მსგავსი შინაარსის სხვა ჩვენებებზე რატომ აღარ იზრუნა გამომძიებელმა?

— იმიტომ, რომ ესეც სრულიად საკმარისად მიიჩნიეს. თავი აღარ გაიწვალეს, რადგან მათი თუნდაც ერთი სიტყვა, ყოველგვარი დასტურის გარეშე, კანონია ამ მართლმსაჯულებისთვის. ჩემი ძმა რომ გარყვნილი მანიაკი ყოფილიყო, ამას ოჯახის წევრები აუცილებლად ვიგრძნობდით და შევამჩნევდით. არ არსებობს არც ერთი ჩვენი ახლობელი ან უბრალოდ, ნაცნობი, რომელიც გეტყვით, რომ მისთვის მსგავსი რამ ოდესმე შეუმჩნევია. გიამ საკუთარი ცხოვრება თვითონ დაინგრია. ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა გზას ასცდა და ნორმალური ცხოვრებისკენ მისი შემობრუნება ვერავინ შევძელით. ყველაფერს ვეცადეთ, უამრავი ძალა და ნერვები შევწირეთ მის გამოსწორებას, მაგრამ — ამაოდ. განსაკუთრებით ბოლო წლებში, მისთვის ყველა და ყველაფერი — ნარკოტიკი იყო და დღითი დღე ვრწმუნდებოდით, რომ მის გარეშე არსებობა აღარ შეეძლო. სხვა ინტერესი მას არ გააჩნდა, არაფერზე ჰქონდა რეაქცია, გარდა ერთისა — წამალი არ მოჰკლებოდა. დროთა განმავლობაში, ამას ყველანი შევეგუეთ, მათ შორის — დედაჩემიც, რომელიც ძლიერი სულის პატრონია. ყველას გვირჩია, თავი ხელში აგვეყვანა, გიას შვილების ცხოვრება ამ სკანდალისთვის არ შეგვეწირა და მათი მომავალი როგორმე გადაგვერჩინა. ჩემმა რძალმაც ყველაფერი გააკეთა ამისთვის.

— ბრალდების მიხედვით, უმძიმეს დანაშაულამდე ის სწორედ ნარკოტიკმა მიიყვანა. განსასჯელი ამას უარყოფს, თუმცა ბრალდება კვლავ მტკიცებულებებზე მიგვითითებს...

— ჩემი ძმა თბილისში, დაკავების წინადღეს, შუადღისას ჩავიდა. ყაჩაღობა და მკვლელობა კი შუაღამეზე მოხდა და შეუძლებელია, ეს გიას ჩაედინა, რადგან ის რეალურად, შემთხვევის ადგილზე ვერ იქნებოდა. რაც შეეხება მტკიცებულებებს, მისი საცხოვრებელი სახლიდან არც ერთი ნაყაჩაღარი ნივთი არ ამოუღიათ. იმ ონიანს კი, ვინც საქმეში ფიგურირებს, ჩემი ძმა, როგორც თავად ამბობს, საერთოდ არ იცნობს.

— თქვენი ძმის სიტყვებში ეჭვი არასდროს შეგიტანიათ? დარწმუნებული ხართ, რომ ის გულწრფელია თქვენთან?

— მისი მჯერა, რადგან კარგად ვიცნობ. ტყუილს არასდროს ამბობს, მით უმეტეს, ოჯახის წევრებთან, რომელთაც ენდობა. პირიქით, რომ ეთქვა, ეს ყველაფერი ჩავიდინეო, არ დავუჯერებდი, რადგან მას დანაშაულის ჩადენის საფუძველი არ ჰქონდა. ნარკოტიკის ფული რომ დასჭირვებოდა, თეა მისცემდა ან, უარის შემთხვევაში, რაიმე სხვა გამოსავალს იპოვიდა. არავითარ შემთხვევაში, დანაშაულზე, მით უმეტეს, სასტიკ მკვლელობაზე არ წავიდოდა. ის ნარკომანია, მაგრამ არა — მკვლელი და მანიაკი...

რაც შეეხება მეზობელი ქალის — ელენე ჯაოშვილის ჩვენებას, რომელიც კირთაძეების ოჯახში ხშირ ჩხუბსა და ქმრის მიერ ცოლის ცემის ფაქტებზე ლაპარაკობს, განსასჯელის დის თქმით, არარეალურია. *„იმ ქალს ჩემს რძალთან წლების წინ, ბიზნესის გამო, უთანხმოება მოუხდა. არ ვიცი, ბოღმის თუ რაიმე სხვა ინტერესის გამო დაწერა ეს. გია აგრესიული არ იყო და არც ცოლი უცემია ოდესმე“,* — ამბობს **ნინო კირთაძე**.

სულ სხვა პოზიცია აქვს დაზარალებულის მხარეს, რომელიც განსასჯელის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. *„ბრალის დამძიმება რომ ნდომოდათ, ნარკოტიკების რეალიზაციასაც „მიაკერებდნენ“, მით უმეტეს, რომ საფუძველი ჰქონდათ. მაგრამ ასეთი რამ არ გაუკეთებიათ, რადგან ეს არავის ინტერესში არ შედიოდა. უმძიმესი დანაშაული ისედაც აშკარაა. საკუთარი, რამდენიმესაათიანი სიამოვნებისთვის, სრულიად უდანაშაულო, უკეთილშობილესი ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტა და დღეს პასუხისგებაც არ უნდა. მისგან რომ ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ეს მთელმა რაიონმა იცის და თვალში ნაცარს ვერავის შეაყრიან, სიმართლეს ვერაფრით შენიღბავენ...“* — ამბობს დაზარალებულად ცნობილი, მოკლულის ქალიშვილი.

განსასჯელს სასამართლოსთვის ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია. ამას ის, სავარაუდოდ, მოწმეების დაკითხვის შემდეგ გააკეთებს. რაც შეეხება მხარეებს, — მათთვის არასასურველი განაჩენის შემთხვევაში, ისინი საჩივრის შეტანას ზემდგომ ინსტანციაში აპირებენ. ■

ყველაზე პრესტიჟული და ყველაზე ეფექტური პროფესიები



აბიტურიენტებმა უკვე გაიკეთეს არჩევანი და იციან, რა პროფესიას უნდა დაეუფლონ იმ შემთხვევაში, თუკი გაუმართლებთ და სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებენ. ზოგი ამისთვის მთელი წლის ან სულაც, რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდა, ზოგს კი მხოლოდ თავისი ნიჭის ან მშობლების სქელი ჯიბის იმედი აქვს. სამწუხაროდ, ბევრი მოზარდი სასურველ ფაკულტეტზე ჩაბარებისგან თავს იკავებს, რადგან: „იქ ისეთი კონკურსია, მე ვინ „მიმასუნინებს"?! არა, საკუთარი თავის იმედი მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დროს მაინც ტყუილად დავკარგავ და ნერვებიც მომეშლება".

ლიკა ქაჯაია

ჩვენ მოზარდებში ჩავატარეთ სატელეფონო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, აბიტურიენტებისა და მომავალი აბიტურიენტების აზრით, ყველაზე პრესტიჟული გახლავთ: სამედიცინო, სამსახიობო და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე სწავლა, ხოლო ყველზე სასურველი, იმ გაგებით, რომ მომავალში მყარი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდეთ — მენეჯმენტისა და საბანკო-საფინანსო საქმის შესწავლაა. ამ მხრივ, მეორე და მესამე ადგილი, აზრთა სხვადასხვაობის გამო, ვერ დაფიქსირდა.

ეკა, *17 წლის:*

— ძალიან მინდა, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩავაბარო, მაგრამ იქ მოწყობის არანაირი შანსი არ მაქვს და დრო ტყუილად რომ არ დავკარგო, ფარმაცევტულზე ვცდი ბედს. ყოველთვის მინდოდა, კარგი პედიატრი ვყოფილიყავი, მაგრამ ოცნების ახდენის საშუალება არ მეძლევა.

— ასე რატომ ამბობ? იქნებ, სასურველ ფაკულტეტზე ჩაბარება მაინც გეცადა...

— რისთვის? იქ ისეთი კონკურსია, მე ვინ „მიმასუნინებს"? არა, საკუთარი თავის იმედი მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დროს მაინც ტყუილად დავკარგავ და ნერვებიც მომეშლება.

— თუ საკუთარი თავის იმედი გაქვს, ვერ ვხვდები, რატომ გგონია, რომ დროს უქმად დაკარგავ?

— ჩემს მშობლებს იმის საშუალება არ ჰქონდათ, რომ საუკეთესო პედაგოგებთან მოვმზადებულიყავი. სოფელში, რიგით მასწავლებლებთან ვემზადებოდი და შესაძლოა, სხვების ფონზე ბევრ რამეში ჩავიჭრა. ამასთან, არანაირი ნაცნობი არ მყავს, რომ რაღაცაში დახმარება შემომთავაზოს და არც იმდენი ფული მაქვს, ვიღაცის მოქრთამვა რომ შევძლო. თუმცა, ამას არასდროს გავაკეთებ.

— ეკა, ყველაზე შემოსავლიან პროფესიად რომელს მიიჩნევ?

— იმას, რომელიც ბიზნესთანაა დაკავშირებული. აბა, დღეს ექიმებსა და ფარმაცევტებს მათხოვრულ ხელფასს უხდიან და იმასაც ამადლიან. ამ პროფესიის ადამიანებს (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) ოჯახის რჩენა უჭირთ.

— მაშინ რატომ არ გინდა, რომ მომავალში რაიმე სახის ბიზნესით დაკავდე?

— არ მინდა, ვაჭრული სული მქონდეს. მირჩევნია, 2 „კაპიკი" ვიშოვო და უშფოთველად ვიცხოვრო, ვიდრე სიცრუის ლაბირინთში გავეხვიო და ჩემს მილიონებს ცუდი სუნი აუვიდეს.

— შენი აზრით, ყველა ბიზნესმენი იტყუება და ყველა ექიმი უშფოთველად ცხოვრობს?

— მეტ-ნაკლებად, კი. ბიზნესი ისეთი საქმეა, რომელსაც სიცრუის გარეშე ვერ ააწყობ. თუ გულუბრყვილო ადამიანი ხარ, თავიდან მილიონებიც რომ იშოვო, ადრე თუ გვიან, მაინც გაკოტრდები და შენი პარტნიორები დაუნანებლად გადაგთელავენ. ბიზნესი და მასთან დაკავშირებული საქმეები ამიტომაც არ მაინტერესებს. რაც შეეხება მედიცინას — მართალია, ყველა ექიმი კეთილსინდისიერად არ ასრულებს თავის მოვალეობას და ზოგჯერ, პაციენტებს, თანხის უქონლობის გამო, დახმარებაზე უარს ეუბნება, მაგრამ ყველა ასეთი ნაძირალა ხომ არ არის? ისე, ჩემი აზრით, ექიმები ფულზე რომ გადაირივნენ, ეს მთავრობის დამსახურებაა!!!

— რატომ? ისინი ნაძირალებად მთავრობამ აქცია?

— ჰო. აბა, როგორია, ერთ ოპერაციაში ათასობით ლარს რომ გიხდიან და აქედან რაღაცა მათხოვრულ, 1.000 ლარს გადმოგიგდებენ, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაა. ეს უსინდისობაა! ამიტომაც დახარბდა ზოგიერთი ექიმი და ცდილობს, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის გამდიდრებაზე კი არა, საკუთარი ჯიბის გასქელებაზეც იზრუნოს და ზოგჯერ, ძალიან სცოდავს... ოდესმე, ოცნება თუ ამიხდა და ექიმი გავხდი, გპირდებით, ისეთი არასდროს ვიქნები. შევეცდები, ყველა გაჭირვებულს მაქსიმალურად დავეხმარო და სხვას თუ ვერაფერს მოვახერხებ, კუთვნილ თანხაზე მაინც ვიტყვი უარს.

ზურა, *18 წლის:*

„შარშან დიპლომატიურზე ვაბარებდი, მაგრამ ქულა დამაკლდა და სასურველ ფაკულტეტზე ვერ მოვხვდი, სხვაგან სწავლის სურვილი კი ნამდვილად არ მქონდა. წელს გადაწყვეტილება შევიცვალე, რადგან ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორი გავიცანი, რომელმაც ჩემში მსახიობური ნიჭი აღმოაჩინა და შემომთავაზა: მოდი, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩააბარეო. ასეც მოვიქეცი!

> „ჩემი პროფესიის წყალობით, გოგონებს იოლად „შეკაბამ"...

— გადაწყვეტილებებს ხშირად იცვლი?

— არა, ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ვიღაცამ ჩემი ცდუნება შეძლო. სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლა ძალიან პრესტიჟულია და თან,

დარწმუნებული ვარ, ჩემი პროფესიის წყალობით, გოგონებს უფრო იოლად „შევაბამ“ (*იცინის*).

— ანუ პროფესიაზე ბევრი რამაა დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა! აბა, ვინ ოცნებობს დამლაგებელ ან ვაჭარ ქმარზე? ყველას უნდა, რომ წარმატებული ადამიანის მეორე ნახევარი იყოს, ხოლო დამლაგებელი ან ვაჭარი წარმატებული ვერასდროს იქნება!

— რატომ, ხომ შეიძლება, წარმატებას მათაც მიაღწიონ?

— (*ფიქრობს*) პრინციპში, რატომაც არა, მაგრამ დიპლომიანი სასიძო ყველასთვის სასურველია. ჩემი ცოლი არა მარტო ჩემით, არამედ ჩემი პროფესიითაც იამაყებს. როცა შვილები მეყოლება, ისინიც ხმამაღლა იტყვიან: მამაჩემი მსახიობიაო, და არაფრის შერცხვებათ.

„უნდათ, სამედიცინოზე მომაწყონ, მე კი სისხლის დანახვაზე გული მიმდის“...

— რა აზრი აქვს, ვთქვათ, მსახიობის დიპლომის ქონას, თუკი შენს პროფესიას ვერ გამოიყენებ? წარუმატებელი მსახიობი არ გინახავს?

— (*იცინის*) რამდენიც გინდა. თუ სცენაზე საკუთარ ადგილს ვერ ვიპოვი, „ტაქსისტობას“ მაინც შევძლებ.

— ახლა შენ აკლდი ჩვენი დიპლომიანი „ტაქსისტების“ საკმაოდ გრძელ სიას...

— გპირდები, თუ ოდესმე ჩემს ტაქსიში მოხვდები, დიპლომს საერთოდ არ ვახსენებ (*იცინის*).

— ისე, „ტაქსისტობას“ ერთი დიპლომის ქონა არ ჰყოფნის...

— ეგეც ვიცი, და ამიტომაც გითხარი, — საერთოდ არ ვახსენებ-მეთქი... ისე, დიდი იმედი მაქვს, რომ სამსახიობო კარიერას ავიწყობ და მომავალში ჩემთან ინტერვიუს ჩაწერ. „ტაქსისტობა“ კი მოიცდის...

— რატომ, ამ პროფესიას რას უწუნებ?

— არაფერს. სხვათა შორის, მძღოლები მსახიობებზე მეტ ფულს შოულობენ. მათ მატერიალურად ნამდვილად არ უჭირთ, ზოგიერთი დიდი, მაგრამ მივიწყებული მსახიობი კი შიმშილით კვდება. იმედია, ჩემი ლაპარაკით არავინ გავაღიზიანე, ეს ნამდვილად არ მინდოდა.

— კარგი, ზურა, წარმატებებს გისურვებ!

— დიდ მადლობა, ეს ნამდვილად მჭირდება. რამდენიმე წლის შემდეგ თეატრში (ჯერჯერობით, არ დავკონკრეტდები) გელოდები, მაგარ ინტერვიუს ჩაგაწერინებ (*იცინის*).

სალო, *17 წლის:*

— მე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უნდა ჩავაბარო. თქვენი პროფესია ძალიან მომწონს და იმედი მაქვს, ამ სფეროში წარმატებას მივაღწევ.

— როგორ ფიქრობ, დღეს-დღეობით ჟურნალისტობა პრესტიჟული პროფესიაა თუ შემოსავლიანი?

— ორივე ერთად. კარგია, როცა ბევრ ცნობილ ადამიანს პირადად ხვდები, ესაუბრები და ამ დიალოგს სხვებსაც აცნობ. საამაყო საქმიანობა გაქვთ. არა მგონია, კარგი ჟურნალისტი ღარიბი იყოს, მას ფული ყოველთვის ექნება.

— შენს არჩევანში მშობლები არ ერევიან?

— მათთვის საუკეთესო პროფესია ექიმობაა, მე კი სხვების სხეულში ჩიჩქნის არავითარი სურვილი არ მაქვს. მამაჩემი სტომატოლოგია, როცა მასთან სამსახურში ვარ, ვცდილობ, მის პაციენტებს თვალი ავარიდო. ვერ ვიტან სამედიცინო იარაღებს.

— შენი აზრით, ყველაზე შემოსავლიანი რომელი პროფესიაა?

— ალბათ, მარკეტოლოგის ან მენეჯერის პროფესია, მაგრამ ამ ფაკულტეტებზე ჩაბარების არანაირი სურვილი არ მაქვს. ისე, რომც მინდოდეს, ვაღიარებ, ვერ ჩავაბარებდი...

ლიზი, *16 წლის:*

— აბიტურიენტობისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ისევ სკოლის მოსწავლე მქვია. იცი, უცხო ენებზე (ინგლისურის განხრით) მინდოდა ჩამებარებინა. ალბათ, გადაწყვეტილებას შევიცვლი.

— რა მიზეზით?

— არაპრესტიჟულია. ვფიქრობ, საბანკო საქმეები შევისწავლო. თუ ამას შევძლებ, ფულიც არასდროს მომაკლდება და სუფთა საქმეც მექნება. მომავალში კი საკუთარ ბიზნესს ავაწყობ.

— ანუ ყველა გზა მატერიალური კეთილდღეობისკენ ისწრაფვის?

— რა თქმა უნდა! თუ ფული არ გაქვს, არავის სჭირდები, შეძლებულ ადამიანს კი გარს ისე ეხვევიან, როგორც ფუტკარი — თაფლს.

— და შენ გინდა, რომ მხოლოდ ფულის გამო უყვარდე?

— არა, მაგრამ უფულოც ხომ არავის უნდიხარ! მამიდაშვილი მყავს, თამრო, რომელიც უკვე 30 წლისაა. ის პედაგოგი გახლავთ, ძალიან ლამაზი და ჭკვიანიცაა, მაგრამ რად გინდა?! — ისევ გასათხოვარია. ფულიანი მამიკოს შვილი რომ იყოს, მის გამო ბიჭები ერთმანეთს დახოცავდნენ.

გიო, *17 წლის:*

— არ ვიცი, სად ჩავაბარებ, ჯერ კიდევ ვერ გადავწყვიტე. ისე, ამას რა მნიშვნელობა აქვს? დიპლომი ხომ მექნება და მერე სასიძოდ ვერავინ დამიწუნებს.

— როგორც ვატყობ, სწავლის გაგრძელების პერსპექტივა არ გხიბლავს...

— ნამდვილად ასეა, მაგრამ მშობლები სხვა გზას არ მიტოვებენ. უნდათ, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე მომაწყონ. წინასწარ ვერ გეტყვით, ჩემგან როგორი ექიმი დადგება, რადგან სისხლის დანახვაზე გული მიმდის...

— მომავალში საკუთარი ოჯახის რჩენას როგორ აპირებ?

— თუ მშობლები მიხვდებიან, რომ უნდა შემეშვან, სხვა თუ არაფერი, მომავალში ფიზიკულტურის მასწავლებლად მაინც ვიმუშავებ, თუ არადა, ან ვიღაც შემომაკვდება ან სიცოცხლის ბოლომდე ვიღაცის სარჩენი ვიქნები.

— ამ თემაზე მათთან თუ გილაპარაკია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურთ. მემუქრებიან: თუ არ დაგვიჯერე, ერთ თეთრსაც არ გაღირსებთო. ჰოდა, ჩემგან რა მიდის? — სამედიცინოზე მოვეწყობი და ექიმის დიპლომი მექნება (*იცინის*).

ელა, *18 წლის:*

— მე წელსაც ვერსად ჩავაბარებ და გული ძალიან მწყდება. მინდოდა, ფოტოგრაფის ხელოვნებას დავუფლებოდი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემს მშობლებს ძალიან თხელი ჯიბეები აქვთ, სურვილს ვერ ავიხდენ. იმედია, ოდესმე ჩემთვისაც დადგება გაზაფხული... ამას წინათ შემომთავაზეს — საექთანოზე მოგაწყობთო, მაგრამ ნემსების გაკეთება ჩემი საქმე ნამდვილად არაა. მინდა, რომ საქართველოში ადამიანს იმ პროფესიის დაუფლება არ გაუჭირდეს (მხოლოდ უფულობის გამო), რომელზეც ბავშვობიდანვე ოცნებობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სახით საქართველომ არაჩვეულებრივი ფოტოგრაფი დაკარგა! გული მწყდება...

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 96

ქართველი მოდელისა და ფეხბურთელის ხედნიერი წყვილი

და მანჩესტერში ცხოვრების ეპიზოდები

მას მართლაც იდეალური პარამეტრები და ნებისმიერი მოდელისთვის სასურველი აღნაგობა აქვს. პოდიუმზეც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, თუმცა დღესდღეობით სალომე ღვინიაშვილს პროფესიონალური ტაიმ-აუტი აქვს აღებული, რასაც ობიექტური მიზეზი აქვს... ამასთანავე, ჯერჯერობით თბილისიდან შორს, ინგლისში უწევს ცხოვრება, რადგანაც მისი მეუღლე, საქართველოს ნაკრების წევრი, ზურა ხიზანიშვილი ინგლისის საფეხბურთო კლუბში თამაშობს. ამიტომაც, სალომეს წელიწადში რამდენჯერმე უწევს საქართველოში ჩამოსვლა; აქაურობას, მონატრებულ ახლობლებსა და მეგობრებს უფრო ხანგრძლივად მაინც ზაფხულის თვეებში სტუმრობს. ახლაც სალომე მეუღლესთან ერთად, აქ იმყოფება. ჩვენც ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ.

ლალი ფაცია

— სალომე, როგორ ხარ?

— კარგად. სექტემბერში პატარის ანუ მესამე შვილის დაბადებას ველოდები.

— ესე იგი, მალე სამი შვილის დედა გახდები. რა გრძნობას იწვევს ეს შენში?

— პასუხისმგებლობა მემატება. ყველა მეგობარი, ვინც ბავშვობიდან მიცნობს, მეუბნება: ვერ წარმოვიდგენდით, რომ მესამე შვილის გაჩენას დააპირებდიო, რადგანაც სხვანაირი ტიპი ვიყავი — მერჩივნა, უფრო მეტი დრო გარეთ, მეგობრებთან გამეტარებინა, ვიდრე შინ. ძალიან შემცვალეს შვილებმა და ოჯახურმა ცხოვრებამ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებ მეგობრების ნახვას, აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლას. თავს არ ვიზღუდავ. როცა ინგლისში ვართ, თითქმის ყოველ კვირას მე და ზურა სასეირნოდ თუ გასართობად დავდივართ. მეგობრები ხუმრობით მეუბნებიან: მეოთხე შვილიც გააჩინე და გმირი დედის წოდებას მოგცემენო (*ციცინის*).

მეგობრები ხუმრობით მეუბნებიან: მეოთხე შვილიც გააჩინე და გმირი დედის წოდებას მოგცემენო

— ანუ ისეთივე ენერგიული ხარ, იმავე სურვილებით, გატაცებებით, როგორიც მანამდე იყავი, არა?

— კი, ასეა...

— როგორც ჩანს, ეს შენი მეუღლის დამსახურებაა, რადგანაც არაფერში გზღუდავს და სურვილებს გისრულებს.

— მართალია. ამ მხრივ გამიმართლა... მიუხედავად იმისა, რომ ზურას მთელი წლის განმავლობაში ვარჯიში და თამაშები აქვს და ამის გამო მეც მისი ცხოვრების რიტმზე ვარ გადართული, მუდმივად იმას ცდილობს, რომ პრობლემა არაფერში შემიქმნას და არ შემზღუდოს. თუმცა ზოგჯერ ხდება, რომ რაღაც-რაღაცებს მიკრძალავს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ მისი გუნდელების ცოლები ლონდონში წასვლას აპირებდნენ. რატომღაც, ეს არ მოეწონა და უარი მითხრა. მეც დავეთანხმე...

— სალომე, ფეხბურთში ზოგადად თუ გაერკვიე?

— ნამდვილად გავერკვიე (*ციცინის*).

— იმ დონეზე, რომ შეგიძლია გვითხრა, თუ რა სჭირს საქართველოს ნაკრებს?

— ჩემს თავს ამდენის უფლებას ვერ მივცემ... ადრე თუ ფეხბურთის თამაშს ვუყურებდი და მხოლოდ ის მაინტერესებდა, გოლს ვინ გაიტანდა, ახლა უფრო საინტერესოა ჩემთვის სპორტის ეს სახეობა. უკვე ფეხბურთელებსაც ვცნობ, ვიცი, ვინ — ვინ არის. მათ შორის, ბევრი ჩვენი მეგობარია. თუმცა თავგამოდებული გულშემატკივარი მაინც არ ვარ.

— ევროპის ჩემპიონატს არ უყურე?

— არა. მთელი წლის განმავლობაში, ზურას თამაშებზე სტადიონზე დავდივარ, ფეხბურთით ვცხოვრობ. ევროპის ჩემპიონატს კი სამწუხაროდ, ველარ ვუყურე.

— როგორია ინგლისელი გულშემატკივრის დამოკიდებულება ზურას მიმართ?

— საერთოდ, ფეხბურთელებს ძალიან დიდ პატივს სცემენ. „გლაზგო რეინჯერსის“ ფანები რომ გვხვდებიან, საოცარ სითბოს გამოხატავენ ზურას მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იქ აღარ თამაშობს. იმავე მანჩესტერშიც საოცარ ყურადღებას ვგრძნობთ გულშემატკივრებისგან, რაც ძალიან მახარებს.

ფეხბურთელის ცოლობა ალბათ ცალკე „პროფესიაა“-მეთქი

ზურას მართლაც, ბევრი კარგი თვისება აქვს

ასე რომ, ზურაზე უარყოფითის თქმა მიჭირს

— ესე იგი, სასიამოვნოა ფეხბურთელის მეუღლეობა?

— კი, ძალიან. ვამბობ ხოლმე, — ფეხბურთელის ცოლობა ალბათ ცალკე „პროფესიაა“-მეთქი.

— მოდელი ხარ. საუცხოო მონაცემები გაქვს, პოდიუმზე შესანიშნავად დადიხარ. გული არ გწყდება, რომ შენი პროფესიონალური რეალიზების ისეთი საშუალება აღარ გაქვს, როგორიც ადრე გქონდა?

— რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ ჩვენებებში ისე სისტემატურად ვეღარ ვმონაწილეობ, როგორც ადრე. მანჩესტერში, სადაც ვცხოვრობთ, არ არის სამოდელო ბიზნესი ისე განვითარებული, როგორც ლონდონში. თავიდან, როცა იქ ჩავედი, ლონდონის ერთ-ერთი სააგენტოსგან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ იქ თანამშრომლობას ვერ მოვახერხებდი, რადგანაც მთელი კვირა ლონდონში უნდა მეცხოვრა და სახლში მხოლოდ შაბათ-კვირას ჩავსულიყავი. რა თქმა უნდა, რაღაცებზე გული მწყდება, მაგრამ სხვა მხრივ იმდენად კარგად ვგრძნობ თავს და იმდენად ბედნიერი ვარ, რომ საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ... თან, როგორც იტყვიან, ჩემს ჭიას მაინც ვახარებ და მანჩესტერის სამოდელო სააგენტოში ვმუშაობ ხოლმე — რაღაც გადაღებებში ვმონაწილეობ. ჩვენებაც იყო — საქორწინო კაბების გამოფენა — და იქაც გამოვედი. თბილისშიც, როცა ჩამოვდივარ, ყოველთვის ვცდილობ, ეს დანაკლისი რაღაცნაირად, ავინაზღაურო.

— როგორც ვიცი, სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტი დამთავრე. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას არ აპირებ?

— მანჩესტერშიც ვისწავლე 6 თვე, ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯში. ბავშვს რომ გავაჩენ, ცოტა ხანს კიდევ მინდა სწავლა. მერე გეგმები მაქვს მოდელირების მიმართულებით: თბილისშიც და მანჩესტერშიც ბიზნესის წამოწყება მინდა. ვნახოთ, რა გამოვა.

— ამრიგად, გავარკვიეთ, რომ ფეხბურთელი ზურა ხიზანიშვილი არაჩვეულებრივი მეუღლე ყოფილა...

— ზურას მართლაც, ბევრი კარგი თვისება აქვს. თბილია, როგორც ცოლშვილის, ასევე — მეგობრების, ოჯახის წევრების (დედის, დების) მიმართ. ასე რომ, ზურაზე უარყოფითის თქმა მიჭირს.

— შენს მეუღლეს, ცოტა ხნის წინ, საქართველოს ნაკრების უკვე ყოფილ მწვრთნელთან რაღაც უთანხმოება ჰქონდა. თუ შეგიძლია გვითხრა, რეალურად რა მოხდა?

— ჩემგან არ იქნება ლამაზი და ალბათ, არც ზურას მოეწონება, რომ ამაზე ვილაპარაკო. ფაქტობრივად, მან თვითონ თქვა, თუ რა მოხდა... ისე, ვფიქრობ, რომ მაინც გაუგებრობა იყო. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს, ზურა ნაკრების მიღმა აღმოჩნდა და კითხვები გაუჩნდა... იმ პერიოდში ბევრი ვინერვიულეთ და ერთგვარად, გულდაწყვეტილები ვიყავით. იმიტომ არ ვამბობ, რომ ზურას მეუღლე ვარ, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ზურა ყოველთვის მთელი გულით მოდის ნაკრებში სათამაშოდ. არადა, ბევრჯერ მომისმენია ასეთი აზრი: იქ, უცხოეთში, თავიანთ კლუბებში ქართველი ფეხბურთელები თავს იკლავენ და აქ ფეხებს უფრთხილდებიან, რადგანაც იქ ხელფასს უხდიანო... ამაზე ვბრაზდები და ალბათ, ამის გამგონე ზურას კიდევ უფრო მეტად სტკივა გული. არადა, ვხედავ, თუ როგორი გულით მოდის ხოლმე, ნაკრებში სათამაშოდ... მე ნამდვილად არ ვიცი, რისი ბრალია და რატომ არ გამოსდის ნაკრებს თამაში. თითქოს ყველანი ბოლომდე იხარჯებიან, ყველაფერს აკეთებენ. შეიძლება, მიზეზი ის არის, რომ თამაშამდე 5 დღით ადრე ჩამოდიან და ეს დრო საკმარისი არ არის სავარჯიშოდ?.. მერე, ფეხბურთი მარტო ფეხბურთელები ხომ არ არის?! აქ მწვრთნელის ფაქტორიც ძალზე მნიშვნელოვანია... ხედავ, თავს მაინც მივეცი ფეხბურთზე ლაპარაკის უფლება.

— კარგი, დავუბრუნდეთ იმას, თუ როგორ ცხოვრობს თქვენი ოჯახი ინგლისში?

— იქ უფრო მეტ დროს ვუთმობთ ერთმანეთს, ვიდრე თბილისში: აქ ბევრი დრო მეგობრების, ახლობლების, ნათესავების მონახულებას ეთმობა... იქ კი ასეთი რეჟიმი გვაქვს: დილაობით ზურა ვარჯიშზე მიდის და დღის 2 საათზე ბრუნდება. მერე მთელი დღე ერთად ვართ. მას მერე,

იქაურ ამინდსაც შევეჩვიე

რაც საჭეს მივუჯექი, ძირითადად, სახლის საქმეები, ყველაფერი ჩემს თავზე მაქვს აღებული. თავიდან ზურას ეშინოდა, მანქანას არ მაკარებდა — იქ ხომ მოძრაობა და საჭეც, საპირისპიროა. ნერვიულობდა, — როგორ უნდა იაროო? — მაგრამ გადავლახე ეს ბარიერი და ახლა მშვენივრად ვმოძრაობ იქ ავტომანქანით. ზურაც კმაყოფილია: მას ამით ბევრი პრობლემა მოეხსნა, რადგან მანამდე თვითონ მატარებდა ხოლმე.

— სამზარეულოშიც შენ ტრიალებ?

— არა, ტასუნას ძიძა, ქალბატონი გვყავს აქედან წაყვანილი. ის ახლა უკვე ჩვენი ოჯახის წევრია, წელიწად-ნახევარია, რაც ჩვენთან ცხოვრობს. ჰოდა, ეგ მისია თამრიკოს აკისრია.

— როგორები არიან ინგლისელები?

— ინგლისელი მხოლოდ რამდენიმე მეგობარი მყავს, ძირითადად, არაინგლისელებთან უფრო ვმეგობრობ: ერთი — თურქია, მეორე — სამხრეთამერიკელი. ჩემთვის ინგლისელები საკმაოდ უცნაურები არიან: ცხოვრებაზე ჩვენგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

— კლიმატს ხომ არ უჩივი? ინგლისში მართლაც, სულ მოღრუბლულია და წვიმს?

— არა, მზეც გამოდის... უმეტესად მართლაც, მოღრუბლულია. მაგრამ იქაურ ამინდსაც შევეჩვიე. ცხადია, მზის დანახვა განსაკუთრებულად მახარებს.

— მინდა, გაკვრით მაინც, კიდევ ერთ თემას შევეხოთ: შარშანდელი შემოდგომიდან საქართველოში დაძაბული ვითარება იყო. პოლიტიკურ პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული ბიძაშენი — დავით გამყრელიძე. პირადად შენ რას განიცდიდი მისი ასეთი აქტიურობის პერიოდში?

— მართლაც რთული პერიოდი გამოვიარეთ. საშინლად მახსოვს 7 ნოემბრის დილა, როცა გავიღვიძე და ტელევიზიით საოცარი ინფორმაცია მოვისმინე... შორს რომ ხარ, ყველაფერს უფრო მეტად განიცდი. სახლიდან არსად გავდიოდით, ისეთი დათრგუნვილები ვიყავით. თან, ჩემი ახლობლებიდან ბევრი მოხვდა რუსთაველზე, როცა გაზი გაუშვეს... მერე, გაზაფხულზე სრული შოკი მქონდა, როდესაც დათოს შიმშილობის შესახებ შევიტყვე. რაღაც, კოშმარულად მახსოვს ეგ პერიოდიც (თან, ცუდადაც ვიყავი, ტოქსიკოზი მქონდა და ვიწექი...) მეგონა, არასდროს დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. ოჯახის წევრებმა ისეთი სტრესი და დაძაბულობა გამოვიარეთ, რომ ვერ აღგიწერ...

— ამბობენ, დავით გამყრელიძე ბოლო დროს ძალიან შეიცვალა, თითქოს სხვა ადამიანი გახდა. ამაზე რას იტყვი?

— ვგრძნობ, რომ გადაიღალა. ძალიან რთულია, „ეჭიდავო“ ყველაფერ იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება და თან — აბსოლუტურად უაზროდ: ლაპარაკობ, განიცდი, გამოხატავ პროტესტს და შენს სიტყვას არანაირი ზემოქმედება არა აქვს. ამან არ შეიძლება, ადამიანი არ შეცვალოს. არადა, დათო ისეთი სამართლიანი ადამიანია, ისეთი მისწრაფებები აქვს... როცა მიხვდა, რომ მის აზრს პატივს არ სცემენ, „მიმწოლი“ გახდა.

— თუ გქონდა იმ პერიოდში მასთან სატელეფონო საუბრები?

— კი. მაგრამ მაინც ვცდილობდი,

მას ზურა უფრო ხშირად უკავშირდებოდა

მარინასგან, მისი მეუღლისგან გამეგო ყველაფერი, რადგანაც ჩემთვის ძნელი იყო იმ პერიოდში დათოსთან დალაპარაკება. მას ზურა უფრო ხშირად უკავშირდებოდა. საერთოდ, ბებიაჩემთან დარეკვას ვერიდებოდი, რადგანაც ისეთ დღეში იყვნენ ყველანი, რომ საოცრად ვიძაბებოდი.

— ახლა, როცა ჩამოხვედი, ალბათ შეხვდი, ხომ?

— კი... საერთოდ, და-ძმა — დედაჩემი და დათო ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ორივენი რაღაცნაირი, მშვიდები, გაწონასწორებულები არიან. რაც მათში მაღიზიანებს, ის არის, რომ ზედმეტად სამართლიანები არიან. ვფიქრობ, რომ ამ ცხოვრებაში, ასე არ შეიძლება...

— სალომე, გმადლობ საუბრისთვის და წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ.

■

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, უნდა ჩაერიოს თუ არა მშობელი შვილის პროფესიის არჩევაში?

კოტე ყუბანეიშვილი:

— რთული კითხვაა. მშობელი უნდა ჩაერიოს, აბა, ბავშვმა რა იცის, რა პროფესია უნდა აირჩიოს?! ამ თემაზე მარქსს ნაშრომი აქვს დაწერილი, რომელიც ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა წაიკითხოს. VI კლასში ვიყავი, სამყაროს აგებულების შესახებ აინშტაინის ნაწერები რომ წავიკითხე. ჩემზე ძალიან იმოქმედა და ფიზიკოსობა გადავწყვიტე. IV კურსზე რომ ვიყავი, დამიჭირეს და 9 წელი მომისაჯეს... ჩემი მშობლები პროფესიის არჩევაში არ ჩარეულან. ფიზიკა ვისწავლე, მაგრამ არაფერში გამომადგა. დღეს არც ის ვიცი, დიპლომი სად მაქვს შენახული.

„ჩვენები" ჩვენებზე და კითხვების კომპანიერეში გახვეული ნიკა ჭავთარაძე

„ერუდიტში" უნდა ჩამწერო? ეი. თავს უნდა დამესხა? კი ბატონო, შენთან შესახვედრად მზად ვარ", — მითხრა ჩვეული იუმორით **ნიკა ქავთარაძემ**. *მისი საყვარელი მწერლები — გურამ დოჩანაშვილი და ნოდარ დუმბაძე არიან. პოეზიას პროზა ურჩევნია. წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ აღიარებს, რომ 1 კვირით ნათხოვარ წიგნებს მფლობელს 1 წლის შემდეგ უბრუნებს. მისი აზრით, ბავშვობიდან შორს არ წასულა, ამიტომ, პერსონაჟებიდან მეგობრად საბავშვო ლიტერატურის გმირს — პიტერ პენს ირჩევს. ნიკა ფეხბურთის დიდი ქომაგი და გულშემატკივარია. იგი ამ თემაზე გადაღებული ფილმის — „ჩვენები" (რომლის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ მოეწყო) პროდიუსერი გახლავთ. სანამ ნიკასთვის წინასწარ მომზადებულ კითხვარზე გადავიდოდი, მასთან საუბარი ფილმის შესახებ დავიწყე.*

თამუნა კვინიკაძე

ნიკა:

— „ჩვენები" ანალიტიკური ფილმია და ფეხბურთის პოპულარიზაციას ემსახურება. მისი რეჟისორი გიორგი ლიფონავა გახლავთ. სცენარის ავტორები — ირაკლი საღინაძე და მიშა მშვილდაძე არიან. ჩვენმა შემოქმედებითმა ჯგუფმა, ეს ფილმი 1 თვის მანძილზე, თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნა. თუ გვინდა, რომ ფეხბურთში წარმატებას მივაღწიოთ, საქართველომ, როგორც საფეხბურთო ქვეყანამ, ისე უნდა იცხოვროს. ამ თემაზე ბევრი ფილმის და კლიპის გადაღება, ბევრი სტატიის დაწერა და გადაცემის გაკეთებაა საჭირო.

— ფილმს „ჩვენები" რატომ დაარქვით?

— „ჩვენები როგორ ითამაშებენ?" „ჩვენები მოიგებენ?" „ჩვენები წააგებენ?" — ეს ის ფრაზებია, რომელიც სტადიონზე მისულ გულშემატკივარს ყველაზე ხშირად ესმის. ფილმში არაერთ საინტერესო კითხვაზეა პასუხი გაცემული. იგი საფეხბურთო სამყარომ (და არა მარტო მან) კარგად მიიღო.

— ჩვენს ფეხბურთელებზე რას გვეტყვი?

— ძალიან საწყენია, მაგრამ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს, გარეგნულად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იცნობს. ასე გაგრძელება შეუძლებელია. პირადად მე, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

— ფეხბურთის თემაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ახლა დროა, ჩემ მიერ მომზადებულ კითხვარზე გადავიდეთ.

— აბა, დაიწყე...

— 1878 წელს, ინგლისში საფეხბურთო მატჩის დროს, მსაჯმა პირველად გამოიყენა სასტვენი. როგორ აჩერებდნენ მატჩის მსვლელობას მანამდე?

— (*იცინის*) აღბათ ყვირილით. ასეა?

— დიახ. ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის შემდეგ, ესპანელები ისე გაცოფებულან თავიანთ ფეხბურთელებზე, სარეკლამო პლაკატები იმ ღამესვე ჩამოუხსნიათ. დილით მხოლოდ ბრაზილიური ყავის რეკლამები იდგა ხელუხლებელი, საიდანაც იცქირებოდა...

— პელე, აბა, სხვა ვინ იქნებოდა?!

— რა არის ანაქრონიზმი?

— ვიცი, მაგრამ ზუსტად ვერ გადმოვცემ.

— ქრონოლოგიური შეუსაბამობა. ამ ნივთით ოდისევსის მამა, ლაერტი ბაღში მუშაობდა. მას ძალზე ხშირად ხმარობდა აბრაამ ლინკოლნი. ის დღესაც ხშირად გამოიყენება სამშენებლო საქმიანობაში. რა არის ეს ნივთი?

— (*ფიქრობს*) ამ ნივთს ჩვენც ვიყენებთ?

— დიახ. განსაკუთრებით ზამთარში.

— ხელთათმანი.

— ინდოეთის ოკეანის აუზში, რომელია ყველაზე დიდი ზღვა?

— არ ვიცი.

— არაბეთის ზღვა. რომელ ქალაქში მდებარეობს მუსლიმანთა წმინდა ტაძარი — ქააბა?

— მექაში.

— თერგი, ვოლგა, დონი, მტკვარი — ამ მდინარეებიდან, რომელი არ ერთვის კასპიის ზღვას?

— თუ შეგიძლია, მდინარეები კვლავ ჩამომითვალე. (*გამეორების შემდეგ*) დონი.

— რამდენ შტატისგან დაფუძნდა ამერიკა?

— (*ფიქრობს*)

— მიგანიშნებ, გაიხსენე რამდენი ზოლი აქვს ამერიკის დროშას.

— 13. ე.ი. 13 შტატისგან დაარსდა.

— როგორი საათი უჩვენებს სწორ დროს დღეღამეში მხოლოდ ორჯერ?

— რა უცნაურ რამეს მეკითხები? ნებისმიერი საათი.

— ნებისმიერი — არა, გაჩერებული საათი.

— ამ კითხვაზე პასუხი უნდა გამომეცნო.

— ველური ვარდი იგივეა, რაც...

— ასკილი.

— ენათა რომელ ოჯახს მიეკუთვნება აფხაზური?

— იბერიულ-კავკასიურს.

— 1824 წელს, პარიზში გამოვიდა ფრანგი დედოფლის — მარია ანტუანეტას მოდელიერი ქალის, მადმუაზელ ბეხტეინის მემუარები. რომელი ფრთიანი გამოთქმის ავტორი გახდა ეს მოდელიერი მას შემდეგ, რაც დედოფლის ძველი კაბა განაახლა?

— არ ვიცი.

— „ყველაფერი ახალი...

— (*მაწყვეტინებს*) „...კარგად დავიწყებული ძველია". ეს პასუხი ჩამითვალე.

— ერთხელ დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა, რომელსაც არანაირი წამალი არ შველოდა, ექიმს რჩევისთვის მიმართა. „ყოველ დილით მიხაილ ზოშჩენკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ", — ურჩია ექიმმა. ამის

MK

გაგონებაზე პაციენტი უფრო დანაღვლიანდა. რატომ?

— კითხვა არ უყვარდა?

— **არა.**

— აბა, თვითონ იყო მიხაილ ზოშჩენკო? (*იცინის*).

— **დიახ. რა შემთხვევაში არა აქვს მსაჯს უფლება, განსაჯოს საფეხბურთო ჩემპიონატის თამაში?**

— თუ მისი მშობლიური ქვეყნის ნაკრები თამაშობს.

— **ნაკა, თუ იცი, რა უწოდეს 1920 წელს გამოშვებულ პირველ საბჭოთა ტანკს?**

— (*იცინის*) ეს მართლა არ ვიცი.

— **„თავისუფლებისთვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი“. ბერძნულ მითოლოგიაში რა ერქვა ჰერმესის და აფროდიტეს ორსქესოვან შვილს?**

— ჰერმაფროდიტი.

— **XII საუკუნეში, პალესტინაში იტალიელმა რაინდებმა წმინდა ლაზარეს ორდენი დააარსეს, რომლის მიზანიც ავადმყოფების მოვლა იყო. ორდენის წევრებს ძალზე ხშირად უწევდათ ახალი მაგისტრის არჩევა. რატომ?**

— ალბათ ავადმყოფების მოვლის დროს, თვითონაც ავადდებოდნენ.

— **ცდები. ამ თანამდებობაზე მხოლოდ კეთილშობილებს ირჩევდნენ. გელათისა და იყალთოს გარდა, კიდევ სად არსებობდა აკადემია შუა საუკუნეების საქართველოში?**

— (*ფიქრობს*) გრემში.

— **ისინი 12 წლის განმავლობაში უდიდეს სახელმწიფოს მეთაურობდნენ. მმართველობის პირველი 2 წელი ქვეყნების გაძლიერებას მოანდომეს, შემდეგი 6 წელი კი — ერთმანეთთან სასიკვდილო ბრძოლას. ორივე, ერთი და იმავე წლის, ერთსა და იმავე თვეს გარდაიცვალა, 18 დღის სხვაობით. ვინ იყო ეს 2 პიროვნება?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ჰიტლერი და რუზველტი.**

— ჰიტლერზე ვფიქრობდი, მაგრამ არ გითხარი.

— **რომელი ყვავილი მიიჩნევა მიუკარებლობის სიმბოლოდ და რატომ?**

— ამ ყვავილის სახელი ვიცი, მაგრამ დამიჯერე, ვერ ვიხსენებ.

— **რატომ უნდა დაგიჯერო?**

— შემდეგი კითხვა დამისვი. გამახსენდება და გიპასუხებ. ის მაღალ მთებში იზრდება.

— **რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი, სადაც 1203 წელს საქართველოს სამეფო ლაშქარი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ იბრძოდა?**

— თურქეთის.

— **რომელი ფსევდონიმით არის ცნობილი საესტრადო მომღერალი ინესა კლიმუკი?**

— არ ვიცი.

— **ირინა ალეგროვა. რა ეროვნების იყო მურვან ყრუ?**

— არაბი.

— **ლონდონი, დელი, თეირანი, ნიუ-იორკი — ამ ქალაქებიდან რომელში არ არის მეტროპოლიტენი?**

— ლონდონსა და ნიუ-იორკში რომ არის, ვიცი, მაგრამ დელისა და თეირანში თუ არსებობს ეს ტრანსპორტი, ვერ გეტყვი.

— **მეტროპოლიტენი დელიში არ არის. „ფესვები“, „ლონდრე“, „სიყვარული ყველას უნდა“ — ამ ფილმებიდან რომელში არ მონაწილეობს გივი ბერკაშვილი?**

— „ფესვებში“.

— **საქართველოს რომელი კუთხის ხალხს ეფარათ თავზე ფაფანაკი?**

— ამ კითხვაზე რომ ვერ გიპასუხო, ხომ იქნება სირცხვილი და თავის მოჭრა? (*იცინის*).

— **ნამდვილად.**

— სწორი პასუხია — იმერლებს.

— **რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩანჩქერი ანხელი?**

— არ ვიცი.

— **ვენესუელის. რომის პირველი დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა იწოდებოდა ფელიქს დიქტატორად. რას ნიშნავს ფელიქსი ქართულად?**

— არ ვიცი.

— **ბედნიერს. ყველაზე მეტჯერ რომელი ქვეყანა იყო ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი?**

— ბრაზილია.

— **1719 წელს, თბილისში ვახტანგ VI-მ რა დააარსა?**

— სტამბა.

— **რომელი პოეტის სრული სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი?**

— არ ვიცი.

— **ბაირონის. რომელმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თქვა ცოლის შესახებ შემდეგი სიტყვები: „მოიყვან — ინანებ, არ მოიყვან — ინანებ“?**

— არ მახსოვს.

— **სოკრატემ. რომელ ქვეყანაში ლაშქრობისას მოუკლეს მაკედონელს საყვარელი ცხენი ბუცეფალი?**

— ინდოეთში.

— **გოეთეს სახლ-მუზეუმში, დამთვალიერებელს, გოეთეს სკამი უჩვენეს. იგი მივიდა და სკამზე დაჯდა. მუზეუმის მესვეურებმა შეახსენეს: ეს გოეთეს სკამიაო. რა მიიღეს დამთვალიერებლისგან პასუხად?**

— არ ვიცი, რამე სასაცილოს იტყოდა.

— **არა უშავს, მოვა და ავდგებიო... რა ჰქვია ბალეტში წყვილის ცეკვას?**

— ეს რა კითხვების კორიანტელი დამყარე. რა ჰქვია? (*ფიქრობს*) პა დე დე.

— **როდის და ვის მიერ იქნა გადმოტანილი მეფეთა რეზიდენცია მცხეთიდან თბილისში?**

— VI საუკუნეში, გორგასლის მემკვიდრის — დაჩის მიერ.

— **პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია — ამ ქვეყნებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?**

— ლიტვა (*ფიქრობს*), არა, არა, ლიტვაზე პატარა შვეიცარიაა.

— **გამოიცანი. ბიჭს ჰყავს იმდენივე და, რამდენიც ძმა, ხოლო მის დას — ორჯერ ნაკლები და ჰყავს, ვიდრე — ძმა. რამდენი და-ძმაა ამ ოჯახში?**

— (*ფიქრობს*) 4 ძმა და 2 და.

— **კარგად ვერ გამოიანგარიშე. სწორი პასუხია: 4 ძმა და 3 და. სანამ ბოლო კითხვას დაგისვამ, შეგახსენებ, შენ ერთ კითხვაზე გაქვს პასუხი გასაცემი.**

— მახსოვს, რომელი ყვავილი მიიჩნევა მიუკარებლობის სიმბოლოდ? (*ფიქრობს*) ედელვაისი. ხომ მაინც გიპასუხე?!

— **დაასრულე ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი: „გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც ერთადერთი სკოლაა, სადაც...“**

— ეს ციტატა ზუსტად არ მახსოვს.

— **„...სადაც უჭკუონიც კი ჭკუას სწავლობენ“.**

ერუდიტი +

ყველაზე, ყველაზე...

ყველაზე დიდი რუკა მსოფლიოში **პირველად, 1976 წელს აღმოსავლეთ ევროპის მეცნიერთა ძალისხმევით შეიქმნა. ესაა მსოფლიო რუკა 1:2500000 მასშტაბით, რომლის ფართობი 200 კვადრატულ მეტრამდეა.**

ყველაზე ჭუჭყიანი ქალაქი მსოფლიოში **კლივლენდია. იგი ოჰაიოს შტატში მდებარეობს. ამ ქალაქში ყოველწლიურად 50 ტონამდე ჭვარტლი ილექება.**

ყველაზე უმზეო ადგილი დედამიწაზე **ჩრდილოეთი პოლუსია. აქ მზე 186 დღის განმავლობაში საერთოდ არ ჩანს.**

ყველაზე მეტი ვულკანი **კუნძულ იავაზეა. იქ 136 ვულკანს ითვლიან და მათგან 28 მოქმედია.**

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-26

ფეპრიფეპაღლი ანა

დაბრუნება

ნაწილი მეორე

ინგა ჯაყელი

თეთრად გათენებული ღამე...

როცა ანა-მარია საწოლში ჩავაწვინეთ, ჟანეტმა თაროდან ზღაპრების წიგნი გადმოიღო და ჰკითხა, თუ რომელი ზღაპრის მოსმენას ინებებდა?

— დედამ წამიკითხოს! — კატეგორიული იყო გოგონა. შევამჩნიე, როგორ წამოჭარხლდა ძიძა და მივხვდი — იეჭვიანა...

— მე რომ ფრანგული ასე კარგად არ ვიცი! — ავიჩეჩე მხრები და ოქროს შუალედიც უცებ ვიპოვე. — მოდი, ჟანეტმა წაგვიკითხოს და ჩვენ მოვუსმინოთ...

ჟანეტი საწოლთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა და გადაშლილი წიგნი მუხლებზე დაიდო. მე ბავშვის გვერდით ვიწექი და მის ურჩ თმას ვეფერებოდი...

უცებ ანა-მარიამ რაღაც მკითხა და ვერ გავიგე. ჟანეტმა მითარგმნა:

— შენც ბოროტ ჯადოქარს ჰყავდი დამწყდეული და არ გიშვებდა ჩემთანო?!

— ჰო... საშინელი ჯადოქარი იყო!

— მერე, რა მოუვიდა. ვინ გაგათავისუფლა მისგან?!

— უმშვენიერესმა რაინდმა, შენმა მამიკომ...

— ძალიან მენატრება! — ამოიხვნეშა პატარამ. — შენც ჩემსავით გენატრება დათო-მამა?

— ძალიან მენატრება! — დავიხარე და შუბლზე ვაკოცე. — მამიკოსაც ძალიან ვუყვარვართ და ადრე თუ გვიან, ისევ დაგვიბრუნდება...

— მე ვიცი, რა არის სიკვდილი! — მითხრა მოულოდნელად შვილმა.

— რა იცი?!.

— ჩვენ გიორგი პაპა მოგვიკვდა...

— დალის ბაბუაზე ამბობს! — ამიხსნა ჟანეტმა.

— ის ძალიან კეთილი იყო, თოვლის პაპას ჰგავდა. ერთხელაც დაიძინა და აღარაფერი გვითხრა. მერე სადღაც წაიყვანეს და გვითხრეს, რომ მასთან შეხვედრა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იქნება შესაძლებელი. მანამდე კი ძალიან კარგად უნდა მოვიქცეთ, არ დავივიწყოთ ისინი, ვინც ასე ძალიან გვიყვარს...

— მამა როგორი გახსოვს, ანა-მარია?! — ძალიან მომინდა მისგან მომესმინა დათოზე რამე...

— მეუბნებოდა, რომ მე მისი ცხოვრების მზე ვარ... ფეხისგულებზე მკოცნიდა... ძილშიც სულ ვგრძნობდი, რომ მკოცნიდა... კიდევ, მეუბნებოდა, რომ უფლისწულსაც კი უარს ეტყოდა და არ გამათხოვებდა... იცი, მე ერთმა ბიჭმა მითხრა, რომ ვუყვარვარ! — უცებ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ანა-მარიამ და გადაიკისკისა.

ჟანეტსაც გაეღიმა:

— ღმერთო ჩემო, რა უცნაური ბავშვები იბადებიან... მის „შეყვარებულს“ ნიკა ჰქვია, დღეს ისიც იყო ჩვენთან სტუმრად. იქნებ, შეამჩნიეთ კიდევაც...

— ის ნიკა, რომლის მამაც ასევე ანგელოზად იქცა?! — გამახსენდა ბიჭუნა, რომელზეც ვაჟამ მითხრა, რომ უკვე შურისძიებაზე ფიქრობს...

— ჰო, იმის მამაც მოკვდა! — დიდი ქალივით ამოიხვნეშა ანა-მარიამ.

— ჰო, ის ნიკუშა! — დამიდასტურა ჟანეტმაც. — ანა-მარიას საჩუქრებით ანებივრებს და ისიც გადაწყვეტილი აქვს, რომ მოიტაცებს და საქართველოში იცხოვრებენ...

— მოტაცებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ნიკა ძალიან მომწონს! — გამეღიმა მეც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ანა-მარიამ ლოყაზე მაკოცა და ჩურჩულით მითხრა:

— მეღსი! (გმადლობთ!)

...მერე ანა-მარიას ძილი მოეკიდა. მე კი იმაზე ვფიქრობდი, რამდენად სერიოზული შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ბავშვური გრძნობა და რას უმზადებდა ბედისწერა ანა-მარიას, ნიკუშას?!.. ცალ-ცალკე, თუ ერთად — ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა...

— მოისვენეთ! — მითხრა ჟანეტმა. გოგონას მე მივხედავ. ჩემი საძინებელიც აქვეა, შუა კარს ღიას ვტოვებ.

— არა, ჟანეტ! შეგიძლია მშვიდად იყო. მე ამაღამ არ დამეძინება. აქ დავრჩები. შენ კი გაიხურე კარი და დაიძინე...

— არც მე მეძინება! — თვალი გამისწორა ქალმა. — ძალიან ცუდად ვარ... ანა-მარია პირველი ბავშვი არაა, ვისაც ვზრდი და ისიც ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მასთან განშორება მომიწევდა, მაგრამ მასავით მაინც არავის შევჩვევივარ... სხვა ბავშვებს დედები ჰყავდათ გვერდით და მე ჩემი ადგილი მქონდა, გარკვეულ ბარიერს და დისტანციას სულ ვგრძნობდი. აქ კი სულ სხვა გრძნობა გამიჩნდა: პატარას კარგა ხანს მე ვეგონე დედა. არც მამა ჰყავდა გვერდით ხშირად და ამიტომ, მისთვის ერთადერთ საყრდენ წერტილად ვიქეცი... მინდოდა, მეთხოვა კიდევაც დათოსთვის, რომ გოგონა ჩემთვის დაეთმო...

— როგორ თუ დაეთმო?! — გაკვირვებულმა შევხედე ქალს.

— არ ვიცი... ალბათ, სისულელე იყო იმაზე ოცნება, რომ კაცი შვილს დამითმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ერთგულებას და სიყვარულს ძალიან აფასებდა... რატომღაც მეგონა, გოგონასთვისაც აჯობებდა, ჩემ გვერდით დარჩენილიყო. ვერ წარმომედგინა, თუ ვინმეს ჩემსავით ეყვარებოდა ის...

...ამის შემდეგ ჟანეტმა თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ მიამბო. არც ის დაუმალავს, რა მძიმე დარტყმა იყო მისთვის, როცა შეიტყო, რომ დედა ვერასოდეს გახდებოდა:

— ერთხანს იმასაც ვფიქრობდი, რომ უფალმა ბოლომდე არ გამწირა და ანა-მარიაც ამიტომ გამომიგზავნა...

— უთხარი ამის შესახებ დათოს?!

— ვერ მოვასწარი... ბოლოს რომ ჩამოვიდა, ბედნიერმა გვამცნო, რომ თავის გოგონას სწორედ ისეთი დედა უპოვა, როგორზეც ოცნებობდა. თითქოს. გული ცუდს უგრძნობდა, დატრიალდა და ათასგვარი საბუთი გაამზადა... ბატონმა ვაჟამ უსაყვედურა კიდევაც: რა ბედისწერას ატანილივით ჩქარობო!.. — სწორედაც რომ ბედისწერას აყოლილი ვცდილობ საკუთარ ცხოვრებაზე გამარჯვებას. შენ მაინც იცი, ჩემთვის ყოველი დღე კი არა, ყოველი წუთი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდესო!.. მე მეგონა, საქორწილოდ ემზადებოდა. რაღას გავბედავდი ჩემს გრძნობებზე ლაპარაკს...

— მოიცა... ჟანეტ, შეყვარებულიც ხომ არ იყავი დათოზე?!.

ჟანეტს გაეცინა:

— შეიძლებოდა, დათო გცნობოდა და არ გყვარებოდა?! — დამიბრუნა კითხვა.

— მეც პირველსავე ნახვისას გამაგიჟა! — ვაღიარე.

— მე კი არ გავგიჟებულვარ და საერთოდ, ცხოვრებას საღი თვალით ვუცქერ: დათოსნაირები, ჩემნაირებს ქალებად არ აღიქვამენ, თანაც ასაკითაც უმცროსი იყო ჩემზე. ისე მეპყრობოდა, უფრო დაძმურს დაარქმევდი ჩვენს სიყვარულს... შეგიძლიათ, მენდოთ და არ იეჭვიანოთ: მარტო დათოს კი არა, მეც არ დამიშვია, ჩვენ შორის რაიმე სხვა ყოფილიყო... ისიც ვიცოდი, რომ შვილის პარიზში დატოვება არ უნდოდა. ხშირად იმეორებდა: ღირსეულ ქართველ ქალად უნდა გაიზარდოს, რაც მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელიო... მპირდებოდა, რომ მეც წამიყვან-

და საქართველოში, თუ ვისურვებდი...

— ჟანეტ, მეც შემიძლია, იგივე შემოგთავაზოთ. წამოდი ჩვენთან ერთად და თუ შეძლებ, სამუდამოდ დარჩი თბილისში!..

— არა, სამუდამოდ ვერ შევძლებ... საფრანგეთი ჩემი სამშობლოა, აქ მყავს ახლობლები. ამბობენ, სულ სხვანაირი სითბო აქვს საქართველოს მზესო, მაგრამ მე მხოლოდ პარიზის მზის სხივები თუ გამათბობს... აი, დროებით კი სიამოვნებით გამოგყვებით. დათოს საფლავზეც მინდა ყვავილების მიტანა. მისი სახით, მე მართლაც ძმა დავკარგე...

იმ ღამეს არც ერთს არ გვძინებია, სულ დათოზე ვლაპარაკობდით. ჟანეტს მასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანის გახსენებას ვთხოვდი და სულ უფრო და უფრო მიკვირდა, ამდენი დადებითი თვისების პატრონს როგორ შეეძლო, ცივსისხლიანი მკვლელი ყოფილიყო და მხოლოდ იმიტომ გაემეტებინა კაცი სასიკვდილოდ, რომ ამაში ფულს უხდიდნენ?!.

— შენ იცი, რა პროფესიის იყო დათო? — შეშინებულმა ვკითხე ჟანეტს იმის მოლოდინში, რომ ათას საშინელებას მოვისმენდი საყვარელ მამაკაცზე.

— არა... არც უფლება მქონდა ამის გაგების და არც — სურვილი!..

რატომღაც, შვებით ამოვისუნთქე. აღარც მე მქონდა სურვილი, იმაზე მეტი გამეგო დათოზე, ვიდრე ვიცოდი: სიმართლე შიშის მეტს არაფერს მომიტანდა. თუ „ბაბუის ნაჭამი ტყემალი შვილიშვილს კვეთს კბილს“, ხომ შეიძლებოდა, მამის გამო ანა-მარიას მოჰკითხოდა ოდესმე?!..

მემკვიდრეები...

მეორე დღეს, საუზმის დროს მითხრა ვაჟამ, რომ ორი დღის შემდეგ ესპანეთში ბრუნდებოდა ოჯახთან ერთად და ამ ორ დღეში ძალიან ბევრი რამ უნდა მოგვესწრო.

მალე ირაკლიც მოვიდა და მამაკაცებმა კაბინეტში მიმიწვიეს. ირაკლიმ საქაღალდე მაგიდაზე დადო. ზუსტად ისეთივე სეიფიდან გამოიღო ვაჟამ და სიტყვა ირაკლის დაუთმო:

— ანა, იმ სახლში, სადაც ახლა ცოლშვილით ვცხოვრობ, ჩემი თითქმის არაფერია. ის ანა-მარიას საკუთრებაა და მე, როგორც მისი მეურვე, დროებით განვკარგავ უძრავ ქონებას. რადგან შენ დედა ხარ და ამას კანონიერად დავამტკიცებთ ამ დღეებში, ქონებაზე უფლებაც შენზე გადმოდის: შეგიძლია მოგვთხოვო სახლის დაცლა, მით უმეტეს, თუ გაყიდვას მოინდომებ. იმ უბანში სახლებს ზღაპრული ფასები აქვს...

— ფულს რა თავში ვიხლი, ისედაც უამრავი დატოვა დათომ!..

— ეგ მართალია! — დამეთანხმა ვაჟა. — შენ ჯერ კიდევ არ იცი რეალურად მისი ქონების რაოდენობა. ალბათ, არ გეწყინება, ბოლომდე რომ არ გენდო. ქონების გარკვეულ ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებ, თუ შენს განკარგულებაში გადმოსულ სიმდიდრეს ვერ მოუვლი, დაკარგავ და ხელახლა დაგჭირდება ფეხზე დადგომა...

— არც მაინტერესებს ასეთი რამეები, თავი საერთაშორისო მაფიის წარმომადგენელი მგონია... მე სიმშვიდე მინდა, ბატონო ვაჟა, ჩემო საყვარელო ძმაო, ირაკლი. მეტი არაფერი მითხრათ ამ ქონებაზე. იმ სახლში მშვიდად იცხოვრეთ შენ და ეკამ, ახლავე გაამზადე საბუთები და დავადასტურებ, რომ მასზე არასოდეს გამიჩნდება პრეტენზია. რომც გავყიდო, რა ვიყიდო უკეთესი, ან ეგ მილიონები სად წავიღო?!.

— ჩვენ სხვა სახლიც გვაქვს... იქ გადავალთ! — ეუხერხულა ირაკლის. — მართალია, პატარა და მოუხერხებელია, მაგრამ...

— ჰოდა, ის გაყიდე... ადრე არც ამაზე მიფიქრია, მაგრამ რადგან მარტო აღარ ვიქნები, თბილისში ვიყიდოთ სანაცვლო. უამრავი ახალი მშენებლობაა და ძალიანაც კარგად აშენებენ...

— თბილისური ფასები პარიზულს ალბათ ბევრად ჩამორჩება და იმ სახლის სანაცვლოდ მართლაც კარგი ბინის აშენება შეიძლება! — მხრები აიჩეჩა ირაკლიმ.

— თუ არ ეყოფა და, რა პრობლემაა! — ხელი აიქნია ვაჟამ. — დათოს ფული რამდენიმე ოთახს კი არა, მთელ კორპუსს იყიდის.

— მოკლედ, შევთანხმდით. ის ლამაზი სახლი შენია, ირაკლი. ეჭვიც არ მეპარება, დათოც იმავეს ინდომებდა. მე და ანა-მარია კი შენი სტუმრები ვიქნებით, როცა ისევ მოგვიწევს საფრანგეთში სტუმრობა...

— სახლის გარდა, საბანკო ანგარიშები უნდა გადაიფორმო! — ქაღალდები დამიწყო წინ ვაჟამ, რომლებიც მაშინვე გვერდზე გავწიე:

— ოღონდ ეგ არა, რა... მათემატიკა ბავშვობიდან მეჯავრებოდა და იძულებით ვსწავლობდი... აი, ჩემი საბუთები! — ამოვყარე ხელჩანთიდან, რაც მქონდა. — დანარჩენი კი თავად გაარკვიე, მით უმეტეს, ეკონომისტი ხარ! — მივმართე ირაკლის.

— უამრავ საბუთზე გექნება ხელი მოსაწერი! — შემომხედა დაბნეულმა ბიჭმა.

— წაკითხვას ნუ მომთხოვ და რაზეც გინდა, ხელს მოგიწერ! — ისევ კატეგორიული იყო ჩემი მოთხოვნა.

— ჩვენიანი ხარ, ნაღდად! — გაეღიმა ვაჟას. სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი, რა იგულისხმა, მაგრამ აღარც შეკითხვის დასმის სურვილი გამჩენია.

— სხვა რა გეგმები გაქვს? — დაინტერესდა ამის შემდეგ.

— ჟურნალისტიკიდან წამოსვლა გადავწყვიტე. მეგობრებმა საავადმყოფო გახსნეს და მეც იქ დავაბანდე ფული. რა ვიცი, მინდა, მედიცინის მართვასა და მენეჯმენტზე მქონდეს წარმოდგენა, რაღაც კურსები გავიარო. საქართველოში ახლა მაგარ პატივშია საზღვარგარეთ მიღებული დიპლომები...

— რა გითხრა! — ისევ გაეღიმა ვაჟას. — არა, ცოდნის მიღება ყველანაირის შეიძლება. თუ ფულს გადაიხდი, სახლში მოგაკითხავენ სორბონის პროფესორები, მაგრამ თუ ნიჭი არ გაქვს... ისე, რომ იცოდე, პარიზის ყველაზე პრესტიჟული საავადმყოფოს ქირურგი ქართველია და დიდ პატივში ჰყავთ ფრანგებს. დიპლომიც თბილისში აქვს აღებული თავის დროზე, თუმცა ქართველებმა რომ არ დააფასეს, იმიტომაა აქეთ გამოქცეული და გახსენებაც არ უნდა წარსულის...

— გავიკითხოთ, რისი გაკეთება შეიძლება! — შემომხედა ირაკლიმ. — თუმცა, ფრანგული ენის შემსწავლელ კურსებზეც მოგიწევს პარალელურად სიარული.

— მაგას რა სჯობია! — გამიხარდა აშკარად.

— არ გეზარება?! — რატომღაც გაიკვირვა ვაჟამ.

— შენი და ანა-მარიას დაშორება უკვე წარმოუდგენელია და არც შეიძლება. ალბათ, ჩვენთან გადმოხვალთ საცხოვრებლად! — შემომხედა ირაკლიმ.

— ვფიქრობ, ბავშვისთვის აქ ჯობია დარჩენა, შეჩვეულია, ყველანაირი კომფორტი შექმნილი აქვს, ბავშვებთანაც გაუჭირდება განშორება...

— გუშინ მითხრა, რომ ნიკუშა მისი შეყვარებულია! — არ შევუნახე „საიდუმლო“ შვილს.

— მით უმეტეს, მაგათი დაშორება იქნება?! — სერიოზულად გააპროტესტა ვაჟამ.

— თუ არ გეწყინება, აქ დავრჩებით! — მოვუბოდიშე ირაკლის.

— ეკა გაგიუდება! — აიჩეჩა მხრები პასუხად.

...ირაკლი რომ წავიდა, ვაჟამ მე და დალი რესტორანში დაგვპატიჟა და კიდევ ერთხელ გავოცდი, როცა არც მეტი, არც ნაკლები — ნამდვილი ლიმუზინით მოვიდნენ ჩვენს წასაყვანად. სახლიდან გამოსულს, სიცილი ამიტყდა და დაუფარავად ვუთხარი ვაჟას:

— ამას ყველაზე ვარდისფერ ფანტაზიებშიც ვერ წარმოვიდგენდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტროს გადაჭედილ ვაგონში შეჭყლეტილი, სუნთქვას ვიკრავდი არასასიამოვნო ჰაერის გამო...

— მანქანა არ გყავს?! — გაიკვირვა ვაჟამ.

— არა და ამისი მიზეზი მარტო უფულობა არაა. საოცრად უნიჭო მძღოლი აღმოვჩნდი, ცუდად ვატარებ. ბევრმა სცადა, მანქანის ტარება ესწავლებინა ჩემთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი კოშმარი, იცით, რა არის?! — მესიზმრება, რომ მანქანებით გადაჭედილ ტრასაზე მივქრი და საჭეს ვერ ვიმორჩილებ, რომ გავაჩერო. აწივლებული ვიღვიძებ...

— რა პრობლემაა, შეგიძლია, მძღოლი იქირავო! — გამოსავალი იპოვა ვაჟამ.

— შეიძლება, თუმცა ლიმუზინით ერთხელ გასეირნება არ შემცვლის ალბათ ისე, რომ მეტროთი და „სანდრაბუსებით“ მგზავრობა ვერ შევძლო... ხომ გაგიგონიათ — არა შეჯდა მწყერი ხესაო! — დავცინე საკუთარ თავს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალბატონი, ჯოჯოხეთსაც სოზარ სუბარი საჯაჭვეთით ანებივრებს

„ის ბავშვობიდან პრინციპული და სამართლიანი იყო“, — ამბობს სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის და, რომელსაც თურმე ძმები იმდენად ავსებენ, რომ არასოდეს უნატრია, ჰყოლოდა და.

ეკა მინდაძე

ძმისშვილთან ერთად

ოჯახის წევრების გარემოცვაში

— **დედმამიშვილებში, უფროსი — სოზარია, მასზე ორი წლით უმცროსი მე ვარ, მომდევნო — კახა იყო, რომელიც საუბედუროდ, დაიღუპა, უმცროსი კი — ვახტანგია. მართალია, სოფელში გავიზარდეთ, მაგრამ ძალიან კარგი ბავშვობა გვქონდა. იმდენი სათამაშო არ გვქონია, რამდენიც დღევანდელ ბავშვებს, მაგრამ მე და ჩემი ძმები შესანიშნავად ვერთობოდით. ვთამაშობდით ბურთს და ჭადრაკს. ჭადრაკში მუდმივად სოზარი გვიგებდა. მას ბავშვობიდან გამჭრიახი გონება ჰქონდა. ამასთან, იყო პრინციპული და სამართლიანიც.**

— **ქალბატონო მაია, თქვენ შორის უფრო ბეჯითი რომელი იყო?**

— ოთხივე კარგად ვსწავლობდით, მაგრამ სიბეჯითით სოზარი უფრო გამოირჩეოდა. მშობლები ჩვენ თუ გვაძალებდნენ წიგნის კითხვას, მას პირიქით, სთხოვდნენ: ბევრს ნუ კითხულობო.

— **ყველაზე მეტად რომელი საგანი უყვარდა?**

— ისტორია. ბავშვობიდან ისტორიკოსობა უნდოდა და გახდა კიდეც. მამა ექიმი იყო და ძალიან უნდოდა, მისი უფროსი ვაჟი ექიმი გამოსულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოზარმა მამას სურვილი არ შეუსრულა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პრინციპულად არ უნდოდა ექიმობა.

— **სკოლა სად დაამთავრეთ?**

— მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში.

— **ბატონი სოზარი „შატალოზე“ თუ დადიოდა?**

— კი, სხვათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეული მოსწავლე იყო, „შატალოზეც“ ბევრჯერ წასულა. ერთხელ სახლში იარაღი დაიკარგა, ცოტა ხანში გაირკვა, რომ სოზარი თავის მეგობრებთან ერთად, ტყეში, სანადიროდ წასულა და რა თქმა უნდა, იარაღიც თან წაუღია.

— **ქალბატონო მაია, რა პროფესიის ბრძანდებით?**

ფილოსოფოსის საფლავი

ჩინეთში, ანხოის პროვინციაში 2006 წელს აღმოჩენილი უძველესი სამარხის გათხრები მიმდინარეობს. წინასწარი მონაცემებით, ნაგებობა ჩვ.წ.აღ-მდე 722-481 წლით თარიღდება და ჩუნციუს ე.წ. „გაზაფხულისა და შემოდგომის“ პერიოდს მიეკუთვნება. მეცნიერებმა მიწის ქვეშ, დაკრძალვისთვის განკუთვნილი უამრავი სარიტუალო ნივთი აღმოაჩინეს, მათ შორის, ე.წ. ბიანჯუნის ზარების ნაკრები, ფარები და მოხატული კერამიკული ნაწარმი. მეცნიერთა ვარაუდით, სამარხში ძალზე გავლენიანი ადამიანი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მაგალითად — ჩუნციუს პერიოდის ერთ-ერთი მმართველი, მაგრამ არსებობს სხვა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ანხოიში ლეგენდარული ფილოსოფოსის — კონფუცის საფლავია აღმოჩენილი! ოფიციალური ვერსიით, დიდი მოაზროვნის სამუდამო განსასვენებელი ჩინეთის აღმოსავლეთით, ქალაქ ციუიფუში მდებარეობს. ■

სოზარი მეულლესთან და დაძმასთან ერთად

ყოველთვის ცდილობს, ოჯახში დადებითი მუხტი შემოიტანოს

— ისე მოხდა, რომ სურვილი მამას მე შევუსრულე და ექიმი გავხდი. ამჟამად, ერთ-ერთ აფთიაქში ფარმაცევტად ვმუშაობ.

— თქვენმა მეორე ძმამ რა პროფესია აირჩია?

— ვახტანგი ერთ-ერთ კერძო კომპანიაში პიარ-მენეჯერია.

— ხასიათით თუ ჰგავხართ ერთმანეთს?

— დიახ. სამივე უკონფლიქტო ვართ. ჩემი რძალი სულ იმას ამბობს, რაც თქვენი ოჯახის წევრი გავხდი, იმ დღიდან მეც უფრო დავმშვიდდიო (*იცინის*). ასე რომ, მთელი ოჯახი მშვიდობისმოყვარე წევრებისგან შედგება, თუმცა უსამართლობაზე თვალს ვერ ვხუჭავთ.

— საუბრიდან გატყობთ, რომ კარგი დაძმობა გაქვთ?

— დიახ, მამა რომ გარდაგვეცვალა, სოზარი პირველ კურსზე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის იყო ჩვენი პატრონი. ფაქტობრივად, შემდეგ მამობა მან გაგვიწია.

— ძმები ერთადერთ დას არ განებივრებენ?

— დიახ, დღემდე მანებივრებენ. თავიდანვე იმდენად კარგად ვგრძნობდი თავს მათ გვერდით, რომ არასოდეს მინატრია, და მყოლოდა. მგონია, რომ სიყვარულს მას ვეღარ გავუნაწილებდი. ჩემი ძმები მუდმივად იმას ცდილობდნენ, რომ ყურადღება არ მომკლებოდა, თუმცა ადვილი არ არის სამი ძმის დობა. მათზე ძალიან ბევრს ვფიქრობ და მაღელვებს მათი მდგომარეობა, განსაკუთრებით, სოზარის. საოცარი შიში განვიცადე მაშინ, როცა სოზარმა ხელში იარაღი აიღო და აფხაზეთში საომრად წავიდა. სასტიკად ვინერვიულე მანამდეც, როცა სოზარმა 1989 წელს, უნივერსიტეტის წინ, მეგობრებთან ერთად შიმშილობა დაიწყო. 9 აპრილის ღამეს კი ჩემმა ღელვამ პიკს მიაღწია. იმ დროს სოზარი იქ იყო, მაგრამ ღვთის მადლით, ცოცხალი გადარჩა. საოცარი განცდა ახლდა იმ პერიოდს, როცა ის მონასტერში ცხოვრობდა: 2 წლის განმავლობაში, დავითგარეჯის მონასტერში სტიქაროსანი იყო.

— როგორია ბატონი სოზარი ოჯახში?

— საოცრად თბილი. ყოველთვის ცდილობს, ოჯახში დადებითი მუხტი შემოიტანოს. განსაკუთრებით ბავშვებთან თამაში უყვარს.

— საჩუქრებით თუ განებივრებთ?

— დიახ, ძალიან ყურადღებიანი ადამიანია. სხვათა შორის, საოცრად კარგი გემოვნება აქვს. ყოველთვის მომწონს მისი მორთმეული სამკაულები. უცხოეთიდან ისე არ ჩამოვა, რომ პატარა სუვენირი მაინც, ოჯახის წევრებს არ ჩამოგვიტანოს.

— დაოჯახებული ხართ?

— არა. ამ მხრივ, სოზარმა გვაჯობა (*იცინის*). მას სამი შვილი ჰყავს. კახას 15 წლის ვაჟი დარჩა. ვახოს კი ჯერჯერობით ახალი შექმნილი ოჯახი აქვს და მის პატარას ოქტომბერში ველოდებით.

— ერთმანეთის პირად ცხოვრებაში თუ ერევით?

— არასოდეს. თუ მე არ ვთხოვდი, რომ ჩარეულიყვნენ, თვითონ არ ერეოდნენ. ისე, ამ მხრივ, ვახო უფრო აქტიურია, სოზარი ნაკლებად ერევა ხოლმე. მე კი მათ გადაწყვეტილებას ყოველთვის პატივს ვცემ.

— სოზარის საქმიანობას როგორ აფასებთ?

— მის პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ იმ საქმისთვის, რასაც ემსახურება, ძალიან მეცოდება. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და ხანდახან ისეთი დაქანცული ბრუნდება, რომ ნამდვილად მეცოდება.

— და ბოლოს, რა მესიჯს დაუტოვებთ თქვენს ძმას?

— სოზარ, მთელი ცხოვრება დარჩი ისეთი მართალი და მტკიცე, როგორიც ხარ (*იცინის*)!

■

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, უნდა ჩაერიოს თუ არა მშობელი შვილის პროფესიის არჩევაში?



თამრიკო ჭოხონელიძე:

— მშობელი შვილისთვის ყველაზე კარგი მრჩეველი და ფსიქოლოგია. მიმაჩნია, რომ მშობელი შვილს პროფესიის არჩევაში უნდა დაეხმაროს. ხოლო თუ არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს, მისი შეცვლა კატეგორიული ტონით არ უნდა მოსთხოვოს. შეიძლება მისცეს დარიგება და დაუსაბუთოს, თუ რატომ არ ემხრობა მის გადაწყვეტილებას. პირადად მე, არ მინდოდა, რომ ჩემს ვაჟს სამსახიობოზე ჩაებარებინა, რადგანაც მეშინოდა, იაფფასიანი პოპულარობის ცდუნება არ შეჰყროდა, მაგრამ როცა მისგან მოვისმინე, თუ რატომ აირჩია ეს პროფესია და რას ნიშნავს მისთვის მსახიობობა, წინააღმდეგობა აღარ გამიწევია. მარიამს კი ბავშვობიდანვე ექიმობა უნდოდა. რომ წამოიზარდა, სამედიცინო ლიტერატურასაც კი კითხულობდა. მეც ხელს ვუწყობდი, რომ მისი ნიჭი ამ მხრივ განვითარებულიყო, მაგრამ მისი მომავალი პროფესია შეიძლება ითქვას, რომ მამაჩემმა განსაზღვრა. გარდაცვალებამდე 2 დღით ადრე უთხრა: მარიამ, გირჩევ, სწავლა ვოკალის განხრით განაგრძოო. მან ბაბუის რჩევა გაითვალისწინა.

ჯაჭი, რომელმაც 15000 ქალი ამშობიარა

„ორსული ქალის დანახვისას, დადებითად ვიმუხტები"

მეან-გინეკოლოგ ელგუჯა კოროშინაძეს მუშაობის 30-წლიანი სტაჟის განმავლობაში, წილად ხვდა ბედნიერება, 15000 ჩვილის ტირილი პირველს გაეგონა. „ზოგჯერ ვფიქრობ: ნეტავ, ახლა გადავრჩეთ და ამ საქმეს შევეშვები-მეთქი, მაგრამ როცა ყველაფერი ჩაივლის, ვხვდები, რომ მოდუნების უფლება არ მაქვს", — ამბობს ბატონი ელგუჯა, რომელმაც შესანიშნავად იცის, როგორ დაუამოს მშობიარეს ტკივილი.

ეკა ესართია

— რა ასაკში მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ გინეკოლოგი გამხდარიყავით?

— სკოლის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე, ექიმის პროფესიას დავუფლებოდი, რადგან მაშინ, სამედიცინო ფაკულტეტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სხვათა შორის, ჩემი კლასელების უმეტესობამაც (15-მა კაცმა, მათ შორის, ჩემმა მეუღლემაც) ეს

გინეკოლოგობა ურთულესი პროფესიაა

არა მარტო ლაპარაკი ესმის, არამედ დედის განცდებზეც რეაგირებს

პროფესია აირჩია.

— თქვენი მეუღლეც გინეკოლოგია?

— არა, ის ნევროპათოლოგი გახლავთ... მამაკაცები გინეკოლოგის სპეციალობას იშვიათად ირჩევდნენ და მახსოვს, თუ როგორ ცდილობდა პროფესორი ჩაჩავა, ამ სფეროში რაც შეიძლება მეტი ძლიერი სქესის წარმომადგენელი ჩაერთო. მაშინ, ფაქტობრივად, მეან-გინეკოლოგიაში მანდილოსნებს არც იღებდნენ.

— გარდა პროფესიული ცოდნისა, თქვენ დარგი რა პიროვნულ თვისებებს მოითხოვს?

— გინეკოლოგობა ურთულესი პროფესიაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტად საპასუხისმგებლო მისია მაკისრია, რომელიც ჩემგან დაუღალავ შრომასა და ენერგიას მოითხოვს. მაგრამ მერწმუნეთ, თუ ერთხელ მაინც შეესწარი ჩვილის დაბადებას, შეუძლებელია, გინეკოლოგის პროფესია არ შეგიყვარდეს. ძალიანაც რომ მინდოდეს, ჩემს საქმეს ვეღარ შევეშვები, ამის გარეშე ვერ ვიცხოვრებ.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად დაესწარით მშობიარობას?

— 25-ის.

— თუ შეგიძლიათ, გაიხსენეთ, რა მოხდა მაშინ ახალგაზრდა მამაკაცის ცნობიერებაში?

— იმდღევანდელი ემოცია იმდენად ძლიერი და შთამბეჭდავი იყო, რომ გადავწყვიტე, გენეკოლოგის სპეციალობა ამერჩია. მახსოვს, გართულებული მშობიარობა იყო. ყველანი საშინლად ნერვიულობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ბავშვი დაიბადა, მაგრამ არ ტიროდა. შეგვეშინდა. ცოტა ხნის მერე, ექიმების წყალობით, ჩვილმა ტირილი დაიწყო და ყველამ ამოვისუნთქეთ... სამწუხაროა, რომ ზოგჯერ, სიცოცხლის გადარჩენა ვერ ხერხდება.

— მსგავსი შემთხვევა თქვენს პრაქტიკაში თუ ყოფილა?

— იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ჩვილის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ღვთის წყალობით, დედა არასოდეს დამიკარგავს... როცა რთული მშობიარობაა, დახმარებას ყოველთვის უფალს ვთხოვ. ვამბობ: „ღმერთო, მიშველე!" — და ისიც გვშველის მეც და რა თქმა უნდა, ჩემს პაციენტსაც....

— არასდროს გიფიქრიათ, რომ ძალიან რთულ საქმეს შეეჭიდეთ და ჯობდა, სხვა პროფესია აგერჩიათ?

— როგორ არა! ზოგჯერ, როცა ძალიან მძიმე სიტუაცია იქმნება, ვფიქრობ: ნეტავ, ახლა გადავრჩეთ და ამ საქმეს შევეშვები-მეთქი, მაგრამ როცა ყველაფერი ჩაივლის, ვხვდები, რომ მოდუნების უფლება არ მაქვს.

— ამ ბოლო დროს, საქართველოში შობადობამ იმატა, არა?

— ამ მხრივ სიტუაცია ნამდვილად გამოსწორდა და ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მიუთითებს. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პატრიარქს, რომელიც ყოველ მესამე შვილს ნათლავს და ამით ადამიანებს რაც შეიძლება მეტი შვილის ყოლის სტიმულს აძლევს... ორსული ქალების დანახვისას, დადებითად ვიმუხტები და მიხარია, რომ ჩემი ერი მრავლდება. ხშირად, როცა ქუჩაში ჩემი ძველი პაციენტები მაჩერებენ და იმ ბავშვებს მაცნობენ, რომლებიც პირველად მე ავიყვანე ხელში, სიამაყით ვივსები და პასუხისმგებლობის გრძნობა მიმძაფრდება. ხალხის ნდობა აუცილებლად უნდა გავამართლო! მერწმუნეთ, მთავარია სიყვარული და სიკეთე... წლები მიდის, მედიცინაში კი უკვე სერიოზული მიღწევებია და შეხედულებებიც შეიცვალა. მაგალითად, ახლა დედა შვილს მუცლად ყოფნის პერიოდშივე ელაპარაკება.

— და ჩვილს მისი ლაპარაკი მართლა ესმის?

— არა მარტო ლაპარაკი ესმის, არამედ დედის განცდებზეც რეაგირებს. ნანახი გაქვთ დოკუმენტური ფილმი, სადაც აბორტის პროცესია ასახული? თქვენი აზრით, რატომ გაურბის ნაყოფი სამედიცინო მაშებს, თუკი ვერაფერს გრძნობს?..

— როგორ ხვდებიან დედები ახალშობილებს?

— ეს მართლაც საოცარი სანახაობაა. მშობიარეები ტკივილისგან იტანჯებიან, ამ დროს აღარაფერი უნდათ, მაგრამ საკმარისია, დედას ჩვილი გულზე დაუწვინო, რომ ყველა ტკივილი წამიერად უყუჩდება. დედაშვილობა ენით აუწერელი სიყვარული და ფილოსოფიაა. მინდა, საქართველოში ძალიან ბევრი ორსული დადიოდეს. ■

36 კილომეტრი ქაფი, უნიკალური ქართული ხალიჩა და ფასდაუდებელი საქმე სიღნაღში

საქვეყნოდ ცნობილია ძველებური ქართული ხალიჩების უნიკალურობა. XIX საუკუნემდე ჩვენი წინაპრები ნაცადი წესებით, ბუნებრივი საღებავების გამოყენებით, ათასგვარი ორნამენტით შემკულ ქართულ ხალიჩას ქსოვდნენ. ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ ხალიჩები მხოლოდ მანუფაქტურული წესით იქსოვებოდა და ხელით ქსოვის ტრადიცია თითქმის დავიწყებას მიეცა. დავით ბერაია ის ადამიანია, რომელმაც ეს ტრადიცია თხუთმეტწლიანი დაუღალავი ძიების შედეგად გააცოცხლა. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ თავად ბატონი დავითი მოგვითხრობს.

თორნიკე ყაჯრიმვილი

— მანუფაქტურულად ქსოვასა და ჩვენი წინაპრების წესით ქსოვას შორის იგივე განსხვავებაა, რაც ნაბეჭდ ტექსტსა და ხელნაწერს შორის. პირველ შემთხვევაში, ძაფიც ქიმიური საღებავით — ანელინით იღებებოდა, რომელიც საფრანგეთში 1898 წელს გამოიგონეს, და არა ქართული — საკუნეების მანძილზე გამოცდილი, ნატურალური საღებავებით. კიდევ, მატყლის ძაფის ნაცვლად, ბამბის ძაფით ქსოვდნენ, რადგან ის პრიალაა და მოსაქსოვადაც უფრო იოლია. ხალიჩების წარმოების ამ მიმართულებით განვითარებამ ის გამოიწვია, რომ თითქმის მთლიანად მიივიწყეს ხელით ქსოვის ტექნოლოგია. არადა, ხელით ნაქსოვი ხალიჩა ოჯახში დიდი სიმდიდრეა, მას მზითევშიც კი ატანდნენ. ნებისმიერი აუქციონის ან კერძო კოლექციონერის საიტზე რომ შეხვიდეთ და ნახოთ, რამდენად აქვთ შეძენილი ბიზანტიური, ირანული და მასთან ერთად, ქართული ხალიჩები, გაოცდებით.

— როდის დაინტერესდით ამ საქმიანობით?

— სახლში ძალიან ბევრი ქართული ხალიჩა გვქონდა. ბაბუაჩემი ამ საქმის მცოდნე იყო, მაგრამ მანაც არ იცოდა ძველი, ტრადიციული წესით ქსოვა. როდესაც ის ხალიჩებზე მელაპარაკებოდა, არანაირი ინტერესი არ მქონდა ამ საქმიანობის მიმართ და ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს. როდესაც გავაცნობიერე, რომ მექანიკა-მანქანათმშენებლობა ჩემს ინტერესებში არ შედიოდა, სწორედ მაშინ გამიჩნდა ხალიჩების მიმართ ინტერესი. გადავწყვიტე, მომეძია მასალები ამ დარგის შესახებ. მცირედი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, წავედი თუშეთში. სამწუხაროდ, იქაც, კომუნისტების მიერ დამკვიდრებული წესებით ქსოვენ დღესაც. შემდეგ წავედი ფერეიდანში, სადაც 300 წლის წინ გადასახლებული ქართველები ცხოვრობენ. მათ ჯერ კიდევ, შემორჩენილი აქვთ ძველი ქართული წესები და ტრადიციები, მათ შორის — მამაპაპური წესებით ხალიჩების ქსოვა. ასევე ვიყავი ლაზეთში და იქაურებმა ბევრი რამ მასწავლეს. შემდეგ, შუა აზიას ვესტუმრე. სხვათა შორის, თვლის ამოღება სწორედ იქ, ერთ-ერთმა ქართველმა მასწავლა. თვითონ ირწმუნებოდა, ქართველი ვარო, თუმცა ქართული არ იცოდა, სახელი და გვარიც არ ჰქონდა ქართული, მაგრამ ამბობდა — ქსოვა ბებიამ მასწავლაო. მერე თავისი მოქსოვილი ხალიჩები მიჩვენა... დიდი, მრავალწლიანი შრომის გაწევა დამჭირდა იმისათვის, რომ ძველი ტრადიციული წესით ხალიჩის ქსოვას დავუფლებოდი. მერე შევიძინე ორი საქსოვი დაზგა, რომლებიც „ასაკით“ საუკუნისაა, მაგრამ ჩვეულებრივ, მუშა მდგომარეობაშია; მისი რამდენიმე ანალოგი მე თვითონ დავამზადე. ძველ დაზგებზე გაცილებით უკეთესი პროდუქცია იქსოვება, რადგან რა მასალისგან იყო დამზადებული — ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია: ჩვენი წინაპრები ხალიჩების საქსოვ დაზგებს მხოლოდ ფიჭვისგან ამზადებდნენ. ერთი სიტყვით, დაგროვილმა ცოდნამ საშუალება მომცა, XX საუკუნის ქართული ტრადიციული ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიური პროცესი ზუსტად აღმედგინა. შემდეგ უკვე ამ იდეის განსახორციელებლად, შემომიერთდნენ ქალბატონები: ლაურა (ადმინისტრატორი) და თამარი (მქსოველი). შენობაში, სადაც ახლა ვიმყოფებით, ძველად, ხალიჩების ფაბრიკა ყოფილა და ჩვენც აქ დავიდეთ ბინა, რაც სიმბოლურია.

— რამდენი წელია, რაც ფაბრიკა გაიხსნა?

— უკვე ერთი წელია. სიმბოლურია ისიც, რომ ეს სიღნაღში მოხდა. ასე კარგად რომ არ გაკეთებულიყო ქალაქი, ეს ფაბრიკაც ვერ იქნებოდა იმ დონის, როგორიც დღეს არის. ამ ყველაფერს ძალიან დიდი თანხები დასჭირდა. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი მეცენატს, გია მიქელაძეს, რომელმაც ამ საქმიანობის ეროვნული მნიშვნელობა დაინახა და საკმაოდ სოლიდური თანხა გაიღო.

— მქსოველებად მიღება როგორ ხდებოდა? კონკურსი გამოაცხადეთ?

— რა თქმა უნდა. ამ ხელობის დაუფლების მსურველი 26 გოგონა აღმოჩნდა. აქედან 12-ნი დარჩნენ. ახლო მომავალში ვაპირებთ, მქსოველთა რიცხვი 50-მდე გავზარდოთ. ასაკს ამ საქმის საკეთებლად მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ხელეზეა დამოკიდებული და მხოლოდ ამას ვაქცევთ ყურადღებას. თავიდან ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა. თეორიული ცოდნა კი გვქონდა, მაგრამ პრაქტიკაზე გადასვლამ გამოიწვია ის, რომ მოქსოვილი ხალიჩის რამდენჯერმე დაშლა და თავიდან მოქსოვა გვიწ-

სიმბოლურია ისიც, რომ ეს სიღნაღში მოხდა

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. დანია „ლეგოს“ სამშობლოა.
2. სევილიაში კარმენს უდგას ძეგლი.
3. ლადო ასათიანი წარმოშობით, ლეჩხუმელი იყო.
4. „ზაკუსკა გრადუს კრადიოტ“, — ამბობენ რუსები.
5. არმენ ჯიგარხანიანს 300 როლი აქვს ნათამაშები.
6. ჰიტლერმა დანია 6 საათში დაიპყრო.
7. ტრაგედიის მუზას ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მელპომენე ერქვა.
8. ელექტრობა კუბის დედაქალაქ ჰავანაში პირველად, 1855 წელს გაიყვანეს.
9. ბილ გეიტსის საქველმოქმედო ფონდი 37 მილიარდი დოლარისაგან შედგება.
10. მხატვრულ ფილმ „ტუტსის“ ერთი „ოსკარი“ და სამი „ოქროს გლობუსი“ აქვს მიღებული.
11. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება.
12. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დედამიწის მოსახლეობის ათ პროცენტს სტალინი აკონტროლებდა.
13. ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი მხოლოდ 36 საათი იმყოფებოდნენ ოფიციალურ ქორწინებაში.

14. „ეტიხ კრასავიცხლებომ ნე კარმი, დაიღიმ კავონიბუდ პოსტრაშნეე“, — მხრებს იჩეჩავს ევგენი პეტროსიანი.
15. ოსვენციმში მომუშავე ნაცისტი ექიმი იოზეფ მენგელი ყველაზე მეტად, ტყუპებზე ჩატარებული ცდებით იყო დაინტერესებული.
16. 100 მილიონი ადამიანი მსოფლიოში ნარკოტიკების მომხმარებელია. ნარკომოვაჭრეების ყოველწლიური მოგება მსოფლიო მასშტაბით, 50 მილიარდ დოლარს აღემატება.
17. „აბიდნა! დასადნა! ნო ლადნა! ლადნა! ლადნა!“ — ყვიროდნენ რუსი გულშემატკივრები ესპანეთის გუნდთან მათი ნაკრების დამარცხების შემდეგ.
18. სოკრატე იმდენად იძირებოდა ხოლმე საკუთარ ფიქრებში, რომ ერთხელ მთელი დღე-ღამე გაატარა ადგილიდან ფეხმოუცვლელად.
19. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენციის ეზოში ბერლინის კედლის სამი ფრაგმენტი დგას, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშიში დაპირისპირებ-

დაზგაზე კეთდება ქსელი, შემდეგ თვლების ამოყვანით და დაგვირისტებით სრულდება ქსოვის პროცესი

ევდა. მუშაობის პროცესი რამდენადაც სასიამოვნოა, იმდენადვე ძალზე შრომატევადიცაა. წარმოიდგინეთ, ერთი პატარა შეცდომისთვის ორისამი დღის ნაქსოვი რამდენიმე წუთში უნდა დაშალო. საღამოს სახლში რომ მივდიოდით, ყველანი იმაზე ვფიქრობდით, თუ როგორ უნდა მიგვეღწია უკეთესი შედეგისთვის. დილით კი იდეებით დახუნძლულები მოვდიოდით და ვბჭობდით...

— მქსოველის შრომის ანაზღაურება როგორია?

— გამომუშავებით, თვეში 200 ლარის ფარგლებში გამოდის.

— ერთ ხალიჩაზე რამდენი ადამიანი მუშაობს?

— ერთი ან ორი. ჟარგონს გამოვიყენებ — იშვიათობაა, რომ „დამუღამებული“ ხელი მეორე ადამიანის ხელს შეეწყოს. მაგრამ ჩვენ გვყავს ორი ქალი, რომლებსაც ერთნაირი ხელი აქვთ და ორჯერ ნაკლებ დროს ანდომებენ, ვიდრე ერთი მქსოველი. ერთი ადამიანი ხალიჩის მოქსოვას სამ თვეს ანდომებს.

— ხალიჩის რა და რა სახეობები არსებობს?

— რამდენიმე განსხვავებული დიზაინია. მაგალითად: არსებობს ხალიჩის დიზაინი, რომელსაც ჰქვია „ლამბალო“ ანუ „ლამაზი ბალი“. ბლის კუნწულები ჩარჩოშია ჩასმული და აქედან გამომდინარე ჰქვია სახელიც, ხოლო გული ცარიელი აქვს. პირველად ასეთი ხალიჩა მარნეულის რაიონში, ერთ-ერთ ოჯახში ვნახე. ოჯახის უფროსი ამ საქმის კარგი მცოდნე იყო და ამიხსნა: „ლამბალოს“ ხალიჩას ქსოვდნენ გასათხოვარი გოგონები და თავიანთ მომავალ საქმროებს უძღვნიდნენ: ამით ეუბნებოდნენ, — ხელსაქმე კარგად ვიციო; ხალიჩის ცარიელი გული კი იმას ნიშნავდა — გული თავისუფალი მაქვსო. ყველა ხალიჩას რაღაც ნახატი და ორნამენტი აქვს, რომელიც თავისებურ დატვირთვას შეიცავს. არსებობს ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული ხალიჩებიც. ჩემ მიერ მოქსოვილ პირველ ხალიჩას „სიცოცხლის ხე“ დავარქვი. მასზე გამოსახულია ქართული ბორჯღალი, რომელიც ვანში აღმოჩენილი, ქალის სამკაულიდან გადმოვიღე. ეს ხალიჩა იტალიელებმა შეიძინეს და ლოს-ანჯელესში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-კონკურსზე წაიღეს. ერთი თვის წინ კი მომივიდა წერილი, რომ ჩემმა მოქსოვილმა ხალიჩამ პირველი ადგილი დაიკავა კონკურსში. ამან, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა. ჩვენი მოქსოვილი ხალიჩები ყველა ექსკლუზივია, კეთდება მხოლოდ საქართველოში, ჩვენთან და არსად სხვაგან.

— რა პროცედურებს გადის ხალიჩა, საბოლოო სახის მიღებამდე?

— პირველ რიგში, ხდება მატყლის მოპოვება, შემდეგ — მოპოვებული მატყლით ძაფის დართვა, ღებვა და ბოლოს — ქსოვა. სანამ ხალიჩა საბოლოო სახეს მიიღებს, საკმაოდ ბევრი პროცედურა უნდა გაიაროს. პირველი: დაზგაზე კეთდება ქსელი, შემდეგ თვლების ამოყვანით და დაგვირისტებით სრულდება ქსოვის პროცესი. მთავარი საქმე შემდეგ იწყება: დასრულებული ხალიჩა ირეცხება განსაკუთრებული წესით — საჭიროა ფერის დაწვა ანუ — გამდინარე წყალში უნდა მოხდეს ხალიჩის გარეცხვა. ამ პროცესში, მატყლს რაც ზედმეტი ფერი აქვს, წყალი „წვავს“ და რაც ხალიჩაზე რჩება, ის ნამდვილი, ნატურალური ფერია. ჩვენთან წყალიც ისეთია, რომ თვითონ ასრულებს დაწვის პროცესს. ხალიჩა მხოლოდ გამდინარე წყალში ირეცხება. შემდეგ ვაუთოებთ და ამის შემდეგ იღებს საბოლოო სახეს. ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, XIX საუკუნემდე, ამ წესით კეთდებოდა.

— ხალიჩის მოსაქსოვად რა მასალას იყენებთ?

— მასალად მხოლოდ ქართულ მატყლს ვიყენებთ. ხალიჩები ორი ჯგუფის მატყლისაგან იქსოვება. დასაქსელი ძაფისთვის ვიყენებთ ხნიერი ცხვრის მატყლს, რადგან ხნიერ ცხვარს უფრო მაღალი, უხეში და გამძლე ბეწვი აქვს. საქსოვი ძაფისთვის, აუცილებლად, ცხვრის პირველ ნაკრეჭს ვიყენებთ, რადგან ახალგაზრდა ცხვარს გულისპირიდან მუცლამდე ყველაზე ფაფუკი და რბილი მატყლი აქვს. ასეთი მატყლისგან მოქსოვილი ხალიჩა წლების განმავლობაში უფრო ფაფუკი, ნაზი და გაცილებით ძვირფასი ხდება, რადგან მატყლი ხალიჩაში ვარდის კოკორივით იშლება. ახალი ხალიჩა ხუთი წლის შემდეგ აბსოლუტურად სხვა სახეს იღებს და ამიტომ — ხუთი წლის შემდეგ, იმავე ხალიჩას 10%-ით მაღალ ფასში ვყიდულობ.

— რა საღებავებს იყენებთ მატყლის შესაღებად?

— მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ საღებავებს. ყველა ფერს ვერ გაგიმხელთ, რადგან ფირმის საიდუმლოა, მაგრამ ერთ-ერთი ფერი დამისახელეთ და გიპასუხებთ.

— მაგალითად, წითელი...

— წითელი ფერი ორი გვაქვს — მუქი და ღია. მუქ წითელს ვიღებთ ენდროსგან, სხვა ინგრედიენტების შენაერთით, მაგრამ მთავარი კომპონენტი მაინც ენდროა. ღია წითელს, რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობს, მხოლოდ თურაშაული ვაშლის ფესვებიდან ვიღებთ. ამ ფერის მსგავსად, აბსოლუტურად ყველა ფერი, ნატურალური

და ბუნებრივი ინგრედიენტებით გამოგვყავს. რაც შეეხება ფერის გამძლეობას, ამის 100%-იან გარანტიას ვიძლევი.

— მატყლი ქართულია თუ უცხოეთიდან ჩამოგაქვთ?

— მხოლოდ და მხოლოდ ქართულ მატყლს ვიყენებთ. მას ვერც ახალზელანდიური, ვერც ინგლისური და ვერც მერინოსის მატყლი შეედრება. ეს მარტო ქართველებმა კი არ ვიცით, ირანშიც მითხრეს, — ბადიაურში კარგი მატყლია, რომელიც ხალიჩის საქსოვად ყველაზე მაღალი ხარისხის არის და იქნებ ჩამოგვიტანოო. კახეთში რომ ყველაზე კარგ ღვინოს აყენებენ, ამას რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს — მზე განსაკუთრებულ ფოკუსს იჭერს და ამიტომაც, იქ მოყვანილი ყურძნისგან უნიკალური ღვინო დგება. მის მსგავსად, საქართველოში არის ისეთი ადგილები — იორმუღანლო, ბადიაური — სადაც მზე ისეთ ფოკუსს იჭერს, რომ კარგი ბალახი იზრდება და იმ ბალახს მძოველ ცხვარს, ხარისხიანი მატყლი აქვს.

— ერთი ხალიჩის მოქსოვას რამდენი მატყლი სჭირდება?

— მარტო დაქსელვისთვის საჭიროა თორმეტი კილომეტრი ძაფი. რაც შეეხება მთლიანი ხალიჩის მოქსოვას, ოცდათექვსმეტი კილომეტრი ძაფია საჭირო. სამი კვადრატული მეტრი ზომის ხალიჩას ათი კილო ძაფი სჭირდება. ეს ხალიჩა უნიკალურია ამ თვალსაზრისითაც, რომ მასზე დაწოლის შემდეგ, არანაირი წელის ტკივილი არ შეგაწუხებთ. ჩვენი წინაპრები, პატარა ბავშვებს უფენდნენ აკვნის ქვეშ, ჯანმრთელები რომ გაზრდილიყვნენ.

— ხალიჩის ესკიზებს ვინ ქმნის?

— მე ვხატავ. ძველი ხალიჩების მოდიფიკაციას ვაკეთებთ — ხან ზომას ვცვლი, ხან რაიმე ორნამენტს ვუმატებ და ა.შ. ვცდილობ, ერთფეროვნებას გავექცე. ანალოგებს ვქსოვთ, მაგრამ განსხვავებულ დეტალებს მაინც ვუმატებთ. ამასთან ერთად, შეუძლებელია აბსოლუტურად მსგავსი ხალიჩის მოქსოვა.

— რეალიზაციას სად უწევთ?

— ვერ ავუდივართ შეკვეთებს, რადგან ერთი ხალიჩის მოქსოვას სამი თვე სჭირდება. შეკვეთა გვაქვს იმდენი, რომ მართლა რიგი გვიდგას. ადრე ყველა ოჯახში ასეთი სამი-ოთხი ხალიჩა მაინც ჰქონდათ. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს პროდუქციას ქართველი ხალხი თითქმის არ ყიდულობს. ჩვენი კლიენტების უმრავლესობა უცხოელია. შეკვეთები გვაქვს ამერიკის, შვედეთის საელჩოებიდან. ცოტა ხნის წინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა წაიღო შეკვეთილი ხალიჩა. ჩვენ შესახებ ინფორმაცია, სამწუხაროდ, ძალზე მწირია და ქართველი მყიდველის ნაკლებობაც ალბათ ამით აიხსნება..

— რა ღირს საშუალო ზომის ხალიჩა?

— ფასი დამოკიდებულია თვლების რაოდენობაზე, რამდენად უხვი ფერებია გამოყენებული და ასევე — ზომაზე. საშუალოდ, 300-დან 1.500 ლარამდეა მათი გასაყიდი ფასი.

— დამთვალიერებელი თუ შემოდის და რითი ინტერესდება?

— ძალიან ბევრი დამთვალიერებელი შემოდის. მათ, როგორც წესი, არანაირი ინფორმაცია არა აქვთ ტრადიციული ხალიჩების ქსოვის კულტურაზე. სწორედ ამიტომ, თხუთმეტი წელია, ვმუშაობ სპეციალურ წიგნზე, რომელიც ჯერ არ გამომიცია, თუმცა მზად მაქვს. ის ყველა მსურველს დაეხმარება, უფრო მეტი შეიტყოს და ისწავლოს კიდეც ხალიჩის ქსოვა. არსებობს დოკუმენტური მასალები, რომლებიც მომავალმა თაობამ არ უნდა დაკარგოს.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— სამომავლოდ, სამტრედიაში ვაპირებთ ფაბრიკის გახსნას, რადგან როგორც ყველგან, იქაც ბევრი დაუსაქმებელი ადამიანია. ჩვენში ეს საქმიანობა კარგად რომ განვითარდეს, უამრავი ხალხი დასაქმდება. მატყლი ძალიან იაფია და საქმიანობა — მომგებიანი. ორასი ქალი რომ დავასაქმოთ, თვეში დაახლოებით ორმოცი ხალიჩა მოიქსოვება. ორმოცი ხალიჩის რეალიზაცია კი არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ორასი ადამიანის ოჯახში ორასი ლარი შევა ყოველთვიურად. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს საქმიანობა აუცილებელია ჩვენი ხალხისთვის. ეს ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს. როდესაც ამ ყველაფერს გავაკეთებთ, მაღაზიებსაც გავხსნით, რათა ქართული ხალიჩა თითოეულ ადამიანამდე მივიდეს. ფაბრიკის გვერდით სასტუმროს გახსნასაც ვგეგმავთ. პირველ სართულზე გვექნება ღვინის მარანი და სასადილო. ჩამოსულ უცხოელებს ჩავუტარებთ გაკვეთილებს და შევასწავლით ქართული ხალიჩის ქსოვას. მათ მოქსოვილ პატარა ნიმუშებს კი თან გავატანთ. ჩვენ გვყავდა ორი უცხოელი გოგონა, ერთი კანადიდან იყო, მეორე — ამერიკიდან. მათ ქსოვაც შევასწავლეთ და თან გავატანეთ თავიანთი მოქსოვილი პატარა ხალიჩები. ■

ანალოგებს ვქსოვთ, მაგრამ განსხვავებულ დეტალებს მაინც ვუმატებთ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი: *უბის წიგნაკიდან:*

ის, „ცივი ომის“ ნადავლი.

20. „იმ გრძნობებიდან, რომელიც ადამიანს აქვს, არსებობს მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც სხვა დანარჩენთა ფასი გახვრეტილი „გროშია“, — ამბობდა მოემი ფულის შესახებ.

21. ამა თუ იმ ცხოველის, მწერის, რეპტილიის, ქვეწარმავლის, ბაქტერიებისა თუ მიკრობების შიშს ზოოფობია ჰქვია. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებაა მთელ მსოფლიოში. ყოველი მეათე ადამიანი დედამიწაზე ზოოფობიით არის დაავადებული. ამ სენს შეუძლია, ჯოჯოხეთად უქციოს ადამიანს ცხოვრება.

22. რენე დეკარტს მოსამსახურე ქალ ელენასგან, რომელთანაც ექვსი წლის განმავლობაში ჰქონდა ფარული ურთიერთობა, ქალიშვილი ფრანსინა შეეძინა. განსაკუთრებული მზრუნველობისა და მამობრივი სიყვარულის მიუხედავად, ფრანგი ფილოსოფოსი საზოგადოებაში ქალიშვილს თავის ნათესავად ასაღებდა. ხუთი წლის ასაკში ფრანსინა გარდაიცვალა, რამაც მძიმე დაღი დაასვა დეკარტის ცხოვრებას.

23. 1914 წელს შემოღებული მშრალი კანონი ბოლშევიკებმა გააუქმეს, მაგრამ შემდგომში თავად გახდნენ იძულებულნი, მასობრივი ლოთობის წინააღმდეგ რაიმე ეღონათ. სახალხო კომისარმა რიკოვმა წამოაყენა ლოზუნგი: „სნიზიმ გრადუს, უდარიმ პო პიანსტვუ!“ — და ბოლშევიკებმაც შედარებით სუსტი, 30-გრადუსიანი არყის ჩამოსხმა დაიწყეს — არად დაგიდევდნენ, რომ არყის ოპტიმალური სიმაგრე 40 გრადუსი თავად დიმიტრი მენდელეევის მიერ იყო დადგენილი. ამ არაყს ხალხმა მოგვიანებით, „რიკოვკა“ შეარქვა.



24. ადმირალი ფრენსის დრეიკი დიზინტერეით გარდაიცვალა. ყოფილი მეკობრე ტყვიისგან დამზადებულ კუბოში ჩაასვენეს და კარიბის ზღვაში ჩაუშვეს. დაკრძალვის ადგილზე მამაცი ადმირალის პატივსაცემად, ინგლისელებმა მტრისთვის წართმეული რამდენიმე ესპანური გემიც ჩაძირეს.

25. რესტორანში საქეიფოდ შესული ანდრია ბალანჩივაძე დამკვრელებს ფულს გადაუგდებდა და ეტყოდა: სანამ აქ ვიქნებით, თქვენი ხმა არ გავიგო!.. P.S. სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი ხელოვანი, ისე გახდა კომპოზიტორთა კავშირის თავჯდომარე, რომ კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა.

მარო ბებო და მისი ხელით მოჩუქურთმებული ავეჯი....

მანდილოსნები მამაკაცის ურთულეს პროფესიებს ხშირად წარმატებით არომევენ თაქს. ალბათ ჯარისკაცი, მოკრივე ან თუნდაც ფეხბურთელი ქალების საქმიანობით ვეღარავის გაგაკვირვებთ, მაგრამ როდესაც მარო ბებოს გატაცების შესახებ შეიტყობთ, მერწმუნეთ, გაოცებას ვერ დაფარავთ. მარო ბეჟუაშვილი კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, წინანდალში სტუმრობისას გავიცანი. როდესაც მისმა რძალმა ჭიქა ყავაზე დამპატიჟა და სასტუმრო ოთახში შემიძღვა, ჩემი ყურადღება ლამაზმა, ორიგინალურად მოჩუქურთმებულმა ავეჯმა მიიპყრო.

ხათუნა ბახტურიძე

მასპინძელთან საუბრისას გაირკვა, რომ ავეჯი, ჭაღები და კარ-ფანჯარაც კი მისი დედამთილის ანუ მარო ბებოს გაკეთებული ყოფილა. ვინაიდან თავად შინ არ იყო, ინტერვიუს ჩასაწერად ბეჟუაშვილების ოჯახს, საღამოს ისევ ვესტუმრე და კიდევ ერთი საოცრების მომსწრე გავხდი: 75 წელს მიტანებული დურგალი ქალბატონი წიგნს სათვალის გარეშე კითხულობდა.

— ქალბატონო მარო, სათვალის გარეშე კითხვა არ გიჭირთ?

— არა, შვილო, რად უნდა მიჭირდეს. ეს არის ჩემი ნუგეში. ადრე მეტი ძალ-ღონე მქონდა და სამუშაოდან დაბრუნებული ათას რამეს ვჩხირკედელაობდი. ახლა შინ რომ მოვალ, მარტო წიგნის კითხვა მინდა.

— ძირითადად, რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ?

— რომანებს, სათავგადასავლო ისტორიებს და დეტექტივებს.

— ჟურნალ-გაზეთებს თუ კითხულობთ?

— იშვიათად, წვრილად წერია და კარგად ვერ ვხედავ.

— დურგლობა სად ისწავლეთ? ალბათ, მამის ან ძმის დამსახურებაა.

— არა, მამა არ მახსოვს, ადრე დაიღუპა. ერთი ღანცალა ძმა მყავდა, იმას დურგლობის არაფერი გაეგებოდა. პატარა რომ ვიყავი, დედამ სახლის გადასახურავად ხელოსანი მოიყვანა. მე მას სამუშაო იარაღს ვპარავდი, საქონლის გომურში შემქონდა, რაღაცებს ვაკეთებდი და მერე ისევ თავის ადგილზე ვუწყობდი. სულ უკვირდა — ასე მალე რა აჩლუნგებს ამ ოხერ იარაღსო?! აი, ასე ვისწავლე სკამების გაკეთება. ცოტა, რომ წამოვიზარდე და სწავლა დავიწყე, ურმისა და კევრის გამოჩარხვაც ვისწავლე. სკოლას თუ რამე სჭირდებოდა, ყველაფერს ვაკეთებდი, ურთულესი ფორმის ჩუქურთმებს ვჭრიდი.

— ხაზვაც იცოდით?

— როგორ არ ვიცოდი, ხაზვაში სულ ხუთები მყავდა.

— სწავლის გაგრძელებაზე არ ფიქრობდით?

— როგორ არ ვფიქრობდი, ძალიანაც მინდოდა. ჩემი დეიდაშვილი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, დედას სთხოვდა, მასთან გავეშვი. ჰპირდებოდა, რომ სწავლისათვის ყველა პირობას შემიქმნიდა, მაგრამ დედამ არ გამიშვა. ისე კი ძალიან ახტაჯანა ვიყავი. მოვაჯდებოდი ცხენს და აქეთ-იქით დავქროდი. გავთხოვდი და ქმარიც დურგალი შემხვდა. ოჯახში რომ შევედი, პატარა რიკულებიანი სახლი დამხვდა. ეს ორსართულიანი სახლი კი, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, მარტო მე და ავთომ (*ავთომ მის მეუღლეს ერქვა. — ავტ.*) ავაშენეთ. ქვიშას ჩემი კაცი მიზიდავდა, კედლები კი მე ამომყავდა. ბოლოს, შარვალი ჩავიცვი, ქუდი დავიხურე და სახლის ჭერიც მე გადავხურე. მეზობლები რომ ამოივლიდნენ, დამიძახებდნენ — გამარჯობა, ავთოო! მე კი მარტო ხელს ავუწევდი. სახლის აშენებას რომ მოვრჩით, დენიც შევიყვანე და ეზოს კარიც გავმართე.

— დენი როგორ შეიყვანეთ, ამის გაკეთებას ხომ სპეციფიკური ცოდნა უნდა?

— ელექტრობოძიდან კედლამდე, სხვას შემოვაყვანინე. მერე, ოთახებში თავად გადავანაწილე და ჩამრთველებიც დავაყენე. ჩემი მეუღლე, სკამებზე კერძო შეკვეთებს იღებდა, მაგრამ ვინ აცლიდა რამის გაკეთებას. ის რომ სამსახურიდან ბრუნდებოდა, სკამებს გაკეთებულს ვახვედრებდი. ერთი ბეწო ეზო მქონდა, რა უნდა მეკეთებინა? დავაძინებდი ბავშვს და ვჩხირკედელაობდი. ჩემი

ადრე მეგი ძალ-ღონე მქონდა და სამუშაოდან დაბრუნებული ათას რამეს ვჩხირკედელაობდი

შვილებისათვის აკვნებიც თავად გამოვთალე. ისეთი ლამაზები გამომივიდა, სხვებმაც მთხოვეს. მეც მეტი რა მინდოდა, ვაკეთებდი და ვაკეთებდი, მერე ზოგს საჩუქრად ვარიგებდი, ზოგსაც ვყიდდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კაცი დურგალი იყო, სახლისათვის საჭირო ნივთების კეთება არ უყვარდა. აქ რასაც ხედავთ — სკამები, მაგიდა, კარადები, სამუშაო იარაღი — ყველაფერი ჩემი გაკეთებულია.

— ამ ყველაფერს რითი აკეთებდით, ჩარხი ან რაიმე ხელსაწყო გქონდათ?

— არა შვილო, რა ჩარხი, დანით „ვჩიჩქნაობდი“.

— არც სახელოსნო გქონდათ?

— ჩემი ქმრისეულა სახელოსნო მქონდა. ზაფხულში იქ ვმუშაობდი, ზამთარში კი „ფეჩთან“ ვიჯექი და ისე „ვჩიჩქნაობდი“. მოგვიანებით, შვილი რომ დამეღუპა, დარდის გასაქარვებლად ახალ-ახალ რაღაცებს ვიგონებდი. ნარდი პირველად მაშინ გამოვთალე. ეს ხელსაქმე რომ არა, დარდი გულს შემიჭამდა... საოცრად კარგი შვილი დავკარგე. უნიჭიერესი გოგო იყო, თავისი საქმე საუკეთესოდ იცოდა.

— როგორ დაიღუპა?

— რუსთავის ქიმიურ ქარხანაში მუშაობდა. დაწინაურებას უპირებდნენ, მაგრამ წინადღეს მოშურნეებმა ცემით მომიკლეს. მაგის მერე, რამდენჯერმე საეკლესიო ნივთებიც გავაკეთე.

— ეკლესიაში დადიხართ?

— ვერა. უფლის რწმენა გულში მაქვს, მაგრამ მღვდლის არ მჯერა.

— როგორც თქვენმა რძალმა მითხრა, ქირით სამუშაოდ დადიხართ. დურგლობას თავი რატომ დაანებეთ?

— მასალა აღარ მაქვს, თან ისე უფრო კარგ ფულს ვაკეთებ. ჩვენს სოფელში ნინო ანანიშვილს ასი ჰექტარი ვენახი აქვს აღებული. მისი მუშა ვარ. კარგად მიხდის, შვილებისათვის ხელებში ყურება არ მჭირდება, ჩემი ფული ყოველთვის მაქვს.

— სოფლის ახალგაზრდები თქვენ საქმიანობით არ ინტერესდებიან?

— კი, როგორ არა. მუშები, რომლებიც ჩემთან ერთად ანანიაშვილის ვენახებში მუშაობენ, ხშირად მთხოვენ, მათთვის კალათები დავწნა, მაგრამ მასალის მოსატანად ტყეში ვეღარ დავდივარ. ახალგაზრდა რომ ვიყავი, რამდენიმე საქმეს ერთდროულად ვაკეთებდი. ვენახში მუშაობის დროს წნელს ვაგროვებდი, მერე იქვე დავდგებოდი, თან ვენახზე მეჭირა თვალი და თან კალათებს ვწნავდი.

— თქვენს ხელობას შვილებს და შვილიშვილებს არ ასწავლით?

— ახლოსაც არ მეკარებიან და როგორ ვასწავლო? მარტო იმას მეკითხებიან — რასა ჩხირკედელაობო?! ჩემს შვილებს იატაკის საწმენდ ჯოხებსაც კი მე ვუმართავ. ■

მეგობრებად ქცეული დარდი, წუხილი და დეპრესია

„გზის“ №25-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ბავშვებთან, რომლებიც რესპუბლიკის მოედანზე მდებარე შადრევანთან ისხდნენ და „გულს იგრილებდნენ“. მათ ისაუბრეს გართობაზე, თინეიჯერულ პრობლემებზე და ასევე, თავიანთ მეგობარზე — დიტოზე, რომელიც არატრადიციული ორიენტაციის გახლავთ. ამ ინტერვიუმ, ისევე, როგორც გიო-გიოს მესიჯმა, მკითხველებს უბიძგა იმისკენ, რომ საკუთარი გულისტკივილი ჩვენთვის გაეზიარებინათ.

„ხელი ვჯარი მაშინ, როცა შეიძლებოდა, სწორ გზაზე დამდგარიყო“

ლიკა ქაჯაია

გიორგი, *22 წლის:*

„მე არატრადიციული ორიენტაციის ვარ და მინდა, ჩემი განცდების, გრძნობებისა და სულიერი ტკივილის შესახებ გიამბოთ. ცხოვრება უკვე მომბეზრდა (თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია), ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. საკუთარ თავში ვეღარ გავრკვეულვარ, გაორებული კი არა, მილიონ ნაწილად ვარ დაყოფილი. აზრებს, ფიქრებს თავს ვეღარ ვუყრი, ჩემ გარშემო ყველაფერი ერთ დიდ უაზრობად, სიმახინჯედაა ქცეული და ამ სიმახინჯეში ჩაძირული, მისგან თავს ვერ ვაღწევ. „სიცოცხლე“ — რა ლამაზი სიტყვაა, მაგრამ მე კი ვარ სიცოცხლის ღირსი?! ეჰ, არც სიკვდილი მიხსნის ამ ტანჯვისგან. ვეძებ დამნაშავეს, მაგრამ ვერ მიპოვია. ალბათ, ყველაზე დიდი დამნაშავე თავად ვარ. რეალობას სწორად ვერასდროს აღვიქვამდი, მისგან ხშირად გავრბოდი და თავს ოცნებებს ვაფარებდი. ოცნებებში კი ბედნიერი ვიყავი, რადგან ყველაფერს ისე ვხატავდი, როგორიც მინდოდა, ყოფილიყო. მაგრამ ეს იყო წარსულში, ახლა აღარც ოცნება შემიძლია და სიზმრებშიც აღარ ვარ ბედნიერი. ჩემნაირები, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანებში მხოლოდ ზიზღს იწვევენ და დაცინვის ობიექტები ხდებიან. ამას სხვას როგორ ვუსაყვედურებ, როცა თავადაც მეზიზღება საკუთარი თავი... მაგრამ რა ვქნა, ასეთად გავჩნდი! მომავლის ძალიან მეშინია. საიქიო მომავლისაც, რადგან ვიცი, იქაც საუკუნო სატანჯველი მელის... ძალიან დიდი მსახიობები ვყოფილვართ ადამიანები, განსაკუთრებით მე, რადგან ისე ვთამაშობ, ჯერ ჩემში ეჭვი არავის შეუტანია, მაგრამ ყველაფრით დავიღალე, სული გამიუბედურდა. დარდი, წუხილი, დეპრესია ჩემს საუკეთესო მეგობრებად იქცნენ, მაგრამ ირგვლივ მყოფები ამას ვერ ამჩნევენ, რადგან სახეს ყალბი ღიმილი მინათებს, სულში ჩახედვის საშუალებას კი თქვენ გარდა, არავის ვაძლევ. თუმცა აძას არც არავინ ცდილობს. ზოგჯერ მინდება, მთელი სამყაროს გასაგონად ვიყვირო: რატომ ვარ ასეთი? რატომაა ჩემი სული და სხეული სრულიად განსხვავებული? ნეტავ, ასეთი რომ არ დავბადებულიყავი, როგორი ცხოვრება მექნებოდა? ნუთუ, ჩემი წილი ბედნიერების ღირსი არ ვარ? ალბათ, არა. დამნაშავედ ვგრძნობ თავს იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც ვუყვარვარ და ჩემგან ყოველთვის წესიერებას ელიან. რომ გაიგონ, მათგან განსხვავებული ვარ, გაგიჟდებიან, ძალიან დაიტანჯებიან, იმედი გაუცრუვდებათ, ეს კი ნამდვილად არ მინდა და ამიტომაც ვიტანჯები. ამბობენ, გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლებაო, მაგრამ ვერაფერსაც ვერ ვპოულობ. ის კი არა, ღმერთსაც ვერ ვთხოვ დახმარებას, რადგან ამის უფლება არ მაქვს. ლიკა, დიდი ბოდიში, მარტო შენ რომ გწერ ჩემს ტკივილს. ბედნიერად“.

ელენე, *15 წლის:*

„პატარა ვიყავი, როცა ჩემი ძმა (იგი ჩემზე 10 წლით უფროსია) და მისი მეგობარი ოთახში ჩაიკეტნენ და მათთან სათამაშოდ არ შემიშვეს. მახსოვს, როცა იმ ოთახში ჩემი მშობლები შევიდნენ, საშინელი ყვირილი ატყდა. მერე დედას გული წაუვიდა, მამა კი შვილს მოკვლით ემუქრებოდა. ამ ამბის შემდეგ, ძმა არ მინახავს. რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ ის გეი ყოფილა. ძალიან განვიცადე და უფალს მადლობა შევწირე იმისთვის, რომ ჩემ გვერდით არ იზრდებოდა... რამდენიმე ხნის წინ ძმამ სკოლაში მომაკითხა და ჩემთან დალაპარაკება სცადა. არ ვიცი, რა უნდოდა, რადგან ახლოს არ გავიკარე. სხვათა შორის, დღეს ამ საქციელს ძალიან ვნანობ, რადგან მგონია, რომ რაღაც უჭირდა, მე კი ხელი ვკარი მაშინ, როცა შეიძლებოდა, სწორ გზაზე დამდგარიყო. შეიძლება, ვცდები და მას მხოლოდ ჩემთან ურთიერთობა უნდოდა და არა არჩეული გზის შეცვლა, მაგრამ ვამბობ იმას, რაც მინდა, მოხდეს. იმედი მაქვს, ის თქვენი ჟურნალის მკითხველია და მინდა, მივმართო: თუ შეიცვლება, მივიღებ, თუ არა და, სამუდამოდ წავშლი ჩემი ცხოვრებიდან, რადგან მის გამო ძალიან მრცხვენია“.

პაწო:

„მე მყავს არატრადრადიციული ორიენტაციის მეგობარი — ნიკა, რომელიც ძალიან კარგი მეგობარია. ის თბილი ადამიანია და თავისი მუშტებით ბევრ ნამდვილ მამაკაცს დაჩაგრავს. მიუხედავად ამისა, სულაც არ მეამყება, რომ ცისფერია. პირიქით, ამას მშობლებისა და ახლობლებისგან საგულდაგულოდ ვმალავ... ის კლასში ბევრ გოგოს მოსწონს და მათ არ სჯერათ, რომ ნიკას ქალები არ აინტერესებს. ამას წინათ გაიცნო ბიჭი, რომელთანაც სერიოზული ურთიერთობა აქვს. მის პარტნიორს არ ვიცნობ, რადგან ამის არავითარი სურვილი არ მაქვს. ზოგჯერ, როცა მათ ერთად წარმოვიდგენ, გულის რევის შეგრძნება მეუფლება, მაგრამ მხოლოდ ორიენტაციის გამო, ნამდვილი მეგობრის დაკარგვა არ შემიძლია და იმედი მაქვს, ამის გამო არ გამკიცხავთ“.

იკუმკები:

„მოკლედ, მას შემდეგ, რაც ამ თინეიჯერების ინტერვიუ წავიკითხე, საფიქრალი გამიჩნდა. მათი ცხოვრების სტილი მხოლოდ ცხოვრების ბრალია. ვერ ვიტყვი, რომ მათ ასაკში მეც ასეთი ექსტრემალური და კატეგორიული ვიყავი, მაგრამ ალბათ დამერწმუნებით, რომ 6 წლის წინ სულ სხვა სიტუაცია იყო და ასეთ თვითნებობას ვერ ვბედავდით. მათი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოვიტანე: არ მოსწონთ ცხოვრების ასეთი წესი და მხოლოდ იმიტომ არიან ქუჩაში, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ. მინდა, მათ მშობლებს მივმართო: მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ შვილებს. გარდატეხის ასაკში მოზარდებს სითბო და მხარდაჭერა სჭირდებათ. თქვენი მოვალეობა მხოლოდ შვილის მატერიალური უზრუნველყოფით არ ამოიწურება... თინეიჯერებს ვურჩევ, მშობლებზე გაბრაზებულებმა საკუთარ თავს ზიანი არ მიაყენონ. საკმაოდ ჭკვიანი და მოაზროვნე თაობა მოდის, მათ ერთმანეთის გატანაც იციან და კარგსაც და ცუდსაც უფროსებზე უკეთ არჩევენ ერთმანეთისგან... გაურკვეველი ორიენტაციის ახალგაზრდების მომრავლება ნამდვილად არ მახარებს, მაგრამ ყველასა და ყველაფრის გამართლება შესაძლებელია. ასე რომ, ერთმანეთს პატივი ვცეთ!“

მშობლები – ნინო მიქელაძე და დავით ლორთქიფანიძე

რომ „მოქალაქე დავით გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე, 1941 წ. 14 ოქტომბერს დააპატიმრეს. ბრალად ედებოდა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) და 72 (საბუთების გაყალბება) მუხლებით. მამა, დავით ლორფქიფანიძე 1942 წ. 10 ივნისს, თათრეთის ავტონომიურ რეს-პუბლიკაში, ქ. ჩისტოპოლის ციხეში გარდაიცვალა. ხოლო ამავე წლის სექტემბერში, დანაშაულის უქონლობის გამო, სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა და დავით ლორთქიფინაძე, რეაბილიტირებულია“. სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს. ასეთი „ცნობა“, ათიათასობით ადამიანს აქვს მიღებული. რამდენი დაიხვრიტა, რამდენი გარდაიცვალა გადასახლებაში, რამდენი ბავშვი დარჩა უპატრონოდ. რატომ?!

— იმ დროს ეკლესიურობა საში-ში იყო. ოჯახებშიც ცდილობდნენ, ხატები დაემალათ ან საერთოდ გაექროთ. თქვენს ოჯახში თუ იყო ხატები?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ორი ოთახი გვქონდა. შედარებით უფრო დიდ ოთახში, კარადა ირიბად იდგა, რომლის უკან, კედელზე ორი ხატი ეკიდა: ერთი — XVIII საუკუნის ქართული, მეორე — XIX საუკუნის რუსული, რომელიც ხის ჩარჩოში იყო ჩასმული. ამ ხატებთან დედა დროდადრო სანთლებს ანთებდა, ბებიები ლოცულობდნენ. დედა დიდუბის ეკლესიაში დადიოდა. ანეტა — ანა ბებია, როდესაც თბილისში იყო (ის ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც საკუთარი ორი სახლიდან, ერთ-ერთში ერთი ოთახი დაუტოვეს), დადიოდა ვერაზე, ლურჯი მონასტრის გვერდით მდებარე რუსულ ეკლესიაში, რომელიც მთელ უბანში ერთადერთი მოქმედი ეკლესია იყო. ბებიას ეკლესიაში მეც დავყავდი. როდესაც სახლში ვბრუნდებოდით, სულ მეუბნებოდა: სკოლაში არავისთან წამოგცდეს, რომ ეკლესიაში იყავიო.

ბებია – ანა მიქელაძე

— საინტერესოა, ძველი ხატები ახლაც თქვენთან ინახება?

— ამ ხატებთან დაკავშირებით, ერთ პიკანტურ ამბავს მოგიყვებით: როდესაც გიგამ ახალი ბინა მიიღო და მისი ოჯახი საცხოვრებლად საბურთალოზე გადავიდა, ქეთინომ, გიგას მეუღლემ, ახალი, ლამაზი ხატი შეიძინა. ერთხელაც, გიგას ბინა გაქურდეს, სხვა ნივთებთან ერთად ის ორი ძველი ხატიც წაიღეს. ახალს ხელი არ ახლეს. როდესაც გიგას ჰკითხეს, ეჭვი ხომ არავისზე გაქვთო? — თქვა: ეჭვი აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეზე მაქვს, რადგან იმ ძველი ხატების ფასი მხოლოდ მას შეიძლება სცოდნოდაო. ეს რომ ბატონ ვახტანგს ვუთხარი, სიცილით კინაღამ გაიგუდა (ჩანს, ქურდებმაც იცოდნენ მისი ფასი).

— საინტერესოა, გაიხსენოთ, ვინ იყვნენ თქვენი პედაგოგები სკოლასა და უნივერსიტეტში?

— წილად მხვდა ბედნიერება, მყოლოდა შესანიშნავი პედაგოგები, სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც. სკოლაში (ყოფილი 25-ე, ამჟამინდელი 53-ე), დაწყებით კლასში — დედის ნათესავი, ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, დავით მეველის ქალიშვილი — ნინო მიქელაძე გვასწავლიდა. ახლაც ვფიქრობ, რომ იგი ჩვენთვის მასწავლებლის ეტალონი, განათლებული, ბავშვების მოყვარული ქალი იყო. მეხუთე კლასიდან რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა, გვესაუბრებოდა ევროპულ ლიტერატურაზეც. ის ჩვენთვის არა მარტო მასწავლებელი, არამედ მეგობარიც იყო. მოსწავლეებმა დეიდა ნინოსთან ბოლომდე თბილი ურთიერთობა შევინარჩუნეთ. დეიდა ნინო და მისი და (ორივე უშვილო იყო) ყოფილმა მოწაფეებმა დავასაფლავეთ. მინდა გავიხსენო ქართულის მასწავლებელი (V-X კლასებში), ჩვენი დამრიგებელი, ბატონი ონოფრე ნიკოლეიშვილი. წელიწადში ერთხელ, არ მახსოვს, რომელ დღეს, კლასში შემოსვლის შემდეგ იტყოდა: დღეს ჩემი მასწავლებლის, სილოვან ხუნდაძის დაბადების დღეა, გთხოვთ, ფეხზე წამოდგეთ და პატივი მივაგოთ მის ხსოვნასო. ჩვენ ვდგებოდით, მაგრამ მაშინ საკმაოდ ირონიულად ვიყავით განწყობილი ამ ფაქტის მიმართ. გვიან მივხვდი, რომ ის მასწავლებლის პატივისცემას გვიღვივებდა. გეოგრაფიას ოლია ჭეიშვილი გვასწავლიდა, ცნობილი ლოგიკოსის — ზურაბ მიქელაძის დედა. ჩვენს დროს ისტორია, როგორც ცალკე საგანი, სკოლაში არ ისწავლებოდა. გვასწავლიდნენ ე.წ. „საზმეცს“ (*საზოგადოებრივი მეცნიერებები. — ავტ.*). დღემდე არ ვიცი, ეს რა იყო. ისტორიას, ფაქტობრივად, დეიდა ოლია გვასწავლიდა. ყველა ქვეყნის გეოგრაფიის გაკვეთილის წინ, იმ ქვეყნის ისტორიას გვიყვებოდა... სკოლაში შევიძინე მეგობრები, რომლებთანაც გავატარე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება და რომელთა მხარში დგომამაც ბევრი რამ გადამატანანინა. სკოლის დამთავრების შემდეგ (1939), კლასის მეგობრების ერთმა ჯგუფმა: ოთარ ჯაფარიძემ, გივი კილურაძემ, ნუგეშა მაყაშვილმა, ჟუჟუნა ლეჟავამ და მე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შესვლა გადავწყვიტეთ. ბევრი რამ მომცა უნივერსიტეტმა. გვიკითხავდნენ შესანიშნავი ლექტორები: სიმონ ჯანაშია (საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, თამარის მეფობის ჩათვლით), ნიკო ბერძენიშვილი XIII-XVIII სს-ის საქართველოს ისტორიას გვიკითხავდა; ევროპის ისტორიას — ალექსანდრე ნამორაძე; რუსეთის ისტორიას — იასე ცინცაძე... ყველანი თავ-თავისი დარგის საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ... არასოდეს დამავიწყდება ბატონ სიმონთან, ასპირანტურაში მუშაობის სამი წელი. ეს უდიდესი სკოლა იყო. ასპირანტურაში ერთად ვიყავით მე და შოთა

ბურჯანაძე — შესანიშნავი ისტორიკოსი, რომელიც სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1947 წლის თებერვლიდან, ბატონმა სიმონმა მიმიყვანა თანამშრომლად ისტორიის ინსტიტუტში, სადაც ჩვენი ეროვნული აკადემიის რეფორმა-რეორგანიზაციამდე ვმუშაობდი (უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერი მუშაკი, განყოფილების გამგე, კონსულტანტი). იქ იყვნენ საუკეთესო ისტორიკოსები. ისტორიკოსად რომ ჩამოვყალიბდი, ეს იმ განყოფილებაში მუშაობის შედეგია. მქონდა ბედნიერება, ბატონ გიორგი წერეთელთან ურთიერთობისა. თუ რაიმე გავაკეთე ან რამეს მივაღწიე, ამაში დიდია მათი წვლილი.

— თქვენ და თქვენი ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყავით. ბევრი ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს, რომ იმ დროს, კომუნისტების ეპოქაში, თქვენ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდით.

— არ არის მართალი. მე ყოველთვის შემეძლო (იყო შემოთავაზებები), დამეკავებინა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა, მაგრამ ეს არასოდეს მნდომებია. ყოველთვის ვემსახურებოდი და ვემსახურები ჩემს საქმეს. ერთდროულად ვმუშაობდი ისტორიის ინსტიტუტში, უნივერსიტეტში; ამავე დროს, უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს საღამოს განყოფილებაზე და მატერიალურად, ასე თუ ისე, არ გვიჭირდა... რომ გითხრათ, ფუფუნებაში გავზარდე ჩემი სამი შვილი (ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი), არ იქნება მართალი. სანამ ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი არ გაუცვდებოდათ ან არ გაიხეოდა, მანამდე ახალს არ ვყიდულობდი. ზაფხულობით, ჩემი უფროსი ქალიშვილი თამარი და ბიჭები — დავითი და გიორგი, ქვიშხეთში ან წაღვერში ვისვენებდით. ვიქირავებდით ხოლმე ერთ ოთახს და თბილისიდან სატვირთო მანქანით, რომელიც ქვაბებით, ლეიბებითა და სხვა საჭირო ნივთებით იყო სავსე, ჩავდიოდით იქ. ასე რომ, დამერწმუნეთ, განსაკუთრებულ ფუფუნებაში არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ ყოველთვის მქონდა ის, რაც საჭირო და აუცილებელი იყო იმ კონკრეტულ დროს.

— 85 წლის ბრძანდებით (ასაკს თვითონ ქალბატონი მარიამი არ მალავს), მაგრამ შესაშურად აქტიური, პოპულარული, საინტერესო და რაც მთავარია, სასიამოვნო ქალბატონი ხართ. რაშია თქვენი ენერგიულობის საიდუმლო?

— (*იცინის*) რა გითხრათ?! ჩემი ძმა, გიგაც ასე არ არის? ის ხომ ოთხმოცი წლისაა და მაინც საოცრად აქტიურია. მინდა გითხრათ, რომ მე და გიგას, მთელი ცხოვრება ერთნაირი შეხედულება და დამოკიდებულება გვქონდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მიმართ და მე ეს ძალიან მახარებს.

და-ძმა — მარიამ და გიგა ლორთქიფანიძეები

— ვის და რას მიიჩნევთ ყველაზე ძვირფასად თქვენი ცხოვრების გზაზე და თუ გაქვთ აუსრულებელი ოცნება?

— ყველაზე ძვირფასი ჩემი ოჯახია, ჩემი ბავშვობა — დედა, მამა, ორივე ბებია, ჩემი ძმა... ბავშვობისდროინდელი სიტკბო და სიხარული დღესაც მათ-ბობს. ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემი სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და შვილთაშვილია. რაც შეეხება აუსრულებელ ოცნებებს, აუ, იცით, რამდენია?! მაგრამ ამაზე ალბათ ცოტა უხერხულია ჩემი მხრიდან ლაპარაკი...

როგორც უკვე მოგახსენეთ, ქალბატონი მარიამი ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 2008 წელს „განათლების დარგში წლის ქალბატონად“ აღიარა: „პატივცემულო დოქტორო ლორთქიფანიძე, — ასე იწყება ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი წერილი, — მაქვს დიდი პატივი, პირადად გამცნოთ, რომ წარდგენილი ბრძანდებით 2008 წლის „განათლების დარგში წლის ქალბატონად“. წარმატებული პიროვნებების მოღვაწეობის გლობალური კვლევის შედეგად, ინსტიტუტის საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა თქვენი წარდგენა ნომინაციაზე. ასეთი ნომინაციის ჩატარების საფუძველი ჩვენი ინსტიტუტის 41 წლის მუშაობის და ერთი მილიონი ბიოგრაფიის შესწავლის შედეგია.

საბჭო ასეთ პიროვნებებს არჩევს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა უნივერსიტეტსა და ორგანიზაციასთან ურთიერთობის შედეგად.

ერთობ რთული ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ ვინ იქნებოდა რჩეული განათლების სფეროში. თქვენ ხართ ის რჩეული პიროვნება, ვინც გაიმარჯვა ამ ნომინაციაში, ასობით კანდიდატურის განხილვის შემდეგ, გილოცავთ!“

წერილს ხელს აწერს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის პრეზიდენტი ჯ.მ. ევანსი.

■

ლონეების „ბაზრობა“

ვიდრე სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა იმის შესახებ მსჯელობს, დაუშვას თუ არა კლონირება, სამხრეთ კორეის სპეციალისტები ინტერნეტაუქციონს აწყობენ, რომელსაც „ისევ საუკეთესო მეგობრები“ ეწოდება. პროექტის ავტორები საიტის მომხმარებელს მათი შინაური ცხოველების „მკვდრეთით აღდგომას“ სთავაზობენ. აუქციონზე მხოლოდ და მხოლოდ 5 ლოტია წარმოდგენილი. თითოეულის სასტარტო ფასი კი 100.000 დოლარია. ასე რომ, ძაღლების თავგადაკლულ მოყვარულთ ფსონის გაზრდა მოუწევთ, რათა მეცნიერებმა არჩევანი სწორედ მათ ოთხფეხა მეგობარზე შეაჩერონ. ცხოველების კლონირებისა და ინტერნეტაუქციონის მოწყობის იდეა კომპანიას — BioArts და სუამის ბიოტექნოლოგიური კვლევის ფონდს ეკუთვნის. პროექტის წამყვანი სპეციალისტი პროფესორი ხვან უ სუკი ერთ დროს, ადამიანის ღეროვან უჯრედებთან დაკავშირებული კვლევის შედეგების ფალსიფიცირებაში ამხილეს. ამ სკანდალმა მეცნიერს ვერაფერი დააკლო და მან ავღანური მწევრის, სნუპის კლონირებაში მიიღო მონაწილეობა.

■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ფრინველის გრიპმა ფრინველების დახოცვა შეწყვიტა და უფრო მოუხელთებელი გახდა

„გადამფრენი ფრინველები ფრინველის გრიპის ვირუსს მიეჩვივნენ და მისგან აღარ იხოცებიან. ეს, ვირუსული ინფექციის აფეთქებებს კიდევ უფრო უკონტროლოს გახდის, რადგან ახლა უკვე კლინიკურად ჯანმრთელ ფრინველებს ფრინველის გრიპის ახალ ტერიტორიებზე გავრცელება შეუძლიათ“, — აცხადებს რუსეთის ვირუსოლოგიის სახელმწიფო-სამეცნიერო ცენტრ „ვექტორის“ კათედრის გამგე ალექსანდრ შესტოპალოვი. მეცნიერის თქმით, 51 ვირუსი უწინდებურად საშიშია, ხოლო ბოლო ხანებში ფრინველის გრიპის დაფიქსირებული აფეთქებების რაოდენობის შემცირება ფრინველთა პოპულაციაში იმ გარდაქმნით აიხსნება, რომელიც მხოლოდ ნეგატიურ შედეგებამდე თუ მიგვიყვანს.

„დღესდღეობით, გარეული ფრინველები ვირუსით ისე მასობრივად აღარ იხოცებიან, როგორც 2005 წელს. ფრინველები ვირუსის კლინიკურად ჯანმრთელი მატარებლები ხდებიან, რაც უკვე ხარისხობრივად სხვა სიტუაციაა, — აცხადებს მეცნიერი, — ერთი მხრივ, ვირუსისადმი მდგრადობა ფრინველების დასნებოვნებას ამცირებს; მეორე მხრივ კი ასეთ ფრინველებს ფრინველის გრიპის ახალ ანუ ისეთ ადგილებში გადატანა შეუძლიათ, სადაც ის ადრე არ დაფიქსირებულა. ეს კი ვირუსოლოგებს მხოლოდ საქმეს თუ ურთულებს, რადგან ახლა მონიტორინგი იმ რეგიონებშიც აუცილებლად უნდა ჩატარდეს, სადაც ფრინველის გრიპის აფეთქება ადრე არასდროს ყოფილა“. ■

მსოფლიოში შიდსის მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება



გასულ წელს მსოფლიოში აივ-ინფექციით 2,5 მილიონ ადამიანზე მეტი დასნებოვნდა; კიდევ 2,1 მილიონი კი შიდსის დიაგნოზით გარდაიცვალა. აივ-ინფექციის სამკურნალო თანამედროვე წამლები დაახლოებით მილიონი ავადმყოფისთვის გახდა ხელმისაწვდომი. სწორედ ასეთი მონაცემები დაფიქსირდა ახლახან, ნიუ-იორკში გამართულ აივ/შიდსის გლობალური პანდემიის პრობლემებისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე. მასზე სიტყვით გამოსულმა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა დანანებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, მსოფლიო საზოგადოებრიობის ძალისხმევა პანდემიის მასშტაბებს უწინდებურად არ შეესატყვისება და მთელი რიგი რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლეზე აივ-ინფექციის ზემოქმედება მომავალშიც გაიზრდება.

UNAIDS-ის მონაცემებით, სადღეისოდ ანტირეტროვირუსულ თერაპიას აივ-ინფექციით დასნებოვნებულ პაციენტთა მესამედზე მეტია მოკლებული.

დაზუსტებული მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში სულ მცირე 33 მილიონი აივ-ინფექციის მატარებელია. მეცნიერთა შეშფოთებას ის ფაქტიც იწვევს, რომ აივ-ინფექციით დასუსტებული იმუნური სისტემის მქონე ავადმყოფებში 50-ჯერ უფრო მაღალია მეორე საშიში ინფექციით — ტუბერკულოზით დასნებოვნების რისკიც.

აივ-ინფექციით ყველაზე უფრო შეჭირვებული მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენას საგრძნობლად ართულებს ნავთობსა და სხვა ენერგომატარებელებზე ფასების ზრდა. კონფერენციაში მონაწილე ამერიკის ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონის თქმით, ნავთობზე ფასების ამასწინანდელმა გაზრდამ მთელი რიგი ქვეყნებისათვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან დახმარების მცდელობები სრულიად გააუფასურა და მკვეთრად გაზარდა სიღატაკის ზღვარზე მდგარი და საშიში ინფექციებისგან ყველაზე დაუცველი ადამიანების რაოდენობა. ■

როგორ მოვიმაჯოთ სიმაღლეში

მაღალ ადამიანებს ყველა დროში უფრო ჯანმრთელად, ძლიერად და მიმზიდველად მიიჩნევდნენ. შეიძლება, ამაში მართლაც იყო სიმართლის ნაწილი, რადგან სიმაღლე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იკვებებოდა ბავშვობასა და მოზარდობისას არა მარტო თავად კონკრეტული ადამიანი, არამედ შესაბამისი გენეტიკური თავისებურებების ჩამომყალიბებელი მისი წინაპარიც. საკვების მოპოვება კი როგორც წესი, ძალასთან, სიმარდესა და საზრიანობასთანაა დაკავშირებული. თუმცა ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან სიმაღლის კავშირის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების შედეგები მაინც საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავია. უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის გამოკვეთილი დამოკიდებულება საერთოდ არ არის აღმოჩენილი.



ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ყველაზე მაღალი ადამიანი ამერიკაში 1918-40 წლებში მცხოვრები რობერტ პერშინგ უოდლოუ იყო, რომლის სიმაღლეც 272 სანტიმეტრს აღწევდა. ჩვენს დროში პირველობა 257 სმ სიმაღლის უკრაინელ ლეონიდ სტადნიკს ეკუთვნის.

დადგენილია, რომ მაღალი ადამიანები საზოგადოდ უფრო მაღალი ინტელექტის მქონენიც არიან. თუმცა ეს დამოკიდებულება სტატისტიკურია — ანუ სრულებითაც არ არის აუცილებელი, ნებისმიერ ტანმორჩილ ადამიანს, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები ჰქონდეს. მაგალითად, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I, რომელმაც ევროპის დიდი ნაწილი დაიპყრო, სხვადასხვა მონაცემით 150-160 სანტიმეტრი ანუ საშუალოზე დაბალი იყო; ხოლო ჩინეთის გენერალურ მდივან დენ სიაოპინისთვის ტანდაბლობას (მისი სიმაღლე სულ რაღაც 155 სანტიმეტრი ანუ საშუალო ჩინელი მამაკაცის სიმაღლეზე 13 სანტიმეტრით ნაკლები იყო) ქვეყნის ეკონომიკის ძირეულ შეცვლაში, „საბაზრო სოციალიზმის“ კონცეფციის შექმნასა და ამ გზით მსოფლიო ბაზრისთვის ჩინეთის გახსნაში ხელი არ შეუშლია.

სიმაღლეს ადამიანის თვითაღქმაზეც აქტიური ზემოქმედება შეუძლია. 2004 წელს, შვედეთში დასრულებულმა ერთ-ერთმა მასშტაბურმა და მრავალწლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ თვითმკვლელობათა სიხშირე ადამიანის სიმაღლის უკუპროპორციულია. 18-დან 49 წლამდე ასაკის 1299177 შვედი მამაკაცის მონაცემების გაანალიზების შემდეგ, მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიმაღლის 5 სანტიმეტრით გაზრდა სუიციდის რისკს 9%-ით ამცირებს; ხოლო თვითმკვლელობათა სიხშირე ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ ადამიანთა ჯგუფებში ერთიორად განსხვავებულია.

ერთი შეხედვით, სიმაღლისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება, შეიძლება უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ, რადგან ადამიანები ერთმანეთისგან სიმაღლეზე მეტად, სხვა ანთროპომეტრული მაჩვენებლებით (წონით, თეძოების გარშემოწერილობით, მხრების სიგანითა და ა.შ.) განსხვავდებიან. მაგრამ თუ გამოთქმას — „ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ ყურება“, ანდა ფიზიკულტურის გაკვეთილზე სიმაღლის მიხედვით მოწყობას გავიხსენებთ, სიმაღლის ფსიქოლოგიური როლიც უმალ გასაგები ხდება.

საიდან იზრდება ფეხები?

ზრდის პროცესი ადამიანის ორგანიზმში რამდენიმე ჰორმონული სისტემით რეგულირდება. მას უშუალოდ ჰიპოფიზის ჰორმონი — სომატოტროპინი — იგივე ზრდის ჰორმონი აძლევს სტიმულს. სომატოტროპინი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამომუშავდება, თუმცა მისი მაქსიმალური რეპროდუქციულობა მოზარდობის პერიოდზე მოდის. ფიზიკური სიმწიფის მიღწევის შემდეგ, სომატოტროპინის გამომუშავება თანდათანობით იკლებს. ეს ჰორმონი, მსგავსი თვისებების მქონე, ზრდის ინსულინისმაგვარი ფაქტორი-1-ის (ИФР-1) გამოყოფასაც ასტიმულირებს.

სიმაღლის მომატება ძირითადად ეგრეთ წოდებული გრძელი ძვლების დაგრძელების ხარჯზე ხდება. ბავშვებსა და მოზარდებში ამ ძვლების ბოლო მონაკვეთები (ეპიფიზები) ძვლებისგან კი არა, ხრტილოვანი ქსოვილისგან შედგება. ეს ხრტილები (ზრდის ზონები) სომატოტროპინისა და ИФР-ს-ის ზემოქმედებით აგრძელებს ძვლებს და შესაბამისად, ადამიანის სიმაღლესაც ზრდის. იმავე ჰორმონების წყალობით, პროპორციულად იზრდება ყველა დანარჩენი ორგანო და ქსოვილიც.

თანდათანობით ხრტილოვანი ქსოვილიც ძვლოვანით (ეპიფიზები ძვლოვანდება) იცვლება. ამ მომენტიდან ზრდის პროცესი ჩერდება და სიმაღლეში მომატება, სომატოტროპინის ან სხვა პრეპარატების შეყვანით შეუძლებელია. მამაკაცებში ეს, ჩვეულებრივ, 23-25 წლის, ხოლო ქალებში — 21-23 წლის ასაკში ხდება. უფრო გვიან, ხერხემალშორისი დისკებისა და მენჯ-ბარძაყის მონაკვეთების კონფიგურაციის შეცვლის შედეგად, სიმაღლე — პირიქით, შეიძლება შემცირდეს.

ჰორმონებს არა მარტო სიმაღლის მომატება, მისი შემცირებაც შეუძლია. მაგალითად, ბავშვებში ფარისებრი ჯირკვლის ანდა სასქესო ჰორმონების სიჭარბე ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას, ზრდის ზონების დროზე ადრე გაძვალებას და, შესაბამისად, ტანდაბლობას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ჰორმონები ყველა ადამიანის ორგანიზმში გამომუშავდება, მათ მაინც სხვადასხვანაირი სიმაღლე აქვთ. გამარტივებული სახით „ზრდის ფორმულა“ ასე გამოიყურება: მემკვიდრეობას პლუს კვება და მინუს სტრესული ფაქტორები. ანუ ზრდის გარკვეული ჩარჩოები ყველა ადამიანში გენეტიკურადაა ჩადებული, ხოლო მათი რეალიზების დონე ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში კვების სრულფასოვნებასა და სტრესული ფაქტორების (ავადმყოფობები, ფსიქოლოგიური სტრესები, ბუნებრივი ფაქტორები) ზემოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ დამოკ-

იდებულების დაკვირვება რთული არ არის. კერძოდ, ევროპის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობა, მთლიანობაში, აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე უფრო მაღალია. ყველაზე უფრო მაღალი ადამიანები ჰერცოგოვინაში, ჩერნოგორიასა და ხორვატიის სანაპიროზე (იქ მამაკაცების საშუალო სიმაღლე 186 სანტიმეტრია) და ნიდერლანდებში (185 სმ) ცხოვრობენ. თავიანთი სიმაღლით, ასევე ნილოსის ნაყოფიერ ნაპირებზე მცხოვრები აფრიკული ხალხები — დინკა, მასაი და ტუტსი არიან ცნობილნი. ყველაზე ტანმორჩილები ავსტრალიელი პიგმეები (იქ ზრდასრული ადამიანის საშუალო სიმაღლე 150 სანტიმეტრს შეადგენს) არიან.

მაშ, რა ვიღონოთ?

ნაპოლეონისა და დენ სიაოპინის მაგალითები ყველა ტანმორჩილ ადამიანს როდი ჰგვრის შვებას. მეტიც — ზოგიერთ მათგანს სიმაღლეში გაზრდა აკვიატებულ იდეადაც კი ექცევა ხოლმე. ამიტომაც ამ მოთხოვნაზე დაფუძნებული მთელი ინდუსტრიაც არსებობს. მისი ძირითადი წინადადებები წამლებსა და ბიოდანამატებს, კომპლექსურ ვარჯიშებსა და ტრენაჟორებს, ფეხების დაგრძელების ოპერაციებს მოიცავს.

აბები

როგორც უკვე ითქვა, ეპიფიზის გაძვალების (ოც წელზე ოდნავ უფროს ასაკში) შემდეგ, ადამიანის სიმაღლეში გაზრდას ვერანაირი პრეპარატი ვეღარ შეძლებს. ამიტომაც, ნებისმიერი ასეთი წინადადება, საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანს უბრალოდ არაფერს ავნებს. ხოლო თუ ზრდასრული ადამიანის ზრდის ჰორმონის სტიმულირებას შეეცდებით, მას განუვითარდება დაავადება, რომელსაც სახელად აკრომეგალია ჰქვია. გარეგნულად ის ძვლებისა და ტერფების გადიდებასა და, აგრეთვე, სახის ნაკვთების დამსხვილებაში გამოიხატება, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ადამიანს სილამაზეს ნამდვილად არ მატებს.

ფიზკულტურა

კომპლექსური ვარჯიშებისა და ტრენაჟორების, ხერხემლისა და მენჯბარძაყის მყესების დაჭიმვის ხარჯზე, სიმაღლეში ოდნავ მომატება ნამდვილად შესაძლებელია. მაგრამ ამ მეთოდის შესაძლებლობები ანატომიური თავისებურებებითაა შეზღუდული. ჯერ ერთი, ამ გზით გაზრდის შესაძლებლობა სხვადასხვა ადამიანში სულ სხვადასხვაგვარია და მეორეც, ძალზე იშვიათია ერთ-ორ პროცენტზე მეტით სიმაღლის მომატება.

ოპერაცია

დაბოლოს — ფეხების ქირურგიული დაგრძელება. ეს ყველაზე ეფექტური და ამავდროულად, ყველაზე რთული და ძვირად ღირებული მეთოდია. ის სიმაღლეში 7-8 სანტიმეტრით გაზრდის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდის გამოყენებისას სხვადასხვა დონეზე იხერხება ადამიანის კანჭის დიდი და პატარა ძვლები, რომელსაც შემდეგ არაერთი სხვა რთული პროცედურაც მოსდევს.

ასეთი „ზრდის“ პროცესი სწრაფი არ არის და სიმაღლის 5-6 სანტიმეტრით გაზრდას 5-7 თვე მაინც სჭირდება. თუმცა ეფექტი უეჭველად მიიღწევა და ადამიანიც უფრო მაღალი (და, თანაც, საკუთარი ძვლების ხარჯზე) ხდება. ■

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა



თქვენთვის, ქალბატონებო!

გამოხმაურება

„ერთია გადასულისა თესილ-თესილი ბარიერი და იმისთანა იყო, ვინც ძალიან გიყვარს"

მარინა ბაბუნაშვილი

რუბრიკა — „ცხოვრება" ერთი თვეა, რაც „გზის" ფურცლებზე იბეჭდება. ბოლო წერილმა — „გადაულახავი ბარიერი" — რეკორდი მოხსნა: მას ყველაზე მეტი გამოხმაურება მოჰყვა. ტელეფონით შემეხმიანა აფხაზეთიდან დევნილი 66 წლის სოხუმელი ქალბატონი ნონა, რომელმაც მითხრა: ბევრი ტკივილი და დარდი გადავიტანე, ყველაფერს შევეჩვიე, ამიტომ ემოციებს იოლად აღარ ვყვები, მაგრამ ნუციკოსა და გურამის ამბავმა ამატირა; ჩემგან გადაეცით, რომ ამ ლამაზ გრძნობას ხელი არ კრან, ისინი მხოლოდ ერთად იქნებიან ბედნიერებიო.

მსგავსი შინაარსის მესიჯები გამოგვიგზავნეს სხვებმაც. ყველა აღტაცებულია ნუციკოთი და რჩევებსაც აძლევს. ყველას, რა თქმა უნდა, ვერ დავბეჭდავთ, ამის გამო ნუ გაგვინაწყენდებით. მომავალში თქვენს შეხედულებებსაც გამოვამზეურებთ...

„...მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მხოლოდ 13 წლის ვიყავი, კარგად მახსოვს ეს წერილი — „სიყვარულმა შენჩემობა არ იცის". „კვირის პალიტრაში" ძალიან მომწონდა რუბრიკა — „თქვენთვის, ქალბატონებო" და ყველა ნომერს მოუთმენლად ველოდი ხოლმე. განსაკუთრებით ნანაზე ნათქვამი ეპითეტი დამამახსოვრდა — „უღმერთოდ ლამაზი". არც არასოდეს დამვიწყებია ეს ამბავი და ყოველთვის მაინტერესებდა მისი ფინალი. მე ახლა 19 წლის ვარ. ბევრი ჩემი თანატოლი კითხულობს ამ რუბრიკას და სწორადაც იქცევა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უფროსების მიერ განვლილი გზა და მათ შეცდომებზე ვისწავლოთ. მინდა, ნუციკოს მივმართო: ნუციკო, კითხვა — „რას იტყვის ხალხი?" — ხშირად უკან გვხევს და ყველაზე ძვირფასს გვათმობინებს. გავა წლები და მერე გვიპყრობს სინანული — „რატომ დავიხიე უკან?". დიდი სიყვარული ხომ მოსაფერებელი და გასაფრთხილებელია?! დაფიქრდი! ნუ გაწირავ პირად ბედნიერებას. ჯერ არ არის გვიან, ამიტომ ორივე კარგად დაფიქრდით. ნათია. თბილისი".

„ნუციკო, შენი მონათხრობი წავიკითხე და ძალიან დამწყდა გული. ჩემი აზრით, გურამს უნდა შეურიგდე. მართალია, დიდი შეცდომა დაუშვა, მაგრამ უნდა აპატიო. ორივე იტანჯებით და საბოლოოდ, ხომ უნდა მორჩეს ეს ტანჯვა-წამება! იყავით ერთად! უფლის ძალა და მადლი არ მოგკლებოდეთ. ნანა. 18 წლის".

„გამარჯობა, მარინა! მიხარია, რომ „გზაშიც" დაიწყეთ ცხოვრებისეული ამბების ბეჭდვა. დედაჩემი „კვირის პალიტრის" განსაკუთრებით კი თქვენი რუბრიკის ერთგული მკითხველია და უდიდეს პატივს გცემთ. გმადლობთ, საინტერესო ამბების მოწოდებისთვის.

ახლა კი ჩვენი წერილის მთავარ პერსონაჟს მივმართავ: ნუციკო, ძალიან კარგი ადამიანი ჩანხარ, ამიტომ მთელი გულით თანაგიგრძნობ და მინდა, რჩევა მოგცე. მართალია, გურამმა შეცდომა დაუშვა და გული გატკინა, მაგრამ რადგან ერთხელ აპატიე, იქნებ, კიდევ ერთხელ დაგეხუჭა თვალი ცუდზე და საკუთარ ბედნიერებაზეც გეფიქრა. სხვებს ნუ მიაქცევ ყურადღებას, რაც უნდათ, ის თქვან. ხალხი ასეთია: ილაპარაკებს, ილაპარაკებს და მერე გაჩუმდება. აბა, წარმოიდგინე, გურამის პატარა შვილს როგორ უჭირს უდედობა, როგორ სჭირდება მას შენი სითბო და სიყვარული. იცოდე, ხალხის გამო უარი არ თქვა საკუთარ ბედნიერებაზე. დრო წარმავალია. ნუ გაუშვებ ხელიდან შანსს, რომელსაც ცხოვრება ერთხელ (ან ორჯერ) გვაძლევს. გაბედე და გაჰყევი გურამს. მჯერა, რომ ბედნიერი მეუღლე და დედა იქნები. სულმოუთქმელად ველი შენს ამბავს. ამ რუბრიკას („პალიტრაშიც" და „გზაშიც") სულ ვკითხულობ, მაგრამ პირველი ხარ, რომელსაც ვეხმიანები. წარმატებებს გისურვებ. ხატია ხატისაშვილი, 19 წლის, მანავიდან".

„ნუციკო, ჩემო უფროსო დაიკო, რა კარგი ადამიანი ყოფილხარ, ბევრი შენს ადგილზე გაბოროტდებოდა, დასაც შეიძულებდა და ყველას მიმართ ნდობას დაკარგავდა. შენ კი საოცრად სათნო და მიმტევებელი ხარ, ამიტომაც დიდ პატივს გცემ. სიამოვნებით გაგიცნობდი, რამდენი რამის სწავლა შეიძლება შენგან! ბევრი ფიქრი და ჭოჭმანი არ გინდა. დაუბრუნდი

გურამს, მას უყვარხარ. ის შეცდა, მაგრამ განა, არსებობს შეუცდომელი ადამიანი? შენ უდავოდ იმსახურებ ბედნიერებას.

ანუკი, *17 წლის, სურამი".*

„მარინა, ამ რუბრიკისთვის მადლობა მინდა გადაგიხადო. შენ ამ პუბლიკაციებით ადამიანებს სირთულეების დაძლევაში ეხმარები. პირადად მე, ამ ამბების წაკითხვის შემდეგ სტიმული მეძლევა, რომ პრობლემებს თავი არ წავუხარო და ბედნიერი მომავლისთვის ვიბრძოლო.

ნუცა, მე თქვენზე ბევრად პატარა ვარ, მაგრამ ცხოვრებამ დიდი გამოცდა მომიწყო. ბევრი რამ ვისწავლე. გულით გთხოვ, ნუ იტყვი უარს ბედნიერებაზე. შენი წერილიდან ჩანს, რომ მხოლოდ გურამთან იქნები ბედნიერი. ჰოდა, გადადგი მისკენ ნაბიჯი.

ელე, *24 წლის".*

„მარინა, მინდა გითხრათ, რომ „გზა" ყოველთვის მომწონდა, თქვენი მოსვლით კი უფრო უჩვეულო და საინტერესო გახადეთ. ძალიან მიყვარხართ. რაც შეეხება ნუციკოს, მისმა ამბავმა ძალიან ამაფორიაქა და მინდა ვუთხრა: ნუცა, უარს ნუ იტყვი დაბრუნებულ სიყვარულზე. შენ უიშვიათესი ქალი ხარ და ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებ. გაჰყევი ცოლად გურამს და ერთ დღესაც ნუ გაატარებ მის გარეშე. მასთან ერთად სიყვარულით სავსე დღეები გელოდება წინ, რომელიც წარსულის ყველა ტკივილს უკვალოდ გააქრობს.

მანჩო, *24 წლის, თბილისი".*

„მარინა, შვილო, მე შენი ძველი ნაცნობი ვარ, სიმონი ჭიათურიდან. თუ გახსოვთ, ჩემს მეგობარზე წერილი გამოგიგზავნე და დაბეჭდე „კვირის პალიტრაში". მართალი გითხრა, „გზას" არ ვკითხულობდი, რადგან ის უფრო ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი მეგონა, უფრო მსუბუქი თემებით. გამიხარდა, როცა გავიგე, რომ „გზაშიც" დაიწყე ბეჭდვა. წავიკითხე და ძალიან მომეწონა, ნუციკოს ამბავი ემოციურია და ლამაზი. 68 წლის კაცს თუ დამეჯერება, ვურჩევ, ცუდი აღარ გაიხსენოს და გურამს გვერდში დაუდგეს. ამ სამიდან ყველაზე მეტად ხომ გურამი დაისაჯა?! ისინი ბედნიერებას იმსახურებენ. ლამაზ ცხოვრებას ვუსურვებ. პატივისცემით, სიმონ კუპატაძე, ჭიათურა".

„ნუციკო, აზრი არა აქვს თქვენს ცალ-ცალკე ყოფნას. ბედნიერებისთვის უნდა იბრძოლო. გირჩევ, მოძღვართან მიხვიდე და რაც მარინას უამბე, მასაც უამბო. ის სწორ გზაზე დაგაყენებს. მიმაჩნია, რომ ძალები უნდა მოიკრიბო, გადალახო ფსიქოლოგიური ბარიერი და იმ ადამიანთან იყო, ვინც ძალიან გიყვარს. თანაც, დიდ მადლს მოისხამ გურამის ობოლი გოგონას გაზრდით. სულითა და გულით გისურვებ ბედნიერებას. მაია".

„ნუციკო, ძვირფასო, აპატიე გურამს! თქვენ გიყვართ ერთმანეთი და ნუ იქნებით ცალ-ცალკე. შენმა დიაკომაც ხომ მოინანია თავისი შეცდომა. შენ არავის ართმევ ქმარს. გურამისთვის ნამდვილი სიყვარული შენ ხარ, ნანა კი მხოლოდ და მხოლოდ გატაცება იყო. ქალურ ბედნიერებას და სიხარულით სავსე მომავალს გისურვებ. შენი გულშემატკივარი".

„ჩემს ცხოვრებაშიც მსგავსი რამ მოხდა, ოღონდ „მესამე", და კი არა, მეგობარი გახლდათ. ჩემმა პირველმა სიყვარულმა, რომელსაც მე ვაიდეალებდი, სიყვარული აუხსნა ჩემს მეგობარს, ქეთის. ქეთიმ გიო ცივ უარით გაისტუმრა. არ გასულა ბევრი დრო, რომ ქეთის თაყვანისმცემელი გამომიტყდა გრძნობაში. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. მე და ქეთიმ მეგობრობა დავაყენეთ წინ. ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება და ასე იქნება სიცოცხლის ბოლომდე. ქეთი გათხოვდა და ბედნიერია, რითიც დიდად მოხარული ვარ. მჯერა, რომ ჩემს ცხოვრებაში ღირსეული ადამიანი გამოჩნდება. კიდევ კარგი, მეგობარმაც არ მიღალატა, თორემ ალბათ დეპრესიიდან ვერ გამოვიდოდი. ვუგებ ნუციკოს. იგი ხომ ორმხრივად არის გულნატკენი; როგორია, უახლოესმა ადამიანმა უღალატა... მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. რადგან ორივე გულწრფელად ნანობს, უნდა აპატიოს, მით უმეტეს, რომ ნუცას თავისი მომავალი ვერ წარმოუდგენია გურამის გარეშე. ნუციკო, შეურიგდი გურამს! მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. თამუნა".

P.S. ჩვენს მკითხველს ვთხოვთ, რომ ნიკით ან ფსევდონიმით არ გამოგვეხმაუროს. მოგვწერეთ თქვენი აზრი და მიაწერეთ ნამდვილი სახელი (გვარი არ არის აუცილებელი), ასაკი და ადგილი, სადაც ცხოვრობთ. წინასწარ გიხდით მადლობას!

„ვიცი, ეს იმ 15 წლის კომპენსაციაა"

მარინა ბაბუნაშვილი

ეს ამბავი ჩემმა ძველმა ნაცნობმა მოგიყვა. ის იმ ინტერნატში მუშაობდა, სადაც ამ წერილის მთავარი მოქმედი პირი — ირმა სწავლობდა. ლეილა მოერიდა ქალ-ვაჟის ვინაობის ბოლომდე გამჟღავნებას. თუმცა სახელები არ შეგვიცვლია. მთხრობელის მიზანი უბრალო იყო:

ცხოვრებასა და ადამიანურ ურთიერთობაზე წერ, მინდა, ერთი ამბავი გიამბო, რომელიც ტკივილით დაიწყო, მაგრამ 15 წლის შემდეგ, ღვთის ნებით, ლამაზად დამთავრდაო.

როცა ჩემი რესპონდენტების შემდგომი ცხოვრების გამომზეურება გადავწყვიტე, შევეხმიანე ბევრ ნაცნობ-მეგობარს ანუ ყველას, ვინც თავისი სურვილით მოსულა ჩემთან ან მესამე პირის საშუალებით დავკავშირებივარ და პირად საკითხებზე ინტერვიუ ჩამიწერია. ერთ-ერთი მათგანი ლეილაც იყო, რომელსაც ვთხოვე, მისი წერილის პერსონაჟთა შემდგომი ამბავიც მოეთხრო. ლეილა სიამოვნებით დამთანხმდა ამაზე, ის კი არა, ირმასთანაც მიმიპატიჟა (თურმე მოგვიანებით, ირმას მოანათვლინა თავისი ნაბოლარა შვილი). ასე რომ, რამდენიმე დღის წინ, ირმას ოჯახში აღმოვჩნდი. დიასახლისმა თბილად მიმიღო. „კვირის პალიტრის" ის ნომერიც მიჩვენა, რომელშიც მისი ამბავი დაიბეჭდა სათაურით — „თხუთმეტი წლის წინ მიტოვებული გოგონა კარში იდგა" („კვირის პალიტრა". 2002 წლის 26 აგვისტო). ირმამ კმაყოფილებით მითხრა: მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არ მომიცია თქვენთვის ინტერვიუ, საოცრად კარგად იყო გადმოცემული ჩემი წარსული, ჩემი განცდები და ემოციები, ეს თქვენ და ლეილას დამსახურებააო.

ის, რაც ირმას გადახდა თავს, არ იყო იოლად გადასატანი, მაგრამ ნათქვამია: ყველაფერი კარგია, რაც ბედნიერად მთავრდებაო. დიახ, ირმასა და რეზოს ურთიერთობა ე.წ. „ჰეფი ენდით" დამთავრდა, მაგრამ შეიძლებოდა, სხვანაირადაც დასრულებულიყო, 15 წლის მერე ბედისწერას შემთხვევით რომ არ შეეხვედრებინა ისინი ერთმანეთს.

ახლა კი, გავიხსენოთ ის ამბავი, რაც წერილის გამოქვეყნების საბაბი გახდა.

თავი პირველი
მოსწავლე და მასწავლებელი

ირმა 3 წლის იყო, როცა დაობლდა. ნათესავებმა იგი უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა სახლში (მცხეთის რაიონში) მიიყვანეს და იქაურ აღმზრდელებს ჩააბარეს.

ლამაზი ბავშვი იყო და ლამაზი გოგონაც დადგა. ყველას უყვარდა, ხასიათიც დამყოლი და მშვიდი ჰქონდა...

მეცხრე კლასში სწავლობდა, როცა ახალგაზრდა კაცმა მისი კლასის კარი შეაღო. რეზო მასწავლებელმა ღიმილით გამოუცხადა ბავშვებს, რომ ამიერიდან ის იქნებოდა მათი ისტორიის მასწავლებელი.

ცოტა ხანში, ირმა მიხვდა, რომ პირველი სიყვარული ეწვია. იგი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა პედაგოგს, რომელიც მართლაც, საოცრად საინტერესოდ უყვებოდა მოსწავლეებს საქართველოს გმირული წარსულის შესახებ. რეზოც ისე შეეჩვია გოგონას, მის გარეშე ვეღარ ძლებდა. ერთი წლის მერე, უკვე მთელმა ინტერნატმა იცოდა, რომ რეზო მასწავლებელსა და ირმას — „სხვანაირად“ უყვარდათ ერთმანეთი...

ერთ მშვენიერ დღეს, რეზო თბილისში გამოიძახეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე (თავად რეზო გორიდანაა). წესითა და რიგით, 12 დღის მერე უნდა დაბრუნებულიყო ინტერნატში, მაგრამ გავიდა თორმეტი დღე, მერე ორი და სამი კვირაც, რეზო მასწავლებელი კი არ ჩანდა. დარეკეს განათლების სამინისტროში, იქიდან უპასუხეს: რეზო გ-მ ოჯახური პირობების გამო თქვენი ინტერნატიდან წამოსვლა ითხოვაო. ირმამ ძალიან განიცადა რეზოს გაუჩინარება. აღარც ჭამდა, აღარც სვამდა, ცუდად ეძინა, სწავლაზეც გული აიცრუა... მოგვიანებით მიხვდნენ მასში მომხდარი ცვლილების მიზეზს — გოგონა ბავშვს ელოდებოდა. ინტერნატის პედაგოგებმა კვლავ მოისურვეს რეზოსთან დაკავშირება, მაგრამ ირმამ აღარ მოინდომა მისი ნახვა. ირმას გოგონა შეეძინა, რომელსაც თამარი დაარქვეს.

...გავიდა 15 წელი. ირმა შვილთან ერთად, უკვე თბილისში ცხოვრობდა და ერთ-ერთ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ადრე, სპეციალისტთა დახელოვნების მიზნით, ხშირად ტარდებოდა მცირეხნიანი კურსები (ახლა ამას ტრენინგები ჰქვია). ერთხელ ირმა ასეთ ტრენინგზე, ორი კვირით ბორჯომში გაგზავნეს. სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მასწავლებლებს შორის, ირმამ პირველსავე დღეს შეამჩნია რეზო. იგი ცოტათი მოსუქებულიყო და საფეთქლებთან ჭაღარა შერეოდა. რეზომ ვერ იცნო ირმა. ძნელი იყო ტანმაღალ, ლამაზ, მოკლედ თმაშეკრეჭილ ქალში 14-15 წლის, ნაწნავიანი გოგონას ამოცნობა...

საღამოობით, თავისუფალ დროს, უკვე დამეგობრებული მასწავლებლები ფოიეში ან კაფებარში იყრიდნენ თავს. რეზო ირმას ჯგუფს დაუმეგობრდა. თვითონაც ვერ გაეგო, რითი იზიდავდა ეს ქალი. ერთ საღამოს, სეირნობისას, როცა სიყვარულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რეზომ თავისი პირველი სიყვარული გაიხსენა. თქვა, რომ მასზე გაცილებით პატარა გოგონა შეუყვარდა, მაგრამ მისი არც სახელი წამოსცდენია და არც სხვა რამ გაუმხელია. მერე უთხრა, რომ უსიყვარულოდ შეირთო ცოლი, რომელთანაც ვერა და ვერ ააწყო ურთიერთობა, არც შვილი შეეძინათ და 5 წლის მერე დაშორდნენ კიდეც. ირმას ზედმეტი კითხვები არ დაუსვამს რეზოსთვის, რატომ მიატოვე ის „პატარა გოგონა“ ან რატომ აღარ მოძებნეო? — არ უკითხავს... რახან მასწავლებელი ვერ ცნობდა მოსწავლეს, ირმამ ბოლომდე თამაში განაგრძო. რეზო კი ვეღარ „ეთამაშებოდა“, მას მართლა შეჰყვარებოდა ლამაზი ქალი...

მერე, უკვე თბილისში, რამდენჯერმე სკოლაში მიაკითხა, თეატრშიც დაპატიჟა, მაგრამ ქალი უარზე იყო, შვილს იმიზეზებდა — მარტო ვერ დავტოვებო. მაშინ მე მოვალ შენთან და ბავშვთან ერთად გავისეირნოთო, — უკან არ დაიხია რეზომ...

რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც იქნა, ირმამ კაცს შინ მისვლის ნება დართო. ფრთაშესხმული რეზო ყვავილებით და ტკბილეულით ხელდამშვენებული ესტუმრა ქალს. ირმას იმ საღამოს ვინაობის გამჟღავნება ჰქონდა გადაწყვეტილი.

გოგონა შინ არ იყო. — მუსიკაზეა, მალე მოვა და გაგაცნობო, — უთხრა ირმამ. მასპინძელი ვახშმის სამზადისს შეუდგა, თან ფარულად უთვალთვალებდა სტუმარს. ბედნიერებისგან გაბადრულ რეზოს მოსწყინდა სავარძელში ჯდომა, ჯერ მოხმარება შესთავაზა ქალს, მისგან უარი რომ მიიღო, კედელზე ჩამოკიდებული სურათების თვალიერებას შეუდგა. უეცრად მზერა შეეყინა ერთ წერტილზე და გაფითრდა: სურათიდან ახალგაზრდა რეზო და კიკინებიანი ირმა, თავის კლასელებთან ერთად, შემოჰყურებდნენ. ფრთხილად ჩამოხსნა სურათი და რომ არ წაქცეულიყო, სავარძელში დაეშვა...

სამზარეულოში მოფუსფუსე ირმა უკვე მიმხდარიყო ყველაფერს და ფეხს ითრევდა, ის შვილის მოსვლას ელოდა...

ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. რეზომ არ იცოდა, რა გაეკეთებინა, რა ეთქვა? ზარის ხმა გაისმა და ირმამ რეზოს გასძახა, კარი გააღეო. ძლივს მილასლასდა კართან, სადაც მეორე დიდი სიურპრიზი ელოდა. „თქვენ ბრძანდებით ბატონი რეზო?“ — სახეში შესცინა გოგონამ და პასუხს დაელოდა. კაცი გაოგნებული იდგა და სიტყვის თქმას კი არა, თავის დაქნევასაც ვეღარ ახერხებდა — მის წინ პატარა ირმა იდგა.

ამ დროს ქალიც გამოვიდა სამზარეულოდან და რეზოს მიუახლოვდა. „ჰო, რეზო, მე ის ირმა ვარ, თამუნა კი შენი შვილია“, — უთხრა კაცს. ასეთი რამ ფილმში ან წიგნში თუ ხდება ხოლმე. ძნელად დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ ბედისწერა ხომ უცნაური რამაა?! ცხოვრებაშიც ხდება საოცრებები.

ძნელია თეთრად გათენებული დღეების, სულიერი ტკივილის, გაჭირვებული დღეების დავიწყება, მაგრამ... ალბათ, სიყვარულს ის გამოუცნობი ძალა სდევს თან, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდები...

თავი მეორე
„ნამდვილი გმირი“ ქალი

ცხოვრებისეული სიძნელეები სხვისი თვალით მაინც უფრო გაიოლებულად ჩანს. მართალია, ლეილა ირმასთან დღემდე მეგობრობს, მაგრამ მან ყველაფერი არ იცოდა, რაც ირმას ამდენი ხნის განმავლობაში სტკიოდა. ახლა თავად ირმა მოგვიყვება, თუ რა განიცადა მთელი ამ დროის მანძილზე.

ირმა:

— ბავშვობაში, როცა ვაცნობიერებდი, რომ მშობლები არ მყავდა, ისეთი სევდა მიპყრობდა, აღარავის დანახვა არ მინდოდა ხოლმე. ასე შემიყვარდა მარტოობა. კარგი მეგობრები მყავდა, აღმზრდელი პედაგოგებიც — საუკეთესო, მაგრამ ხშირად მაინც მარტო ყოფნა მერჩივნა. ეს ყველამ იცოდა და ამიტომაც, ასეთ დროს არ მაწუხებდნენ. რეზო რომ გამოჩნდა, ჩემს ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. ისტორიაც შემიყვარდა და... მასწავლებელიც. ერთი სული მქონდა, როდის

დაიწყებოდა მისი გაკვეთილი. სუნთქვაშეკრული ვუსმენდი. არაჩვეულებრივი თხრობა იცოდა. მეჩვენებოდა, რომ მე განსაკუთრებულად მექცეოდა. როცა ყველაფერს გავაანალიზებდი, გულში მეღიმებოდა: ის ხომ ყველას თბილად ეპყრობოდა?! უბრალოდ, მიმაჩნდა იმად, ვინც მინდოდა, რომ ყოფილიყო. მაგრამ ერთ დღეს, როცა ავად გავხდი და საერთო საცხოვრებელში დავრჩი, გაკვეთილების მერე რეზო მასწავლებელი მთელ კლასთან ერთად, ჩემს სანახავად მოვიდა. მოგვიანებით, ჩემი მეგობრები — თინიკო და ლია მიყვებოდნენ: შენ რომ ვერ დაგინახა, ვეღარც გაკვეთილი ჩაგვიტარა, ვეღარც სკოლაში გაჩერდა; ბოლო გაკვეთილიდან გაგვათავისუფლა და გვითხრა, — ყველამ ერთად მოვინახულოთ ირმა, იქნებ, რა უჭირსო?.. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. ამ სიყვარულმა ერთიანად გარდამქმნა. სულ იქ ყოფნა მინდოდა, სადაც რეზო მასწავლებელი იყო. სკოლის ერთ-ერთ ზეიმზე, ერთმანეთს სიყვარულში გამოვუტყდით. რეზო მპირდებოდა, რომ სკოლას დავამთავრებდი თუ არა, ცოლად შემირთავდა. ერთმა წელმა სწრაფად გაირბინა. ივნისამდე 3 თვე იყო დარჩენილი და დღეებს თითებზე ვითვლიდი... მერე ის შავად მოსაგონარი, კვალიფიკაციის კურსები იყო და რეზო გაქრა. წლების მერე მისთვის ახსნა-განმარტება არ მომითხოვია, მაგრამ თვითონ მითხრა: დედაჩემი გახდა შეუძლოდ, სახლში დავბრუნდი და იქ ახალგაზრდა ექთანი დამხვდა, რომელიც მომეწონა; მეტს ნურაფერს მკითხავ, ის ცოლად არ მომიყვანია, მაგრამ ტვინი კი გადამიბრუნაო...

საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, როცა მივხვდი, რომ რეზომ მიმატოვა. პედაგოგებმა გადაწყვიტეს რეზოსთვის ეჩივლათ, მე კი აბორტის გასაკეთებლად ექიმთან წავეყვანე. მაშინ ვთქვი, რომ თუ ამას გააკეთებდნენ, თავს მოვიკლავდი. იძულებული იყვნენ, უკან დაეხიათ. მერე თამუნა დაიბადა. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი შვილი გახდა. მასწავლებლების — ნონასა და ლეილას — დახმარებით, შევძელი, სწავლა გამეგრძელებინა. როგორ არ მიჭირდა, მაგრამ თამუნას დანახვა, მისი პატარა ხელის მოთათუნება ყველა პრობლემას მავიწყებდა...

როცა ბორჯომში გამგზავნეს, უნებურად გავიფიქრე, — რეზოც ხომ მასწავლებელი იყო, თუ საქართველოშია და ისევ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, იქნებ ისიც იქ იყოს და რა მოხდება, რომ შევხვდე-მეთქი?! თვალებს არ ვუჯერებდი, როცა საკონფერენციო დარბაზში რეზო დავინახე. შევამჩნიე, რომ მიყურებდა. ნუთუ მიცნო-მეთქი?! — ვფიქრობდი, მაგრამ როცა დამელაპარაკა, მივხვდი, აზრზეც არ იყო, ვინ იდგა მის წინ...

თამუნას ადრე ვეუბნებოდი, რომ მისი მამიკო ისე გარდაიცვალა, ხელის მოწერა ვერ მოვასწარით-მეთქი. მერე კი აღარ გამოდიოდა სიმართლის დამალვა. რეზო ძალიან გააქტიურდა, ჩემთან ყოფნა სურდა. ეტყობოდა, რომ შეყვარებული იყო. ამას დაუფარავადაც მეუბნებოდა და მპირდებოდა, რომ თამუნას აღზრდაში დამეხმარებოდა და ძალიან ეყვარებოდა. რაც მან გააკეთა, ეს როგორი საპატიებელი იყო?! მამაკაცები ძალიან დიდხანს რჩებიან პატარა ბავშვებად, რომლებსაც ახალ-ახალი გატაცებები ბრჭყვიალა სათამაშოებივით სჭირდებათ. გვიანღა აცნობიერებენ, რომ ძვირფასს კარგავენ და მერე აღარ იციან, როგორ დაიბრუნონ იგი... როცა რეზომ ჩემთან სტუმრობა გადაწყვიტა, რამდენიმე დღით ადრე თამუნა დავსვი და დაველაპარაკე. ყველაფერი ვუამბე ჩემს წარსულზე. კარგა ხანს თვალებგაფართოებული მიმზერდა, მერე გახარებული გადამეხვია და მითხრა, — რა კარგია, თურმე მამიკო მყოლიაო!.. მივხვდი, წარსული წყენა და ტკივილი უკანა პლანზე უნდა გადამეწია და საღი თვალით შემეხედა რეალობისთვის. მე კვლავ მარტო ვიყავი. მართალია, ყველაზე რთული პერიოდი უკვე გავლილი მქონდა, მაგრამ წინ რა მელოდა, ვინ იცოდა? გვერდით საიმედო ადამიანი მჭირდებოდა, რომელიც სამომავლოდ ცხოვრებას შემიმსუბუქებდა და გამილამაზებდა; რაც მთავარია, თამუნას მამობას გაუწევდა. ვინღა უნდა მეძებნა, როცა ღმერთმა საკუთარი შვილის მამა ხელმეორედ გამომიგზავნა?! „თამაში“ რომ დასრულდა და რეზო ყველაფერში გავარკვიე, კაცს ფერი აღარ ედო სახეზე. ისეთ ემოციებში იყო, რომ ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა. როცა დაწყნარდა, მუხლებში ჩამივარდა და ათრთოლებული ხმით მთხოვდა პატიებას. რა მექნა? ხელს ვერ ვკრავდი. ჯერ ერთი, ის თამუნას მამა იყო, მეორეც, მის გარდა სხვა მამაკაცზე არასოდეს მიფიქრია... ყველას გაუხარდა ჩვენი შერიგება და ერთად ყოფნა, თუმცა უახლოესმა მეგობარმა გაკვირვება ვერ დაფარა და მითხრა, — ნამდვილი გმირი ქალი ხარ, მე ამას ვერ შევძლებდიო.

თამუნა ახლა 21 წლისაა. უცხო ენების უნივერსიტეტი შარშან დაამთავრა. ინგლისურთან ერთად, ესპანურიც კარგად შეისწავლა და მამამისის დახმარებით იმდენი შეძლო, რომ სამაგისტრო პროგრამას მადრიდის უნივერსიტეტში გადის. დღე არ გავა, ინტერნეტით არ დაგვიკავშირდეს. უზომოდ თბილი გოგოა. მე და მამამისს ძალიან გვენატრება. თამუნას მეტი, ვინ გვყავს? ერთი სული გვაქვს, როდის დაგვიბრუნდება... მე და რეზო კი წარსულიდან მხოლოდ ლამაზ დღეებს ვიხსენებთ. ასე ჯობს! რეზო ხშირად ამბობს: რა უბედური ვიქნებოდი, ბორჯომში რომ არ შემხვედროდიო!.. რეზოც თბილი ადამიანია (თამუნა ხასიათით ძალიან ჰგავს მამას). იგი ყოველდღე, ყოველ საათს და წუთს ცდილობს, ყურადღება და ზრუნვა არ მომაკლოს. ვიცი, რომ ეს იმ 15 წლის კომპენსაციაა... ●

„...დაველოდები... შვილს გავაჩენ, სწავლასაც გავაგრძელებ“...

მე და მაკა ერთი კვირის წინ შევთანხმდით შეხვედრაზე. იგი კარგა ხანია, „კვირის პალიტრისა“ და „გზის“ მკითხველია. ჯერ 18 წლის არის და ცხოვრებამ უკვე ჩაუტარა „მწარე გაკვეთილი“.

მაკა (მარცხნივ) მეგობართან ერთად

მაკა წელიწად-ნახევრის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ჩემი რესპონდენტი გახდებოდა. იმხელა განსაცდელი შეხვდა, გადაწყვიტა, ჩემთვის გული გადაეშალა. ამიტომაც ჯერ მესიჯი გამომიგზავნა, მერე კი რედაქციაში მესტუმრა.

— მეგონა, ჩემი ბედნიერება სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ბედისწერამ ისეთი სიურპრიზი მომიმზადა, ფსიქოლოგიც კი დამჭირდა. ახლა მინდა, თქვენც გიამბოთ ჩემი ამბავი. იქნებ, მკითხველიც გამომეხმაუროს (თქვენს რუბრიკებს ხომ ბევრი კითხულობს და ეხმიანება) და მაპოვნინოს გამოსავალი... მე და გოგას ერთმანეთი შეგვიყვარდა და სექტემბერში გავიპარეთ. ის საშინელი რამ მალევე მოხდა. ასე მეგონა, მთელი ქვეყნიერება თავზე დამემხო. ჩემიანები მამშვიდებდნენ და მაიმედებდნენ, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ საქმე უარესობისკენ წავიდა...

— ვიცი, რომ შენი დარდი მეულლეს უკავშირდება. მოდი, თავიდან დაიწყე თხრობა. სად და როგორ გაიცანი გოგა?

— გოგა ჩემმა მეგობარმა გოგონამ გამაცნო. თეა სამხატვრო კოლეჯში სწავლობდა. ერთხელ მეც გავყევი კოლეჯში. იქ უცხო ბიჭებიც იყვნენ. თეამ მათზე მითხრა, როკერები არიანო. ერთ-ერთი, გოგა აღმოჩნდა. პირველად ძალიან არ მომეწონა. მერე კი დავუახლოვდი. თბილი ბიჭი იყო. ვატყობდი, რომ მისი უცნაური გარეგნობისა და ჩაცმულობის მიღმა კარგი ადამიანი იმალებოდა. მე და თეა რამდენჯერმე ოპერის ბაღშიც გავყევით. თურმე, როკერები იქ იკრიბებიან. არ მომეწონა ის თავყრილობა და გადავწყვიტე, გოგა იმ წუმპიდან ამომეყვანა. მალე ჩვენი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა.

— გოგა სად სწავლობდა?

— არსადაც არ სწავლობდა, არც მუშაობისთვის იკლავდა თავს. მისი მშობლები 8 წლის წინ საბერძნეთში წავიდნენ, იქ ფეხი კარგად მოიკიდეს და შვილებს ყოველთვე 1.000 ევროს უგზავნიდნენ.

— მშობლებმა ვის იმედად დატოვეს ბიჭი?

— გოგას ორი უფროსი და ჰყავს. ორი-სამი წელია მათ შორის სხვაობა. მიმაჩნია, პირველი დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა დედამისმა, როცა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უცხოეთში წავიდა და შვილები მიატოვა. ბავშვებს მუდმივი მეთვალყურე არ ჰყავდათ, სამაგიეროდ, იქიდან გამოგზავნილი ფულით საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელი არ აკლდათ. გოგა იოლ ცხოვრებას მიეჩვია. თუმცა ისე მიყვარდა, მის ამა თუ იმ ნაკლს არც ვაქცევდი ყურადღებას.

— დედამ იცოდა შენი სიყვარულის შესახებ?

— დედისერთა ვარ. მამა ადრე დამეღუპა. დედა და მთელი ჩემი ნათესაობა (პირველი შვილი და შვილიშვილი ვიყავი) თავს მევლებოდნენ. დედასთან ვმეგობრობდი, არაფერს ვუმალავდი. მან იცოდა გოგას არსებობის შესახებ, თუმცა იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მცდარ ნაბიჯს არ გადავდგამდი, მე ხომ 17-ის ვიყავი, გოგა კი — 18 წლის. დედაჩემის მეგობრის შვილმა თავისთან წამიყვანა სამუშაოდ. სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა. გადავწყვიტე, კარგად მოვმზადებულიყავი და მეორე წელს ჩამებარებინა უმაღლეს სასწავლებელში. ერთ-ერთ პრესტიჟულ ბარში მენეჯერი ვიყავი. სამუშაოს ადვილად ავუღე ალღო; უფროსობას მოვწონდი, ხელფასიც მაღალი მქონდა. გოგა ვერ ძლებდა უჩემოდ. ხშირად მაკითხავდა. ვატყობდი, ეჭვიანობდა, მაგრამ ვერაფერს მეუბნებოდა. ერთხელაც მანქანით მომაკითხა, ორი მეგობარი ახლდა, გასეირნება შემომთავაზა. ასე ჩაცმული გოგა პირველად ვნახე. ადრე გახეხილი და ჩაჩაჩული ჯინსი ეცვა ხოლმე, ვარცხნილობაც უცნაური ჰქონდა, ახლა კი — თეთრი პერანგსა და კოსტიუმში გამოწყობილიყო, თმაც საგულდაგულოდ დაევარცხნა. — ნუთუ, ეს ის გოგაა, ვისაც ვიცნობ-მეთქი?! — თავი ვერ შევიკავე და სიცილით ვკითხე. მიპასუხა, — შენ ხომ ჩემი შეცვლა გინდოდა, ჰოდა, მეც უკეთესობისკენ შევიცვალეო. მიუხედავად მისი ასეთი „გარდაქმნისა“, მაინც არაფერზე დავეჭვებულვარ... შუა გზაში მისმა მეგობრებმა გამომიცხადეს, დღეიდან გოგას ცოლი ხარო. ისე დავიბენი, რომ ხმაც ვერ ამოვიღე. მერე მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა დედაჩემს დაურეკა და უთხრა, გილოცავთ ქალიშვილის გაბედნიერებასო!.. ის ღამე კახეთის ერთ-ერთ სოფელში, მეგობრის ნათესავის ოჯახში გავათენეთ. მეორე დღეს, თბილისში, გოგას ოჯახში მივედით, სადაც საბერძნეთიდან ჩამოსული დედამისი, დები და სხვა ნათესავები გველოდებოდნენ (იმ პერიოდში გოგას უფროსმა დამ ბავშვი გააჩინა და დედაც იმიტომ ჩამოვიდა). გოგას დედამისისთვის წინასწარ უთქვამს, მეც უნდა დავოჯახდე და მოემზადეო. იმანაც გაშლილი სუფრა დაგვახვედრა. საღამოს ჩემიანები გაგიჟებულები მოცვივდნენ, ჩემი შინ წაყვანა უნდოდათ. გოგა ისე ნერვიულობდა, ფერი არ ედო სახეზე. დედაჩემს ჩემთან ცალკე ლაპარაკი უნდოდა და ხელი მომკიდა, აივანზე გავიდეთო. გოგას შეეშინდა, არ წაიყვანონო, მომვარდა, გულში ჩამიკრა და ცრემლები წამოუვიდა. მეც ვტიროდი. ატირებული წყვილის დანახვაზე უფროსებიც ატირდნენ და გადაწყდა — მე გოგასთან უნდა დავრჩენილიყავი. იცით, რა ბედნიერი ვიყავი იმ დღეს?!

— მერე, ხასიათი შეეცვალა?

— ძალიან ცუდი სიმთვრალე ჰქონდა. მეჩხუბებოდა, მიყვიროდა, უმიზეზოდ გულს მტკენდა. ერთხელ, ხელითაც კი შემეხო. მაგრამ როგორც კი გამოფხიზლდებოდა, ისევ თბილი და მოსიყვარულე გოგა ხდებოდა, მთხოვდა, მეპატიებინა, მპირდებოდა, შევიცვლებიო. მიყვარდა და ვპატიობდი. არც ის მსიამოვნებდა, რომ თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ მისი ამხანაგები, სვამდნენ, ბანქოს თამაშობდნენ ან კომპიუტერში „ჩათაობდნენ“. როცა დედასთან მივდიოდი, მთელი ღამითაც რჩებოდნენ და შინ მიბრუნებულს, სახლი ისეთი არეული მხვდებოდა, მერე მთელი დღე ვალაგებდი.

ამაზეც ვსაყვედურობდი. ხანდახან ეჭვი გამკრავდა — ნეტავ, წამალსაც ხომ არ იკეთებენ, როცა მე აქ არ ვარ-მეთქი? ეს აზრი იმდენად მაშინებდა, რომ მაშინვე სხვა რამეზე გადამქონდა ფიქრი...

— თქვენი ქორწილის მერე მალე წავიდა გოგას დედა საბერძნეთში?

— კი, ქორწილიდან რამდენიმე დღეში საბერძნეთში გაემგზავრა. მე და გოგა, 3-ოთახიან ბინაში მარტონი ვცხოვრობდით. უფროსი და ქმრის ოჯახში იყო, შუათანა კი — დეიდაშვილებთან. ერთ „მშვენიერ“ დღეს, როცა სახლში დავბრუნდი, კვლავ გოგას ამხანაგები დამხვდნენ. ზოგი სვამდა, ზოგიც ბანქოს თამაშობდა. გოგას საყვედურით შევხედე. სტუმართაგან რამდენიმეს, საერთოდ არ ვიცნობდი. ეტყობა, მიხვიდნენ, რომ არ მესიამოვნა მათი დანახვა და ცოტა ხანში წავიდნენ. სახლის დალაგებას შევუდექი. კომპიუტერის მაგიდის უჯრაში (რომელსაც გასაღებით ვკეტავდი ხოლმე) ჩემს ძვირფას სამკაულებს ვინახავდი. უეცრად გამახსენდა, რომ წასვლის წინ, ზარდახშა ამოვიღე, ერთი ოქროს ბეჭედი და ძეწკვი გავიკეთე, მისი უკან ჩადება კი დამავიწყდა. მივვარდი მაგიდას და რას ვხედავ? ის დიდი ზარდახშა ცარიელია! კინაღამ გული შემიწუხდა... გოგას დავუძახე და დავანახვე ზარდახშა. მასაც ფერი ეცვალა. მომკიდა ხელი და თავის მეგობართან წამიყვანა. ორივეს, ეჭვი ერთ-ერთ სტუმარში შეეპარა. მე ის პირველად ვნახე ჩვენს ოჯახში. რაღაც მოილაპარაკეს, მე იქ, მეგობრის ცოლთან დამტოვეს, თვითონ კი იმ ბიჭის სანახავად წავიდნენ... საკმაოდ გვიანი იყო, სახეშეშლილები რომ მობრუნდნენ. გოგამ მითხრა, დანით კაცი შემომაკვდა, სახლში ვერ დავბრუნდებითო. გადავწყვიტე, დედაჩემთან მივსულიყავით. აღარ მახსოვს, როგორ გავათენეთ ის ღამე. ნერვიულობისგან ერთიანად ვკანკალებდი. გოგა დაეჭვდა, იმან (მეგობარი, რომელიც თან წაიყვანა) არ დაფქვას, სადაც ვარო ამიტომ გათენებისას კახეთში წავედით. მართლაც, დედაჩემის სახლიდან გავედით თუ არა, პოლიცია მისულა და სახლის ჩხრეკა დაუწყია. მოკლედ, ჩვენზე ძებნა გამოაცხადეს. როდემდე დავიმალებოდით?!

— შენ რატომლა იმალებოდი?

— ისეთ დღეში იყო გოგა, არ მინდოდა, დამეტოვებინა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გოგა პოლიციას ჩაჰბარდა, აღიარა დანაშაული, მაგრამ ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა: გოგაც და მისი მეგობარიც იოლად გამოდიან წონასწორობიდან, ხოლო სიმთვრალეში, ვერ აცნობიერებენ, რას სჩადიან. გოგას თავის ჩვენებაში უწერია, რომ სამკაულების წამღებს დანა ორჯერ ჩაარტყა კისერში, არადა, მოკლულს კისერში არ ჰქონია ჭრილობა. გოგას მეგობარი კი დაწვრილებით აღწერს, იმ დღეს რა ეცვა მოკლულს, როგორ იგერიებდა ორივეს და ა.შ. გამომძიებელს ეჭვი გაუჩნდა, რომ გოგა შეიძლება, მკვლელი არ არის...

— ის სამკაულები თუ იპოვეთ, რომლისთვისაც ეს დანაშაული მოხდა?

— რაღას ვიპოვიდით? იმ უბედურმა სამკაულები გაყიდა და წამალი იყიდა! ნარკომანი იყო... სასამართლოზე მამამისმა ასეთი რამ თქვა: ჩემი შვილი მშრომელი ბიჭი იყო, „კაფელს“ აკრავდა და იმით შოულობდა წამლის ფულსო.

— იქნებ, ავად იყო და ნამდვილ წამალს გულისხმობდა მამამისი?

— არა, ყველამ იცოდა, რომ ის ბიჭი ნარკოტიკის მომხმარებელი იყო.

— გოგას მშობლები არ ჩამოვიდნენ საბერძნეთიდან?

— ჩამოვიდნენ და სწორედ ამით დაიწყო ჩემი მეორე უბედურება. დედამთილმა ყველაფერი მე დამაბრალა: შენ ჩასვი ჩემი ბიჭი ციხეში, როგორც გინდათ, შენ და დედაშენმა, ისე დამიბრუნეთ შვილიო. ამ ორომტრიალში გვიანღა მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი. გოგას ეს რომ ვუთხარი, ლამის გაგიჟდა სიხარულისგან. დედამისმა კი მომახალა, — მე რა ვიცი, ვისგან გყავს ეს ბავშვი? ჩემი შვილი უკვე ორი თვეა ციხეშიაო!.. ამ უმსგავსო რამის გაგონებას მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე. ამდენ ნერვიულობაში მიკვირს, როგორ შემრჩა ეს ბავშვი. დედამთილმა თავისი ქცევებით იმდენი გააკეთა, რომ გოგას ოჯახი დავტოვე და დედაჩემთან წამოვედი. ისე ცუდად ვიყავი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, მშვიდ ატმოსფეროში ვიყო, რომ ბავშვი ნორმალური დაიბადოს. მაინც ვერ ვახერხებ მშვიდად ყოფნას, რადგან გოგაზე ძალიან ვდარდობ. სულ ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ: თითქოს გოგა ერთი დღით არის ციხიდან გამოშვებული და ბევრი რამ მინდა მოვასწრო და ვუთხრა... სათქმელი მართლაც, ბევრი მაქვს. თავიდან არაფერს ვეუბნებოდი, მეცოდებოდა, ვფიქრობდი, — ციხეშია და ნერვები როგორ ავუშალო ოჯახური უთანხმოებით-მეთქი?! მერე მივხვდი, აღარ გამოდიოდა დამალვა და ერთ-ერთი პაემნის დროს რაღაცები ვუთხარი. მას გაეღიმა და დამამშვიდა: აპატიე, დედაა და ასეთ დღეში რომ ვარ, ვეღარ თოკავს თავსო. ვერ გამიგია, ნერვებმა ისე როგორც უნდა უმტყუნოს, რომ რძალს ასეთი რამ დააბრალოს და აკადროს?!. მე გოგას დაველოდები. აგვისტოში შვილს გავაჩენ, სწავლასაც გავაგრძელებ (ამაში დედა დამეხმარება), ვეცდები, ოჯახი შევინარჩუნო, მაგრამ გოგას გათავისუფლების შემდეგ, ძალიან გამიჭირდება იმ თბილი ურთიერთობის აღდგენა, რომელიც ადრე იყო. ასე მგონია, გოგას მშობლებსა და ახლობლებს აღარ უნდათ, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ. ქმარი მპირდება, რომ სმასა და უაზრო ცხოვრებას თავს დაანებებს და ჩვენი პატარა ოჯახი სანაქებო იქნება. ღმერთმა ქნას, ასე იყოს!.. ერთი წერილი მინდა წაგაკითხოთ, რომელიც გოგამ ციხიდან მომწერა:

„როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ? ვეღარ ვძლებ უშენოდ. თურმე, როგორ ძალიან მყვარებიხარ, დღე და ღამე შენზე და ბავშვზე ვფიქრობ. ჯერ არ დაბადებულა და იცი, როგორ მიყვარს?!. მაგრამ დედამისი უფრო მიყვარს. ციხემ ბევრი რამე მასწავლა, ბევრს მიმახვედრა... გახსოვდეს, უსაზღვროდ უყვარხარ პატიმარ ქმარს!“

ამ წერილის დამწერი ცუდი ადამიანი ვერ იქნება. ასეთი, იცით, რამდენი მაქვს?!. სასამართლოზე, გოგა რომ ვნახე, ისტერიკა დამემართა. ისეთი გამხდარი და გაუბედურებული იყო. მას 8 წელი მიუსაჯეს. გვინდა, გავასაჩივროთ. არ ვიცი, რას მივაღწევთ, მაგრამ მჯერა (კიდევ ბევრია ამაში დარწმუნებული), გოგა მკვლელი არაა, იგი სხვის მაგივრად იხდის სასჯელს. მართალია, გოგა წავიდა „საქმის“ გასარჩევად“ და ეს ამძიმებს სიტუაციას (განზრახ მკვლელობის ბრალდებაა), მაგრამ რომ ამბობს, კისერში დანა დავარტყიო, იმ ადგილას მსხვერპლს ჭრილობა არ ჰქონდა. რა უნდა ვიფიქრო?..

— აბა, ვისზე გაქვს ეჭვი, მის მეგობარზე?

— არა მარტო მე მაქვს ეჭვი, გამომძიებელი, ადვოკატი და პროკურორიც კი ამას ფიქრობენ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. თუ დაინტერესდებით, ყველაფერს გაგაგებინებთ. „გზა“ ჩემი, გოგას და ჩემი ახლობლების საყვარელი ჟურნალია და ასე მგონია, თქვენთან განდობის მერე ჩვენი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება.

P.S. მაკას იმედი აქვს, რომ „გზის“ მკითხველი გამოეხმაურება. ნუ გაუცრუებთ იმედს. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ნამდვილად სჭირდება თქვენი რჩევა. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ.: 8.99.27.25.61.

ვაკეთებდა დევიდ კოპერფილდი ცრემლიანობას ქალების შიშვარდან

— ახლა კი, დედა, შენ იხილავ ჩემს ყველაზე მთავარ ფოკუსს, — ჩუმად წარმოთქვა მაღალმა, სიმპათიურმა მამაკაცმა ტელეფონის ყურმილში, — ტელევიზორი პირველ არხზე გადართე და ნურაფერს გაიკვირვებ.

როდესაც ასაკოვანმა რებეკამ ყურმილში „პირველი არხი" გაიგონა, მაშინვე ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე მისი შვილი, დევიდი გამოჩნდა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მოდელისთვის, კლაუდია შიფერისთვის წელზე ჰქონდა ხელი შემოხვეული. ქერა ქალბატონი ფოტო და ვიდეოკამერების წინ თავისი უზადო, 32 კბილის დემონსტრირებას ახდენდა, ახალგაზრდა მამაკაცი კი ბედნიერი თვალებით შეჰყურებდა.

„საშობაოდ ქორწილს ვგეგმავთ, დევიდმა საქორწილო რგოლი უკვე მაჩუქა, აი, ნახეთ, — კლაუდიამ ხელი გაშალა და ჟურნალისტებს არათითზე წამოცმული ბეჭედი დაანახვა, — მასში ხუთკარატიანი, იშვიათი ბრილიანტის თვალი ზის და დევიდმა 4 მილიონზე მეტი გადაიხადა. ჩემი ქმარი აუცილებლად გულუხვი უნდა იყოს".

— დოდიკ, ჩემო ბიჭუნავ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — ტრაგიკულად ჩასძახა ყურმილს რებეკამ.

— არაფერს, — გაიცინა ილუზიონისტმა, — ეს ჩემი ყველაზე იღბლიანი ხუმრობაა. გაიცინე, დედა და არც ერთ სიტყვას არ დაუჯერო. შენი დოდი სამუდამოდ შენს პატარა ბიჭუნად დარჩება.

ქორწინების ფსევდოკონტრაქტი

დევიდმა კლაუდია პირველად თავის შოუზე იხილა: ბერლინში გამოსვლის დროს, მან ხალხიდან გოგონა გამოიძახა, რომელიც, სრულიად შემთხვევით, სახელგანთქმული კლაუდია აღმოჩნდა. ეს იშვიათი იღბლიანობის ბრალი გახლდათ. ახალგაზრდებს შორის ნაპერწკალმა გაიელვა, რომელსაც ბევრი ერთი ნახვით სიყვარულს უწოდებს და ორიოდე თვის შემდეგ დევიდმა კლაუდიას ცოლობა სთხოვა.

ასეთი სცენარის გენიალური იდეა მოუვიდა ვენდი ლეისტერს, რომელიც დევიდ კოპერფილდის იმიჯზე მუშაობდა. როგორც კი დევიდის პოპულარობის მრუდმა დაშვება დაიწყო, წინდახედულმა ვენდიმ მომგებიანი სვლა გააკეთა: პლანეტის ყველაზე საიდუმლოებით მოსილ მამაკაცს, პლანეტის ყველაზე ლამაზ ქალთან უნდა ჰქონდეს რომანი, მით უმეტეს, რომ მუქთმიან დევიდს ძალიან შეეფერებოდა ქერა ლამაზმანი.

აგენტებმა სუპერმოდელის პიარ-მენეჯერებთან კონტრაქტი დადეს. დევიდი კლაუდიას ყოველწლიურად 250 ათას დოლარს გადაუხდიდა, თუ ის მისი პატარძლის როლს შეასრულებდა. კონტრაქტის მიხედვით, კლაუდიას ეკრძალებოდა ხალხში სხვა მამაკაცთან ერთად გამოჩენა. სამაგიეროდ, ბონუსის სახით დევიდისგან ძვირად ღირებულ საჩუქრებს იღებდა, რომლის დემონსტრირებაც პრესის წინაშე უნდა მოეხდინა. ბილეთები დევიდის შოუზე, დედამიწის სხვადასხვა წერტილში და რესტორანში შემდგარი უამრავი ვახშამი, რომლებსაც პაპარაცები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს, დევიდის ხარჯში შედიოდა და ისიც პატიოსნად იხდიდა.



დოდის ბავშვობა

როდესაც რებეკამ ტელევიზიით თავისი 40 წლის შვილი (რომელსაც წლების განმავლობაში თვალისჩინივით უფრთხილდებოდა) კლაუდიას გვერდით იხილა, გული შეეკუმშა. ის ხვდებოდა, რომ ასეთი რამ ოდესღაც აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ ვერ ეგუებოდა იმას, რომ მან შვილს ამდენი წელი შეალია, ახლა კი გამოჩნდა ვიღაც სხვა, რომელიც მას წართმევას უპირებდა. რებეკამ კარგად უწყოდა შვილის წარმატების ფასი. ის დევიდს გვერდიდან არ შორდებოდა და მასთან ერთად დადიოდა ტურნეებში. სასტუმროში მისი ნომრის გვერდით ცხოვრობდა და ყოველ საღამოს ინტერესდებოდა მისი განწყობილებითა და საჭმლის მომნელებელი სისტემით.

დევიდ სეტ კოტკინი 1956 წლის 16 იანვარს დაიბადა. ის კეთილშობილი ებრალების ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. მისი ოჯახი ჯერ კიდევ დევიდის დაბადებამდე ოდესიდან ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში გადასახლდა.

მომავალ მაგსა და ვარსკვლავს შინაურები დოდიკს ეძახდნენ. ის თანატოლებთან თითქმის არ ურთიერთობდა, რადგან გულჩათხრობილი ბავშვი იყო. თავისი თანაკლასელები სძულდა და მათი



ეშინოდა კიდეც. ამასთან, ყველა კომპლექსმა მასში ამბიცია გააღვიძა. მას უნდოდა, ნებისმიერი მეთოდით ვარსკვლავობისთვის მიეღწია და ყველანი პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა.

ის უპირატესობას თავისზე გაცილებით უფროსი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობას ანიჭებდა. დედამისი დაზღვევის აგენტად მუშაობდა, მამას კი საკუთარი, ტანისამოსის მაღაზია ჰქონდა. მათ ბევრი საჭირო და „სასარგებლო" ნაცნობი ჰყავდათ, რომლებიც კოტკინების ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ.

4 წლის დევიდს ერთ-ერთმა სტუმარმა უბრალო ფოკუსი აჩვენა, რომელიც ბანქოს საშუალებით ტარდებოდა. დევიდი სერიოზული სახით უყურებდა. შემდეგ ბანქოს დასტა აიღო და ყველა მოქმედება ზუსტად გაიმეორა.

„თქვენი შვილი ნამდვილი „ფოკუსნიკია"! — წამოიძახა სტუმარმა.

6 წლის დევიდმა ბაბუის დახმარებით 7 ფოკუსი შეისწავლა და სინაგოგის მრევლს უჩვენა. რებეკა დარწმუნებული იყო, რომ გენიოსი შვილი ეზრდებოდა და მისით ძალზე ამაყობდა. მან მუშები დაიქირავა, რათა მისი შვილისთვის მინდორში სცენა მოეწყოთ.

ხელოვნური ბაჭია ცილინდრში

ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, როდესაც დევიდის თანატოლები ბურთს დასდევდნენ, დევიდი ბაბუასთან ერთად სეირნობდა. მოხუცი ყველა მაღაზიაში შედიოდა და სხვადასხვა ნივთის ყურებით ტკბებოდა. ერთ-ერთი მაღაზია, რომელშიც ის შეეხეტა, „ტონეტი" აღმოჩნდა, სადაც ათასგვარ ნივთს შეხვდებოდით — უცნაურ ნათურებს, ხელოვნურკურდღლიან ცილინდრებს, სამაგრებს... ფირმა „ტონეტი" ცირკისთვის საჭირო ინვენტარით ვაჭრობდა. დევიდმა იქ მთელი საღამო გაატარა და ყველა ნივთს აღფრთოვანებული შეჰყურებდა. მშობლებმა მისი თხოვნა, რომ კიდევ წაეყვანათ „ტონეტში", მის ბავშვურ ახირებად მიიჩნიეს და ხშირად აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ იქ სასურველი ნივთი შეეძინა.

12 წლის ასაკში, მომავალ მაგს უკვე მთელი ის არსენალი ჰქონდა, რომელიც პროფესიონალ „ფოკუსნიკს" ესაჭიროებოდა. დევიდი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოჭრილი სტატიებით ხელმძღვანელობდა, რის შედეგადაც ოცამდე ფოკუსი შეისწავლა. მას უკვე იწვევდნენ სკოლის საღამოებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებზე.

თანაკლასელებს ძველებურად აღარ უყვარდათ დევიდი. სამაგიეროდ, მათი მშობლები იყვნენ აღფრთოვანებული. პატარა ჯადოქრის შესახებ ხმა უცებ გავრცელდა და დევიდი პატარა ქალაქში უკვე ცნობილი გახდა, რის გამოც თანაკლასელებმა უფრო მეტად შეიძულეს.

15 წლის ასაკში ის ამერიკელი მაგების საზოგადოების წევრად მიიღეს. ის კოლეგებთან მხოლოდ საქმიანი საუბრებით შემოიფარგლებოდა. მეგობრები ვერც ამ საზოგადოებაში გაიჩინა. 16 წლის ასაკში მას მაგებისა და ილუზიონისტების კურსზე რამდენიმე ლექციის წაკითხვა სთხოვეს.

კასკადიორი

„ნუ დააწერთ აფიშაზე კოტკინს, მე საკმაოდ კარგი ფსევდონიმი მოვიფიქრე, რომლითაც მსოფლიო აღიარებას მოვიპოვებ", — სთხოვა დევიდმა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის თეატრის რეჟისორს. ის სპექტაკლ „ჯადოქარში" ჯადოქრის როლს ასრულებდა. „დაწერეთ — მთავარ როლში — დევიდ კოპერფილდი"!

უნივერსიტეტში სწავლის დროს ის ყოველდღე ვარჯიშობდა და ძველ ნომრებთან ერთად ახლებსაც ითვისებდა. ადამიანებთან კი ის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ურთიერთობდა. ერთხელ მშობლებმა მიანიშნეს, რომ მისი თანატოლები ხანდახან კინოში ან დისკოთეკაზე დადიოდნენ, მაგრამ დევიდმა ცივად მოუჭრა: „მე ამ დროს საქმით ვარ დაკავებული. სულ ახლო მომავალში დაინახავთ, ვინ იქნებიან ისინი და ვინ ვიქნები — მე!"

მარტოხელობა მას ჩვეულებრივ ყოფად მიაჩნდა, ხოლო სხვასთან ურთიერთობისას ყოველ ფრაზაზე დიდხანს ფიქრობდა. მშობლებს ისიც უცნაურად ეჩვენებოდათ, რომ დოდის მეგობარი გოგონა არ ჰყავდა, მაგრამ ამ თემაზე საუბრის წამოწყებას ვერ ბედავდნენ.

დოდიმ უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. ამ დროს ის უკვე ცნობილი მაგი გახლდათ და მის შოუებზე დარბაზში ტევა არ იყო. თავისუფალ დროს კი ტელევიზიაში, გადაცემაში — „ჯადოქრობა", წამყვანობას ითავსებდა. დევიდმა „ემის" 5 ჯილდო მიიღო. თუმცა, ტელევიზია და მარტივი ფოკუსები მისი ცხოვრების მიზანი არ გახლდათ. ამ პერიოდში დევიდმა გაიცნო დონ ვეინი, რომელსაც ფოკუსების ტექნიკური მხარე აინტერესებდა. დევიდმა მას იმ დროისთვის არნახული ჰონორარი შესთავაზა, თუ ვეინი მისთვის ტრიუკების სცენარს დაწერდა. მან სწორად გათვალა, რადგან მუდამ ჩრდილში მყოფმა დონ ვეინმა მას დიდი წარმატება მოუტანა. სწორედ მას ეკუთვნის ისეთი ფოკუსების იდეა, როგორიცაა ჩინეთის კედელში გასვლა, სცენიდან გაქრობა, თავისუფლების ქანდაკებისა და აღმოსავლეთის ექსპრესის ვაგონის გაქრობა.

„30 სინათლის ეფექტი არსებობს, — უხსნიდა დონი დევიდს, — ყველა „ფოკუსნიკი" თავისი წარმოდგენის დროს, მათგან მხოლოდ 2-3-ს იყენებს. მე შენს ტრიუკში ოცდაათივეს გამოვიყენებ და შენ შეუდარებელი იქნები".

დევიდი მთელი ცხოვრება სწორედ იმისთვის იბრძოდა, რომ შეუდარებელი ყოფილიყო. ვენთან რამდენიმეთვიანმა ურთიერთობამ ის თავის მარჯვენა ხელად აქცია. მათ სამასკაციანი ჯგუფი შეკრიბეს, რომელთაგან 80 ყველა შოუზე უნდა ყოფილიყო. მათ შორის იყვნენ მექანიკოსები,

პიროტექნიკოსები და საუკეთესო განათების რეჟისორები. მთელი „მაგიური ხელსაწყოების“ საერთო წონა, რომელსაც დევიდი წარმოდგენის დროს იყენებდა, 30 ტონას აჭარბებდა.

თვეები დასჭირდა შოუს მოწყობას, რომელსაც „შოუ, რომელიც მსოფლიოს გააოგნებს“ ერქვა. დევიდს დიდი ძალისხმევა დასჭირდა შოუს მოსამზადებლად. ხშირად, დაღლილს, რეპეტიციის დროსაც კი ჩასძინებია.

პროგრამაში კასკადიორების მონაწილეობაზე დევიდი კატეგორიულ უარს აცხადებდა. „მე თვითონ ვიქნები საკუთარი თავის კასკადიორი“, — ამბობდა ის.

როდესაც მისი პიარკამპანიის მესვეურებმა განაცხადეს, რომ დევიდის განდეგილობა მის რეპუტაციაზე უარყოფითად მოქმედებდა, მან გაიკვირვა.

„მისტერ კოპერფილდ, სწორად გამიგეთ, — ეუბნებოდა სარეკლამო მენეჯერი, — თქვენ რომანტიკული იმიჯი გაქვთ, მაგრამ 40 წლის ასაკში ხალხისთვის ჯერ კიდევ არ მიგიციათ საბაბი, რომ თქვენი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ ეჭორავათ. გულახდილად მითხარით, რაიმე კომპლექსი ხომ არ გაქვთ?“

დევიდმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. უბრალოდ, ამ ორომტრიალში მას გადაავიწყდა, რომ ადამიანები მარტოობით იტანჯებიან. მისთვის კი ეს მდგომარეობა აბსოლუტურად ჩვეულებრივი გახლდათ. სწორედ ამ დროს წარმოიშვა კლაუდია შიფერთან დაკავშირებული გეგმა.

„ეს თქვენს რეიტინგს 40%-ით აამაღლებს და თქვენც კარგად გაერთობით“, — უხსნიდა მენეჯერი. დევიდმა კონტრაქტს ხელი მოაწერა. უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

მარათონი

— დევიდ, გამარჯობა, — კლაუდიას ხმაში შეშფოთება და ისტერიკა გაისმოდა, როცა დილაადრიან დევიდი გააღვიძა.

უცნაური ის იყო, რომ მეორე დღეს კლაუდია დევიდთან ერთად კონცერტზე მიდიოდა და მანამდე კონტრაქტზე შეთანხმებული არ იყვნენ.

— გძინავს? — კლაუდია ფაქტობრივად, გაკიოდა, მაგრამ თავის ხელში აყვანა შეძლო. — ახლავე ადექი, მე შენ გეუბნები, „პარიმატჩის“ დღევანდელი ნომერი გაქვს? გადაშალე და ნახე! შენ ჩემი კარიერა დაღუპე და ჩემი სახელი შეარცხვინე. მატყუარავ, რაც დღემდე გამიკეთებია, ყველაფერი თავზე მენგრევა! შენი და შენი აგენტების დანახვა აღარ მინდა. უბრძანე, რომ აქედან წაეთრიონ! მე კი ჩემს ადვოკატს გამოგიგზავნი!

დევიდმა თვალები მოიფშვნიტა და მითითებული გაზეთის გვერდებს გადახედა. გაზეთის შუა გვერდზე, ხარისხიანად და მსხვილი შრიფტით კონტრაქტის ტექსტი იყო გადმოცემული, სადაც კლაუდიასა და მას შორის ფსევდორომანის პირობები გახლდათ ჩამოყალიბებული.

კოპერფილდის იურისტებმა „პარი-მატჩს“ უჩივლეს და საკმაოდ დიდი თანხაც მოუგეს; კლაუდიას კი სიჩუმისთვის მოზრდილი თანხა გადაუხადეს. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ყველაფერი დამთავრდა. ვარსკვლავობის დრომ დევიდისთვის ჩაიარა და ყველაფერი ხელოვნური გამოაშკარავდა. ხელოვნური კი დევიდს ბევრი რამ ჰქონდა — ჯადოქრობიდან დაწყებული, ნარუჯით დამთავრებული.

ამ სამარცხვინო გამოაშკარავების შემდეგ, ჯადოქარი ერთი კვირით შინ ჩაიკეტა. იმ ფაქტმა, რომ უკვე ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო, მამაკაცი ჩიხში მოამწყვდია. ყოველმხრივ ნათელი გახდა, რომ სიცოცხლე დასრულდა. დევიდმა დედას დაურეკა და შესთავაზა, რომ საცხოვრებლად მასთან გადასულიყო.

დღესდღეობით, დევიდის ყოველი წუთი განრიგითაა გათვლილი. დილაობით ის მაგარ ყავას ბიბლიოთეკაში მიირთმევს, თან წიგნს წერს, სადაც ჯადოქრობის საიდუმლოებებს აღწერს. შემდეგ, სტილისტთან ვიზიტზე მიიჩქარის, რადგან დევიდი ჭაღარას კვირაში ორჯერ იღებავს. დღის მეორე ნახევარში მის მიერვე დაარსებულ მაგიის მუზეუმში მიდის და მეათასედ ათვალიერებს და მეათასედ გამოხატავს აღფრთოვანებას იქ არსებული ექსპონატებით. განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას იჩენს მუზეუმის დაცვის მიმართ. მისი გამართულობის შესახებ სხვა კონტინენტზე ყოფნის დროსაც კი დღეში რამდენჯერმე ინტერესდება.

დიდი ჯადოქრის ყველა საღამო ერთმანეთს წააგავს: ის მარტო რჩება, ტელეფონის ციფერბლატზე ნაცნობ ნომერს კრებს და იღიმის, როცა საყვარელი ადამიანის ხმას ისმენს: — გამარჯობა, შვილო, დედი! — და დაწვრილებით უყვება დედას განვლილი დღის შესახებ. ●

არ გამოგრჩეს!
მეაგროვე!
ეფლირტავე თანატოლებს ოსკარ-ფლირტით!

მენ ხომ ყველაზე თანამედროვე ხარ!

მომაგერი "ოსკარი" მომაგერი სიურპრიზებით!

პროპოზიცია



„აუ, ანა რა მაგარი ქალია! ვენაცვალე, მაგისთანებს! ახლა ერთი ბოლო, მომაკვდინებელი დარტყმა ფეხებშუა და გაბოსთან ყველაფერი მოყომარებული იქნება. მიდი, ანა!“

„ეს ქალი ნამდვილი აგენტი 007-ია, რა! მაგარი რისკიანი ქალია. ნეტავ, არ ეშინია? მე მაგრად ვგულშემატკივრობ და თქვენი არ ვიცი. მინდა, რომ ყველაფერი მის სასიკეთოდ დამთავრდეს. მეც ანა ვარ“.

„მარ, ერთი ანას უთხარი, ირენის ნომერი მოგცეს. მალე საფრანგეთში ვაპირებ წასვლას და თუ ასეთი მაგარი ნაშაა, ბარემ, მაგას შევაბამ, ფრანგული არ ვიცი და ფრანგ ნაშებს ვერაფერს გავაგებინებ. ათენი“.

„აუ, ირენს კაბა რომ აჩუქა, მაგარი იყო. ასე მოუხდება მაგათ. წარმოვიდგინე, როგორ გაიხადა ირენმა ქუჩაში და მაგრად ვიკაიფე. ანა, შენკენ ვარ“.

ახლა კი ამბავს იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც ტანისამოსიანად ლოგინში ჩაწოლილმა ანამ გაიგონა, როგორ შევიდა მასთან დაუპატიჟებელი სტუმარი.

დასაწყისი — „გზა“, №11-26

მარი ხაშარიძე

ძალიან ფრთხილი ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, მე კი გული გამალებით მიცემდა. შიშისგან ლამის მოვკვდი. თუ გაბო იქნებოდა, კიდევ არაფერი, მაგრამ იქნებ, სხვა იყო, ვინმე? უეცრად, საწოლის გვერდით, ტუმბოზე მდგარი ნათურა აინთო. თვალები თავისთავად მომეჭუტა და თამაშიც აღარ ღირდა. თვალები გავახილე და დაუპატიჟებელ სტუმარს ისე შევხედე, თითქოს ახლა გამეღვიძა. თავზე გაბო დამდგომოდა და იღიმოდა.

— რა ხდება, აქ როგორ მოხვდი? — ვკითხე და სახეზე გაოცება აღმებეჭდა.

— კარი ღია დაგრჩენია და მეც შემთხვევით ვისარგებლე.

— ვინ მოგცა ამის უფლება? ახლავე წადი აქედან!

— ეზოში შემოპარულ სხვის ძაღლს რომ გააგდებენ, სწორედ ისე მაგდებ.

— სწორედ ისე შემოიპარე და იმიტომ, — თან საბანს ვისწორებდი, რომ ვერ შეემჩნია, ტანისამოსიანად რომ ვიწექი.

— ცოტა ხანს ვილაპარაკოთ და გავალ, — საწოლზე ჩამომიჯდა გაბო.

— მეძინება, ხვალ ვილაპარაკოთ.

— ხვალ დაიძინე, რა მოხდება? — მკითხა და ფეხზე მისი ხელის შეხება ვიგრძენი. სასწრაფოდ გვერდზე მივიწიე, — შენ რა, ტანისამოსით წევხარ?

— თავი დამანებე, წადი, დამაძინე, — თითქმის ვუბრძანე.

გაბო წამოდგა და ხელის ერთი აქნევით საბანი გადამაძრო.

— ოჰო, ეს რა, დაძინების ახალი მეთოდია? — გაუკვირდა, ჩაცმული რომ მნახა.

— დიახ, — წამოვდექი და მის წინ დოინჯით დავდექი. გაბო სიცილისგან ჩაბჟირდა.

— შენც ახალი მოსული ხარ, არა? სად ბრძანდებოდი, ქალბატონო?

— ერთ კარგ ადგილზე ვიყავი, სადაც ბევრი საინტერესო რამ გავიგე.

— მაინც?

— პარიზის ერთ-ერთი ლამაზი სახლის წინ წითელი კაბრიოლეტი გაჩერდა. ცოტა ხანში სადარბაზოდან ახალგაზრდა, წითელკაბიანი ქალი გამოვიდა. შემდეგ წყვილი...

— ერთი სიტყვით, მე ამეკიდე, არა? — წარბები შეკრა გაბომ.

— ჰო, შეიძლება, ასეც ითქვას.

— მერე, რა გაიგე ახალი?

— უბრალოდ, იმაში დავრწმუნდი, რასაც ჩვენი ურთიერთობის პირველსავე წუთებიდან ვფიქრობდი.

— რას ფიქრობდი? რა აზრები მოგდიოდა მაგ ლამაზ თავში?

— ჯერ ერთი, აზრები თავში კი არა, ტვინში მოდის და მეორეც, ვფიქრობდი, რომ სწორედ შენ იყავი იმ მეორე ბილეთის პატრონი, რომელიც ჩვენი შეფის, დათოს ოთახში ვნახე.

— დათო ჩემი შეფი არ არის. შენი უფროსია და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

— კიდევ იმას ვფიქრობდი, რომ ირენი ქართველი იყო და ამაშიც არ შევმცდარვარ.

— მერე, მაგით რისი თქმა გინდა?

— თქვენ ერთი დიდი ბანდა ხართ, რომელსაც საქართველოდან ვიღაც მართავს და თქვენი ხელით ბინძურ ამბებს ატრიალებს.

— შენ რა, ის ჩანაწერი ნანახი გაქვს? — უნებლიეთ გასცა, რომ ის ჩანაწერი ბინძურ საქმესთან იყო დაკავშირებული.

— არა, მაგრამ სუფთა და კეთილ საქმეს ასე ჩუმად არავინ აკეთებს, — უნებურად უკან დავიხიე, არადა, ყველაფრის

პირში მიხლას ვაპირებდი.

— ანა, რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირი არ უნდა ჩაყო, — მუქარის ტონით წარმოთქვა.

— შენ რა, მემუქრები? იქნებ ახლა, აქვე ყელიც გამომჭრა და მერე არც მაგ მკვლელობის ჩაფარცხვა გაგიჭირდებათ.

— ასეთ თემებზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ და შენი ბედი, რომ მომწონხარ.

— რომ არ მოგწონდე, რას იზამდი? მართლა მომკლავდი?

— არა, ეს ისეთი მნიშვნელოვანი საქმე არ არის, რომ მის გამო ვინმე მოვკლა. თუმცა, არც ეს არის გამორიცხული.

— ალბათ ფიქრობ, რომ ახლა მუხლებში ჩაგივარდები და პატიებას გთხოვ, არა?

— ეგ არ არის საჭირო, — შეიფერა ჩემი ნათქვამი, — თუ ამალამ შენი ალერსით დამატკბობ, დანაშაულის გამოსასყიდად ეგეც საკმარისი იქნება.

— აბა, ახლა ადექი და აქედან დაიკარგე, თორემ მე ვიცი, რასაც ვიზამ! ირენში ხომ არ გეშლები? სექსი და ქალის ალერსით ტკბობა თუ გინდოდა, გეხვეწებოდა ის ქალი და გაჰყოლოდი, ვინ დაგიშალა?

— ეგეც იცი? — გულწრფელად გაუკვირდა.

— მე ყველაფერი ვიცი! — თავი გამოვიდე დიდი ამბით.

— მდაა, შენ ისიც გეცოდინება, რა მანძილია, თავხედობასა და სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას შორის.

— ვიცი, სულ რაღაც სამიოდე ნაბიჯია, რომელიც შენ კარისგან გაშორებს და რომელსაც ახლა გაივლი, რომ აქაურობა დატოვო და დაძინების საშუალება მომცე.

— ე.ი. მაგდებ, არა?

— თუ გინდა, ასე დაარქვი — გაგდებ.

— კარგი, ღამე მშვიდობის და თუ კოშმარებმა შეგაწუხოს, აუცილებლად შემატყობინე და საშველად მოვალ.

ხმა აღარ ამოვიღე. ნაწყენი სახე მივიღე და გვერდზე გავიხედე. გაბომ ჩემი ოთახი დატოვა და კარი გაიჯახუნა.

მეორე დღეს არც ოთახიდან არ გავსულვარ და არც ტელეფონის ზარებს ვპასუხობდი. სადილ-ვახშამიც ნომერში შევუკვეთე და საღამო ხანს სასტუმროდან შეუმჩნევლად გავიპარე. მინდოდა, ქალაქში მარტოს გამესეირნა და უკანაც დროზე დავბრუნებულიყავი, რომ ღამის რეისზე არ დამგვიანებოდა. დღეს თბილისში ვბრუნდებოდი და ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდი. უკვე ოჯახიც მენატრებოდა, სამსახურიც და ჩემი ქალაქიც.

თბილისისკენ მგზავრობისას კვლავ გაბოს გვერდით ვიჯექი. ჩვეულებრივად იქცეოდა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ხუმრობდა, ხმამაღლა იცინოდა და ათას კითხვას მისვამდა. მეც ჩვეულებრივ, ღიმილით ვპასუხობდი და აღარ ვეუხეშებოდი.

როგორც იქნა, თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო. როცა ბორბლები მიწას შეეხო და აეროპორტის შენობა გამოჩნდა, მაშინ ვინანე, რომ წინასწარ არ დავრეკე და ოჯახს დახვედრა არ ვთხოვე.

ჩემს შემთხვევაში, ოჯახი პირობითი ცნებაა. მე და სალომე ვართ ერთი ოჯახი, მეტი ვინ? ბუბასთვის უნდა მეთქვა და ის სალომესაც წამოიყვანდა-მეთქი, გავიფიქრე.

პირველ რიგში, გაბოს დავემშვიდობე და აეროპორტში დატოვებულ ჩემს „ჯიპუკას“ მივეფერე. საჭეს რომ მივუჯექი, თავი ისე ვიგრძენი, თითქოს ციხესიმაგრეში ვიყავი. სადგომიდან ნელა გავედი, შემდეგ კი სიჩქარეს ვუმატე და ღამის ქარის სისწრაფით მივქროდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე სახლში, სალომესთან ჩახუტებული ვიჯექი და ბავშვის სხეულიდან გადმოსულ სითბოს ხარბად ვისრუტავდი. ჩემს კალთაში ჯდომა მალე მოსწყინდა და საჩუქრები მოიკითხა. მისთვის განკუთვნილ ჩანთაზე მივუთითე და რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე თავფეხიანად იყო შიგ ჩამძვრალი. ტანისამოსს იზომებდა, ჯერ სარკეში ჩაიხედავდა, შემდეგ ჩემთან გამორბოდა და მაჩვენებდა. დაქალებულია, მკერდიც წამოეზარდა, თეძოები დაუმრგვალდა, უკვე დიდი გოგოა, მე კი ბავშვივით ვექცევი-მეთქი, გავიფიქრე და იმასაც მაშინ მივხვდი, რომ მისთვის სულ ბავშვური სტილის ტანისამოსი მქონდა ნაყიდი. ჩემს ჩანთას დავწვდი, შავი, გულამოჭრილი მაისური ამოვიღე და სალომეს ვთხოვე, ჩაეცვა.

ძალზე მოუხდა, ნამდვილ პატარა ქალს დაემსგავსა და თითქოს ასაკიც უცებ მოემატა. მაისური შენია, უბრალოდ, ჩემს ჩანთაში ჩავდე-მეთქი, ვუთხარი. გაიხარა.

— მამაშენი სად არის? — ვკითხე, როდესაც სალომემ სარკეში ყურებით გული იჯერა.

— წუხელ არ მოსულა, არაფერი დაუბარებია, — მითხრა და თვალი ამარიდა.

— ხომ არაფერს მიმალავ, სალო?

— არა, არაფერს, — ისევ ამარიდა თვალი.

— აბა, ჩემთან მოდი, — მოვიხმე და კალთაში ჩავისვი.

— არა, ეს ისეთი მნიშვნელოვანი საქმე არ არის, რომ მის გამო ვინმე მოვკლა. თუმცა, არც ეს არის გამორიცხული

— ხომ იცი, რომ მე და შენ მეგობრები ვართ და ერთმანეთს არაფერი არ უნდა დავუმალოთ.

— მამას და მზიას ერთმანეთი უყვართ, — ძლივს ამოთქვა სალომემ.

— მართლა? მერე, ამაში ცუდი რა არის? მზია შენც ხომ გიყვარს? სულ პაწაწინა იყავი, მზია შენს მომვლელად რომ ავიყვანეთ. დედასავით გიყვარდა და ახლა, თუ მამაშენსაც შეუყვარდა, ამაში სანერვიულო მართლა არაფერია.

— კი, მაგრამ შენ? შენ არ ინერვიულებ ამის გამო? — შუბლი გახსნა ბავშვმა.

— არა, მე სულაც არ ვინერვიულებ, მაგრამ შენ ამის შესახებ საიდან გაიგე?

— ღამე გამეღვიძა და მზიას

დავუძახე. ხმა რომ არ გამცა, გამოვედი და ძებნა დავუწყე. მამის ოთახის კარი ღია იყო. შევიხედე და დავინახე, რომ ჩახუტებულებს ეძინათ.

— ამის შესახებ ვინმეს უთხარი?

— არა, მათთვის არ მითქვამს, მხოლოდ შენ იცი.

— ჰოდა, მოდი, შევთანხმდეთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი საიდუმლო იქნება და არც არავის ვეტყვით და არც ვინმეს ვაგრძნობინებთ, კარგი?

— კარგი, — თავი დამიქნია და ცხვირი ჩემს მკერდში ჩაყო.

ეს ჩვევა პატარაობიდან აქვს და ასე მაშინ იქცევა, როცა რაიმე უხარია ან სწყინს. ვინაიდან ახლა სახეზე წყენა არ ეწერა, ალბათ უხაროდა, მე რომ გავბრაზდი.

ის დღე სახლში გავატარე, საღამოს კი მაიკოს ვესტუმრე და რაც საჭიროდ მივიჩნიე, მხოლოდ ის ამბები მოვუყევი. თან, ფრთხილად ალენაზე გამოვკითხე რაღაცები.

— ალენას დიდი ხანია, იცნობ?

— რაც მანდ ვმუშაობ, მას შემდეგ.

— ცოლი არასოდეს ჰყოლია?

— შენ რა, გულში ხომ არ ჩაგივარდა? — მაშინვე მიმიხვდა, რატომ ვეკითხებოდი.

— არა, მგონი, მეპრანჭება და მინდა, ყველაფერი წინასწარ შევიტყო, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვიცოდე, რა მეთოდით ვებრძოლო და რომელი მხრიდან ჩავაწოდო საჯარიმო.

— რამდენადაც ვიცი, ცოლი არ ჰყოლია, მაგრამ ერთ ჩვენს თანამშრომელს უყვარდა. ალენას სიმპათია რომ ვერა და ვერ მოიპოვა, ადგა და თავის მოკვლა სცადა. ალენა ძალიან შეწუხდა, მაგრამ საავადმყოფოში მის სანახავად მაინც არ მისულა. ამ კაცს საშინლად არ უყვარს ტყუილი და ორპირობა და უმეტეს შემთხვევაში, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს კიდეც.

— ის ქალი ისევ თქვენთან მუშაობს?

— არა, ახლა დეკრეტშია, მესამე შვილს აჩენს. საავადმყოფოდან გამოვიდა თუ არა, რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ მთხოვნელს გაჰყვა და ერთ წელიწადში ტყუპი ბიჭი გააჩინა.

— იცი, ჩემს მობილურზე სასიყვარულო მესიჯები მოდის, მაგრამ ვერ დავადგინე, ვინ არის. საფრანგეთიდან რომ დავბრუნდი და მობილური ჩავრთე, არც ერთი მესიჯი არ დამხვდა მოსული. გამოდის, ვინც მესიჯებს მიგზავნის, მან იცოდა, რომ წასული ვიყავი. თუ დღეს ან ხვალ მესიჯი ისევ მოვა, ე.ი. მართალი ვარ.

— და შენ ფიქრობ, რომ მესიჯებს ალენა გიგზავნის?

— არ არის გამორიცხული.

ამ დროს ჩემმა მობილურმა დარეკა. ალენა იყო. თბილად მომიკითხა ფრთხილად მოსინჯა ნიადაგი, შევხვდებოდი იმ დღეს თუ არა.

შეხვედრაზე თანახმა ვიყავი, მაგრამ თავი ვაიძულე, რომ უარი მეთქვა.

— ხვალ სამსახურში დიდი სიურპრიზი გელით, ქალბატონო ანა.

— მაინც, რას გულისხმობთ?

— თუ გითხარით, ეგ უკვე სიურპრიზი აღარ იქნება.

— მითხარი, რაა... — ჩემს ხმაში ვედრება გაერია.

— თუ შემხვდებით, გეტყვით, — ულტიმატუმი წამიყენა.

— არა, არ შეგხვდები, დაღლილი ვარ და არც არსად წასვლა მინდა, — არც მე დავიხიე უკან და პირველ ჩვენებას მივაწექი, — თანაც, სულ არ მაინტერესებს ეგ შენი სიურპრიზი, კარგად შეინახე, რომ არ დაგეკარგოს.

— სიურპრიზი ჩემი არ არის, მაგრამ ძალიან სასიამოვნო კია. გული მწყდება, მე რომ ვერ მოვიფიქრე.

ალენას სასწრაფოდ დავემშვიდობე, მაიკოსგანაც წამოვედი და საგონებელში ჩავვარდი. ნეტავ, რა უნდა ყოფილიყო? ვის უნდა მოეწყო? არ მასვენებდა ფიქრი. შინ მისულმა, ვერ მოვითმინე და ღამის 11 საათზე სამსახურისკენ გავწიე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

რას ნიშნავს საბედისწერო ქალი?

• **საბედისწერო ქალი ვარ, აბა არ ვარ? ვინც გამაბრაზებს, ჩემი ვიკინგური რისხვის მსხვერპლი გახდება. მდედრი ვიკინგი.**

• **საბედისწერო ქალი არასოდეს განიცდის უბედობას, რადგან ის შესაძლოა, ნებისმიერი მამაკაცის ბედისწერა გახდეს. აბა, რა უყონ, ზღვა ვნებებსა და განცდებს? ლოკოკინა.**

• **„ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, თორემ ამდენი ლამაზი, პატიოსანი და განათლებული შინაბერა ეკადრება საქართველოს? საით მიექანება ქართველთა მოდგმა?"**

• **საბედისწერო ქალი ჩემი ნათესავია — 2 ქმარი გაისტუმრა იმ ქვეყნად და ახლა მესამეს სწოვს სისხლს. არადა, ამას პირში როგორ ვეტყვი, ხომ გამაბრტყელა?! ეგოისტკა".**

• **საბედისწერო ქალი ისაა, ვის გარეშეც მამაკაცს სიცოცხლე არ შეუძლია. იცის, რომ მასთან ყოფნა დაღუპავს, მაგრამ მაინც ვერ შორდება, მაინც მის გვერდითაა, სიცოცხლის ფასად. პუსკუ.**

• **საბედისწერო იყო თავადის ქალი, მაია. ეგ კლასიკური გაგებით, თორემ რომ გაიცნობ კაცი და ცოტა ხანში გაგყვლეფს, დაგტანჯავს და დაგსვამს ცივ ქვაზე, ეგაა შენი საბედისწერო ქალი. მოკლედ, ჩემთვის უარყოფითთან ასოცირდება. ელისო.**

>>> 26

არ იფიქრო, რომ ბრძოლის თავი არ მაქვს

მაგდა კვლავ უამრავ გამოხმაურებას იღებს. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ ვირტუალურ თაყვანისმცემლებს შორის არჩევანი 2 მამაკაცზე შეაჩეროს. ესენი არიან გინეკოლოგი და კაროლი. „მათ შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს და თუ შეიძლება, ჯერჯერობით ორივესთან მექნება კონტაქტი“, — მთხოვა მან. ლიდერები უკვე გამოიკვეთნენ, ახლა საინტერესო ის არის, რომელი მათგანი გაიმარჯვებს და რომლისკენ გადაიხრება მაგდას სიმპათია. მკითხველებს შეგიძლიათ, გოგონას შეეხმიანოთ და რჩევებიც მისცეთ. ეს მაგდას სურვილიცაა. ასე რომ, ადევნეთ თვალყური, როგორ შეერკინება ერთმანეთს 2 მამაკაცი, მაგდას გულის მოსანადირებლად და დაეხმარეთ მას არჩევანის გაკეთებაში. რა თქმა უნდა, გადამწყვეტ სიტყვას თვითონ მაგდა იტყვის, მაგრამ თქვენი რჩევები დიდ დახმარებას გაუწევს. ახლა კი ჯერ მკითხველების მესიჯებს გავეცნოთ, შემდეგ კი თვალი მოვლენების განვითარებას მივადევნოთ.

„კაროლს რომ მისწერე, გკოცნიო, მე რატომ არ მომწერე? მაგდა, იცოდე, სერიოზულად გავბრაზდები. რას ჰგავს შენი საქციელი? ისედაც ეჭვიანობით ვკვდები და ახლა კიდევ, არათანაბარ პირობებში გვაყენებ. კარგი, რაააა... რაც შეეხება ჩემს ამბავს, მოგიყვები, რადგან ასე გსურს. თუმცა, ამაზე იშვიათად ვლაპარაკობ და თანაც, მარიმ ლამის მაიძულა, რომ მოვყვე. ვიცი, მას კარგი შოუს გაკეთება სურს და რადგან გარკვეულწილად მის პირობებს დავთანხმდი და ჩვენ შორის სიტყვიერი კონტრაქტი დაიდო, მის და შენს თხოვნას შევასრულებ და გიამბობ. ჩემი ცოლის წასვლიდან, დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ ასეთი ამბავი მოხდა: ჩემთან ახალგაზრდა, ასე, ოცდაათიოდე წლის ქალი მოვიდა და აუდიენცია ძალზე მორიდებით ითხოვა. ბუნებრივია, მივიღე. ქალი კარგად გამოიყურებოდა, მოხდენილად ეცვა და არც აქაურს ჰგავდა. ვიფიქრე, ქალაქიდან ჩამოსულია და ალბათ ცოდვის ნაყოფის მოშორება სურს-მეთი. მოგეხსენება, ხშირად მალული სიყვარულის ნაყოფის მოსაშორებლად ქალები სწორედ რაიონებში მიდიოდნენ ხოლმე. ქალი ნერვიულობდა და თვალს ვეღარ მისწორებდა. სავარძელი შევთავაზე, დავამშვიდე და ფრთხილად დავიწყე მისი გამოკითხვა.

— 5 წლის წინ ამ სამშობიაროში ვიმშობიარე. ბავშვი საყვარლისგან გავაჩინე. ჩემი საყვარელი თანამდებობის პირი, საკმაოდ გავლენიანი ადამიანი იყო. გოგონა შემეძინა და 2 დღეში გარდაიცვალა. ძალიან განვიცადე, მაგრამ ბედს შევეგუე. ამ 5 წლის განმავლობაში ჩემი და ჩემი საყვარლის ურთიერთობა ჩვეულებრივად მიდიოდა. ის ჩემზე 20 წლით უფროსია და ახლა უკვე 50-ს გადააბიჯა. შარშან ახალგაზრდა თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. საყვარლისგან მალულად ვხვდებოდი მას, მაგრამ ფიზიკური ურთიერთობა არ გვქონია, რადგან მას ქალწული ვგონივარ. ახლა ცოლობას მთავაზობს. ამის შესახებ საყვარელს გულახდილად ვუთხარი და ისიც დავამატე, რომ ის მამაკაცი მიყვარს, მე და შენ უნდა დავშორდეთ და ცოლად მას უნდა გავყვე-მეთქი. ძალიან გაბრაზდა, ცოფებს ყრიდა. ვერაფერი რომ ვერ შემასმენინა, მერე მითხრა, რომ თურმე ჩემი გოგონა კი არ გარდაცვლილა, მას გაუშვილებია. ეს კაცი სამუდამოდ შევიძულე, მაგრამ ამბავი, რომელიც მან მითხრა, მოსვენებას არ მაძლევს. უკვე ერთი თვეა, რაც ეს ამბავი გავიგე. იმ ახალგაზრდა მამაკაცს დავშორდი, რადგან მეშინია, მასთან შვილი რომ შემეძინოს, ღმერთმა არ დამსაჯოს და რაიმე უბედურება არ დატრიალდეს. მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი შვილი მოვძებნო და ამ საქმეში მხოლოდ თქვენ თუ დამეხმარებით.

იმ პერიოდში, როცა ეს ამბავი მოხდა, მე იქ არ ვმუშაობდი, მაგრამ რამდენიმე ძველი თანამშრომელი მყავდა, რომლებსაც დახმარება შეეძლოთ. ქალი შინ გავუშვი, მისი ტელეფონის ნომერი დავიტოვე და დახმარებას შევპირდი.

ასე, ჩემო მაგდა, დანარჩენს მომავალ კვირაში გიამბობ. ახლა კი დროებით და გკოცნი. მარად შენი გინეკოლოგი“.

— შენი მესიჯი რომ წავიკითხე, მაგრად „დავიგრუზე“. ძალიან მაინტერესებს, რა მოხდება. იმედია, ამბის გაგრძელებას აუცილებლად გავიგებ. გკოცნი და დროებით.

• „რამდენიმე კვირაა, ვაკვირდები თქვენს რუბრიკას და სიმართლე გითხრათ, მოხიბლული დავრჩი. თუნდაც იმიტომ, რომ მაგდა ასე რისკავს. გამიკვირდა კიდეც, მისი თამამი ნაბიჯი. თქვენი საოცრად კარგი ჟურნალი უფრო გაალამაზა და საინტერესო გახადა ამ მშვენიერმა ქალბატონმა. ნება მომეცით, მეც შევუერთდე იმ მამაკაცების რიგს, რომლებიც ცდილობენ მაგდას გულის დაპყრობას. მაგდა, მომწონხარ! რომეო“.

• „გმადლობთ მაგდა, უპასუხოდ რომ არ დამტოვე. ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს მშობლები და ძმაც მუდამ ბედნიერი მიმყოფოს უფალმა... მართალი ხარ, ზუსტად ისე გამიგე, როგორც გითხარი. აქ უმეტესობა ზედაპირულ კითხვებს სვამს და ვერ გავიგე, როგორი ხარ შინაგანად. გაცნობა მართლა არ მინდა შენი. არის ერთი ადამიანი, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს. ის ბიჭი მეგობარია ჩემი, გული კი იმაზე მწყდება, რომ მას მხოლოდ ოჯახის გამო ჰკრავენ ხელს. მასაც აქვს უამრავი პერსპექტივა, მაგრამ რად უნდა? არავინ არის ისეთი, ვისთვისაც ყველაფერს გაიღებს. ეს იყო სულ, რაც უნდა მეთქვა. შეწირული“.

• „პრივეტ, მარ, მაგდას გადაეცი, რომ ელფოსტაზე მომწეროს და თვითონ გადაწყვიტოს, ჩვენს წერილებს გამოაქვეყნებს თუ არა. მე თანახმა ვარ. ორ დღეში მონასტერში მივდივარ და პეტრეპავლობის მარხვის ბოლომდე იქ ვიქნები. ასე რომ, ველი გამოხმაურებას. პოეზია გყვარებია. ასე რომ, გიწვევ დუელში! „კოცნის შადრევნებში გადავისვრი შენს ბედნიერებას“. რაც შეეხება აგენტურ და პოლიციურ ცხოვრებას, ძალიან შორს ვარ მაგ სფეროდან. კაცი ვარ და ჩემი გავლილი ცხოვრებით ვამაყობ“.

• „მაგდა, კარგია, რომ აღიარე. გეტყობა, მართლაც ამბიციური ხარ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს. არ გეწყინოს, ამ ყველაფერს რომ გეუბნები. არც ისეთი დიდი ვარ, მაგრამ მგონია, რომ ანგარებიანი ხარ და ადამიანს მხოლოდ გარეგნობითა და მისი ფინანსური სტატუსის მიხედვით აფასებ. შეწირულო, უმაგრესი ადამიანი ხარ. მართალია, არ გიცნობ, მაგრამ მაგრად გაფასებ! მარიამულო, გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე და სხვა დროს, თუ გინდა, ჩემი ნაწერი არც კი წაიკითხო. ძალიან მიყვარხარ. ხულიგანკა“.

• „მაგდა, იცი? მე ხომ გითხარი, შენთან კარგი ურთიერთობა მინდა-მეთქი? არც შენი ქმრობა მინდა და არც შენთან სექსი — ისედაც არ მაკლია, უბრალოდ გითხარი, ჩემზე უფროსი მანდილოსნები მომწონს-მეთქი. არ დამიკონკრეტებია, შენთან როგორი ურთიერთობა მინდოდა და რატომ იფიქრე, რომ მაინცდამაინც რამეს „ისეთს“ გთავაზობდი? კიდევ გეუბნები, კარგი ურთიერთობა მინდა შენთან, როგორც ჩემზე უფროს მანდილოსანთან და სულ ესაა, რაც შენს „დვიჟენიაში“ მინდოდა და მე მგონი, შენ გამომიწვიე და გააფუჭე ჩემი შენდამი დამოკიდებულება. რა შუაშია საბავშვო ბაღი და ფიაფია? კარგი, რაა, მე უბრალოდ, მეგობრობას გთავაზობ და პირადში — წარმატებებს გისურვებ. მაფიოზა“.

• „რა უბრალო ადამიანი ჩანხარ, მაგდა, როგორ არ მემეტები დასაკარგავად, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენი სიმპათია სხვისკენ იხრება და აი, ამიტომ აღარ დაგიმესიჯებ. ის არ იფიქრო, რომ ბრძოლის თავი არ მაქვს. ბედნიერებას და ყველაზე ლამაზ სიყვარულს გისურვებ. ღმერთი გფარავდეს, ბედნიერად“.

„მაგდა, ნეტავ, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ადამიანს, რომელიც გიყვარდა და ცოლად გაჰყევი, რამდენიმე თვის შემდეგ დაშორდი? მოუთმენლად ველი შენს პასუხს. დიდი მადლობა, რომ კოცნა გამოიმეტე ჩემთვის. თუმცა, ვიღაცას ლექსი რომ მისწერე, ეს არ მომეწონა. ჩემი პატარა გოგო ვინ არის? გინეკოლოგი არ მომწონს. ვგრძნობ, რომ მის მიმართ რაღაც სიმპათია გაგიჩნდა. დავჭრი, ავხანჯლავ და სისხლს დავღვრი, გესმის? გინეკოლოგო, გზიდან ჩამომეცალე, სანამ გაგანადგურე! მაგდუნია, გკოცნი, ტუჩის კუთხეში. კაროლი“.

— კაროლ, რაღაც, ძალზე აგრესიული ხარ. ეს თავიდანვე შევნიშნე. ეჭვიანობ, ვერ ეგუები, როცა სხვასაც ველაპარაკები და ერთ ამბავში ხარ. რაშია საქმე, გინდა, „იგნორი“ მოგცე? ფრთხილად, საყვარელო, ცეცხლს ნუ ეთამაშები და ეცადე, შეინარჩუნო ჩემი სიმპათია. გამიგე? ახლა კი ჩემი ამბავი. ჩვენი ურთიერთობა იმ დღიდან დაიწყო, როცა მე და ვატო ასეთ უცნაურ ვითარებაში შევხვდით ერთმანეთს. მაშინ ერთმანეთს ისე დავშორდით, რომ მეტი არაფერი გვითქვამს. უბრალოდ, მე მოვუბოდიშე გაუგებრობის გამო და მორჩა. რამდენიმე დღის შემდეგ შუქნიშანთან შევხვდით ერთმანეთს და მივესალმეთ. მერე ისევ ქუჩაში ვხვდებოდით, სალმით შემოვიფარგლებოდით ხოლმე. ერთხელ, სწორედ ასეთი შეხვედრისას მანქანის ღია ფანჯარაში დაჭმუჭნილი ქაღალდი შემომიგდო. მასზე მისი ტელეფონის ნომერი ეწერა, მაგრამ დარეკვა არც მიცდია. ერთ მშვენიერ დღეს კი სამსახურში მომაკითხა. საავადმყოფოს კარისკაცისთვის უკითხავს, ამ მანქანის პატრონი სად ვიპოვოო? იმასაც მოუსწავლებია და ვატო საორდინატოროში თავზე დამადგა. დერეფანში გავედი მასთან სალაპარაკოდ. დაუფარავად მითხრა, ძალიან მომწონხარ და გასაცნობად მოვედი, მინდა, სამსახურის შემდეგ სადმე დაგპატიჟოო. თავი არ გამომიდვია, რადგან ჩვენ შორის უხილავი ძაფები უკვე გაბმული იყო და შევთანხმდით, რომ საღამოს გავისეირნებდით. ოთახში შესულს კოლეგებმა აღფრთოვანებული შეძახილები მომაყოლეს — „სად იშოვე ასეთი ლამაზი ბიჭი?“; „ვაი, დედა, რა მაგარი ტიპი იყო“; „გოგო, მგონი მაგრად გაგიმართლა“, — მეუბნებოდნენ ქალები. „მაგდა, როგორც იქნა, გეღირსა კაცის ალერსი?“; „გოგო, უარი არაფერზე უთხრა“; — მეხუმრებოდნენ მამაკაცები. მე კი ვდუმდი და ვიღიმოდი. ვგრძნობდი, უკვე მიყვარდა ეს კაცი და ჩემს გულში საკუთარი ადგილი უკვე მოპოვებული ჰქონდა. ის ძალიან სიმპათიური იყო, ფილმიდან გადმოსულ, ზღაპრულ პრინცსა თუ ვარსკვლავს ჰგავდა და შეუძლებელი იყო, მდედრობითი სქესის რომელიმე წამომადგენელი მის მიმართ გულგრილი დარჩენილიყო.

ახლა მარი რომ ვიყო, მესიჯს მივაწერდი — გაგრძელება შემდეგ ნომერში-მეთქი, მაგრამ იმედია, თვითონ მიაწერს. ასე რომ, კაროლ, გემშვიდობები და იმედი მაქვს, ჩემს რჩევებს გაითვალისწინებ და აგრესიას ცოტათი მაინც დაიცხრობ. კარგად. ამჯერად არ გკოცნი, რადგან არ დაიმსახურე.

ვის სჯირდება „ბებერი“ ცოლი?

მარგარიტას ოსტატი უყვარდა, გუინპლენს — დეა, პრინცესა ფიონას შრეკი... რეალურ ცხოვრებაშიც ასეა, ყველას თავისი შესაფერისი გულის სწორი ჰყავს (ბუნებრივია, კანის ფერს, ეროვნებასა თუ სოციალურ სტატუსს შორის არსებულ განსხვავებას არ ვგულისხმობ), მთავარია, გულმა გული იცნოს... მაგრამ ზოგჯერ უცნაურ წყვილსაც ვხვდებით, მაგალითად, ახალგაზრდა მამაკაცს და ასაკოვან ქალს. საინტერესოა, რატომ ინტერესდებიან ბიჭები დედისტოლა ქალებით და არა თანატოლი გოგონებით?

ეთო ყორღანაშვილი

„...სიყვარული ჰაერში დატრიალდება ხოლმე, სექსი კი სადღაც დაბლაა, საშინელ სიცხეში. ჩაავლებს ხელს სიყვარულს და მიათრევს სადღაც სიბნელეში, სადაც სიყვარული ერთ პატარა კუთხეში უნდა მოთავსდეს, რადგან სხვა სკამები უფრო გამოცდილ, ნაცვეთ და საზიზღარ ვიღაცებს დაუკავებიათ“, — აკა მორჩილაძის ეს სიტყვები ტყუილად არ გაგახსენეთ. მოზარდების გამოკითხვისას გაირკვა, რომ... მაგრამ მოდი, ყველაფერს თანამიმდევრულად მოგახსენებთ.

თენგო, *19 წლის, სტუდენტი:*

— ასაკით თავისზე უმცროსი მამაკაცები ავადმყოფ ქალებს უყვარდებათ — როგორ შეიძლება, შვილისტოლა ბიჭი მამაკაცად აღიქვა, მასზე სხვანაირად იფიქრო? ბიჭებს რაც შეეხებათ, ასაკოვანი ქალებით მხოლოდ ფულის გამო ინტერესდებიან. აბა, ღარიბი და თანაც ბებერი? არა, გმადლობ.

— შესაძლებელია, ასაკოვანი ქალი შენი მეუღლე გახდეს?

— მწყევლი? ისე, ერთი ათი წლის შემდეგ, თუ ცხოვრებაში წარმატებას ვერ მივაღწიე, ასეთ ქალზე (თუკი ბლომად ფულიც ექნება) უარს არ ვიტყოდი, მაგრამ კარგად უნდა გამოიყურებოდეს. მთლად დაჩაჩანაკებული ბებოც არ მინდა... (*იცინის*). ვიხუმრე, გეფიცები. არა, ასეთ ნაბიჯს ვერ გადავდგამ, რადგან ჩემი თავი ძალიან მიყვარს და ასაკოვანი ქალის გვერდით ბედნიერი ვერ ვიქნები. მე მხოლოდ ახალგაზრდა, ვნებიანი გოგონები მიზიდავს.

— შენი აზრით, ბიჭებს ასაკოვანი ქალები რატომ უყვარდებათ?

— არა მგონია, მართლა უყვარდებოდეთ, მაგრამ არის ერთი მომენტი: ზოგჯერ ბიჭს თავის ტოლ ქარაფშუტა გოგონებთან ყოფნა ჰბეზრდება და ამიტომ ურთიერთობას უფროსი ასაკის ქალთან აბამს. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობა არაჯანსაღია. მიმაჩნია, რომ ბიჭებს ასაკოვანი ქალების მიმართ სხვა ინტერესები აქვთ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ მათ იყენებენ, მაგალითად, მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად ან მაპატიე და, სექსუალური გამოცდილების მისაღებად. ჩემთვის მსგავსი რამ მიუღებელია. წარმოიდგინე, დედაჩემის დაქალებს ფლირტაობა რომ დავუწყო. ამას არც მათ და არც საკუთარ თავს არ ვაკადრებ.

გიორგი, *18 წლის, სტუდენტი:*

— ჩემმა ნათესავმა ბიჭმა ცოლად თითქმის დედისტოლა ქალი შეირთო. ბიჭი ახალგაზრდაა, სიმპათიური, ბევრ გოგონას მოსწონდა, მან კი არჩევანი ერთ ასაკოვან, ფაშფაშა ქალზე გააკეთა, რომელსაც „მზითევში“ ორი შვილი მოჰყვა. მისმა გადაწყვეტილებამ გაგვაოგნა, მთელი სანათესავო შოკში ვიყავით.

— როგორ ფიქრობ, შენი ნათესავი ბიჭი ასაკოვანმა ქალმა რითი მოხიბლა?

— ჰმ, გარეგნობით? — ნამდვილად არა. დამიჯერე, დედამისი უკეთ გამოიყურება, ვიდრე ის ქალი. ერთი შეხედვით, ვერც მიხვდები, რომელია რძალი და რომელი — დედამთილი... ახლა ჩვენი ლევანი იმ „ბაბუშკა-სტარუშკასთან“ და ორ გერთან ერთად ცხოვრობს და თავს ლაღად და ბედნიერად გრძნობს.

ჭკვიანს თავად ეშინია, სულელს კი სხვები აშინებენ.

— ...და მაინც, შენი აზრით, ლევანს ასეთი საქციელისაკენ რამ უბიძგა?

— საერთოდ, ვფიქრობ, რომ ასაკით უფროსი ქალებით სუსტი ნებისყოფის მამაკაცები ინტერესდებიან. ისინი საკუთარ თავში დარწმუნებული არ არიან და ასეთი ქალების გვერდით თავს დაცულად გრძნობენ. ლევანს, როგორც გითხარი, არც გარეგნობა აკლდა და არც — თაყვანისმცემლები, მაგრამ რაღაცნაირი დაბნეული, საწყალი ტიპი გახლდათ.

— ახლა როგორია?

— ახლაც ასეთია. მის ახალშექმნილ ოჯახში უფროსი ცოლია, რასაც ის იტყვის, კანონია, მაგრამ თვითონ ბიჭს მოსწონს ეს ამპლუა და ჩვენ ვერაფერს ვიზამთ.

ძეთი, *24 წლის:*

— ასაკოვანი ქალები ისეთ ბიჭებს უყვარდებათ, რომლებსაც თავდაჯერება აკლიათ. როცა ქალი გამოცდილია და ბევრი ფულიც აქვს, მის გვერდით ბიჭს საკუთარი თავის რწმენა ემატება, თავს კარგად გრძნობს... მამაკაცი ძლიერი, გამბედავი, საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა იყოს. მის გვერდით ქალმა უნდა იგრძნოს თავი დაცულად და არა — პირიქით. მე ასაკით ჩემზე უფროსი მამაკაცები მომწონს და მაინტერესებს, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ქალი ხომ კაცზე ბევრად ადრე ბრძენდება? ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუკი ჩემზე ასაკოვანს გავყვები ცოლად.

— შენ მიმართ ინტერესი შენზე უმცროს ბიჭებს თუ გამოუჩენიათ?

— ჩემს მეზობლად მცხოვრები პირველკლასელი შოთიკო ჯიუტად აცხადებს, რომ მე მისი შეყვარებული ვარ. ამის შესახებ ყველას სიამაყით ეუბნება. ლექსიც მომიძღვნა, რომელიც ასე იწყება: „ქეთი არის ლამაზი და ბრჭყვიალა“... (*იცინის*).

— არ გეშინია, რომ შოთიკოს, ასაკის მომატებასთან ერთად, შენ მიმართ ინტერესი არ გაუქრეს?

— არა, რას ამბობ? პატარა ბავშვებს ასეთი გატაცებები ახასიათებთ. უბრალოდ, ბავშვურად მოვწონვარ. შესაძლოა, რომელიმე ფილმის გმირს მამსგავსებს. მისი ასაკისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. დარწმუნებული ვარ, მალე გაუვლის. მეც და შოთიკოს მშობლებიც ამ ფაქტს იუმორით ვუყურებთ და სხვაგვარად არც შეიძლება. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ჩემმა პატარა „ლოვემ“ გამომიცხადა, ჩემი დიდი დაიკუნა ხარო. როგორც ჩანს, თავის გრძნობებში კარგად გარკვეულა (*იცინის*).

იკა, *19 წლის, სტუდენტი:*

— ასაკოვანი ქალები უფრო გამოცდილები და რაღაცნაირად, სრულყოფილები არიან! სწორედ ამიტომაცაა, რომ ბიჭები მათთან ურთიერთობას ვამჯობინებთ. მე ჩემზე უფროსი ქალები (მოხუცებს არ ვგულისხმობ) ძალიან მომწონს. მათ ზუსტად იციან, რა სურთ. ჩემხელა ცანცარა გოგონებს არ ჰგვანან — ერთი კოცნის გამო ყველაფერს თავზე არ „დაგახურავენ“. არა მგონია, ასაკოვანი ქალი შემყვარებოდა, მაგრამ სხვა „პონტში“, კარგია.

საუბარში იკას მეგობარი, 16 წლის **დათო,** *ჩაგვერთო:*

— მე გეტყვი: ასაკოვანი ქალი საყვარლად ეყოლებოდა, გამოცდილებას მიიღებდა — სექსისა და სიყვარულის სამეფოში გზას გაიკვლევდა, მერე ცოლად თავის ტოლ გოგოს შეირთავდა, რომელსაც უკვე „გამოცდილებამიღებული“, თავისი სექსუალური შესაძლებლობებით „ებლატავებოდა“.

— დათო, ასაკოვანი ქალები შენც მოგწონს?

— არა, მე „დეიდები“ და „ბებოები“ არ მხიბლავს. რას ჰქვია, ჩემმა ტოლმა გოგონამ კოცნის გამო ყველაფერი თავზე „დამახუროს“? ისე უნდა აკოცო, რომ თვითონვე გადავიდეს „მეორე სერიაზე,“ ეგაა კაცობა. რასაც იკა ამბობს, ეგ საზიზღრობაა. მე ანჯელინა ჯოლიც მომწონს, მაგრამ ჩემზე 15 წლით დიდი თუ იქნება, რა ჯანდაბად მინდა?!

ინგა, *ფარმაცევტი, 43 წლის:*

— არა, შვილო, ეგ როგორ შეიძლება? პატარა ბიჭმა ასაკოვანი ქალი რატომ უნდა შეირთოს? შეიძლება, უბრალოდ, მოსწონდეს, როგორც ქალის იდეალი, მაგრამ სიყვარული გამორიცხულია. ქალები მალე ვბერდებით, მით უმეტეს — ქართველი ქალები, რომლებსაც უამრავი პრობლემა და საზრუნავი გვაქვს. არა მგონია, ბიჭებს 3-5 წლის შემდეგ ასაკოვანი მეუღლეები ისევ მოეწონოთ. ასეთი ოჯახები თავიდანვე დასანგრევადაა განწირული.

ალბოლოლი ცვინის ოჯრედებს ყოვს,
მაგრამ ამ ხოლოდ იმ ოჯრედებს,
რომლებიც დალოვაზე ოკრს ამზობენ.

ალნიშნულ თემაზე გრაფი თარხანის კონსულტაცია იხ. გვ. 25

გზა ვნილები
3.07. – 9.07.2008

ექვსი შინაბერა და „კარმანშიკი“ მამა ანუ „დედალი“ ტარზანი

თემა — თემად, მაგრამ მკითხველების საყურადღებოდ ერთი რამ მინდა, ვთქვა: რატომღაც თქვენში ერთურთის მიმართ აგრესიამ იჩინა თავი. ეს კი მე არ მომწონს და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ ერთმანეთს დაერიოთ. საბერძნეთში მყოფმა ემიგრანტებმა, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდონ და იმეგობრონ, ლამის ერთმანეთი დაჭამონ. თან მეუბნებიან, ვალდებული ხარ, ემიგრანტები აგვიტანოო. სულაც არ ვარ ვალდებული, „გზის“ ფურცლები „ქურდული გარჩევის“ ასპარეზად ვაქციო. თუ ვინმეს მიმართ პრეტენზია გაქვთ, ნება იბოძეთ და „გზის“ საშუალებით კი არა, უშუალოდ ერთმანეთთან გაარკვიეთ. უკვე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ზოგიერთი თავის ნამდვილ სახეს მხოლოდ ახლა აჩენს. მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისა და დატუქსვისთვის, მაგრამ თუ არ მეთანხმებით, მომწერეთ და თქვენს აზრს სიამოვნებით გავითვალისწინებ. ბიჭოს! ასე კარგა ხანია, არ „აშხვფოთებულვარ“. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

მარი ჯაფარიძე

6 შინაბერა

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ჩემს მეზობლად ცხოვრობს კაცი. ამ კაცს ჰყავს ექვსი ქალიშვილი და ექვსივე შინაბერა. დედა არ ჰყავთ, ხუთი წელია, რაც გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, ბევრი გაჭირვებულია საქართველოში, მაგრამ მაგათ ნამეტანი უჭირთ. ადრე თურმე ამ შინაბერების მამამ ბინა რომ მიიღო, არაფერი ჰქონდა. ბარგი ველოსიპედით გადაუტანია. ამ ზამთარში სახლის კარი სულ ღია ჰქონდა ხოლმე. რომ ეკითხებოდენ, რატომ გაქვს კარი ღიაო? პასუხობდა — იქნებ, პალტოიანი ქურდი შემოვიდეს, რომ გავძარცვოო. ამ გოგოებს (რაის გოგოები არიან, უკვე სიბერისკენ მიდიან) მთხოვნელები „ოპტომ“ ჰყავდათ, მაგრამ რად გინდა? ყველას უარით ისტუმრებდნენ. თუმცა, ყველაფერში დამნაშავე მათი მამაა. ძველი „კარმანშიკია“, ორჯერ აქვს „სროკი“ მოხდილი და უნ-

დოდა, თავის ქალიშვილებს ღირსეული მეუღლეები შეხვედროდა. ამიტომ არ ჩქარობდა და ყველას უარით ისტუმრებდა. უბრალო მიზეზიც საკმარისი იყო, რომ მთხოვნელისთვის უარი ეთქვა. ვინ იცის, ქალიშვილებს რომელიმე მთხოვნელი მოსწონებოდათ კიდეც, მაგრამ მამამისის იმდენად ეშინოდათ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, ბედს ეგუებოდნენ და თავადაც უარს ამბობდნენ. მაგარი შებერტყილი კაცია, არც ერთ შვილს ბედნიერება არ აღირსა, ახლა კი უხმარი სერვიზებივით „უწყვია“ გასათხოვარი ქალიშვილები შინ. თვითონ სულ არ დარდობს. აბა, თავის შვილებს ჰკითხოს, რა ჯოჯოხეთია ცხოვრება! მაგ კაცზეა ნათქვამი, ბორშჩს დააყოლა კომპოტი და ეს ეგონა კომფორტიო. ჯეჯე

ძაღლის ბედი

„ბებიასთან, სოფელში, ერთი ქალი ცხოვრობდა, ვერა ერქვა. ჰოდა, რატომღაც დარჩა შინაბერად ჩვენი ვერიჩკა. თან ყველა მის ხელშეუხებლობაზე კაიფობდა, ზოგს სჯეროდა, ზოგს — არა. ჰოდა, ვერა სტუმრად ეწვია ნათლიაჩემის მამას, ბატონ კომუნარს (ნათლიაჩემს, გია კომუნარიჩს ნადირობა ძალიან უყვარს და ძაღლები მრავლად ჰყავს). შევიდა თუ არა ქალბატონი ვერა ეზოში, ცუგამ „უკიჭა“. გადაირია კომუნარ ბაბუა, დააწვინა „დაზარალებული“ საწოლზე, თვითონ კი სპირტი და ბამბა მოაცუნცულა და ვერას ეუბნება, მაჩვენე, სად გიკბინაო? ვერამ გაიგიჟა თავი, არა, ვერ გაჩვენებ, კომუნარო. რატომო? ჩააცივდა კაცი. — ეჰ, რაღა რატომ, ამდენი წელია, კაცმა ვერ მიაგნო და ძაღლმა იპოვაო, ამოიოხრა ვერიჩკამ. მაშ, ასეც ხდება იქ, სადღაც, ბორითში. გკოცნით, თქვენი პსიქოთერაპევტი. P.S. მარი, დამაბრუნე საძმოში, კაი?

ქურთი მარგო

„შინაბერაო და, მარგო გამახსენდა. ეროვნებით ქურთია, მარგუშა, პასპორტის მონაცემებით — 65 წლის (ეს ინფორმაცია ჩემი 007-ობით მოვიპოვე), მისი მონაცემებით კი 56 წელი შეუსრულდა ახლახან. ჰოდა, გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, მისი წილი ბედნიერებისთვის კარი ფართოდ გაეღო. მე შენ გეტყვი, დიდი ჯაფა დაადგებოდა, ჟამთა სვლისგან ულმერთოდ მოყანყალებული კარის გაღებას! ყველაფერ ძველსა და შელახულს კოსმეტიკური განახლება რომ ესაჭიროება, მარგუშამ კარგად იცის. ჰოოოდა, გადაწყვიტა, იმიჯი შეეცვალა. თმა შეიღება, ჩამაკიაჟდა, ლურჯი „ელექტრიკი“ კაბა-კოსტიუმი ჩაიცვა და იმხელა პლატფორმებზე შედგაა! ძმა კი გაუბრაზდა, მაგრამ მარგო აფეთქდა: ოჰ, ბოდიში, შენი შიშით სიზმარი ვეღარ მინახავს, რა! სასაცილოც ხარ და ქვეყნის მასხარაც, შე ასეთო და ისეთო, შენაო. ძმამ (ეჰ, ყველა ძმის ოცნება მაინც „საბრალო“ დის გათხოვებაა) — ნუ, „პაჟალუსტა“, მარგო, ჩაიცვი, რაც გინდა, ოღონდ შენ გათხოვდიო. ჰოდა, მარგოც, დღე ერთი იყო და, ათჯერ „გადაპლატფორმ-გადმოპლატფორმდებოდა“ ხოლმე ქუჩაში მანამ, სანამ პატრულმა ბიძიამ არ წაიყვანა განყოფილებაში და არ გამოჰკითხა — რას საქმიანობდა. მერე 2-საათიანი ფილმი აჩვენეს, სადაც მოძრაობის დამრღვევთა მძიმე ხვედრი იყო ნამეტნავად ნატურალურად გადმოცემული. ბოლოს, რაღაც სამუშაო ადგილიც შესთავაზეს და დატოვეს მარგალიტა იქვე. P.S. არადა, რად უნდოდა სამსახური, კაცო, ერთი ტკბილი, მეოჯახე ქმარი ურჩევნია მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროს. რა ვერ გაიგო ამ ხალხმა? კარდიოლოგი“.

ნუ აიყვანთ კაცებს ეშაფოტზე

„ჩემ გარშემო უამრავი შინაბერა, ან „საშინაბერო“ ქალია და განა იმიტომ არ თხოვდებიან, რომ არავინ თხოულობს, არავის მოსწონს ან არ უყვარს, პირიქით — რჩევა-რჩევაში არიან და ყველას იწუნებენ, ყველაფერს აკვირდებიან — იმას ულვაში აქვს, ამას მატყლის წინდა აცვია, სხვას გრძელი ცხვირი აქვს და ცხვირსა და ყურებში ბალანი, ზოგი მელოტია და ზოგიც — ღიპიანი ან მსუქანია. მოკლედ, მიზეზს რა გამოლევს, მაგრამ ქალებო, გოგონებო, როცა ღმერთი ადამიანს ქმნიდა, არ ცდილობდა, მისგან იდეალური არსება შეექმნა. სრულყოფილი არავინაა და არც ჩვენ, ქალები. როცა შვილი გეყოლებათ, მიხვდებით, რომ სხვა დანარჩენი უბრალოდ აბსურდია. ის ყველაფერს გადაწონის. ისე, ძალიან კი ვორატორობ, მაგრამ მართლა არაერთხელ მინახავს, ფიზიკურად შეუფერებელი, თუმცა ბედნიერი წყვილი. P.S. ნეტავ, ილინს ვინ შეუყვარდა? გული მიგრძნობს, რომ ბურძგლიანიც მგზავნელია. გენაცვალეთ, გაიხარეთ! ბოლო-ბოლო, ბურძგლიანობასაც ეშველება. გოგონებო, ნუ აიყვანთ კაცებს ეშაფოტზე, შანსი მიეცით, გაგაბედნიერონ და გახდნენ თქვენი შვილების მამები. ელისო“.

შურისძიება

„მათემატიკის მასწავლებელი მყავდა, შინაბერა, 70 წლის. მე არ ვიცოდი, შინაბერა თუ იყო. ჰოდა, 3 მარტს, დიდის ამბით თაიგული მივუტანე და დედის დღეს გილოცავთ, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, თქვენს შვილებთან ერთად-მეთქი, ვუთხარი. დედაააა, გამწარდა, მაგრამ ვერაფერი მითხრა მადლობის მეტი და თაიგული გამომართვა. ჰოდა, მადლობის ნიშნად გამომიძახა და 2 გაკვეთილი დაფასთან მაგალითებსა და ამოცანებს მახსნევინებდა. გაკვეთილების ბოლოს ბავშვებმა რომ დამცინეს, მერე გავიგე, რომ თურმე შინაბერა ყოფილა. პუსკუ“.

„ბოროტი“ ძმა

„შინაბერების თემა რომ წავიკითხე, მამაჩემის ბავშვობის დროინდელი ოინბაზობა გამახსენდა, რომლის შედეგს დღემდე იმკიან ჩემი მამიდები. თურმე, ბავშვობაში მამაჩემი გაულახავთ, ეს კი წასულა ეკლესიაში, სანთლები დაუნთია და ღმერთისთვის უთხოვია — ღმერთო, მაგენი შინაბერებად დატოვეო და ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, ორივე მამიდა „მწარე“ შინაბერაა. ახლა კი ეხვეწებიან, სანთლის ფულს ჩვენ მოგცემთ, ოღონდ წადი და წყევლა მოგვიხსენიო. მამაჩემი კი ამოიოხრებს და იტყვის ხოლმე — რა ვიცოდი, ჩემი ბავშვური ოინი მართლა თუ ახდებოდაო. გკოცნით, წიწილა“.

რისხვა

„თელავში ერთი შინაბერა სკოლის დირექტორია. ისეთი რისხვაა, მტრისას! რამეზე თუ შეედავე, ლაპარაკში ვერ აჯობებ და ისეთ შეურაცხყოფას მოგაყენებს, გულზე გაგხეთქავს. ვის დასცინის ყველაზე ხშირად, იცით? — შვილიან ქალებს! ხომ წარმოგიდგენიათ, გაუთხოვრობამ რამდენი შური და ბოღმა დაუტოვა გულში? გათხოვდით, გოგონებო, თორემ სახელი „შინაბერა“ სალანძღავ სიტყვადაა გადაქცეული. ასეთი ქალები თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდნენ. განა თვითონ უნდათ, ასეთები რომ ხდებიან? მაგრამ მე ჯერ არ შემხვედრია კეთილი შინაბერა. კახელი სალომე“.

შავი თოლია

„ერთი შინაბერა ბიძაშვილი მყავს, თოლია (რა ვიცი, რამ გადარია მამიდები, ეს ყორანივით შავი გოგო თეთრ თოლიად რომ მოეჩვენათ და თოლია დაარქვეს). დაამთავრა უმაღლესი, მუშაობს სკოლაში (პედაგოგია). თავიდანვე წუნია იყო: ეს მელოტიაო, ის — მსუქანიო, ზარმაციო, ქვრივიო, ასეო, ისეო, და წლებიც ნელ-ნელა მოემატა. ამას წინათ, თურმე სკოლაში მიაკითხეს და „სასიძოც“ მიიყვანეს. — აი საქმე დღესვე უნდა გადაწყდესო (იცოდნენ მისი წუნიაობის ამბავი), ბრძანა ბიჭის მამიდამ და თან სკოლის გარეთ მდგარი „სედმოისკენ“ გაახედა. აქაოდა, მანქანით ვართ და აქედან „ხელცარიელი“ არ წავალთო. თოლიაც მიუხვდა ჩანაფიქრს და მიუგო — ქალბატონო, სახლში ქათამი რომ უნდა დავკლათ, ერთი კვირა ვფიქრობთ და ასე უცებ ჩემს ბედს ვერ გადავწყვეტო. კი, ბატონო, — უთხრა ბიჭის მამიდამ (სასიძო რაღაც, საეჭვოდ დუმდა. მერე გაირკვა, თურმე ენაბლუ ყოფილა), — ამდენს რომ ფიქრობ, იმიტომ გაგთეთრებია თმაო (მელირება ჰქონდა გაკეთებული). მოკლედ, ეს ამბავიც კრახით დასრულდა. თოლია ისევ აგრძელებს „შინადედაბრობას“, მე კი ძალიან მინდა, გათხოვდეს. მგონი, მომიწევს მისი მონაცემების „მობილი-ზაციაში“ გაგზავნა. აბლახანუმი“.

სანატრელი შინაბერობა

„ჩემი ერთი ახლობელი ქალი 35 წლის გათხოვდა. ჰოდა, რომ იფიქრა, მეშველა და შინაბერას იარლიყი მოვიშორეო, ლოთი ქმრის ხელში სანატრელი გაუხდა ძველი მდგომარეობა. გასათხოვარმა გოგომ ორჯერ მაინც თუ ჩაიარა მისი სახლის წინ, ფანჯრებიდან ისეთებს მოისმენს, ქმარზე ცხოვრებაში აღარ იფიქრებს. გამწარებული წყევლის მაჭანკალს (ალბათ ყრუა მისი სიკვდილი, თორემ აქამდე ცხრაჯერ უნდა წაეყვანა) და ზეცას შეჰყმუის — რა გინდოდა ჩემგან, განგებავ, რატომ შეგშურდა ჩემი შინაბერობის? ვგდებულიყავი ჩემთვის, ამ მოსიარულე ჯოჯოხეთს რომ ამკიდეო! მაგრამ რა მიკვირს, იცით? დღედაღამ ერთმანეთს ჭამენ და ეს ორი შვილი როგორ



გაახერხეს, არ ვიცი. თუ ვინმეს გათხოვების ამბავს გაიგებს, მთელი ხმით დაიტირებს (თავისი ქმრის მსგავსი ჰგონია ყველა). ვერ დაბერდი შენთვის მარტო, რა გინდოდა შე საცოდავოო? ჰოდა, ასეა, გენაცვალე, ქმარი ლოთობს და ყველაფერს ლეწავს, ცოლი მოთქვამს და დაკარგულ შინაბერობას (და ქალწულობას ერთდროულად) მისტირის, ბავშვები კი იბადებიან და ცხოვრება გრძელდება. ერენიტა“.

თემაზე მოსული მოკლე მესიჯები.

„ერთი დაქალი მყავდა, ძალიან ეშინოდა შინაბერობის (მაშინ 20 წლის იყო). დაქალებში თავს უფროს შინაბერად მიიჩნევდა და ჩვენც (17-18 წლისები) „შინაბერების“ „სასტავი“ ვიყავით. სადაც კი მოვიყრიდით თავს ერთად, ყოველთვის შთამბეჭდავი იყო — ჩვენი „ბლოკის“ წარდგენა. ამ წუწუნ-წუწუნში 21 წლისა გაიპარა. „სასტავი“ თითქმის დაიშალა, მაგრამ მე სახელს არ ვარცხვენ და კვლავ ვხუმრობ ანუ შინაბერად ვრჩები. :) გამოუსწორებელი რომანტიკოსი“.

„შინაბერაო? ვაი, შინაბერა ვარ, აბა, ვინ ვარ? 23 წლის ვარ და ერთხელ არ ვყოფილვარ პაემანზე. დავრჩები შინაბერად, აბა, რა ჯანდაბა იქნება... ოჰ, ეს კომპლექსები... თიკუნა“.

„ერთი ნათესავი მყავს, შინაბერაა და თავისი „წიკები“ აწუხებს. მასთან თუ დარჩები, ტელევიზორს გვიანობამდე არ უნდა უყურო. რატომ, არ ვიცი. მას ხომ სხვა ოთახში სძინავს და ტელევიზორის ხმა მის ოთახამდე ვერ აღწევს. დილის 6 საათზე დგება, მოსამსახურესაც ააგდებს ხოლმე და წინა საღამოს გახეხილ გაზქურას თავიდან ახეხვინებს. ისეთი ხასიათი აქვს, სულ უკმაყოფილოა სხვისი გაკეთებული საქმით. მთელი დღე ხელზე მასაჟებს იკეთებს და მაინც ვერ წყნარდება. :) აი, რას უშვრება უკაცობა. :) გკოცნით. ნარჩიტა“.

„მყავს მეზობელი, რომელიც 44 წლისაა. ძალიან გაღიზიანებულია და ყველაფერზე ბრაზობს. გაგანდობთ: რამდენჯერმე ვცადე მისი დამშვიდება, მაგრამ ამაოდ. :-) პირველად თქვენ გეუბნებით ამას. დედა, რა საცოდაობაა, რა! მიკა“.

„ეჰ, ასეა ჩემი საქმე: ერთადერთი ბიჭი, ვინც მიყვარდა და ვის ცოლობაზეც ვოცნებობდი, ადგა და სულ სხვა შეირთო. ჰოდა, გადავწყვიტე, შინაბერად დავრჩები-მეთქი, მაგრამ კაცი ხომ არ შემარგეს და წამართვეს, ახლა შინაბერობასაც არ მაცდიან — ხან ვინ მითვლის, მოგიტაცებო, ხან — ვინ. მე კი ვინც მინდოდა, ახლა სულ სხვას ეფერება. :(“

„შინაბერასი რა გითხრათ, მაგრამ 17 წლის გავთხოვდი და მოგონებად დამრჩა მწარე დღეები და დიაბეტი. მითხარით, ასეთ გათხოვებას შინაბერობა არ სჯობია? ნენე“.

„ერთი დაქალი მყავს, თითქმის შინაბერა. ერთი ბიჭი დაიწუნა, ძაან ქალაჩუნაა, მეორე დაიწუნა — მსუქანია და უკაცრავად და, ბუღა კამეჩივით კისერი აქვსო, :-) მესამე სასიძო სულ 31 წლისაა, მაგრამ ამ ჩემმა დაქალმა აიჩემა, ბებერიაო და იმასაც იწუნებს. ჰოდა, ასე შემომრჩა ეს ქალიშვილი შინაბერა. ლაჟვარდ, აზრზე მოდი! თი-თი“.

„ახლა ერთ მაგარ ამბავს გამოვამზეურებ: მეზობლის შორეულ ნათესავზე უნდა გიამბოთ. ბერბიჭა იყო და გასულ ზაფხულს კი მოიყვანა ცოლად შინაბერა ექთანი. მაყარი მოვიდა „პაზიკით“. თელავში, მოედანზე, შადრევანთან გაჩერდნენ და პატარძალს დაურეკეს — მრგვალი რაღაცაა, წყალი გადმოდის და თავზე ოქროსფერი რაღაც რომ ადგას, იქ ვართო. არადა, პატარძალი თავისი ინტელიგენტი მაყრით „ბლატაობდა“. პატარძალი მანქანაში რომ ჯდებოდა და კაბა აიკეცა, შავი „ბანდაჟი“ გამოუჩნდა. სრულიადაც არ შერცხვა და ვიდეოს ნახვის შემდეგ თქვა, ამ კადრს ამოვჭრიო. კახელო-616“.

„შინაბერობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შარშან ერთ ბერბიჭა მხატვარს შევუყვარდი. ერთი თვე მეხვეწებოდა, დაგხატავო. ავდექი და ყველაფერზე უარი ვუთხარი. აბა, რა ეგონა? წავიდეს და მისი ასაკის ქალბატონები ხატოს. მის რაგბი“.

ყველაფერზე, თემის გარდა

სვანი კლიენტი

„ახლობელი მყავს, გოგა, ტექნიკის მაღაზია აქვს, ქუთაისში. ერთ დღეს ზემო სვანმა მისგან ძვირად ღირებული ტელევიზორი იყიდა. 3 დღის შემდეგ ათიოდე სვანი მიადგა გოგას და ჩხუბი დაუწყო — გაფუჭებული ტელევიზორი რატომ მოგვყიდეო? გოგამ ხელოსანთან მიირბინა — სვანები მკლავენ, გაფუჭებული ტელევიზორი მიმიყიდია, თანხაც მეკარგება და მიშველე რამეო. შეამოწმა ხელოსანმა და ყველას გასაოცრად, ტელევიზორი მშვენივრად უჩვენებდა. ამ დროს, ერთმა სვანმა მეორეს გადაულაპარაკა — დენი იყო, რომ ჩავრთეთო? თათკა“.

„დედალი“ ტარზანი

„მარ, „ტარზანის საცოლემ“ ერთი კურიოზი გამახსენა. „ტარზანმა“ ჩემზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ლიანებით „კატაობის“ იდეამ სოფელში, მე და ჩემს დეიდაშვილს, უზარმაზარ ხეებზე თოკებიც გაგვაბმევინა. ჰოდა, ამ თოკებზე რიგრიგობით ვეშვებოდით და ბოლო ხმაზე ვყვიროდით. ერთხელ მოპირდაპირე ხეებიდან ერთდროულად დავეშვით და ბრაახ! დავეძნეყვეთ. ასე კრახით დასრულდა ჩემი პირველი და უკანასკნელი მცდელობა, ჯუნგლების გოგო ვყოფილიყავი. ჩუპი“.

გაიხარეთ, პენსიონერებო!

„იცოდით, რომ ჩვენმა მთავრობამ პენსიონერებს საახალწლოდ თითო ბოთლი ღვინო დაურიგა? ის თუ იცოდით, რომ ეს ღვინო კორპის საცობით იყო დალუქული? თუ იცოდით, რომ საწყალმა პენსიონერებმა (მთაში), სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, უცნაური საცობები ბოთლებში ჩაყარეს? მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ღვინოს დამპალი ალუბლის ფერი და ამჟავებული ლობიოს სუნი ჰქონდა (გემო არავის გაუსინჯავს და ვერ დავადგინე, როგორი ექნებოდა). მიშა მაგადია! :) ოჩოპინტრე“.

სასურველი სასიძო

„ამას წინათ, ჩემი ბიძაშვილი, გიორგი, სატვირთო „მერსედესით“ გაერია ნახირში და სამი ძროხა ააბურთავა სამტრედიის ტრასაზე. ჰოდა, ყველაფერი რომ მოგვარდა და პატრონს ზარალი აუნაზღაურა, ამ კაცს თვალში მოსვლია ახალგაზრდა, მაღალი, ლამაზი, ქერა, ცისფერთვალება, ფულიანი, საქმოსანი ბიჭი და უკითხავს, ცოლი გყავსო? არაო — უპასუხია გიოს. აბა, გამოდით გარეთო, დაუძახია კაცს, ჩაუმწკრივებია ოთხი გოგო და უთქვამს — აირჩიე, რომელიც

თანია

„ერთი მეზობელი მყავს, მაგარი მონადირე. ყოველ დილა-საღამოს გადაიკიდებს თოფს და უკან ხელცარიელი არ ბრუნდება. სანადირო ტერიტორიისკენ, გზად ერთი მოხუცი ქალი, თანია ცხოვრობს, რომელიც თარსის სახელითაა ცნობილი. ჰოდა, ამ ქალმა ბოლო დროს ჭიშკართან დაჯდომას და მონადირე მეზობელთან შეხვედრას მოუხშირა, მონადირემ კი — შინ ხელცარიელ დაბრუნებას. ადრე წასვლა სცადა თუ გვიან, თანია ქანდაკებასავით, ჯიუტად იჯდა ჭიშკართან და გამარჯობასაც დაუზარებლად ეუბნებოდა. ერთხელ კი ბევრი ფიქრის შემდეგ, მონადირემ გადაწყვიტა, თანიას სახლის გვერდის ავლით წასულიყო და ყანა-ყანა, წვალებით გადაჭრა გზა. ხანვის ღობეზე ჩამოიხია შარვალი და ხან — ქურთუკი. ბოლო ყანაც ჩამოიტოვა და გაოფლილმა ის-ის იყო, მხარზე თოფი შეისწორა და შვებით ამოისუნთქა, რომ ზურგს უკან ნაცნობი ხმა შემოესმა — ბიჭო, რა „კრუგებით“ გივლია, ჩემი გზით ვერ წამოხვედიო? თურმე მოხუცს საქონელი გამოერეკა საბალახოდ (რაც მანამდე არასოდეს გაუკეთებია) და მონადირემ ცხოვრებაში პირველად შეაგინა მოხუც ქალს და პირველად მობრუნდა შინ. თანია კი გაოცებული იმეორებდა სახლამდე — ნეტავ, რა ეტაკაო? რა ეტაკა და შენი თარსი თვალები, ქალბატონო თანია. ერენიტა“.

გინდაო. არა, არ მინდაო, უკან დაუხევია გიორგის. რას ჰქვია, არ გინდა? არც ერთი არ მოგეწონაო? მოკლედ, ძლივს დაუხსნია თავი მოძალადე, პოტენციური სიმამრისაგან. ჯერ მათ არ ჰქონიათ შინაბერობის ასაკი. ასე, 13-21 წლისები თუ იქნებოდნენო, თქვა გიომ. ისე, კი მოუხდებოდათ მაგათ ერთი ბროლია. ელისო".

დედოფალი, ფერიები და ბატონები

„მარიამულო, მიუხედავად იმისა, რომ „გზავნილ-იორკში" სასტიკად აიკრძალა შენ მიმართ სასიყვარულო სიტყვებით გრძნობის გამოხატვა, მე სულაც არ ვემორჩილები ამ წესს და მინდა, ჩემი მოზღვავებული სიყვარული გამოვხატო შენი და ამ პატარა, ლამაზი სამყაროს მიმართ, რომელსაც უამრავი ხალხი ჰყავს შეკედლებული. გზავნილები დიდი სასახლეა, სადაც ყოველთვის სიხარული და სიყვარულია. სასახლის შესასვლელთან დიდი სარკეა და ყველა, ვინც სასახლეში შედის, სარკეში იყურება, რომ ცუდი აურა გარეთ დატოვოს. ამიტომ „გზავნილები" ყოველთვის ხალისიანი და სიყვარულით სავსეა. ამ დიდ სასახლეს ჰყავს ერთი დედოფალი, მარიამული და უამრავი, პატარა ფერია. დედოფალსა და ფერიებს თავგამეტებით იცავენ ნამდვილი ვაჟკაცები: მაესტრო21, განძის მაძიებელი, მგელკაცა, აპოლონი, ფელამუშა, ვერმახტი, მაფიოზა, შეწირული, კობრა, ათენი23 (შემინდეთ, ვინც გამომრჩით). მე მიყვარს ამ სასახლეში ყოფნა და არ მინდა, ოდესმე აქედან წავიდე. განა შეიძლება, მივატოვო სამყარო, რომელმაც მეორე სიცოცხლე მაჩუქა? არა და არა! იმედია, არც დედოფალი, არც ფერიები და ბატონები არ მომცემენ წასვლის უფლებას. მარიამულო, გადმოხედე ამ გზავნილს მოწყალე თვალით და დამიბეჭდე. მიყვარხართ, ტკივილამდე... ლუნ".

შეხვედრა

„გუშინ „მარშრუტკისკენ" მივდიოდი. თბილისიდან ვაპირებდი წასვლას მშობლიურ ქალაქში. გზაში ვიღაც ბიჭი მომიახლოვდა. დიდი, წყლიანი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ცოტა ხანს გაოცებული მიყურებდა. მერე მითხრა — ბოდიში, ის გამახსენეთ, ვინც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და მენატრებაო. ვიფიქრე, აკლია-მეთქი და გზა გავაგრძელე. ნუ, მივედი, ადგილი დავიკავე და ცოტა ხანში ის ბიჭიც მოვიდა. ვიღაც ქალები ისხდნენ და ის რომ დაინახეს, მოაღეს პირი. მათგან გავიგე, რომ ამ ბიჭს ახალმოყვანილი, ორსული ცოლი გარდასცვლია და ჯერ წელიწადიც არ გასულა. მას მიმამსგავსა. ჩემ უკან დაჯდა და სანამ ჩავიდოდი, მითხრა: ბედნიერებას გისურვებ, ლამაზოო. დაიმსახურა ასეთი ტკივილი? ბაო-ბაო.

„ბირჟავიკი"

„ჩემს ბიძაშვილს არასოდეს მივყავდი ღამით ბირჟაზე — პატარა ხარ და იქ რაც ხდება, არ უნდა ნახოო (მაშინ 10 წლის ვიყავი). გავიჭიმე დიდი ამბით, შენ ჩემზე 2 წლით ხარ დიდი, თავი ვინ გგონია-მეთქი? კარგი, წაგიყვანო და მინიკაბაში, თეთრ ბლუზასა და სამკაულებში „გამომაწყო" (რა დამავიწყებს ვაშლის ყელსაბამს, რომელიც აუდიოფლეერის „ნაუშნიკების" შნურზე იყო ჩამოცმული). პომადაც არ დავიწყნია და ასე, ძალით ნაშა გავედი ბირჟაზე. ვერ მოვითმინე და ზარიგოდორში ავძვერი (*ალბათ სასიმინდეს გულისხმობს. — ავტ*). ზარიგოდრის ქვეშ უამრავი ჭინჭარი იყო. უკან რომ ჩამოვდიოდი, დამიცდა ფეხი და... ჩემი ღრიალი მთელმა სოფელმა გაიგო. დასუსხულ-დამდუღრულს, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა, ჩემი ძმაკაცი კი სიცილით იხეოდა. ძლივს ამოვიგმინე, რა გაცინებს-მეთქი? — და იცით, რა მიპასუხა? — „ტრუსიკი" გიჩანსო. ეგ მანაღვლებდა, მაშინ? იმის შემდეგ ბირჟაზე წასვლა აღარ მიფიქრია, სანამ 12 წლის არ გავხდი. :) ASHLEY PCD".

„მალადეც", გაბრო!

„სოფელში 2 შინაბერა მეზობელი მყავს. დები არიან, თან — ჩემი ნათესავები. გრძელი ნაწნავები, თავადური გვარი და აუტანელი ხასიათი აქვთ. ორივეს ვუყვარვარ, მაფრთხილებენ, კარგი ხარ და აუცილებლად კარგს უნდა გაჰყვეო. ჩვენთან ასევე, ქვრივი, ბრმა გაბრო ცხოვრობს. 80 წლისაა. ქალებშიც დადის და სერიოზულად გადაწყვიტა, ამ დებიდან ორივე თუ არა, ერთი მაინც შეირთოს ცოლად. ქალებმა ეს ამბავი ჯერ არ იციან, თორემ იქ სკანდალი ატყდებაااა... მალულად კი ყველა ამ თემაზე ლადაობს. ერთხელ, ბირჟაზე მეც მკითხა აზრი. — როდის იყო, თავადები გლეხებს მიჰყვებოდნენ-მეთქი? — ვუპასუხე. გადაირია — იმათ ჰგავს, ესეცო. მისი გვარიდან მეც, ბებიასაც და დეიდებსაც გვყავს ხალხი დაწუნებული. ეჰ, მართალი იყო ცისკარიძე, ბებრები ატეხილანო, რომ მღეროდა. თან ტელევიზორში იმდენ გაუპატიურებაზე ლაპარაკობენ, მოხუცებს სათოფეზე აღარ ვეკარები. თამუნა".

რას ატყობ?

„ზესტაფონის რაიონში არის სოფელი, დილიკაური. ერთხელ ამ სოფლის მცხოვრებმა მძიმე ავადმყოფი მეზობელი, ბუჭუ ინახულა საავადმყოფოში. პალატასთან შვილები იდგნენ. გოგა შევიდა პალატაში. ბუჭუ ვერ ლაპარაკობდა, ის კი არა, თვალებსაც ვერ ახელდა. გამოვიდა გოგა და შვილებმა იმედიანად ჰკითხეს:

— რას ატყობ?

— მაგის პატრონს ლობიო ცეცხლზე თუ არა აქვს დადგმული, გარჩეული მაინც უნდა ჰქონდეს, — უპასუხა გოგამ.

მარიამულ, გახსოვარ? მაგრად, მაგრად მომენატრე. ხულიგანკა".

8 გოგოს მამა

„დაახლოებით 25 წლის წინ, ჩვენთან ერთი მურთაზა ცხოვრობდა, რომელიც ყველასგან თავისი გამჭრიახობით, ჭკუითა და კვიმატი ენით გამოირჩეოდა. მურთაზა, როგორც ყველა ნამდვილი, ქართველი მამაკაცი, რა თქმა უნდა, ბიჭზე ოცნებობდა, მაგრამ თითქოს იღბალი დასცინისო, ბიჭის მაგივრად 7 გოგო უხარებდა გულს. თუმცა, მაინც არ ეპუებოდა ბედს, ნანატრი ბიჭის მოლოდინში და როდესაც მერვე გოგო მოევლინა ქვეყანას, მურთაზა მოსასულიერებელი გახდა. მეორე დღეს სახლში „მიმლოცველთა" არმია მიადგა, სანუგეშებლად — კარგი, მურთაზ, გულს ნუ გაიტეხ, ხომ იცი, გოგოს ნამდვილი მამაკაცები „აკეთებენო", (?!) ანუგეშა ერთ-ერთმა. აქ კი ვერ მოითმინა ჩვენმა გმირმა მამამ და განწირული ხმით აყვირდა: და რა გინდა, „ჩემანალა", მაგით თქვა? ე.ი. 9 ძმა ხერხეულიძის მამა „გალუბოი" იყოო? აპოლონი".

სალტო

„შარშან, ამ დროს, სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში ჩავედი დასასვენებლად ერთი კვირით. რადგან პაპანაქება სიცხე იდგა, მეც სხვებივით გასაგრილებლად მდინარე ტეხურას მივაშურე. იქ ისეთი ლამაზი გოგო „დავსმოტრე", ლამის თვალები ბუდიდან გადმომიცვივდა. ჰოდა, აპოლონი რისი აპოლონი ვიქნებოდი, მისი დაკერვა რომ არ დამეწყო და საქმესაც შევუდექი. ჩემი კომუნიკაბელურობის წყალობით ადვილად მოვახერხე ლანას გაცნობა და დაახლოება. ჩემი ღრმა ფილოსოფიური საუბრებით, იუმორით, პოეზიისა და ლექსების მიძღვნით მისი გული ისე მოვინადირე, რომ თითქმის მთელ დღეებს ჩემთან ერთად ატარებდა და როდესაც მისი ტუჩების სითბო ვიგრძენი, თავი უბედნიერესი ადამიანი მეგონა. ჰოდა, ჩემი სიმაგრის დასამტკიცებლად, გადავწყვიტე, ჩემი საფირმო სალტო გამეკეთებინა და მაღალი ხიდან გადმოვმხტარიყავი. აზარტში შესულმა, ჯერ ერთი სალტო გავაკეთე ჰაერში, შემდეგ — ორი და წყლიდან „გასწორებული" ამოვედი. ლანამ, რომელიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, ჩემი „სოლო რეიდით" ნახტომის გამეორება მთხოვა. მეც დავთანხმდი, მაგრამ ამჯერად ცოტათი ზედმეტი მომივიდა. ქვედა ტოტს თავი წამოვარტყი და სულ ბზრიალ-ტრიალით წამოვედი ძირს და 2-ის მაგივრად ლამის 4 სალტო გავაკეთე და ნახევრად გათიშული ჩავეძნეყვე წყალში. უდიდესი ძალისხმევის შედეგად ამოვედი ნაპირზე. — რამე ხო არ იტკინე, სიხარულოო? — მკითხა ლანამ და ისეთი მომაჯადოებელი ღიმილი მტყორცნა, ლამის დავდნი და გაჭირვებით ამოვთქვი, არა-მეთქი, მაგრამ ოხრად დამრჩა მისი ღიმილი და ყველაფერი. მომდევნო 15 დღის განმავლობაში ორივე ყურის ანთებით ვიტანჯებოდი. ეჰ, რას გვიშვრება ეს სააკაშვილი კი არა და, გოგონები... აპოლონი".



„გზა" მომეცით!

„გაუმარჯოს! :) მართალია, „გზას" ძალიან ხშირად ვერ ვკითხულობ, მაგრამ როგორც კი მოვიხელთებ, მაშინვე „გზავნილებს" მივახტები ხოლმე. ისე, რომ ვაკვირდები, ამ ბოლო დროს საგრძნობლად ვუმატე სიტყვებს: „ერთი „გზა" მომეცით, თუ შეიძლება"... ჰოდა, გადავწყვიტე, რომ მეც მოგწეროთ და გითხრათ: ჩემი აზრით, ძალიან კარგი ადამიანები ხართ, „გზავნილ-ქალაქის" მცხოვრებლები და ასეთივეა თქვენი ქალაქის მარი (მერი უნდა მეთქვა). თუ არ მიწყენთ, განსაკუთრებით ილინსა და პარიჟანკას გამოვარჩევ და გულითად მოკითხვას გავუგზავნი. ვფიქრობ, ისინი ძალიან თბილი, ხალისიანი და ორიგინალური ადამიანები არიან. მოკლედ, გაიხარეთ და ასე გააგრძელეთ. უცნაური".

კაცი გინდა?

„ალბათ ყველა წასულხართ რაიონში და იცით, „მარშრუტკებთან" დაკავშირებული ამბები. ისიც გეცოდინებათ, რაიონიდან ჩამოსულ ხალხს მძღოლები რომ მიესევიან ხოლმე და ტაქსის სთავაზობენ. ერთხელ, მარტო ჩამოვედი სოფლიდან და რადგან ბევრი ბარგი არ მქონდა (2 არცთუ ისე მძიმე ხელჩანთა მეჭირა), ტაქსის მძღოლებს უარი ვუთხარი და გაჩერებაზე დავდექი. ამ დროს მომიახლოვდა ერთი საშუალო ასაკის, საიდუმლო გამომეტყველების კაცი და ჩუმად მკითხა: „გოგონი, კაცი ხომ არ გინდა?" ვაიიი, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა?! სასწრაფოდ გავცილდი იქაურობას და ცოტა მოშორებით დავდექი. დავინახე, რომ ეს კაცი სხვებთანაც მივიდა და ყველა ჩემსავით გაექცა. მას შემდეგ, ის კიდევ ბევრჯერ შემხვდა სოფლის „მარშრუტკების" გაჩერებაზე და როგორც მერე გავარკვიე, თურმე, უბრალოდ ბარგის გადამზიდავი იყო და სოფლებიდან ჩამოსულ, დატვირთულ ხალხს თავის მომსახურებას ასე უცნაურად სთავაზობდა. პენსიონერი".

ღიღეზის ზღაპარი

მეზღვაურის სიყვარული

„წლების წინ, სოხუმში ერთი ულამაზესი, ჯადოსნურ-ღიმილიანი გოგონა ცხოვრობდა, რომლის მომნუსხველი მზერა აუარება ბიჭის გულს ატყვევებდა, მაგრამ მისი გული მხოლოდ ერთ მეზღვაურს ეკუთვნოდა. ...და იყო ზღვის ტალღების იდუმალ ხმაურში გატარებული, უამრავი, სიყვარულით სავსე დღე და ერთგულების საუკუნო ფიცი, მაგრამ ბედისწერა მხოლოდ ტკივილს უმზადებდა მათ. ერთხელ, როცა ბიჭი მორიგი გასვლისას, ზღვაში ჩამავალი მზის ფონზე ქუდიან ხელს უქნევდა ნაპირზე სევდიანად ატუზულ, ქერადალალებაწეწილ გოგონას და ქარს ატანდა იმედიან სიტყვებს — მალე დავბრუნდებიო, არც ერთს არ ეგონა, რომ ეს მათი უკანასკნელი გამომშვიდობება იყო. გავიდა დღეები, თვეები, წლები, მაგრამ ბიჭი აღარ დაბრუნებულა. ზღვამ შეინირა მათი ლამაზი მომავალი და ოცნება... მთხოვნელების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა გოგონა, მაგრამ აღარ გათხოვილა, თავის დაკარგულ სიყვარულს ვერ უღალატა. სიბერეშეპარული, დღესაც ელის მეზღვაურ ბიჭს და არ უნდა დაიჯეროს, რომ მისი ოცნების გემი ნაპირს აღარასოდეს მოადგება. P.S. ასე აქცია ბედისწერამ შინაბერად, ჩემი საყვარელი მამიდა. ერენიტა“.

ფულსტოპი

„არ ვიცი, ამ ამბის მოყოლის შემდეგ დავრჩები თუ არა ცოცხალი, მაგრამ მაინც მოგწერთ. ამბავი ჩემს დეიდას, ნინოს ეხება. ახალგაზრდობაში ის ძალიან ლამაზი გოგო ყოფილა. ნინოს ისეთი დიდი მკერდი აქვს, პამელა ანდერსონი მონაგონია. აქვს აგრეთვე, გრძელი, სწორი თმა და სიმაღლით ასე, 156 სმ იქნება. ამიტომაც, მისმა ლექტორმა ფულსტოპი (წერტილი) შეარქვა. ასე რომ, ჩემს ლამაზ დეიდას ყველა ფულსტოპად იცნობდა. ნინო ძალიან ჭკვიანი და მოხერხებულია. გეოლოგიურზე სწავლობდა და ხშირად მიდიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყოლია, მაგრამ სათოფეზე არავის იკარებდა. ერთხელ, თავის დაქალთან ერთად ვინმე ლადო გაიცნო. სილამაზით ის ბიჭი არ ბრწყინავდა და დეიდაჩემმა თურმე ისიც კი გაიფიქრა — რას ჰგავს, ამასთან ვინ გაივლისო, მაგრამ ჩვენი ლადო ფარ-ხმალს არ ყრიდა, ხშირად ეპატიჟებოდა რესტორანში და ტკბილად ეჟღურტულებოდა. მართალი ყოფილა, — ქალებს ყურებით უყვარდებათო, რომ ამბობენ. ჰოდა, ჩემს ბრწყინვალე დეიდას შეუყვარდა ეს ჩვენი ლადო. უკვე მათი ამბავი მთელმა თბილისმა გაიგო და ლადომაც წაიყვანა დეიდაჩემი დედამისთან, გასაცნობად და მოკლედ ვიტყვი, მისმა დედამ დაიწუნა ჩემი ლამაზი დეიდა. ის ქალი მეგრელი იყო და მეგრელი რძალი სურდა თურმე. ნინო ძალიან ამაყი გოგოა, თბილად დაემშვიდობა სადედამთილოს და წამოვიდა. ლადო კი დედიკოს ბიჭი აღმოჩნდა და ხმა ვერ ამოიღო. მხოლოდ სინანულით აყოლებდა თვალს ჩემს დეიდას. ის ხომ თავისი ოცნების ქალს შორდებოდა... ლადო სულ უკან დასდევდა და ვერ ტოვებდა დეიდას, მაგრამ დეიდა უკვე მკაცრად ექცეოდა მას და ახლოს აღარ იკარებდა. ახლა დეიდაჩემი 57 წლისაა, ისიც ხნიერია (მასზე რამდენი წლითაა უფროსი, არ მახსოვს). არც მას შეურთავს ცოლი და არც ნინო გათხოვილა. ამდენმა დარდმა ძლიერ მოტეხა ლადო. დეიდაჩემი კი ისევ ისეთი ლამაზია, მიუხედავად თავისი ასაკისა. მინდა, ლადოს დედას ვუთხრა, რომ ვერც ერთი გოგო ვერ შეედრება დეიდაჩემს და ძალიან შეცდა, რომ დაიწუნა. ხომ ჰყავს ახლა ბებერი და დარდიანი შვილი?! მე ვგიჟდები, ჩემს შინაბერა დეიდაზე. მარი, მინდა იცოდე, რომ სახელები არ შემიცვლია. დაე, იცოდეს და წაიკითხონ იმ ვაჟბატონმაც და ქალბატონმაც ყველაფერი. კარგი შვილი მაშინ ხარ, როცა დედას უვლი და პატივს სცემ, კარგი კაცი — როცა შეყვარებულიც გიყვარს და მფარველობ. დეიდის ფანი“.

ქურდი

„მარ, გახსოვარ? მაკო ვარ. ეს ამბავი 40 წლის წინ გადამხდა და მინდა, ცოტა დაგვიანებით გიამბოთ. ტროლეიბუსით ვმგზავრობდი. ძალიან ლამაზმა ახალგაზრდამ მიიპყრო ჩემი ყურადღება და რატომღაც თვალს არ მაცილებდა. რას ვიფიქრებდი, ჩემს გაქურდვას თუ გეგმავდა? ქალი ვეპრანჭებოდი და მამას ნაჩუქარი 100 მანეთი ისე ამომაცალა ჩანთიდან, რომ ვხედავდი, მაგრამ ვერაფერს ვეუბნებოდი. ჰიპნოზი გამიკეთა თუ რა იყო, დღესაც ვერ ვხვდები. საოცრება იცით, რა იყო? ის ტიპი 2 დღის მერე მე და მამაჩემს ქალაქში შეგვხვდა და დიდის ამბით მოიკითხეს ერთმანეთი. მე თვალს არ მაშორებდა. ცხადია, მიცნო. მამა გვერდზე გაიხმო, რაღაც უჩურჩულა და დაგვტოვა. მამამ მხარზე ხელი მომხვია და მკითხა: — ვინ გაგძარცვაო? გავშრი, რადგან ამის შესახებ მან არაფერი იცოდა. იძულებული გავხდი, გულახდილად მეთქვა, მან გამძარცვა-მეთქი. მართალია, იმ ბიჭმა ბოდიშიც მოიხადა და მეორე დღეს თანხაც დააბრუნა, მაგრამ მამამ არ გამოართვა და მეორედ მოუხდა ჩემი დასაჩუქრება“.

„ბედნიერი“ უბედურება

„ვ ი ც ო დ ი! ვიცოდი, გულთმისანი მარი ჩვენც რომ გაგვიხსენებდა და ჩვენც დავწერდით შინაბერათა „ბედნიერი“ უბედურების შესახებ. ადრე, როცა ჩემს სკამს პატივს სცემდნენ, ბევრჯერ დავსწრებივარ სილამაზის კონკურსებს, რომელიც ჰა და ჰა, ფეხს ძლივს იდგამდა საქართველოს მრავალჭირნახულ მიწაზე და უშუქო ცის ქვეშ. ამ კონკურსის შემხედვარემ, დავრეკე ორგანიზატორებთან და სრული სერიოზულობით განვუცხადე — ლამაზ გოგონებს რად უნდათ გალამაზება და კონკურსები, გთავაზობთ იდეას, მოაწყოთ შინაბერების კონკურსი, ისედაც დაჩაგრულებს ნუ დაგვჩაგრავთ და ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ასაკოვნებიც ლამაზები ვართ-მეთქი. ორგანიზატორი ზრდილობის გამო მპასუხობდა და ეტყობოდა, რასაც ფიქრობდა უჭკნობ სილამაზეზე. არადა, მე ხუმრობისა და საკუთარი თავის დაცინვის ხასიათზე ვიყავი მხოლოდ. ამ ამბიდან მალე ახალგაზრდა ბებიების კონკურსი მოეწყო. იდეა გადამიკეთეს. აქაც დავიჩაგრეთ! თინეიჯერი შინაბერა“.

ქვასროლია

„ჩემო პატარა თინეიჯერებო, დოგმებითა და კომპლექსებით დახუნძლულს რომ არ მეცხოვრა, ახლა თქვენს რიგებში ჩემი პატარაც უნდა იყოს. ბიჭმა თუ რამე გითხრა, ქვა ესროლეო, დამარიგეს მშობლებმა. ჰოდა, ლოდების მთა რომ დავაყენე, მაშინ მივხვდი, რომ მარტო აღმოვჩნდი. ჰოდა, დავიწყე ახლა ამ ხნის ქალმა თვალების ჟუჟუნი და გაღიმება. წამოვიდა და რა წამოვიდა! გაუბედავი მამაკაცების მთელი არმია (მართალია, ცოტას ვაჭარბებ). ახლა „პროსტა მარიასავით“ ვზივარ და ვარჩევ. ბავშვებო, თქვენგან ჩვენ, დიდებიც ბევრს ვსწავლობთ, საყვარლებო. დაკარგული“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიფიცხე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com გამოგზავნეთ საინტერესო ამბები, თქვენი ნაცნობი შინაბერების შესახებ. კითხვა მოკლე ჩართვისთვის: როგორია იდეალური მამაკაცი?

ლეონიდა და შაქროია

„დავიბადე და გავიზარდე გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში და გავთხოვდი ქართლში. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაკვირდები, ქართლელები ძალიან განსხვავდებიან გურულებისგან. გურულები მეგობრული, იუმორითა და სიყვარულით სავსე ხალხია. მაშინ პატარა ვიყავი, ეს ამბავი რომ მოხდა, მაგრამ უფროსების გადმოცემით ვიცი. ჰოდა, ცხოვრობდა ორი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, შაქროია და „ლეონიდა. ამ პატარა და ლამაზ სოფელში, ერთმანეთის სიყვარულში სული სძვრებოდათ, მაგრამ ხანდახან სწორედ ერთმანეთთან გახუმრების გამო კინკლაობდნენ. იჩხუბებდნენ დილით, საღამოს ისევ ერთად იყვნენ. ჰოდა, მორიგი კინკლაობის დროს, შაქროიამ მოხარშა ხაში და გააფრთხილა მთელი საძმო: დილით ადრე, ხაშზე მოდითო. რა თქმა უნდა, ლეონიდა არ დაპატიჟა. გაუტყდა ლეოს, რა ქნას, არ იცის. დარჩა ხაშის გარეშე და საერთო მეგობრებთან ერთად ამ სიამოვნებას ვერ მიიღებდა. ჰოდა, ამ ლეონიდამაც გააფრთხილა ბიჭები: — მაგი თუ დილის რვა საათზე გეპატიჟებათ ხაშზე, ჩემთან ექვსზე მოდითო. თან დაამატა — რა იცის მაგან ხაშის გაკეთება, ხაში იმნაირი უნდა, მე რომ ვიციო. მთელი ღამე ხარშა შაქროიამ ხაში, ბუხარში დაკიდებულ ჩახანაში. როცა კარგად მოიხარშა, გულდამშვიდებული წავიდა დასაძინებლად. სწორედ ამ მომენტს ელოდა ლეონიდა. შეიპარა „ქუხნაში“, სტაცა ხელი ხაშით სავსე ჩახანას და გაარბენინა სახლში. დილით ადრე შაქროია მეზობლის სახლიდან გამოსულმა გურულმა კრიმანჭულმა გამოაღვიძა. — მეიცა პაწა, გაჩვენებ მე შენ სეირსო, გაიფიქრა გულში და „ქუხნაში“ გავარდა, ბუხარში ცეცხლის ასანთებად ისე, რომ ჩახანაში არც ჩაუხედავს. აანთო ცეცხლი და ნივრის გაფცქვნას შეუდგა. ცოტა ხანში ოთახში საეჭვო ბოლი დადგა. შაქროიამ მიხედ-მოიხედა, ვერაფერი შენიშნა და ის იყო, თავისი საქმე უნდა გაეგრძელებინა, რომ უცებ ბუხრისკენ მიიხედა და გაშეშდა — ბოლი ჩახანადან ამოდიოდა. მივარდა, თავსახური ახადა და მტრისას, რაც იქ დაინახა. სადღა იყო ხაში? ხაშის ნაცვლად ძვლები ეყარა და სქელ მუყაოზე დაწერილი წერილი უფრო ლექსს წააგავდა — „კარგი იყო, მოგვეწონა, ნახელავი შენი ხაში, აჰა! ჩახანა და ძვლები, შაქროია ირტყი, თავში!“ რაღას იზამდა შაქროია? შეურიგდა ისევ თავის ძმაკაცს და დილით დასამთავრებელი ქეიფი საღამომდე გაგრძელდა, ლეონიდასთან. მას შემდეგ მათი კინკლაობა არავის გაუგონია. ფიქრია სევდაძე“.

ასათანაბარი ქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ამ თემაზე თქვენი სახლის წინ მჯდარი, ნებისმიერი ჭორიკანა ქალი სიამოვნებით გაგიბამს ლაპარაკს და დიდ წინააღმდეგობასაც გაგიწევს, თუ ეტყვი, რომ შესაძლებელია, ასეთი ურთიერთობა ბედნიერი იყოს. უფრო მეტიც, გაყრით დამთავრებული ასეთი ქორწინების უამრავ მაგალითსაც მოგიყვანს და დაამტკიცებს, რომ ასეთი წყვილი ერთმანეთს ხმაურიანად და სკანდალურად შორდება.

ბრაფი თარხანი

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ ასეთი ფაქტი მართლაც ხშირია, ადამიანები კი, სამწუხაროდ, შეცდომას არცთუ იშვიათად უშვებენ, რაც უმეტეს შემთხვევაში გამოუცდელობით, დაბალი თვითშეფასებით და საკუთარი თვალის ახვევითაა განპირობებული.

როცა ქალია მამაკაცზე უფროსი

ასეთ თემას გვერდს ვერც ერთი ჭორიკანა ვერ აუვლის — „ორჯერ უფროსია, დედად ერგება, ნეტავ, არ რცხვენია?“ იტყვიან, იჭორავებენ და წყვილს მიივიწყებენ.

სინამდვილეში, საჭორაო თემა მათ დიდი ხნით არ ეძლევათ, რადგან ასეთი კავშირის 95% დასანგრევადაა განწირული. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, რის საფუძველზე მოხდა ახალგაზრდა მამაკაცისა და ასაკოვანი ქალის ურთიერთობა. ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ოჯახში წამყვანი ძალა — „დედა“ ანუ ცოლია, რომლის ჭკუაზეც „შვილი“ ანუ მამაკაცი დადის. ის მამაკაცები, ვინც ასეთ კავშირზე მიდიან, ისეთ ოჯახებში იზრდებიან, სადაც დედის აზრი დომინირებს და ბავშვობიდან მიჩვეული არიან ქალის მორჩილებას. დაოჯახების შედეგად ისინი მხოლოდ ერთ მფარველს მეორეთი ცვლიან. ასეთი ურთიერთობა მხოლოდ მანამდეა „სიცოცხლისუნარიანი“, ვიდრე მამაკაცი არ გაიზრდება და თავად არ მოისურვებს მფარველის როლში ყოფნას.

კავშირის დაშლის კიდევ ერთი მიზეზი ქალია, რომელსაც მოჰბეზრდება დედის როლი და სუსტი ქალის როლში ყოფნას მოინდომებს. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ტოვებენ „დედებს“, ვიდრე — პირიქით.

თუ წყვილს ათწლეულების მანძილზე თავისი სტატუსი დააკმაყოფილებს, მაშინ მათი ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება და მამაკაცი მთელი ცხოვრება მორჩილი, ქალი კი მბრძანებელი იქნება.

როდესაც მამაკაცი ქალზე უფროსია

ზემოთ აღწერილი სიტუაციის შებრუნებული ვარიანტია, როცა მამაკაცი ქალზე გაცილებით ასაკოვანია. ასეთი ქორწინებები უფრო მეტადაა გავრცელებული და უფრო დიდი ხნის განმავლობაში ნარჩუნდება, რადგან ამ შემთხვევაში ოჯახში როლები სტანდარტულ ვარიანტს ემთხვევა. ქმარი-მამა ასაკით უფროსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახში მთავარია. ის შვილის ტოლ გოგონაზე ქორწინდება და მასზე დომინირებს.

უთანხმოება არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული და მისი საწყისი შესაძლოა, ენერგიის არათანაბარი განაწილება იყოს. ახალგაზრდა ქალზე დაქორწინებული მამაკაცი მთელ თავის ენერგიას ცოლს ახმარს, მფარველობს მას და არც რჩევებს იშურებს; აპატიებს შეცდომებს, მის უცნაურობებს ითმენს და ახალგაზრდა თაობისთვის დამახასიათებელ მოთმინებას იჩენს. თუ ცოლი იმავე ქმედებებით არ პასუხობს, მათი ურთიერთობა შესაძლოა, დანგრევის პირას მივიდეს.

თუ მამაკაცისთვის ასეთი არათანაბარი ქორწინება სიბერის შესაჩერებელი საშუალებაა, მაშინ ეს გეგმა ჩასავარდნადაა განწირული. ასეთი ურთიერთობისას, თითქოს ქმარი ახალგაზრდული, ცხოვრებისეული ოპტიმიზმით აღივსება, სამაგიეროდ კი ვერაფერს იღებს. ვის უფრო მალე მოჰბეზრდება ასეთ სიტუაციაში ყოფნა, ეს არავინ იცის. ან ქმარი დაიღლება ახალგაზრდული სიცელქისა და აზარტულობის ყურებით, ან ცოლი დაიღლება მუდმივად მოთენთილი და ცხვირჩამოშვებული ქმრის შემხედვარე და მათი გზები გაიყრება.

ბედნიერი შემთხვევაა, როცა ცოლისა და ქმრის ცხოვრების რიტმი ერთმანეთს ემთხვევა. თუ ქმარი სულითა და ხორცით ახალგაზრდაა, ხოლო ქალი თავის ასაკთან შედარებით — უფრო დაბრძენებული, შესაძლოა, ასეთი ქორწინება ქმრის გარდაცვალებამდე ბედნიერი იყოს.

შიშველ ქალებში ამოცნობილი მეგობრები



„გზის“ წინა ნომერში თქვენი მესიჯებიდან საინტერესო და კურიოზული ფრაზები დავბეჭდე და შეგპირდით, რომ გაგრძელებას მომდევნო ნომერში შემოგთავაზებდით. ჰოდა, ვასრულებ დანაპირებს და იმედია, კვლავ იხალისებთ. პირველი ფრაზა სულ ცხელ-ცხელია და ალბათ, მიხვდებით, რომელი მესიჯიდანაა.

დასაწყისი წინა ნომერში

• „ნინოს ისეთი დიდი მკერდი აქვს, პამელა ანდერსონი მონაგონია. აგრეთვე, გრძელი, სწორი თმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დაბალია“.

• „ის ქალი საწოლში ისე დამეტაკა, რომ გავიფიქრე: თუ ცოცხალი გადავრჩი, ცოლს აღარ ვუღალატებ-მეთქი“.

• „ყოველღამ ვტირი და ვფიქრობ: როგორ დაუშვა ღმერთმა, რომ ქვეყნად გააჩინა ჰიტლერი, ასლან აბაშიძე და ჩემი დედამთილი?“

• „ყოფილ ცოლთან განქორწინება ვერა და ვერ მოვახერხე. ჰოდა, ახლა ვცხოვრობ სულთანივით, 2 ცოლთან ერთად და ვოცნებობ, რომ წაიჩხუბონ მაინც, მაგრამ ნურას უკაცრავად, ისინი მეგობრობენ და მეჩვენება, რომ ჩემ წინააღმდეგ რაღაცას გეგმავენ“.

• „რამდენიმე წლის წინ, ისე დავთვერი, რომ დავფეხმძიმდი“.

• „შოკში ვიყავი, როცა ქორწილის ღამეს ჩემი ქმრის ტანზე უამრავი „ნაკოლკა“ აღმოვაჩინე და თანაც, ყველა შიშველ ქალში ჩემი მეგობრები ამოვიცანი“.

• „ჩემმა მეგობარმა მითხრა, წუხელ მამაკაცთან ვიწექი, მაგრამ მისი სახელი არ ვიცი, იქნებ შენც დაწვე მასთან და სახელი ჰკითხოო?“

• „ის ძალიან მორიდებული იყო, ყვავილებს მჩუქნიდა, ცნობილი მწერლების წიგნებს კითხულობდა და უცებ, სექსი არ შემომთავაზა?“

• „გზავნილებში“ ათასი კრეტინი ათას სისულელეს წერს და მეც გადავწყვიტე, მომეწერა“.

• „როცა ლოგინში ვწევართ, მისი ძაღლი მოდის და ისე მიღრენს, რომ ალბათ მალე იმპოტენტი გავხდები“.

• „ფირმაში მითხრეს, რომ კომპიუტერზე, ღამით სამუშაოდ თანამშრომელი სჭირდებოდათ. უკვე ერთი თვეა, ვმუშაობ და თუ ამას კომპიუტერი ჰქვია, მაშინ“...

• „მინდოდა, სიდედრისთვის მესიამოვნებინა და ვუთხარი: თქვენ სულაც არ გეტყობათ, რომ 50 წლის ხართ-მეთქი... ამას რა მათქმევინებდა, რომ მცოდნოდა, ის 46 წლის იყო?“

• „ის მთელი საღამო თვალს არ მაშორებდა და მხოლოდ ჩემთან ცეკვავდა. შემდეგ, თვალებში ჩამხედა და მკითხა: შვილიშვილები გყავთ?“

• „მითხრა, რომ ჩემგან ორსულად იყო და იძულებული გავხდი, ცოლად მომეყვანა. ბავშვს ერთი წელი ველოდი, მაგრამ არა და არ დაიბადა. მივხვდი, რომ სასტიკად მომატყუეს“.

• „გადავირიე, როცა მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი. ბავშვი ვისი იყო, ამის გარკვევის დრო არ მქონდა, რადგან სასწრაფოდ უნდა გავთხოვილიყავი“.

●

მოკლე ჩართვა <<< 12

რას ნიშნავს საბედისწერო ქალი?

• საბედისწერო ქალი შენ ხარ, მარი. კვირაში 7 დღე შენზე ვფიქრობ. ნეტავ, როგორი ხარ? ლამაზი? ფრთები გაქვს? რა მიზიდულობის ძალა გაქვს ასეთი, რომ გვიზიდავ? გრუზინკა.

• საბედისწერო ქალს დაქალები შეყვარებულებს არ აცნობენ. უბრალოდ, ცუდად აქვთ დაცდილი. კაცებისთვის მხოლოდ სასოწარკვეთა მოაქვს და ხშირად ხდება გაუგებრობის მიზეზი. მერილინ მონროს არ ჰგავს, თუმცა, არც ნაკლებად იზიდავს მამაკაცებს, სხეულით თუ ხასიათით. ზოდიაქოთი მორიელია. p.s. ოლონდ, არ მკითხოთ, მე რა ვარ, ზოდიაქოთი. თაკლო.

• საბედისწერო ქალი სიზმარია, ძილში სასიამოვნო და სასურველი, რეალობაში კი — ტკივილისა და ცრემლების მომტანი. გინდა, გაიღვიძო? მაშინ ტკბილი მოგონებისგან მხოლოდ მწარე რეალობა დარჩება. საბედისწერო ქალი სევდის ქალღმერთად გადაიქცევა, როცა საყვარელ მამაკაცს განაჩენს გამოუტანს და ისე მიატოვებს, როგორც ის მიატოვეს ოდესღაც. იკუშკები.

• საბედისწერო ქალი ცხოვრებისგან გარიყულ, დაჩაგრულ, ყველასთვის სასურველ და შეიძლება ითქვას, უღბლო ქალს შეიძლება ეწოდოს. გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ქალები

1. ვარ 35/167/63, ბინით უზრუნველყოფილი, სუფთა წარსულის მქონე, ქუთაისელი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს.

2. ვეხმაურები 23-ე ნომერში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორ მამაკაცს, რომელიც ეძებს განქორწინებულ, სიმპათიურ გოგოს. დამიმესიჯე.

3. ვარ 35 წლის, ვეძებ საქმროს.

4. ვარ 25 წლის, პუტკუნა, განათლებული, დასაქმებული გოგო. მსურს გვიცნო 25-32 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. გასართობად ნუ შემეხმიანებით. ნია25.

5. რატომ აღარ მომდის ნომერი? უკვე ორი მესიჯი გამოვგზავნე, ნომრის გაგება სადაც შეიძლება და პასუხი არ მომივიდა. თქვენ რა, ატყუებთ, ხალხს? ვეხმაურები „გზა“ №26, 21-ე მესიჯის ავტორს. თამუნა.

6. ვეხმაურები გიორგი 2008-ს. „გზა“ №26, მესიჯი №20-ის ავტორს. დამირეკეთ.

7. დამაკავშირეთ მე-17 მესიჯის ავტორთან.

8. ვარ 36 წლის, ქვრივი ქალბატონი, 172/75. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 45 წლამდე, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს. დანარჩენი — პირადად. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

მამაკაცები

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 22-26 წლამდე სიმპათიურ ქალიშვილს, თუ კიდევ დარჩა ვინმე. ვარ 34/182/75, სიმპათიური ბიჭი. შემეხმიანეთ. გია.

10. ვარ 23 წლის, სიმპათიური, მაღალი ახალგაზრდა. ვეძებ ოჯახის შექმნის მიზნით 18-25 წლის გოგონას. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

11. ვარ მაღალი, სპორტსმენი. ვცხოვრობ თბილისში, ვეძებ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ, ქალიშვილ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. დიმა.

12. ვარ ძალზე სიმპათიური, განათლებული, დადებითი თვისებების მქონე, 36 წლის მამაკაცი. გავიცნობ ანალოგიური ხასიათისა და გარეგნობის ქალბატონს, ვისაც სიყვარული სურს.

13. ვარ 24 წლის მამაკაცი და ვეძებ 20-23 წლის, კარგ ოჯახში აღზრდილ, ზრდილობიან და სერიოზულ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით.

14. ვარ 40 წლის, ცოლს გაცილებული, სიმპათიური მამაკაცი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 35 წლამდე მომხიბვლელ, სიმპათიურ მანდილოსანს.

15. ვარ 55 წლის, ქვრივი მამაკაცი. მსურს ოჯახის შექმნა. დათო.

16. მრავალ გოგოს მოფერება მინახავს, მათ გულში კი მუდამ ფიფქი თოვდა, მინდა მყავდეს გვერდით მე ის სიცოცხლე, რომელიც რომ ვნებით ცაში ქროდა. ვარ 31 წლის.

17. გავიცნობ როკმუსიკის მოყვარულ გოგოს, რუსთავში მცხოვრებს, 25 წლამდე. რიჩი ბლეკმორი.

18. თუ შეიძლება, დამაკავშირეთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორთან, 30 წლის (№1) ქალიშვილთან.

19. ვარ 31 წლის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან მანდილოსანს, 25-დან 30 წლამდე. ლევანი.

20. ვარ ახლად ცოლს დაშორებული. ცოლს დავშორდი, რადგან უშვილო იყო. მინდა გავიცნო აღმოსავლეთ საქართველოდან პატიოსანი ოჯახის გოგო, 22-28 წლის. დაბლებმა და მსუქნებმა თავი შეიკავეთ.

21. ვარ 36 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 30-38 წლამდე მანდილოსანს. ვარ კახეთის ერთ-ერთი რაიონიდან. დანარჩენი — პირადად.

22. გავიცნობ ლამაზ და პატიოსან გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 27 წლის, 182სმ სიმაღლის და 81კგ. მაქვს ბინა, მანქანა და სამსახური. მსუქნებმა, დაბლებმა და ცანცარა გოგოებმა თავი შეიკავეთ.

23. ვარ 35 წლის, საქორწინო, მორწმუნე ბიჭი. მინდა გავიცნო ოჯახის შესაქმნელად პატიოსანი, ოჯახის გოგო, 28-33 წლის. მსუქნებმა და დაბლებმა თავი შეიკავეთ. დათო.

ბასა

24. ვეძებ ქუთაისელ ლანა კენჭაძეს. 2 წელია, ვერანაირად ვერ ვუკავშირდები. თუ ვინმემ იცით რამე მის შესახებ, გთხოვთ, გამაგებინოთ. ლანას მეგობარი, დედოფლისწყაროდან.

25. ვეძებ კახა კვიტინიძეს. ცხოვრობს ზუგდიდში. თუ წაიკითხავს, მინდა იცოდეს, რომ ქვეყანა მოულოდნელად დავტოვე.

ყველაფერი



• მოკითხვა მეგრელ მგზავნელებს, განსაკუთრებით ბოხოს მოვიკითხავ. ხალხო, რომ გიყდებით ამ ბოხოზე, ვერ ხვდებით, რატომაა ასეთი მაგარი? მეგრელია, მეგრელიიიიი! უმეგრელესი.

• გამალჯობა, მალი დეიდა, ახლა დედიკოს მობილური ავიღე და ვეხმიანები მეორე გზავნილიშვილს. მე უკვე 3 თვის ვარ და ჯერ 8 კილოგრამი, ძალიან მსუქანი ბავსვი ალ ვალ, მაგრამ მაგალი ვალ, მიყვარს, როცა „გზავნილებს“ მიკითხავს დედიკო. გკოცნით ყველა მგზავნელის შვილებს. მიყვარხართ. გზავნილშვილი, გიო.

• ბოტოტ, სად ხარ, რად დაიკარგე? რატომ გაუჩინარდი, ქა, რავა ციცინათელასავით გამოჩნდი და გაქრი? :-) ათენი23.

• მარი ჯაფარიძევ, მგზავნელების სიამაყევ, როგორ გიკითხო? ხედავ? ისევ გამოჩნდა სოფო ადანაია, იგივე მეოცნებე. მგზავნელებო, მომენატრეთ. სოფო.

• მარი, სულ მინდა დაგიმესიჯოთ, მაგრამ ისეთი დატვირთული ვარ, ვერ ვახერხებ. ახლა 6 საათზე ავდექი, რომ მომეწერა. ბოდიშს გიხდი და კარგ კვირას გისურვებ. გერასიმე.

• გამარჯობა. გთავაზობთ პირდაპირ ტრანსლაციას, ქ. სენაკში მიმდინარე კონცერტიდან. :) ღონისძიება 2 საათის დაგვიანებით დაიწყო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. კონცერტი პანტელეიმონ ბოჯგუას 80 წლის იუბილეს ეძღვნება (აზრზე არა ვართ, ვინაა, მართლა...). უძღვება მისი ვაჟიშვილი, თეიმურაზ ბოჯგუა. მართალია, ცოტა არეულად ლაპარაკობს, მაგრამ ამას არა უშავს. ექსკლუზიურად თქვენთვის, ჩემ გვერდით ნონ-სტოპი ცეკვას ასრულებს. :) ახლა თავის საქმროს ეძებს, უნდა ვეცეკვოო. :) ახლა, თუ შეიძლება, რეკლამაზე გავიდეთ, რაა. ნონ-სტოპს უნდა შევუერთდე და არ მცალია. :) აბა, დროებით. თქვენთვის პირდაპირ ეთერში მუშაობდა აფხაზეთის პრინცესა. :)

• მგონია, ამ გზით მივაწვდენ ხმას იმ ბიჭის სულს, რომელსაც სიცოცხლე უზომოდ უყვარდა. მალე მისი დაღუპვიდან 2 წელი გავა და მინდა, ჩემი ტკივილი ახლა მაინც გამოვხატო. ეს მე არასდროს არავისთვის მითქვამს და ახლა ვამხელ. პარიჟანკა.

• რამდენი ვითომ ქომაგი ჰყავს, განძის მაძიებელს. აცადეთ მაგ კაცს, თუ მართალია, თვითონ გასცემს პასუხს. ან რა უფლება გაქვთ, იმ გოგონას დებილს რომ ეძახით? თვითონ ძაბავთ, სხვას კი მშვიდობისკენ მოუწოდებთ. რავა დაემგვანეთ ჩვენს პრეზიდენტს?! აფსუს! მარ-ათენი.

• ძველობა და ახლობა ვერ გავიგე. არ ვახსოვართო, რატომ დამივიწყეთო... ბევრი მეფე-დედოფლობას იჩემებდა, ზოგიც მგელ-ბატკნობას არ იშლიდა, მაგრამ დღეს მათი მესიჯის „ნაგლეჯიც“ არსადაა. რავა ბებიაჩემივით გაიძახით, ადრე სხვანაირად ვიცოდით, ახლა გაირყვნა ახალ... მოკლედ, დრონი მეფობენ და არა — მეფენი“. მარ-ათენი.

• აუ, გუ-ათენო, შენ საფრანგეთში წადი და „გზას“ მე გამოგიგზავნი. :-) ათენი23.

• მე შენი გულისტკენა არ მსურდა, თავის აყვანას ვცდილობდი ხელში. თუმცა, გამექცა მგონი ისარი, ვხედავ, ლამაზო, დაჭრილხარ მკერდში. ხვდები? სნაიპერი.

• მე ახალი ვარ. არ გინდათ, გამიცნოთ? არ ინანებთ. მაგადია „გზა“ და მარი. ბოთე.

• ლუნა, მაპატიე, არ ხარ აფერისტი, მე ვარ აფერისტიც, კარატისტიც და დინამიკიც (ნუ, რა ვქნა) და მიყვარხართ მგზავნელები (სიზმარში). დავაი, მორჩა მლიქვნელობა, მართლა კაი ხარ.

• ბუტე-ბუტე, გამებუტე, აღარ მემესიჯები? ამ სიყვარულს სხვა კი არა, მარტო მე გეფიცები. რაო, ჩემო სიხარულო, ფიქრობ, აღარ მიყვარხარ?

• მგონი მიყვაااარს ეს მეგრელი ბიჭი! გავგიჟდებიიიიიი! ვასასი.

• აგნესა, ქოსა, რამაზა, ჯაგარა, ქავთარაძე, ვიტალი ჩოჩიევო, რობერტა, სტურუა, კობა გუგუთიშვილო, თემო, ნოდო, ბერიძე გველო, ყველანი მენატრებით. თამო.

• მაზოხისტკას მოვიკითხავ, ეს ადამიანი ძალიან მიყვარს, ძალიან ყურადღებიანია. ალბათ ვერ მიცანი, ხომ? ლუციფერ, მახსოვხარ, აბა არ მახსოვხარ? მოგვიანებით გილოცავ. ეგოისტკა.

• კავალ, ასეთ სიტყვებს რატომ კადრულობთ, ვინაა ჩმორი, გრუზინკა? ჰა, ჰა, ჰა! მიყვარხარ, გრუზინკა! ეკა, რა გეაფერისტე, გოგო, ჰა? ნუ მოხიბლე ტვინი, რა! მოკითხვა კიკოს. ლუნა.

• კავალას! ჩმორი კი არა ანგელოზი ვარ. რომ მიცნობდე, უჩემოდ 1 წუთსაც ვერ გაძლებდი. შემიძლია, დაგიმტკიცო. მე შენზე საგანგაშო არაფერი დამიწერია. ასე არაა? გრუზინკა.

• ყველა მგზავნელს ვთხოვ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ და არ დაგვავიწყდეს, რომ „გზას“ მთელი საქართველო კითხულობს. მართებული არაა, ერთმანეთის ლაფში ამოსვრა. გრუზინკა.

• მარი, მის რეალი და კახელი სალომე თავად გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. თუ ერთმანეთის მიმართ პირადი წყენა გაქვთ, ჟურნალს გარეთ გაარკვიეთ, გთხოვთ. გრუზინკა.

• კავალ, მართლა მეცხრე თაობის დებილი ხარ, რომ ჩემი და გრუზინკას ლანძღვით ეძებ იაფ პოპულარობას. რქიანთა ჯიშის ხარ და მიდი, გვირქინე, უსქესოვ. განძის მაძიებელი.

• კავალ, მგონი, მართლა მაგრად გაუბერე. ერთი ადგილის წკეპლით აჭრელება არ გაწყენდა. ვიცი, ვინც ეფარება მაგ ნიკს. როდის შეგხვდე ნადიკვარზე? განძის მაძიებელი.

• „გზის“ ფურცლებზე რა ფრონტის ხაზი გახსენით? მიყვარხართ განძის მაძიებელო,

მის რეალ, ვარდენ, გრუზინკა და კახელო სალომე. ბილწებს ნუ მოუსმენთ. ნათუშკები.

• განძის მაძიებელი, გრუზინკა, ლუნა, კახელი სალომე და მაესტრო მაგრად ქაჩავენ, ხომ იცით. მერედა, მე გეუბნები, ძველებზე ნაკლები კი არ ხართ, ჯობიხართ კიდეც.

• მის რეალი ბევრს ბლატაობს, საბლატაო რა აქვს, ნეტავ? მაგის წონა მარტო, მგონი, თავში მიდევს ტონა ტვინი. ოღონდაც, ნუ შეაწუხეთ ტვინი, ძველები, ძველებიო. ახლებს გაკოცეთ.

• ბავშვებო, მაპატიეთ, რომ ვერ გწერთ ხოლმე, ყველა ძალიან მიყვარხართ, ბუბუსიკა, green girl, ნონ სტოპ, უკარება, ბოტოტა, ვარდენა, მანაველო, კახელო-616, მიყვარხართ! ლუნა.

• 9717, მის რეალ, კახელო სალომე, როდის ვთქვი, ტვინი არ გაქვთ-მეთქი? ეეჰ, თქვენისთანა რასისტებს რა უნდა ველაპარაკო, კახელ-მეგრელობა რა შუაშია? სირცხვილი თქვენი. ნიკე.

• ვაი, რა აბლატავებს ამ ხალხს? მეგრელებს ნუ ეხებით, გაიგეთ? მის რეალ, მარიამულს ცუდად მისწერე და რა გეგონა, არავინ გაგაკრიტიკებდა? უკომენტაროდ, რა!..

• ქუთაისში როგორ ცხელაა... თათა, მომენატრე ძალიაან, მალე ჩამოვალ. მის რაგბი.

• განძის მაძიებელო, უუძალიანესად უუსაყვარლესი კომპლექსები გქონია. 56 კილოგრამი ვარ და შაქარივით ჩაგადნები. ნუ, ახლა მაგდანას ლურჯაზეც ვიტირებ. ვინმეზე კაი ზასაობაც ვიცი...

• ჩაძირულთვალებიანო შტერუკა, შუქი არ გაგიკეთეს? მაგდა-მის რაგბი.

• განძის მაძიებელი კარგი ადამიანია, ეს ყველამ იცის. შენ კი გრცხვენოდეს, კავალ. მის რაგბი.

• ეე, ნაგლო კავალ, ბიჭი არ დაწერდა — გული არ გამიხეთქეო? ცხადია, ვიღაც დაწუნებული გოგო ხარ და განძის მაძიებელი რომ ვერ აცდუნე, ჯავრს ასე იყრი.

• მდაა... გრუზინკა, ადრე შენს გზავნილებს აშკარად ეტყობოდა არაქართული გაუმართაობა, ამ ბოლო დროს კი საეჭვოდ დახვეწე. ძმურად, მითხარი, ვინ გეხმარება? მამუკა.

• მარი, რატომ დამიბლოკე მესიჯები ან ლიკა — შენ? „გზაში“ ჩემი მესიჯი ვერ გავჩითე. უბრალოდ, მაგდას აზრი მაინტერესებდა, ჩემს მესიჯზე. მობილიზაციაშიც კი მიმბლოკე. მაფიოზა.

• ბაზარი არაა, მანაველო, უეჭველი გაგიცნობ და მე — ბრატი, შენ — სესტრა. კახელებს გაუ... მარ... ჯოოოს! ქუთაისელი არ ვარ, იმერელი — კი. ესეც ასე, მანავის მწვანეც დამილევიაააა. ჯეჯე.

• ვაააა, შემნიშნეთ? პატარა მავნე, ძალიან საკალელი ხარ. გაკოცეეე... p.s. ვაბოდებ თქვენზე. ტირილი მინდაააა! ოღონდ, სიხარულის ცრემლებია, ეს. მიყვარხაااااართ. ცირა.

• ძალიან გახარებული ვარ, პატარა მავნემ და განძის მაძიებელმა რომ შემამჩნიეს. ეს უკვე დიდი მიღწევაა. ჩემი დევიზია: არც ერთი ნაბიჯი უკან! გაკოცეეეთ! ცირა.

• 21-ე მესიჯის ავტორს: სააინტერესოა და რატომ მაინცა და მაინც თამუნას?

• ლუციფერ, მე მახსოვხარ და არც არასდროს დამვიწყებიხარ. აბიტურიენტებს — წარმატებები! მალე სტუდენტობა მომელოცოს, ყველასთვის. p.s. შვილო, მიყვარხარ. ბაო-ბაო.

• ამ ჭიქით, მიშკა, შენი თამადობით, წასულების სადღეგრძელოს დავლევ. არარაობა ხარ! გიგა, შენ კი აირჩიე ან მე, ან ეგ ოხერი პოკერები. p.s. შვილო, მიყვარხარ! :) ბაო-ბაო.

• ისე, იმ მგზავნელმა სიმართლე გითხრა, მის რეალ. ჟურნალის რეიტინგზე ზრუნავს გოგო, თურმე. შენც რეიტინგული არ მყავდე, რა! შენი და კახელი სალომეს მიერ მატნელებზე დაწერილი ამბები მომბეზრდა.

• რა ლამაზია ბაგრატი, გელათი... მართლაც საოცარია. ჩემი მანაველი არ მინდა გავუშვა, მაგრამ საქმე გვიხმობს. რას ვიზამთ? რა კარგი დრო გავატარეთ! ქუთათური.

• არასდროს შეგეშინდეს, რომ დამავიწყდები ვიტო, ჩემო სულელო ბიჭო. წარსულს ადამიანები გონებაში ინახავენ, ტკბილმწარეა, ბედნიერი თუ ტკივილით სავსე. 29 სექტემბერი მემახსოვრება, რადგან შენი დაბადების დღეა. ოღონდ, რაც დამთავრდა, აღარ განმეორდება. წარმატებას გისურვებ, იბედნიერე უჩემოდ. დაგლოცოს ყველა წმინდანმა. ეკალა-ტირიფი.

• ახლა ჩემს გულში საშინელი ეჭვი და უსაზღვრო მონატრება ებრძვიან ერთმანეთს. აღარ შემიძლია, ამდენი ტკივილის ატანა. 17 წლის გოგონასთვის ნამეტანია. გიო, მენატრები უსაზღვროდ. მანდ, ოკეანის მიღმა ჩემი ფიქრები შენთან არიან. ყოველი წუთი სიცოცხლისა, შენით არის გაჟღენთილი. მალე ჩამოდი, მე მეტი აღარ შემიძლია.

• ლამაზია ქუთაისი, გელათი და ბაგრატის ტაძარი მოვინახულე. ამისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი ქუთათურს. ქუთათურო, მე მართლა ძალიან მიყვარხარ, მეგობარო! მანაველი.

• აუ, ფინტიკოზა, სად ხარ? მომენატრა შენი გზავნილები. გამოჩნდი, გთხოვ. ან სესი სად დაიკარგა, ეგ ფშაველი ბალღი? :) ლუნა, ჯიგარსონა ხარ, შემოგევლე. მანაველი.

• გრუზინკა, ქუთაისში მართლა წამოხვალ, ჩემთან ერთად? მართლა კარგი დრო გავატარე, იმერლებმა კარგი მასპინძლობა იციან. ჰოდა, რომ ჩამოვალთ, შევკრიბოთ ქუთათურები. :)

• ხალხოო, ქუთათური გავაღარიბე და ანგარიშზე თანხას ვეღარ ირიცხავს. :) ჰოდა, მგონია, ვერ მოგწერთ ამ ნომერში. მარი, ბალი ჩემზეა, შე ბალიანო ბავშვო, ძალიან გემრიელი ხარ.

• აუუუ, დღეს მართლა გაღიმებული დავრბივარ, ამდენი სიხარული სად შემიძლიაااااااა? ინგლისურმა დამითხოვა. ისე გამოვრბოდი, კინაღამ კისერი მოვიტეხე.

• პრივეტები, ყველაااას! ახალი ვარ და არ მიმიღებთ? წიკო.

• დათ, არ ვიცი, რა დაგიწერო და რა გითხრა, იმიტომ, რომ სამწუხაროდ ახალი და სანუგეშო არაფერი მაქვს სათქმელი. ვართ ძველებურად და ისევ ისე უზომოდ გვენატრები. ნიკამ კარგად მოაიარა ქობულეთი და კმაყოფილი დაბრუნდა. ისევ ისეთი გაჩხინკული კი არის. ერთი სული მაქვს, ეს 2 კვირა როდის გავა. აბა, შენ იცი, გაგაძლებინოს უფალმა. გკოცნით ბევრს. მარი, ნიკა და მაკაკო (სამშაბათს ჩავრიცხე). მოკითხვას გითვლის ყველა, ვისაც უყვარხარ.

• დათო, როგორ ხარ? არაფერზე ინერვიულო, ჩვენ ყველანი კარგად ვართ, მხოლოდ ეგ არის, ძალიან გვენატრები. გვიყვარხარ, გკოცნით. ეკა, დაკო. მოკითხვა დანარჩენებისგან.

• კობა გუგუტიშვილო, შენნაირ იდიოტებს კაიბიჭობა-

ზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. შენ ქათმების კამერაში უნდა იყო, კრიტში კი არა. ნინი შუკვანი.

• ხოხ, თურმე აშხფოთებული 9717 მგელკაცა ყოფილა. ისე, ეკატერინე ჭავჭავაძე კახელობით რძლად არ დაგვიწუნებია და გული ნუ გააწყალეთ.

• გზაელებო, ნიკებს დაუკვირდით: კა-ლა. კა-ვალ. ერთს უყვარს, ერთი — ლანძღავს. პირველ მარცვლად კი ორივემ „კა“ დაირქვა. ანუ, ეს „კა“ რომ ჯეკპოტია, ხვდებით? „კა“-ს ფანი, ე-კა-ლა.

• მარის სახლთან გზაზე ხრეში ეყარა. ძლივს გავიარე ამ ხრეშში. მარის ვკითხე — რაია, რატომ დაყარეთ აგი-თქვა? — და ესო, ახალმა მთავრობამ გვიწყალობა, იხრაშუნეთოოო!

• ნინიკო, მიშიკო, უჩა, მარი, თორნიკე, ანი, ნიკუშა, მი-ყვარ-ხართ, სი-გი-ჟემ-დე! p.s. მარ, აკი მესიჯებს არ დაგიბეჭდავო? თამო, მალე ჩამო ავსტრიიდან, მენატრები. ეკა.

• კაი, რა?! ნუ უსმენ სხვებს, განძის მაძიებელო, შენ ხალხმა კარგ ადამიანად გაგიცნო და შეგიყვარა. ერთი კითხვა მაქვს — კახას რომ წერენ, შენ გქვია? წარმატებები. ცირა.

• ქუთაისელ ლომუას ქუთათურისგან დიდი სალამი. ოლეგარიო, მეც მოგიკითხავ. green girl, იმედია, მალე გაგიცნობ. ქუთათური.

• ტარზანზე მეოცნებეო? მე დღესაც ვეძებ 1981 წელს დაბადებულ დათოს, კუროს ნიშნით დაბადებულს, ცისფერთვალებას და ტუჩთან ხალით. ეჰ, ეს ფანტაზია... ოცნების გიჟი.

• შენთვის არავის არ უთქვამს, მარიამულსა თათხავსო? შენ საფირის თვალს გამსგავსებთ, მარიამულს კი ალმასსო! ვინც უსამართლოდ იჩივლებს, თქვეს, რომ ის მეტსა კარგავსო.

• გუშინწინ ზესტაფონელი დაიჭირეს, თავისთვის ლაპარაკობდა ქუჩაში. მეგობარმა ჰკითხა — რას შობი, ბიჭო, ბუჭუნია, შენთვის ლაპარაკობო? — რა გინდა, შეჩემა, ჩემზე უკეთესს ვის დეველაპარაკებიო? მერე ტუალეტში დაიჭირეს, ფული არ გადაიხადა და უთხრეს — აქანე ფულია გადასახადიო. — რამდენიო? — ოცი „კაპიკიო“. — არ გამაგიჟო, „ათკაპიკიანი“ ბულკი მაქვს ნაჭამი და ოცი „კაპიკის“ რა ვქენი ახლა მეო? გუშინ კიდევ, ერთი მოვიდა ჩემთან და მითხრა — ხომ არ იცი, კარგი კბილის ექიმიო? კარგ კბილს რად უნდა ექიმი, წადი, დაიკარგე აქედან-მეთქი. ისე, ვისაც კი თითი აუცდა, ყველა ჩემს მობილზე მოხვდა. ყველა გიჟი და გადარეული ჩემთან ხვდება. ჯეჯე.

• ვერმახტ და მის13.07, სად დამელოსტეთ? მომწერეთ, რაა! იკჩო-სიხჩო, როგორაა ჩემი მაგადი ქალი? ჩორი, რატომ არ ხარ ხოლმე სახლში? გირეკავ. ashley pcd.

• გრუზინკა, გამეცნობი? scarleT, აბეზარა და პატარა მავნე, ძაან საკალლები ხართ. lilly, მაგარ დასვენებას გისურვებ. მის რეალ, ჩემი ნოერმი დაითრიე, რა. ashley pcd.

• გამარჯობა, მგზავნელებო. უკარება და გრუზინკა, გაიხარეთ! გრუზინკა, თელავის ავტობუსს გამოვაყოლებ ქვაბს. მაესტრო21, იქნებ ტკბილეულის მინისტრად გამიშვა? ფელამუშა.

• მაესტრო, ბოა, დუჩ, ნიკოლ, მავნე, გაიხარეთ, რომ გახსოვართ. ნურც დამივიწყებთ. ლიპსო, ფეხი როგორ გაქვს? ყველას მოგიკითხავთ, დიიიდი სიყვარულით. ბაობაო.

• კანიბალკა, ესაა, დავბრუნდიო? პარიჟანკას, ლიმონა მანიუს, ლელუჩიას, ნელკას, ჩორის და გრეენ გირლს მოკითხვა. კამელია, სად დაიკარგე, რომ არ ჩანხარ? ფელამუშა.

• იმას ვამბობდი, რომ კახელებო, მაგრები ხართ! მავნე, თითქოს მთელი ცხოვრებაა, გიცნობ. დედუნას უფრო უყვარხარ, გიჟო. ლან, არა ვჭამოთ პურიი? :) ლუციფერ, აღარ დაგვეკარგო. ბაო-ბაო.

• რამაზ, დე, მენატრები. ყველას გვიყვარხარ. ანზორის დაპატიმრება მეწყინა. როდის დაგვიბრუნდები? დედა და თამთა.

• ჰო, სურათები დავათვალიერეე... ნელკა, მუკობაზიერი, ვერმახტი, გიო93, ჩუქჩა, ლელუჩია, დუჩი, ლიმონა, ნიკოლი, გრეენ გირლ, კიკო, მაესტრო21, დაგათვალიერეთ! პატარა მავნე.

• ჩემმა მასწმა კითხვა დასვა — სანქტპეტერბურგში რომელი მდინარე ჩამოედინებაო? ჰოოოდა, ჩემმა დაქალოჩკამ უპასუხა — ალაზანიო. :) პატარა მავნე.

• ვივიენ, მოკითხვაა ჩემგან. ჰო, ლაშასაც მოვიკითხავ. სორრები, თხოვნაზე უარი რომ გითხარი. პატარა მავნე.

• რავა ხართ? მაგრად მომენატრეთ და მიყვარხართ. ლუციფერ, შენი skype მითხარი, რაა! ჩემი არის სესი-999. დამიმესიჯეთ, მგზავნელებო. მპუა. სესი.

• მე შენ უბრალოდ ვერ დაგივიწყებ, მაშინ უბრალოდ, გულქვა ვიქნები, დამავიწყდები, იცოდე, მაშინ, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები. მუხრანელო თეო, იმედი არ დამიკარგავს.

• ბოლოჯერ ვცდი და მოგწერთ. მარი არ მწყალობს და რატომ, არ ვიცი. მარ, ბევრს არ გთხოვ, უბრალოდ, იმ ადამიანებს მინდა ჩემი სიმპათიები მივაწვდინო, რომლებიც ძაან მომწონს.

• რადგანაც არ შეგიძლია, გარეგნულად გახდე ისეთი, როგორიც გინდა, სულიერად გახდი ისეთი, როგორიც უნდა იყო... ამას წაიკითხავ და მიხვდები, რომ შენზე მაქვს ლაპარაკი. ცუდია, როცა იმედები გიცრუვდება. ახლა ვხვდები, ვის შეუძლია მეგობრობა. ლიმონა, ჩორი, კიკო და აპოლონი ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანები ხართ. მიყვარხართ. დუჩი.

• მგზავნელებო, ყველანი ძალიან, ძალიან მაგრად მიყვარხართ. დროებით დავიკარგები. :(უღრმესი მადლობა, ასეთი უმაგრესი ადამიანები რომ ხართ კანიბალკა, ვერმახტ, მაესტრო, ლელუჩია, კახელო სალომე, მის რეალ, აპოლონ, დუჩი, ნიკოლ, კახელო616, ვარდენა, ბოტოტა, ჩორი-ჩორი, ლიმონა, გიო93, ნონ სტოპ, გრეენ გირლ, ლორელაი, ლუნა, ეგოისტკა, აბეზარა, სესი, შეწირულო, ოლეგარიო, ფსიხ, დადა, ილინ და ვისაც არ ვიცნობ, თქვენც. გაიხარეეეთ! წარმატებებს გისურვებთ. უფალი იყოს თქვენი მფარველი, მუდამ. კიკო.

• კავალ, შენს მესიჯზე ძალიან გავბრაზდი. განძის მაძიებლისა და გრუზინკას გალანძღვას სჯობია, თვივთდამკვიდრების სხვა მეთოდს მიმართო. ისინი ძალიან მიყვარს.

• შეწირულო, შემძრა შენმა გზავნილმა, მაგდას მისამართით გაგზავნილმა. მე მჯერა კარგი ადამიანების არსებობის და მწამს, უფალი შენთან იქნება. მთელი გულით გისურვებ წარმატებას.

• გადამრიეს სიზმრებ-

მა... კარდიოლოგი გავიცანი, დამშვიდობებისას მხარზე(!) ვაკოცე. გოგოც კარგი იყო და სიზმარიც...

• გეხუტეთ, ქუთაისელებო, ჯიგრები ხართ! ასე რომ აქტიურობთ, მაგრად მიხარია. გვამრავლოს ღმერთმა. :) მაგრად მინდა თქვენი გაცნობა. ლომუა, კეთილი იყოს შენი მოსვლა. ფლამინგო.

• აგნეს, ველოდები შენს ზარს. მენატრები. თამო.

• ზდაროვა, როგორ ხართ, ხომ კარგად? ბაო-ბაო, სად დაიკარგე, რა გჭირს? მიყვარხართ ყველა. ლიფსო.

• განძის მაძიებელო, არ გაგიტყდეს და ვერ მეტყვი, რომელ წლებში იყავი ციხეზე და რომელ კამერაში იჯექი? ორთაჭალაში იჯექი? მგონი, გიცნობ. ლიფსო.



• გიო მგალობლიშვილო, პატარაზე რომ გითხარი, რატომ არ დაინტერესდი, ახლა როგორ არის? სისულელეებზე აღარ ვიკამათოთ. მეც სიგიჟემდე მიყვარხარ და შენც გახსოვდეს მეუღლე. ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც ვაღმერთებ, ნუ ვატკენთ გულს ერთმანეთს, უაზრო ეჭვებით, ისედაც საკმარისად ვიტანჯეთ. გახსოვდეს, გაღმერთებ. შენი მაკა.

• დადუ, ჩემო სიყვარულო, ჩემში ეჭვი ნუ გეპარება, მე შენ მთელ სიცოცხლეს შემოგწირავ. მალე შენთან ვიქნები და ამას დაგიმტკიცებ, ჩემო სიხარულო. დამშვიდდი. იაკო.

• უკარებავ, მიყვარხარ, სიხარულო, ძაან, ძაან მაგრად. როდის მოვა კვირა, რომ ჩაგიხუტო? შენი გადარეული.

• პირველად ვარ „მობილი-ზაციაში“. მინდა, ათენში მყოფ ჩემს მეუღლეს ვუთხრა, რომ მანო, გვენატრები ძალიან და უზომოდ მიყვარხარ. თითებზე ვითვლი დღეებს. გ.

• ჯონი მახაწაძე, ძალიან მენატრები, ჩემო სიცოცხლევ, უშენოდ ჩემს სუნთქვას ფასი არ აქვს. იქნებ კოდორშიც მოგაწვდინო ხმა. გკოცნი უთვალავს. უდიდესი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ კოდორში მყოფ ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს. უსაზღვროდ მენატრები, ჩემო მფარველო ანგელოზო. შენი მეუღლე მადონა.

• მუხრანელ სანდრო ბაბაშვილს ვთხოვ, რომ შემიყვაროს და მ...ს თავი დაანებოს. გთხოვთ, დამიბეჭდოთ ეს მესიჯი. მიყვარხარ. უცნობი, 14 წლის, ყანდიდან.

• ჩემს სიცოცხლეს, მუხრანელ თეო ოქრუაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ჩვენს სიყვარულს გზა და სიშორე ველარაფერს დააკლებს.



• ჩემს დაიკოს, მილანკას და დეიდაშვილს, ნაზის ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ და 2 ივლისს. ძალიან მიყვარხართ, ბავშვებო. უფალი გფარავდეთ. გკოცნით უამრავს, თქვენი ლორელაი.

• დუშეთში, ციცინოსა და ლევანს ვულოცავთ პატარა ნინის შეძენას. უფალი გფარავდეთ, გამრავლდით და გაიხარეთ. დიდი სიყვარულით, ოლეგი, მზია, კახა, ძაკო, ხათუნა, ლაშა.

• მანამ იცოცხლე, ძამიკო, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს ჩვენი მთა, კავკასიონი. გილოცავ, კობა, ბაკურაძის ვაჟკაცო! სოფო ადანაია, დიდი სიყვარულით.

• დაბადების დღეს ვულოცავთ მუხიანელ სოფო ბეგოიძეს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, პირად ცხოვრებაში. უფალი გფარავდეს და ღმერთი იყოს შენი შემწე. გკოცნით ბევრს და ძალიან გვიყვარხარ. ლია და ნელი დეიდა.

• „უზომოდ მონატრებულ შვილიშვილს, ბაია მსხვილიძეს დაბადების დღეს ულოცავს პუსკა ბებო. უსურვებს ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას, საყვარელ ოჯახთან ერთად.

• ჩემს საყვარელ ძმისშვილს, ციცინოს და სიძეს, ლევანს, ვულოცავთ ქალიშვილის შეძენას. სასახელო გოგო გაზრდილიყოს, პატარა ნინი. ღმერთმა გამრავლოთ. მამიდა.

• ვერმახტ, ბრატ, გილოცავ 29 ივნისს, დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. გისურვებ წარმატებებს, პირად ცხოვრებაში. გფარავდეს ღმერთი. ათენი23.

• კობა (აპალონ) ბაკურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მოგცეს სიყვარულის ნიჭი, სიხარულის უნარი და სათნოების შეგრძნება. სოფო ადანაია.

• ჩემს მეუღლეს 3 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. მეუღლე.

• ჩემს ერთადერთ და საუკეთესო დაქალს, ეკუნას ვულოცავ იმ დიდი ნაბიჯის გადადგმას, რომელსაც ოჯახის შექმნა ჰქვია. ლამაზ და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ. ხონი, ნინი.

• ლელა კუპრაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში და სურვილების 100%-ით ასრულებას. კოკროჭინავ, ძალიან გვიყვარხარ. გელა და ეკა.

• აპოლონ, გილოცავ დაბადების დღეს. დღეს ჩემი და პაპუნას ქორწინების იუბილეცაა. პაპუნა, გილოცავ და კიდევ ერთხელ გეტყვი, რომ მაგრად მიყვარხარ. კახელი სალომე.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს

გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაქტ. ფაქტ. ფაქტ.

ხვამლის მთის განძსაცავის საიდუმლო

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „რიონს დასავლეთით, მთის ძირს არს ხომლის კლდე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით... ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები...“ ხვამლის კლდეში მართლაც არის ერთი გამოქვაბული, რომელსაც ალბათ, ბატონიშვილი გულისხმობდა. იმასაც გეტყვით, რომ ამ მთაზე მოწყობილ ერთ-ერთ ექსპედიციაში წლების წინ მეც ვმონაწილეობდი და შორიდან ეს ქვაბულიც მინახავს. ხვამლის მთა ლეჩხუმელებს, თურმე, „საღმრთო მთად“ მიაჩნიათ და ყოველ წელს, სულთ-მოფენობის წინადღეს, შაბათს ხვამლობასაც დღესასწაულობენ. გარკვეული ხნის წინ, არქეოლოგ გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით, მთაზე ექსპედიცია მოეწყო, ფილმიც გადაიღეს. როგორც „ხვამლელი“, დავინტერესდი ექსპედიციის აღმოჩენებით და ბატონ გურამ გაბიძაშვილს ვესტუმრე:

ირმა ხარშილაძე

— „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ ხვამლის მთაზე მეფეთა განძსაცავი ყოფილა. დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის დროს განძიც და საქართველოც ორად გაიყო, ხოლო ხვამლის მთაში შენახული განძის „მცირედნი გამოიღეს და უფროსი დაუტევეს“. ფაქტი იყო, რომ ხვამლის მთა რაღაც საიდუმლოს ინახავდა. ამიტომაც დავინტერესდით. 90-იან წლებში მე ვიყავი ლეჩხუმის ექსპედიციის ხელმძღვანელი, მაგრამ მაშინ არც არქეოლოგიური გათხრები დაგვიწყია და არც ქვაბულებში შესვლა გვიცდია, იქაურობა მხოლოდ დავზვერეთ. ამჯერადაც დაზვერვას ვუწოდებდი ჩვენს ექსპედიციას, მაგრამ გაცილებით შედეგიანს და საინტერესოს. ხვამლის მთის მასივი სიგანეზე 10 კილომეტრზეა გადაჭიმული და შიგნით ძალიან ბევრი მღვიმეა. გარედან კარგად ჩანს ერთი ამოშენებული მღვიმე, რომელიც დაახლოებით, 50-60 მეტრის სიმაღლეზეა და ძნელად მისადგომი გახლავთ. 6-ჯერ ვცადეთ შეღწევა, ქუთაისელი ალპინისტები გვახლდნენ; ბოლოს, ბიჭები ზემოდან დაეშვნენ, ერთი მათგანი მოწყდა კიდეც და დაიმტვრა. საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა, ღამის 3 საათზე ძლივს ჩამოვხსენით.

— რომელი მხრიდან ასვედით მთაზე?

— ალპინისტები უკანა მხრიდან ავიდნენ, ჩვენ — სოფელ ზედა მექვენიდან ანუ ქვემოდან. შემდეგ, ალპინისტებმა თოკი ჩამოუშვეს გამოქვაბულიდან და ჩვენც ავძვერით.

— რა დაგხვდათ გამოქვაბულში?

— იქ რვა ოთახია და აშკარად არ ჰგავს ფეოდალური ხანისას, გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. ოთახებში, კედლებზე ბევრი ნახატია, პიქტოგრამებს ჰგავს. ამ გამოქვაბულში პირველად 1939 წელს ალიოშა ჯაფარიძე მუშასთან ერთად ავიდა. მეორედ, 1945 წელს, კიდევ შევიდა; დიდი ხნის შემდეგ კი — რეზო შალიბაშვილიც იყო იქ. საინტერესოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ ალიოშა ჯაფარიძე იმ წელსვე — 1945-ში დაიღუპა, რომელ წელსაც მღვიმეში შევიდა.

— რამდენადაც ვიცი, 1945 წელს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპედიცია იყო ანუ ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, იქ არქეოლოგი გოგი ლომთათიძე, მწერალი ლევან გოთუა, მთამსვლელი ალექსანდრა ჯაფარიძე და კიდევ სხვებიც იყვნენ...

— კი, სულ 11 კაცი იყო. ისინი 4 დღე გაჩერდნენ მღვიმეში. ოთახების ნაწილი ზემოდან ჩამოყრილი ქვებითაა ავსებული და ჩახერგილი, ექსპედიციის წევრებს მისი გაწმენდა გაუძნელდებოდათ. ჩანს, კიდევ სხვა შესასვლელიც არსებობს, ისე ვერ ივლიდნენ კლდეზე.

— მგონი, მათი დანატოვარი კიბე დღესაც არსებობს.

— დიახ, ხის კიბე იყო. რეზო შალიბაშვილი რომ ავიდა, იმ გამოქვაბულში ექსპედიციის წევრების მიერ დატოვებული წერილი ნახა და ჩამოიტანა. ჩვენ რომ ავედით, რეზოს წერილი დაგვხვდა. ალიოშა ჯაფარიძის წერილში წერია, რომ განძი არ არის, სავარაუდოდ, ადრე გაიტანესო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ექსპედიცია განძის საპოვნელად დაიგეგმა, იმასაც ამბობენ, სტალინმა დაავალა განძის მოძებნა, რადგან სახელმწიფოს ძალიან უჭირდაო. მერე, იმავე წელს, შხარასა თუ უშბაზე იღუპება ალიოშა ჯაფარიძე და კვლავ ეჭვის საფუძველი ჩნდება. მგონი, ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს... მეორე მომენტიც არის. ადრე ბერძნულ წყაროებში წავიკითხე, რომ ქუთაისთან, მარცხენა მხარეს არის „კავკასის მთა“, სადაც პრომეთეა მიჯაჭვული. მაშინ იუმორით ვამაყობდი ხოლმე, ნამდვილად ხვამლის მთას გულისხმობენ-მეთქი. მერე, სრულიად შემთხვევით ინტერნეტში აღმოვაჩინე, რომ ჟიულ ვერნს ჰქონია დაწერილი „მოუთვინიერებელი“. ნაწარმოებში, რომელიც ფრანგულიდან ჩვენ ვთარგმნეთ, არის ასეთი მომენტი — ვიღაც მოდის კავკასიაში, სამოგზაუროდ და მეორე ეუბნება, — იქ, ქუთაისთან, რიონის მარცხენა მხარეს არის ხომლის მთა, სადაც პრომეთეა მიჯაჭვულიო. ბერძნულ წყაროში მხოლოდ კავკასის მთას ახსენებენ, ჟიულ ვერნს კი გარკვევით აქვს მითითებული ხომ-



გურამ გაბიძამვილი

ლი. ეს კაცი პარიზიდან არ გასულა, ესე იგი, საიდანღაც ჰქონდა ინფორმაცია, არა?! ანუ რომ ვამბობთ, კავკასიონზეა მიჯაჭვული პრომეთეო, სავარაუდოდ, ადრე მხოლოდ ერთ მთას გულისხმობდნენ და ეს სწორედ ხვამლის მთა უნდა იყოს. ბერძნულ მითოლოგიაში იო ხომ ეუბნება ჰერაკლეს: რომ მიადგები კავკასის მთას, იქ ბევრი გამოქვაბულია და შესასვლელი ქვემოდან აქვს. კლდიდან წყალი გადმოდის, რომელიც უნდა „გადააგდო“, შეხვიდე და გაათავისუფლო პრომეთეო... აშკარაა, რომ ხვამლის მთაა აღწერილი. იქაურებს გამოვკითხე, — კლდიდან წყალი თუ გადმოდის-მეთქი? — და დამიდასტურეს — ეს გადმოსული წყალი ხან ცხენისწყლის მხარეს გადადის, ხან საწინააღმდეგო მხარესო. თვითონ ვნახე, რომ გამოქვაბულიდან უზარმაზარი ჩანჩქერი გადმოდის, შემოდგომაზე კი შრება.

— თქვენ რა დროს იყავით?

— შარშან ზაფხულში და ნოემბრამდე გავჩერდით. შემოდგომაზე შევძვერით გამოქვაბულში და ორმოცდაათი მეტრის შემდეგ ტბას წავაწყდით. იქ უკვე აკვალანგები და შესაბამისი აღჭურვილობა გვჭირდებოდა. სამწუხაროდ, სათანადოდ მომზადებულები არ წავსულვართ. გამოქვაბულს, საიდანაც წყალი გადმოდის, ვერძისთავა ჰქვია.

— სადმე ამოიკითხეთ?

— არა, სოფელში უწოდებენ ასე, რომ გამოვკითხე, რატომ ეძახით-მეთქი? — მითხრეს, ლეგენდა არსებობს, რომ გამოქვაბულში ზემოთ, ვერძის თავი ჩააგდეს და წყალმა აქ გამოიტანაო. თვითონ „ხომლი“ ზოდიაქოა, „ვარსკვლავთკრებულს“ ნიშნავს, „ვერძი“ ამ ზოდიაქოს პირველი ნიშანია. ამ კუთხითაც შეიძლება რაღაცის კვლევა. არ არის გამორიცხული, რომ იქ ვარძიის ტიპის ქალაქიც იყოს. თავიდან ხომ ვარძიაც მიმალული იყო და მიწისძვრის შემდეგ გამოჩნდა. აქაც რაღაც დიდი საიდუმლოა დაფარული. კიდევ, იცით, რა არის საინ-

რემო მალიბაშვილი

ტერესო? ჟამთააღმწერელს რომ უწერია, — „ჯაჭვს ალმასს, გრდემლი იგი, პატივცემული... მარგალიტი...“ — ბევრი ვიფიქრე, რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში, ენათმეცნიერებსაც ვკითხე. ბოლოს, დავასკვენით, რომ გრდემლში ცოდნა იგულისხმებოდა. საერთოდ, პრომეთეც ცოდნას უკავშირდებოდა, არგონავტებიც ხომ რაღაც ცოდნის წასაღებად ჩამოვიდნენ! მარგალიტში კი უდავოდ განძი იგულისხმება. სრულიად შემთხვევით დავუკვირდი, შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ უწერია: ტარიელი ქაჯებთან საომრად რომ მიდის, ამბობს, — ზემოთ, კლდეში, გამოქვაბულებია, დევები დავხოცე, მაგრამ გამოქვაბულებში არ შევსულვარ, წამოდი, დავათვალიეროთო. ადიან და ნახულობენ 40 ოთახს, ოქრო-ვერცხლით გატენილს. ერთი სკივრი კი ხელუხლებელი დახვდებათ: ეს სკივრი მაშინ უნდა გაიხსნას, როცა დევები და ქაჯები ერთმანეთს შეებმებიან, ხოლო ვინც მანამდე გახსნის, მეფეთა მკვლელი იქნებაო. მაინც გახსნეს სკივრი და იქ ალმასივით ძლიერი ჯაჭვის პერანგები ნახესო... იქიდან გამოსულებმა გამოქვაბული ისე ამოაშენეს, რომ ვერავინ შესულიყო შიგნითო... საინტერესო პარალელია, არა? „ჯაჭვს, ალმასს“ რომ ახსენებენ, აქ მეტალურგია იგულისხმება: მადანს მიაქვს იქაურობა. ამას ჩვენი ზედაპირული გათხრებიც ადასტურებს.

— რომელ მხარეს გათხარეთ?

— ხვამლის იქით მხარეს, გონაზე. ეს არის მაღაროების ადგილი. მეორე ფილმს სწორედ ამ თემას მივუძღვნით. 5 სამარხი გავთხარეთ და თითოეულში ბრინჯაოს ზოდებია ჩაყოლებული.

— სამარხებს უნებლიეთ წააწყდით თუ ვარაუდი გქონდათ?

— იქ ყანები აქვთ გლეხებს და ხვნის დროს რაღაც ნივთებს პოულობდნენ. სწორედ მოსახლეობამ მიგვითითა იმ ადგილებზე. შარშანწინ რაღაც ნიმუშები ჩამოვიტანე და დავით ლორთქიფანიძეს ვუჩვენე, მერე პატარა ექსპედიციაც მოვაწყვეთ და ერთი სამარხიც გავთხარეთ. მეორე ჩასვლა ბევრად შედეგიანი იყო. დარწმუნებული ვარ, საფუძვლიანი გათხრების შემთხვევაში, ძალიან საინტერესო აღმოჩენები გვექნება... კედელზე დახატულ ფიგურებზე რომ გითხარით, ჩემი აზრით, იქ ვარსკვლავები ისე არის განლაგებული, როგორც 5604 წელს იყო. 5604 წელს იწყება ქართველების წელთაღრიცხვაც. რატომ მაინცდამაინც ამ წელს, არავინ იცის. მაიას ტომის წელთაღრიცხვაც ამავე წელს იწყება. ჩვენი ფილმით არაფერს ვამტკიცებთ, ყველაფერი ფაქტებსა და ვარაუდებზე არის აგებული, თუმცა საოცარია, არა? თუ განძი და ქვეყნის ხაზინა მართლაც, იმ მთაში იმალება ანუ როგორც ნათქვამია: „ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლმა არჩინოს“, — ისეთ ადგილას ხომ არ დადებდნენ, რომ გარედან გამოჩენილიყო ან იოლი შესაღწევი ყოფილიყო?! ლეჩხუმელები ამბობენ, რომ 13 აგვისტოს ხდება ხოლმე რაღაც.

— მოხდა რამე 13 აგვისტოს? ზაფხულში ხომ იყავით...

— ბოლომდე ვერ შევედით. ახალ ექსპედიციას რომ მოვაწყობთ, აკვალანგისტებს აუცილებლად წავიყვან. მერე ალბათ, მეტის თქმას შევძლებ. მთავარია, დაგვაფინანსონ, რადგან შარშან მაინც ენთუზიასტები ვიყავით მეც, კოტე მინდიაშვილიც, დავით სულხანიშვილიც, ალპინისტებიც გვახლდნენ — მინდია შუშანაშვილი, გეზი კაპანაძე, — სწორედ ის დაგვემტვრა. ფილმზე პაკო სვიმონიშვილის ჯგუფი მუშაობდა, რეჟისორი დავით გოგუაძე გახლდათ.

— ფილმში ნაჩვენებია უჩვეულო ნაფეხურები...

— ბიოლოგმა ვასილ გაბუნიამ, რომელიც ჩვენთან ერთად იყო ხვამლის მთაზე, დაბეჯითებით თქვა, რომ იქ დინოზავრის ნაკვალევია. ვიცი, აქაურმა სპეციალისტებმაც დაუდასტურეს, რომ ეს არის დიდი დინოზავრის წინაპრის, ქათმისებრი დინოზავრის ნაკვალევი... ამიტომაა აუცილებელი ხვამლზე სერიოზული, კომპლექსური ექსპედიციის მოწყობა.

— და შეიძლება განძსაც წააწყდეთ და გააქარწყლოთ ვერსია, თითქოს განძი გამოტანილია?

— ყველაფერი შეიძლება, ღმერთმა ქნას!

ბატონ გურამთან საუბრის შემდეგ

ოთახებში, კედლებზე ბევრი ნახატია, პიქტოგრამებს ჰგავს

იმ ადამიანსაც შევხვდი, ვინც ალიოშა ჯაფარიძის შემდეგ პირველი შევიდა მღვიმეში. 1986 წელს ჯგუფ „ხომლის“ წევრებმა — რეჟისორმა ***რეზო შალიგაშვილმა,*** *მისმა მეგობრებმა მხატვრებმა რამაზ კორშიამ, ლერი გაბელიამ და ინჟინერმა გია ნადარეიშვილმა იქიდან წამოიღეს 1945 წელს დატოვებული ბარათები, სანაცვლოდ კი თავიანთი ბარათი დატოვეს.*

— მაშინ რა დაგხვდათ ქვაბულში?

— ვიდრე ამაზე ვისაუბრებდე, გეტყვით, რომ 1984 წელს ეკონომისტ გიორგი ბადრიძესთან ერთად დავზვერე იქაურობა და შევნიშნე ამოშენებული ქვაბული. იქ შესაღწევად პირველი ცდები უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ 1986 წელს შევედით იმავე მეთოდით, როგორც ჩვენი წინამორბედნი — მანამდე მათი ექსპედიცია კარგად გვქონდა შესწავლილი, უამრავი მასალა დამუშავებული, თითოეული კენჭის ადგილმდებარეობა ვიცოდით. ქვაბულთან დაგვხვდა ალიოშა ჯაფარიძის ექსპედიიცის წევრთა დანატოვარი ქვის მაგიდა, კიბე, რომელიც უკვე გამოუსადეგარი იყო ჩვენთვის. თუმცა დაგვხვდა 1985 წელს ჩვენ მიერ ატანილი 6-მეტრიანი ალუმინისგან დამზადებული და 45-მეტრიანი გვარლის კიბე. ციხე-ქვაბულში ასულები აღწერილობით მივხვდით, რომ ზუსტად იგივე სურათი დაგვხვდა, როგორიც ბატონი ალიოშას ექსპედიციის წევრებს — კედლებიდან ჩამოცვენილი ქვის მასა, რომელიც გამოსასვლელისკენ დიდ დამრეც ფერდობს ქმნიდა. ქვაბულში სამი წერილი ვნახეთ, ორი, როგორც აღმოჩნდა, ალიოშა ჯაფარიძის ხელნაწერი გახლდათ. ერთი კი გოგი ლომთათიძის. ეს წერილები ბატონი გოგის მეუღლეს — ქალბატონ ნინო ღოღობერიძესა და ჯაფარიძეების ძმისშვილს, ივანე ჯაფარიძეს გადავეცით. ამის შემდეგ რამდენჯერმე ავედით ხვამლის მთაზე, ოღონდ ციხე-ქვაბულში აღარ შევსულვართ. ვიცი, რომ ერთი წლის წინ გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიცია მოეწყო ხვამლზე და ქვაბულშიც შევიდნენ. სხვათა შორის, გურამი ჩემი სოფლიდან არის, მენათესავება კიდეც. იქ ასვლამდე მომაკითხა და დახმარებაც მთხოვა. მე მას ყველა მასალა მივეცი, გზებიც ვასწავლე, კიბის შესახებაც ვუთხარი, ნახაზები და ნახატებიც გავატანე. ასვლის ორგანიზება მთხოვა და სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ მერე, ვითარება შეიცვალა, არ მომეწონა საქმისადმი მათი დამოკიდებულება და უარი ვთქვი. მათი გადაღებული ფილმი კი ვნახე. ამ თემატიკის ფილმები აუცილებელია ქართველი მაყურებლისთვის. თუმცა არის დეტალები, რაშიც ავტორებს ვერ დავეთანხმები — არ მჯერა ვერსიის, თითქოს სტალინის დავალებით ავიდნენ ქვაბულში განძის საპოვნელად. 1939 წლის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძეს ქუთაისელი პიონერებიც ჰყავდა იქ აყვანილი — რა, იმათ აძებნინებდა განძს?! არც ერთ ხელნაწერში არ ფიქსირდება განძის არსებობა. ალიოშა ჯაფარიძე არც საეჭვო ვითარებაში დაღუპულა — ის უშბაზე ქარიშხალმა და ზვავმა იმსხვერპლა. გარდა ამისა, მართალია, ფილმში გვახსენეს, სატელევიზიო ინტერვიუშიც, მაგრამ გული დამწყდა, რომ ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ ჩვენი ღვაწლი, არადა, გზამკვლევები ვიყავით მათთვის, კიბეც კი ჩვენი გამოიყენეს. პირადად გვეუბნებიან, საჯაროდ კი ამის თქმა არ სურთ. რადიო „ივერიის“ ეთერში გურამ გაბიძაშვილმა ისიც თქვა, ალიოშა ჯაფარიძის წერილი ჩვენ ჩამოვიტანეთო. გათხრებზეც მინდა ვთქვა — კარგია, თუ საინტერესო ნიმუშები აღმოაჩინეს, მაგრამ ამ ამბის დღეს გახმაურება არა მგონია, წარმატების მომტანი იყოს. არ გამოვრიცხავ, რომ მიაწყდეს ხალხი, გადათხარონ იქაურობა, ამან შეიძლება ღვარცოფები გამოიწვიოს და მასივი ძალიან დაზიანოს.

გული დამწყდა, რომ ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ ჩვენი ღვაწლი, არადა, გზამკვლევები ვიყავით მათთვის, კიბეც კი ჩვენი გამოიყენეს

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ეს რა უნიკალური მთაა

— ფიქრობთ, რომ მეტი სიფრთხილეა საჭირო?

— აუცილებლად, თუ ფილმს მხოლოდ კომერციულ დატვირთვას არ ვაძლევთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ეს რა უნიკალური მთაა. საერთოდაც, შევიტყვე, რომ ხვამლის ძირში, მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აპირებენ, რაც უეჭველად დატბორავს იქვე მდებარე სოფლებს და ხვამლის მთასაც დააზიანებს. მეწყერული ზონაა და ტენით გაჯერებული ჰაერი სრულიად მოსპობს იმ ტერიტორიას.

— ისე, რას ფიქრობთ, განძი მართლა შეიძლება იყოს ქვაბულში?

— რომ იყო, ფაქტია, მაგრამ დღეს იქ არავითარი განძი არ არის და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არც ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფს გამოუტანია იქიდან რამე.

P.S. დამეთანხმებით — საინტერესო ვერსიებია. დადასტურდება თუ არა, ეს სხვა საკითხია, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია. მთავარი კი, ვფიქრობ, ისაა, რომ მკვლევრებს მუშაობის, სრულყოფილი ექსპედიციის მოწყობის შესაძლებლობა მიეცეთ. ■

ერთი კითხვა

— თქვენი აზრით, უნდა ჩაერიოს თუ არა მშობელი შვილის პროფესიის არჩევაში?

ლევან გერძენიშვილი:

— „ჩარევა“ არ არის კარგი სიტყვა. მშობელი კი არ უნდა ჩაერიოს, არამედ ბავშვს გადაწყვეტილების მიღებაში უნდა დაეხმაროს. პროფესიის არჩევა ურთულესი პროცესია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, არასერიოზულად უდგებიან. ამ პროცესში გარკვეული როლი პედაგოგებმაც უნდა ითამაშონ. საბოლოოდ კი გადაწყვეტილება თავად პიროვნებამ უნდა მიიღოს.

მორიელის ხიმინი



დასაწყისი „გზა“ №24-26

სვეტა კვარაცხელია

გამომძიებლის ხმის გაგონებაზე ირაკლის სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

— გიგა, როგორ ხარ? — სასწრაფოდ შეიცვალა ხმის ტემბრი.

— კარგად, კარგად, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა გიგამ. — შენკენ რა ხდება, მშვიდობაა?

— კი, რა ვიცი, მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი მომხდარა.

— ახალი ამბავი გაიგე?

— რა ამბავი? არაფერი ვიცი. — ყასიდად გაიკვირვა მამაკაცმა.

— აფეთქება მოხდა აეროპორტის გზაზე.

— რას მეუბნები, დაშავდა ვინმე? როდინდელი ამბავია?

— გეყოფა მასხრობა, — დაღლილი ხმით ალაპარაკდა გამომძიებელი. — არ გიცნობდე მაინც. ყველაფერს მივხვდი, ერთი რამის გარდა და ეს ერთი იქნებ შენ ამიხსნა.

— გისმენ, ჩემო გიგა, ხომ იცი, თუ შემიძლია... — აგრძელებდა თამაშს ირაკლი.

— ერთი „სასტავის“ ორი მანქანა ერთმანეთს როგორ შეასკდა, ხომ ვერ ამიხსნი?

— ჰმ... ვერაფერი გავიგე, ცოტა გასაგებად ვერ მეტყვი? — თავს იკატუნებდა საღამოს გმირი.

— კარგი, რა! ხომ იცი, რომ მეც ვიცი. წლების განმავლობაში ერთად მოვდიოდით და ვხვდები, რომ ეს შენი ხელწერაა. არ მინდა ახლა მიეთმოეთი, საქმეზე ვილაპარაკოთ.

— წარმოდგენა არა მაქვს, რას გულისხმობ.

— შენ, რა, გინდა მითხრა, რომ გეძინა?

— თითქმის.

— რატომ, შენი ბოსი არ გააცილე აეროპორტში?

— არა... ის თავისმა ბიჭებმა გააცილეს; მე რა საჭირო ვიყავი?

— ჰო-ო?! მაშინ ამიხსენი, სად იყავი იმ დროს — შინ ბრძანდებოდი და მის ქალიშვილს ეარშიყებოდი?

— გიგა! — საყვედური გაისმა მამაკაცის ხმაში.

— თუ აეროპორტის ავტოსადგომზე ბოსის ცოლს კოცნიდი პირდაპირ ტუჩებში! — გიგა წონასწორობას კარგავდა.

ამის გაგონებაზე ირაკლის თავზარი დაეცა. საიდან გაიგო, რა ხდებოდა აეროპორტში? უთვალთვალებდნენ? თუ თავიანთი კაცი ჰყავთ დაცვის ბიჭებს შორის? აშკარაა, ვილაცამ დააფიქსირა.

— შენ ხომ იცი, მე ეგეთები არ მჩვევია! — შორს დაიჭირა „ბრალდება“.

— ჰო, იყო დრო, როცა ეგეთები არ გჩვეოდა, მაგრამ... ვფიქრობ, ასაკმა იცის... ადამიანს რაც უფრო ემატება წლები, მით მეტად უჩნდება „ტკბილის“ მოთხოვნილება. — გიგა სიცილის ხასიათზე დადგა.

— კარგი, კარგი, მითხარი, რა გინდა, — მორიელმა, ბოლოს და ბოლოს, ფარ-ხმალი დაყარა.

— ეგ სხვა ლაპარაკია... ახლა მყარად დაჯექი და რა მოხდა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მომიყევი.

ირაკლიმ ამბის მოყოლა დაიწყო. შიგადაშიგ პაუზას აკეთებდა, მკლავზე ისვამდა ხელს, ჭრილობას იამებდა.

— სულ ეს არის, — დაამთავრა ბოლოს. — ახლა შედეგები მითხარი, რა გაარკვიეთ, რამდენი კაცი იჯდა მანქანაში და ვინ.

— სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი უმცროსი ძმა იყო. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთი ვარაუდია. ვნახოთ, ექსპერტიზა რას იტყვის. შენ იმიტომ დაგირეკე, რომ პირველ რიგში, ცუდი ამბავი უნდა გითხრა.

— ასეთი რა არის? — სმენად იქცა ირაკლი.

— ცოცხალი არავინ გადარჩენილა. აქედან გამომდინარე, ისინი ყველანაირად ეცდებიან, ყურადღება გოგონაზე გადაიტანონ. დაცვა უნდა გაგიძლიეროთ: ერთ-ორ კაცს ჭიშკართან დავაყენებ; ვფიქრობ, ასე აჯობებს და არც ეცადო, შემეწინააღმდეგო, რადგან მარტო გამკლავება გაგიჭირდება.

— ეს აუცილებელია?

— ყოველ მიზეზს გარეშე... და კიდევ ერთი. იქნებ დროებით დაითხოვო მოსამსახურე, მისი იქ ყოფნა უფრო გაართულებს საქმეს. შეიძლება მისითაც შეეცადონ მანიპულირებას.

— მაგ საქმეს ხვალვე მოვაგვარებ. რა გაეწყობა, თუ ასეა, მე თანახმა ვარ. როდის გამოგზავნი ბიჭებს?

— ახლავე.

— ახლავე? ამ შუაღამისას?

— დილას რომ უკვე გვიან იყოს?

— ო-ო-ჰ! არა მგონია, ასე უცებ გადაწყვიტონ შეტევაზე გადმოსვლა. დებილები კი არ არიან, იფიქრებენ, რომ დაცვა გავაძლიერეთ.

— მე არ ვიცი, ვინ რას იფიქრებს, ძმაო, მაგრამ საკუთარი გამოცდილება მიკარნახებს, რომ ახლავე უნდა მივხედო საქმეს. რა ვქნა, თავს ვიზღვევ და შენც გაზღვევ, ასე მირჩევნია.

— კარგი, გნებდები. რამდენ ხანში მოვლენ?

— შეიძლება უკვე მანდ არიან;

როგორც კი გამოჩნდებიან, ნიშანს მოგცემენ. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი.

— გმადლობ, გიგა, კარგი კაცი ხარ.

ირაკლიმ პოლიციელებს თავ-თავიანთი პოსტი მიუჩინა, დაემშვიდობა და დაახლოებით თხუთმეტ წუთში შებრუნდა სახლში. თაკო ფანჯარასთან იდგა და მის დაბრუნებას ელოდებოდა.

— რა ხდება? — ცნობისმოყვარედ იკითხა გოგონამ.

— პოლიციამ ორი კაცი გამოგზავნა, სახლს გარედან დაიცავენ.

— ხომ გითხარი, მე საფრთხე არ მემუქრება-მეთქი, — კოპები შეკრა თაკომ.

— შენ რაც მითხარი, საკმარისი არ იყო, პატარავ, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. ახლა მოდი და ბარბალეს ტელეფონი ჩამაწერინე, დილით ადრე უნდა დავურეკო.

— ბარბალესთან რა გინდა?

— დროებით უნდა დავითხოვო.

— გაგიჟდი? იმას რაღას ერჩი?

— არაფერს, მისივე უსაფრთხოების მიზნით ჯობია, ცოტა ხნით აქ არ იაროს და დაისვენოს.

— კიდევ რა გინდა! ქალს მეტი შემოსავალი არაფერი აქვს, უკანასკნელ ლუკმას აცლი პირიდან?! — დოინჯი შემოიყარა გოგონამ.

— კომპენსაციას მამაშენი გადაუხდის, გიოს ვეტყვი და ის მოაგვარებს ამ საქმეს. ყველასთვის ასე აჯობებს.

— ეს უკვე მეტისმეტია! ძალიან ბევრის უფლებას აძლევ საკუთარ თავს!

— დაწყნარდი და გააკეთე, რასაც გეუბნები. ახლა აქ მე ვარ უფროსი, დაიმახსოვრე! — ხმა გაიმკაცრა პირადმა მცველმა.

თაკომ აღშფოთებული მზერა მიაპყრო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, ჟურნალების მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო, რამდენიმე გვერდი გადაფურცლა და აგდებულად მოისროლა ტახტისკენ, რომელზეც ირაკლი იჯდა, თვითონ კი ჩქარი ნაბიჯებით აუყვა მეორე სართულის კიბეს. ბოლო საფეხური რომ აიარა, მოულოდნელად მოტრიალდა, სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

— იცი მაინც კერძების მომზადება?

— რა? — ვერ მიუხვდა უცებ ირაკლი.

— საჭმლის გაკეთება იცი-მეთქი? — გეკითხები.

— შენ რა, არ იცი?

— სამწუხაროდ, არა, — ნიშნის მოგებით გამოხედა გოგომ.

— ყავის მოდუღება მაინც გეცოდინება.

— ვნახოთ, რა გამოგვივა. ხვალიდან სახალისო ცხოვრება გველის... შენ — განსაკუთრებით! — თაკომ ხაზგასმით წარმოთქვა ბოლო წინადადება და დერეფანში გაუჩინარდა.

მარტო დარჩენილმა მორიელმა ღრმად ამოიოხრა და თავი გადააქნია. მართალია ეს ბავშვი, ხვალიდან ამის გადამკიდეს ჯოჯოხეთი მელის...

წყნარი დილა გათენდა, მზიანი. პირადი მცველი გარეთ გავიდა, ჯერ შიდა გარემო მოათვალიერა, მერე ჭიშკარს მიადგა და ღამენათევ მცველებს მიაშურა. ისინი წასასვლელად ემზადებოდნენ. ათ წუთში ცვლა მოვიდოდა, დღისით სხვა წყვილს უწევდა მორიგეობა.

მამაკაცი კვლავ შინ შებრუნდა და თაკოს საძინებელს მიადგა. კარზე ფრთხილად დააკაკუნა და პასუხს არ დალოდებია, ისე შეაბიჯა ოთახში. გოგონას ეღვიძა.

— იმედია, კარგად გეძინა... — დაინტერესდა მამაკაცი.

— მერე, შენ რა? — უკმეხად ჰკითხა თაკომ.

— უფროსებს ნუ ეუხეშები, პრინცესა! თუ კარგად გეძინა, ესე იგი, დამშვიდებაც მოასწარი. თუ დამშვიდდი, გამოდის, გააზრების უნარიც გექნება. და თუ ნორმალურად აზროვნება შეგიძლია, გესმის ალბათ, რომ საკმაოდ რთულ ვითარებაში ვიმყოფებით. ასე რომ, ჩემი მითითებების ზუსტად შესრულება მოგიწევს.

— სულ ეს არის? — ჩაიცინა თაკომ.

— ჯერჯერობით კი. ადგომას არ აპირებ?

— რისთვის უნდა ავდგე, რა აზრი აქვს? მძევალივით აპირებ ამ სახლში ჩემს გამოკეტვას და რომ ავდგე, რა გავაკეთო? სადმე მიგვეჩქარება?

— ყავა მინდა, იქნებ მომიდუღო.

— მეტი არაფერი გინდა?

— დანარჩენზე მერე შევთანხმდეთ, როცა ხელ-პირს დაიბან, — ქვემოდან ორაზროვნად გახედა ირაკლიმ და გატრიალდა.

— პირველ რიგში, იმაზე, რომ საღამოს პაემანზე მივდივარ.

— რაო? — კარისკენ დაძრული მამაკაცი მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა.

— რაც გაიგონე, პაემანზე მივდივარ.

— არავითარი პაემანი! დაივიწყე ყველა მამაკაცი, ვისზეც ოდესმე გიფიქრია. ახლა შეხვედრების დრო არ არის. გასაგებია?

— შენ რა, გინდა, მონაზონივით ვიცხოვრო?

— უფრო უარესად, თუმცა ეს ჩემი ბრალი სულაც არ არის, — მხრები აიჩეჩა პირადმა მცველმა და კარი გაიხურა.

ნახევარი საათის შემდეგ თაკო სასტუმრო ოთახში გაბუტული სახით ჩამოვიდა და გეზი პირდაპირ სამზარეულოსკენ აიღო. ირაკლიმ თვალი გააყოლა მოკლე შორტში გამოწყობილ კიკინებიან გოგონას, რომელიც გამომწვევად მიარხევდა მაღალ თეძოებს.

— ხელ-პირი უკვე დავიბანე და სხვა რამეებიც, — უკან არ მოუხედავს, ისე დაიძახა და სამზარეულოს კარი გაიჯახუნა.

„პატარა თავხედი! ზრდილობის ნატამალი არ გააჩნია... არა უშავს, გავიზრდებით. აბა, მე აქ რისთვის ვარ, ჩემო პრინცესავ?“ — გაიფიქრა მამაკაცმა და კვლავ ეზოში გავიდა ახალი მცველებისა და პოსტების შესამოწმებლად.

უკან რომ შემობრუნდა, მაგიდაზე ორი ფინჯანი ქაფქაფა ყავა დახვდა. თაკო დივანზე იჯდა ფეხებმოკეცილი. ირაკლი სავარძელში ჩაეშვა, ფინჯანს ხელი მოჰკიდა და ნეტარებით მოსვა ერთი ყლუპი.

—უ-უ-ჰ! რა ყავაა. კარგი მოდუღება გცოდნია, რაღაც ხავერდოვანია. — კმაყოფილებით შენიშნა მან.

— ეს მე კი არა, ესპრესოს აპარატმა იცის, ის ადუღებს ასეთს. თუმცა, ყავის შერჩევაც უნდა იცოდე, სხვანაირად როგორც უნდა მოადუღო, არომატული არ გამოვა. — მისთვის არც შეუხედავს, ისე თქვა გოგონამ.

— როგორ ყველაფერი იცი, პატარავ! — უკბინა ირაკლიმ. — და როგორ უნდა აარჩიო კარგი ყავა, აბა ერთი, გამანათლე.

— ძალიან წვრილად უნდა იყოს დაფქული. ერთმა იტალიელმა მასწავლა, ვენეციაში რომ ვიყავით. იტალიელებზე უკეთ ვერავინ ფლობს ყავის მოდუღების საიდუმლოებას, თუმცა პორტუგალიაშიც კარგად იციან.

— ვაჰ! პორტუგალიაშიც ნამყოფი ხარ?

— დიახაც ვარ! რაო, გიკვირს?

— არა, რატომ... არ არის გამორიცხული, მამაშენის შვილი, კოსმოსშიც იყო ნამყოფი.

— იქაც წავალ, როცა...

— როცა, რა?

— როცა იქ სასტუმროებს ააშენებენ და ადამიანები დასასვენებლად დაიწყებენ გამგზავრებას.

— ჰო-ო! არ გამომაპარო, იცოდე! აქ თუ არა, იქ მაინც დაგჭირდება პირადი მცველი. — მართლაც მორიელივით გესლს ანთხევდა ირაკლი.

— დამპალო! — რისხვით დააკვესა გოგონამ თვალები.

— კარგი, კარგი, გეხუმრები. რა მოგივიდა? იცი, მე როგორ ვადუღებ ყავას? მამაპაპური მეთოდით. მარცვლებს ვყიდულობ და თვითონ ვფქვავ. — შეარბილა ტონი მამაკაცმა.

— და თურქულად ადუღებ, არა? ეგეც ვიცი, — უცებ გამხიარულდა თაკო. — გემოვნების საკითხია, მაგრამ ხავერდოვანი, როგორც შენ აღნიშნე, არასდროს გამოგივა. სახლის პირობებში ძალიან წვრილად ვერ დაფქვავ, რაც უნდა მოინდომო.

— უფრო დიდი ფინჯანი ვერ ნახე? ეს ჩემთვის ნახევარი დოზაა. — პირი გააწკლაპუნა პირადმა მცველმა.

— უკაცრავად, რომ იმედები გაგიცრუეთ, მაგრამ აპარატი ერთდროულად სწორედ ამ ზომის ორ ფინჯან ყავას ხარშავს.

— ხედავ, რა შორს წავიდა ტექნიკა?! — გაიცინა ირაკლიმ.

— არა უშავს, თუ არ გყოფნის, კიდევ მოგიდუღებ, მეორე ფინჯანიც გექნება და მესამეც... თუ დაიმსახურებ. — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა გოგონამ.

— ვეცდები... — თქვა შეფიქრიანებულმა ირაკლიმ და გამომცდელად შეხედა თანამოსაუბრეს, თითქოს მისი აზრების ამოკითხვა უნდაო.

— ჰო, მართლა, ბარბალეს დაურეკე?

— დავურეკე მასაც და გიოსაც. ყველაფერი მოვაგვარე. ამ თვეში ორმაგს გადაუხდის, რათა არ დაზარალდეს. კმაყოფილი ბრძანდებით, პრინცესავ?

— იმ თვეში?

— იმ თვეში ვნახოთ... საქმე როგორც წავა, იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

— ეს კარგი ამბავია, მაგრამ ჩვენ დღეს რა უნდა ვჭამოთ?

— მოვიფიქრებთ რამეს. მე შუადღემდე მაინც არაფერს მივირთმევ.

— რაღაც არ მჯერა... მამაჩემთან საუზმეზეც კარგად ჩამოდიოდი?

— ამას სტუმრის სტატუსი მოითხოვდა.

— როგორი გალანტური ხართ, ბატონო ირაკლი! — ცინიკურად შენიშნა თაკომ.

— ზოგიერთებისგან განსხვავებით, ზრდილობის წესები ბავშვობიდან შესისხლხორცებული მაქვს.

— ნამდვილი მორიელი ხარ, კარგად გეხერხება შხამის ნთხევა... მკლავი როგორ გაქვს? — სიტყვა ბანზე აუგდო თაკომ.

— კარგად, საერთოდ არ მაწუხებს. შენი ჯადოსნური ხელის შეხება მოუხდა. — გაიცინა მამაკაცმა.

— ნუ მაშაყირებ, იცოდე! — საჩვენებელი თითი გაფშიკა თაკომ და მუქარა აღებეჭდა სახეზე.

— თორემ, რა? — ირაკლიმ ისევ მოსვა ყავა.

— შეგაცდენ და თავს სიგიჟემდე შეგაყვარებ.

— ჩემს თავს თუ შენსას? — სიცილი ვერ შეიკავა მამაკაცმა.

— ჩემსას, რა თქმა უნდა.

— ვერაფერს იტყვი, ტიპური ქალური სვლაა... და ხომ ვერ მეტყვი, რისთვის გჭირდება?

— როგორ თუ რისთვის, უფრო მხიარულად ვიქნებით, ცხოვრება საინტერესო გახდება. აბა, სხვა რა უნდა ვაკეთო მთელი დღეები ამ სახლში შენთან ერთად? — ჯიბრით იკითხა და ხელები გაშალა თაკომ.

— მომისმინე, პატარავ! — კბილებში გამოცრა ირაკლიმ და ცარიელი ფინჯანი მაგიდაზე დადგა. — გარწმუნებ, რომ შენთვის კისრის მოგრეხა ჩემთვის ადვილი საქმეა და შენი ჭირვეულობა ამაში ერთი წამითაც ვერ შემიშლის ხელს, ვერც ის, შენი შეყვარებულია თუ „პაკლონიკი“. გასაგებია? აქ შენი თვალების და მაღალი თეძოების საყურებლად არ ვარ მოსული. მე საქმეს ვაკეთებ და მხოლოდ მაშინ წავალ, როცა არაფერი მექნება საკეთებელი... იმ დღესაც წავიდოდი, მაგრამ... რაღაცები შეიცვალა და რადგან ვარ, იმიტომ, რომ თავად გადავწყვიტე ასე.

— ჰო-ო? — თავი მაცდურად გვერდზე გადახარა თაკომ. — და რატომ გადაწყვიტე? მოგეწონე, არა? არ გინდა ჩემთან განშორება, ხომ? გამოტყდი.

— ტუტუცი ბავშვი ხარ. მაგ სისულელეების როშვას გირჩევნია, აიღო ეს ჭიქები და გარეცხო.

თაკო გაბრაზებული წამოდგა, ორივე ფინჯანს ხელი დაავლო და გავიდა.

„განებივრებული მეტიჩარა, მიჩვეულია თავისი კაპრიზების გატანას; თავის თავზე შეყვარებული ეგოისტი. ერთი შეხედეთ, ამ ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა ახალი პიკანტური თამაში მოიფიქრა თავისთვის — ჩემი შებმა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, ძალიან ადვილი ჰგონია“. — გაღიმებულმა ირაკლიმ ყურის ბიბილო მოისრისა.

შუადღემ ისე მოატანა, თაკო თავისი ოთახიდან არ გამოსულა. საწოლზე ნებივრად გაშხლართულს ყურსასმენები მოერგო და მუსიკას უსმენდა. ირაკლიც თავის ოთახში იმყოფებოდა, ყოველ ნახევარ საათში საკუჭნაოში გადიოდა და მონიტორს აკვირდებოდა, ამოწმებდა, რა ხდებოდა სახლში და მის გარშემო. არაფერი შეცვლილა, საშიშროება ჯერ-ჯერობით არსაიდან ჩანდა. ამასობაში მოშივდა. სამზარეულოში ჩავიდა, იქაურობა საგულდაგულოდ მოჩხრიკა. კარტოფილი და კვერცხი აღმოაჩინა. სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და საქმეს შეუდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტაფაზე კარტოფილი აშიშხინდა. ოც წუთში კერძი მზად იყო, ბოლოს ორი კვერცხი დაახალა და მარილიც მოაყარა.

— თაკო! — სამზარეულოდან თავი გამოყო და გოგონას ასძახა.

თაკოს არ გაუგია, ლოგინზე მიწოლილს ჩასძინებოდა. ირაკლიმ გაზი გამორთო და გოგონას რომ ვერ გააგონა, იძულებული გახდა, მაღლა ასულიყო. კარი შეაღო, ფრთხილად მიუახლოვდა მძინარეს და ინტერესით დახედა.

„რა ლამაზია ეს მაიმუნი“, — ღიმილით გაიფიქრა და ოდნავ შეახო ხელი. თაკო არ განძრეულა. მერე შეაჯანჯღარა. გოგონამ თვალები შეშინებულმა გაახილა.

— ადექი, საჭმელი მზადაა, ვისადილოთ, — თბილად უთხრა მამაკაცმა.

თაკო ნათქვამს ვერ მიუხვდა, რადგან ჯერ კიდევ ძილბურანში იყო.

— რა მოხდა? — თვალების ფშვნეტით იკითხა და საწოლზე წამოჯდა.

— კარტოფილი შევწვი და კვერცხიც, წამოდი! — თავით ანიშნა ირაკლიმ.

თაკომ ნებიერად გაიზმორა.

— პური გვაქვს, რო? — წამოდგა და შიშველი ფეხები ფოსტლებში ჩაყო.

— გუშინდელია, მაგრამ არა უშავს, წავა.

— ვერ ვიტან ძველ პურს.

— მოგიწევს შეგუება, ახლა ყაზარმულ პირობებში მოგიხდება ცხოვრება. ერთი მხრივ, კარგიც კია, ბევრ რამეს ისწავლი, გამოიწრთობი.

— სროლას არ მასწავლი? — მოულოდნელად ჰკითხა გოგონამ და წინ აესვეტა.

ირაკლიმ ცალი წარბი აზიდა და თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

— თუ ჭკვიანად მოიქცევი, გასწავლი, — დამაჯერებელი ხმით წარმოთქვა და ხელი გაუწოდა.

თაკომ თავისი ნატიფი თითები შეაგება. ირაკლიმ უზარმაზარ მუჭში მოიწყვდია გოგონას ფაფუკი ხელისგული და მორჩილი კრავივით გაიყოლა თან...

თაკოს დიდი ხანია ასე არ უჭამია — ასე გემრიელად და ასე ბევრი. ცდილობდა, ხარბად არ გამოსვლოდა, რადგან სულ ეჩვენებოდა, რომ ირაკლის თვალებში ჩამსხდარი ჭინკები დაცინვით მისჩერებოდნენ. მამაკაცმა კარგა ხანია, ჭამა დაამთავრა, მაგრამ არ განძრეულა, არც არაფერს ამბობდა, კიდევ ერთი ულუფა გადაუღო დამშეულ გოგოს და ღიმილით მიაჩერდა.

— საღამოს გამიშვებ პაემანზე? — შემპარავად იკითხა თაკომ, ჭამას რომ მორჩა.

— არა! — კატეგორიულად ჟღერდა ირაკლის პასუხი.

— რატომ?

— იმიტომ!

— იმიტომ, პასუხი არ არის.

— შენი ვერ გავიგე, სხვასთან პაემანზე რომ გარბიხარ, რა „პონტია"? აკი, შენ უნდა შეგაბაო? ასე ცდილობ ჩემს შეცდენას? — ეშმაკურად გახედა.

ჭინკები სიცილით დაიხოცნენ მის დანისლულ თვალებში. მორიელიც კი შეირხა მკლავზე და კუდი დაიქნია. თაკო შეცბა. ვერ მიხვდა, მამაკაცი სერიოზულად ეუბნებოდა, თუ ხუმრობდა.

— შენ ხომ... — რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— მომისმინე, თაკო, შენ უკვე ბავშვი აღარ ხარ. როგორც ვიცი, ოცდაერთის გახდი. ამიტომ, ერთი რამ უნდა გესმოდეს. საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე შენ გგონია. დროებით ის ბიჭი თავიდან ამოიგდე, არაფერზე და არავისზე იფიქრო; კარგი? ცოტაც მოიცადე, ჩაივლის ეს ყველაფერი და მერე თუ გინდა, ათ ბიჭს ერთდროულად შეხვდი. გასაგებია?

გოგონამ ამოიოხრა, უხმოდ წამოდგა და თეფშების მაგიდიდან ალაგებას შეუდგა, ჭურჭელი ერთმანეთზე აახუხულავა და გატრიალდა. ნიჟარას რომ მიუახლოვდა, წაბორძიკდა და თეფშებზე ზემოდან დადებული ერთი ჭიქა გადმოუვარდა. ნამსხვრევები მეტლახზე მიმოიფანტა.

„რა მოუხერხებელია, ეტყობა, რომ საოჯახო საქმე არასდროს უკეთებია", — გაიფიქრა ირაკლიმ.

— სულაც არა ვარ მოუხერხებელი, — მოულოდნელად საყვედურის კილოთი უპასუხა მის ფიქრებს თაკომ. — ფეხი დამიცდა, მეტი არაფერი.

— მერედა, ვინ გითხრა, მოუხერხებელი ხარო, მე რამე ვთქვი? — დაიბნა ირაკლი.

— ხომ გაიფიქრე?

— შენ რა, ტელეპათი ხარ?

— დიახაც! ერთ დროს იურიდიულზე ვაპირებდი ჩაბარებას, მამაჩემმა არ დამანება. ეგღა მაკლია, პოლიციელი მეჯდეს სახლშიო.

— მართალი უთქვამს, მამაშენი ბრძენია, — მრავლისმეტყველად აზიდა წარბები ირაკლიმ.

— სროლას როდის მასწავლი? — თაკომ ნამსხვრევები მოხვეტა და სანაგვეში გადაუძახა. მცველის ირონიისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— როცა ამის დრო დადგება.

— და როდის დადგება ამის დრო?

— ეშმაკმა უწყის. ცოტა მაცალე, რაღაც მაინც გაირკვეს... რა სულსწრაფები ხართ ეს ქალები.

— შენი დისშვილიც ჩემნაირია?

— აჰა, კიდევ კარგი, გამახსენე, დავურეკავ ერთი, მოვიკითხავ, საერთოდ გადამავიწყდა მისი არსებობა.

— ჩემი გადამკიდე, არა?

— ჰო, შენი გადამკიდე.

ირაკლი სასტუმრო ოთახში გავიდა, ტელეფონის ნომერი აკრიბა და დაელოდა. ლოდინი რამდენიმე წამს გაგრძელდა.

— შინ არ არის, გაშპა ალბათ სადღაც...

— მასაც ხომ არ ემუქრებიან? — წამოისროლა თაკომ და მსწრაფლ ენაზე იკბინა.

— რა თქვი? — მამაკაცს ფერი წაუვიდა.

— არაფერი... ვიხუმრე... — შეცბა გოგო.

— აქედან მობილურზე ხომ ირეკება?

— რა თქმა უნდა.

ირაკლიმ ახლა მობილურის ნომერი აკრიბა. მარის წკრიალა ხმა მხიარულად გაისმა ტელეფონში.

ბიძამ შვებით ამოისუნთქა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მოგუდული ხმით ელაპარაკებოდა მარის, ჭკუას არიგებდა, თან ცდილობდა, თაკოს არ გაეგონა მისი სიტყვები, ეშინოდა, თავნება გოგონას სისუსტეში არ ჩაეთვალა მისი ყურადღება დისშვილის მიმართ.

— წავალ, ბიჭებს დავხედავ, — ჩაიბურტყუნა, როცა ლაპარაკს მორჩა და თაკოს თვალი აარიდა.

— ღმერთო ჩემო, რა წარამარა გარეთ გადიხარ, რა საჭიროა ამდენი შემოწმება? — ნერვები მოეშალა მას.

— საჭიროა, პრინცესავ, საჭირო. ეს ჩემი სამსახურია, სხვა კი არაფერი მევალება.

— მამაჩემს ისეთი სიგნალიზაცია უყენია, ელემენტარულ ვიბრაციაზეც კი ირთვება.

— მომისმინე, პატარავ! — ხელი ასწია მამაკაცმა. — ერთ რამეს გულახდილად გეტყვი. ამქვეყნად არავის ვენდობი ჩემი თავის გარდა. ის ბიჭები, გარეთ რომ დგანან და შენს სახლს იცავენ, სერიოზული ხალხია, მაგრამ შემოწმება მაინც არ აწყენთ. გარდა ამისა, ის თქვენი რკინის ჭიშკარი, თავისი სიგნალიზაციით, ბლეფია და მეტი არაფერი. ჭკვიან და ცივი გონების ადამიანს, მით უმეტეს, ბოროტმოქმედს, მასში შემოღწევა არ გაუჭირდება. ამიტომაც ვიქცევი ასე, თორემ კი არ მეხალისება. გასაგებად აგიხსენი?

თაკომ უსიტყვოდ დაუქნია თავი და მის მკლავზე დახატულ მორიელს ცალი თვალით გახედა. მოეჩვენა, რომ მელნისფერმა ქვეწარმავალმა თვალი ჩაუკრა.

ამასობაში დაღამდა. ირგვლივ კვლავ სიწყნარე სუფევდა. სწორედ ეს სიწყნარე აშფოთებდა ირაკლის. ერთი საათის წინ გურამს ელაპარაკა. აქაური ამბები აინტერესებდა ბიზნესმენს. ირაკლი დარწმუნებული იყო, რომ მას გიოსგან უკვე ჰქონდა მიღებული საჭირო ინფორმაცია, მაგრამ ის მაინც ამოწმებდა. მიხვდა, რომ ბოსი ბოლომდე თავის პარტნიორსაც კი არ ენდობოდა. დაამშვიდა, თუ რამე შეიცვლება, მე თვითონ შეგეხმიანებიო, მობილური გათიშა და საწოლზე მიაგდო. თვითონაც წამოწვა. დაძინება ვერ შეძლო. რამდენიმე წუთის წინ ჭრილობა გადაიხვია და მკლავი ეწვოდა. საათს დახედა, პირველი გამხდარიყო. მოულოდნელად კარი გაიღო და ვიღაც გამოჩნდა. მორიელმა თვალები მოჭუტა, კედლის ბრის სუსტ განათებაზე ვერც გაარკვია, რა მოჩვენება დალანდა კართან — თავდაპირველად ადამიანის სიმაღლემდე გადიდებულ პლუშის დათუნიად მოეჩვენა. თანდათან გამოიკვეთა სილუეტი — თაკოს მამამისის გრძელი, სამი ზომით დიდი ლურჯი პირსახოცის ხალათი ეცვა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბოძივით დარჭობილიყო კარის ზღურბლზე.

— სხვის სახლში თავს უხერხულად გრძნობ, არა? — ჩუმად იკითხა მან.

ირაკლიმ პაუზა გაწელა, შემდეგ კი უხალისოდ უპასუხა.

— არა უშავს, მივეჩვევი.

— ტანზეც არ გაგიხდია...

— მეზარება, თან მკლავი მიშლის.

— გინდა, დაგეხმარო?

— ნუ შეწუხდები, არ ღირს.

— არ შევწუხდები, — და გოგონა მისკენ დაიძრა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკვანძოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის კალიფორნიის ნახევარკუნძული?

2. ჭამის დროს რომაელები ორ ხელსაწმენდს ხმარობდნენ, ერთს ყელზე იკეთებდნენ, მეორეს მუხლებზე იფენდნენ. სტუმრად მიმავალ რომაელებს საკუთარი ხელსაწმენდიც მიჰქონდათ თან. რისთვის?

3. დაასახელეთ პიროვნება, რომელიც ანდროპოვმა ე.წ. „უზბეკეთის ბამბის“ გახმაურებულ საქმეში მილიარდნახევარი მანეთის გაფლანგვისთვის დააჭერინა.

4. რა ციფრს აღნიშნავდა ქართული თვლის სისტემაში სიტყვა „ბევრეული“?

5. სადაური იყო რუსეთის იმპერატორის, პეტრე I-ის თანამოაზრე, გენერალი და კონტრადმირალი პატრიკ გორდონი?

6. დაასრულეთ კოტე ყუბანეიშვილის სიტყვები: „სახლს ვერ გაათბობ, თუ არ...“

7. რომელი სამეფო დააარსა, დედის მხრიდან — ჩინგის ყაენის, მამის მხრიდან კი — თემურ ლენგის შთამომავალმა, ზაჰირედინ მუჰამედ ბაბურმა?

8. სად იხდიდა მისივე სიტყვებით პირველ სასჯელს ვლადიმირ ვისოცკი?

9. რა არის წკიპარტი?

10. ამ პოეტის კალამს ეკუთვნის ლექსი — „იქ, სადაც რბის ალაზანი“. ტრაგედია „ქართული ღამე“ მას დაუმთავრებელი დარჩა. დაასახელეთ იგი.

11. რა არის თივთიკი?

12. რომელი ენიდან მომდინარეობს სიტყვა „შრამი“.

13. ვისი საკუთრება იყო ხუთი ცხენი, რომელთაგანაც წარმოიშვა არაბული ცხენების ხუთი საუკეთესო ჯიში?

14. ატლანტის ოკეანეში მდებარე, ამაღლების კუნძული დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის. XIX საუკუნეში კუნძულს გარკვეული ხნით სახელი შეუცვალეს — მონათლეს, როგორც საზღვაო ხომალდი და ხაზინის უწყისებშიც ამგვარი სახით შეიტანეს. რატომ?

ანეკდოტები

***

— ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მისამართს ვერ მიმასწავლით?

— ჰა?



***

ცოლმა ქმარი ექიმთან მიიყვანა.

— ჩემს ქმარს ასოზე ფუტკარმა უკბინა. თუ შეიძლება, ტკივილი მოუხსენით, ოღონდ შესივება დაუტოვეთ.

***

— გუშინ სტადიონზე ვიყავი. მაგრად ვისიამოვნე.

— ვინ მოიგო?

— არ ვიცი. ნაშასთან ერთად ვიყავი.

***

— არა, არა და არა. მე თქვენ ქალიშვილს ვერ მოგათხოვებთ!

— მიყვარს და რა ვქნა?!

— მაინც არა! არ მინდა, ჩემმა შვილმა მთელი სიცოცხლე დეგენერატის ოჯახში გაატაროს!

— იმიტომაც მიმყავს ჩემს ოჯახში, ბატონო!

***

გურული ქალი ქორწინების პირველ ღამეს:

— ნენა-ნენაააა... ნენა-ნენაააა... ტიი-ტუუუუუუ!!!

***

აბრა ავტომოყვარულთათვის:

— უახლესი საბურავები! მაღალი კლასის სპეციალისტები! უმაღლესი ხარისხის ზეთი! საფლავის ქვები!

***

მთვრალმა კაცმა სტიპტიზიორ ქალს ბიკინიში 50-დოლარიანი ჩაუდო და ხელის ფათური დაუწყო.

— რაებს ბედავ?! — აყვირდა ქალი.

— რა გაყვირებს, ხურდას ვეძებ!

***

— მიტო, ცურვა იცი?

— კი.

— სად ისწავლე?

— წყალში.

***

გოგო ეუბნება ბიჭს:

— ჩემო საყვარელო, შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, ისეთი განათლებული, ისეთი გამჭრიახი...

— მე ჩვეულებრივი ვარ, ეს შენ ხარ შტერი!..

***

— კირილე, ცოლიანი ხარ?

— დროებით.

— ეგ როგორ?

— უფროსი ძმა დასასვენებლად არის წასული და მისი ცოლი ჩემი ძმის მაგივრად მე მეჩხუბება ხოლმე.

***

ორი მწერლის დიალოგიდან:

— დღეს რაღაც, ხასიათზე ვერ ხარ.

— რა ხასიათზე უნდა ვიყო? ისეთი ახალგაზრდობა იზრდება, ისიც კი არ იციან, ვინ იყო შექსპირი.

— მერე, მაგაზე ნერვიულობ? ეგ ამბები შექსპირმა იდარდოს.

— შექსპირი რაში მაინტერესებს?!

MK

გამოდის, რომ 400 წლის შემდეგ მეც არავის ვემახსოვრები.

***

— ხუთასი დოლარი საათში — ასეთი გახლავთ ჩემი ცოლის გადაადგილების სიჩქარე სუპერმარკეტში.

***

პარტიზანი დასახვრეტად მიჰყავთ. ბადრაგს მიუბრუნდა და ეკითხება:

— რა დღეა დღეს?

— ორშაბათი!

— ვაა, რა თარსად იწყება ეს კვირა!..

***

გემი იძირება. რადიოკვანძით აცხადებენ:

— მგზავრები, რომლებსაც განვადებით აქვთ შეძენილი ბილეთები, პირველები სხდებიან ნავებში.

***

განცხადება: „სასწრაფოდ ვყიდი რეზინის გასაბერ ნავს, სათევზაო აღჭურვილობასა და ტანსაცმელს. თუ ტელეფონი მამაკაცმა აიღო, უთხარით, რომ ნომერი შეგეშალათ“.

***

ნაცემი პარიკმახერის ჩვენებიდან: „დღეს კლიენტს შემთხვევით ყური მოვაჭერი, პატიება ვთხოვე, მაგრამ უკვე აღარაფერი ესმოდა“.

***

რაინდი მეფესთან მივიდა:

— დანაპირები შევასრულე — აგერ, დრაკონის თავი. ახლა თქვენ შეასრულეთ თქვენი დანაპირები!

— კი, ბატონო — აგერ, პრინცესას ხელი.

***

— აუუუ, გუშინ ქალაქში რეიდი იყოოოო!.. პოლიციელები ერთმანეთს ართმევდნენ მართვის მოწმობებს!

***

— დედიკო, ნახე, ის კაცი მელოტია!

— ჩუმად, არ გაიგონოს.

— რატომ, არ იცის?!.

***

სასუფევლის კარიბჭესთან ქალები ერთ რიგში დგანან. მიქელ-გაბრიელი ამბობს:

— ვისაც ერთხელ მაინც უღალატია ქმრისთვის, ნაბიჯი გადმოდგით წინ.

ყველა ნაბიჯს დგამს, ერთის გარდა.

— ყველანი — ჯოჯოხეთში! — ამბობს მიქელ-გაბრიელი. — ეს ყრუც თან გაიყოლეთ!

***

ჭარბწონიანი ქალბატონი ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდა:

— საჩემო არაფერი გაქვთ? — ეკითხება გამყიდველს.

გამყიდველმა აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— შეგვიძლია, მშვენიერი უნგრული ცხვირსახოცები შემოგთავაზოთ.

ჯერნახის საკანონიერი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მექსიკას.
2. ამ ხელსახოცში ისინი საჭმლის ნარჩენებს ახვევდნენ და სახლში მოჰქონდათ.
3. ლეონიდ ბრეჟნევის სიძე, ჩურბანოვი.
4. ათი ათასს.
5. შოტლანდიელი.
6. „...ჩაციცვდი“.
7. ინდოეთის დიდ მოგოლთა სამეფო.
8. „პერვი სროკ ატბივალ ია ვ უტრობე“, — მღეროდა რუსი მომღერალი.
9. პატარა ხელეურს (ხელეური — ნამგლით მომკილი პური, რომელიც ერთ ხელში თავსდება), რომელსაც მკის დროს გამვლელს მიართმევდნენ ბარაქის ნიშნად, წკიპარტი ერქვა.
10. ალექსანდრე გრიბოედოვი.
11. თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნისა და ზოგი სხვა ცხოველის ნაზ ბალანს თივთიკი ეწოდება.
12. „შრამი“ გერმანული ენიდან მომდინარეობს და ხმლით მიყენებულ ჭრილობას ნიშნავს.
13. წინასწარმეტყველი მუჰამედის.
14. საქმე ისაა, რომ ინგლისს არ ჰქონდა საკმაო მოტივაცია, კუნძულისთვის საჭირო თანხები გამოეყო, ხოლო როდესაც იგი გემის სახელით გაფორმდა, მისი დაფინანსება სამეფო ფლოტმა იტვირთა.

ჩვენი ფოტო მაღლიეა

ეს ფოტო ბათუმელმა პაატა აროშიძემ გამოგვიგზავნა და მოგვწერა: „ეს სურათი გადაღებულია ბათუმის უნივერსიტეტის პარკის წინ. პირობითად დავარქვი „ციყვის სადილობა“. თუ მოგეწონებათ, გამოაქვეყნეთ.

პატივისცემით,
პაატა აროშიძე“

ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ქალი და ბიოლოგიური საათი

ცნობილია, რომ სიგარეტის მოწევა, სტრესები და გაუთავებელი დიეტები ნაადრევ სიბერეს იწვევს. სპორტი და სწორი კვება კი — პირიქით, ადამიანს აახალგაზრდავებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს, როლის მიხედვითაც, ადამიანს (მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე) შეუძლია, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოს. რა გვიმატებს და რა გვიკლებს ასაკს?

თუ ხშირად ნერვიულობთ

სტრესი ნამდვილი „ასაკობრივი ბომბია". ძლიერმა და ხანგრძლივმა სტრესმა შეიძლება 15 წლით დაგაბეროთ. თუმცა, ადამიანის ორგანიზმს ასეთი შემთხვევის შემდეგაც შეუძლია ძალები აღიდგინოს. ამიტომ თუ ხშირად ხვდებით სანერვიულო სიტუაციაში, თქვენს ყოველდღიურ განრიგში იოგა ან არომათერაპია შეიტანეთ.

თუ ასაკი არ გაშინებთ

გულწრფელად გწამთ, რომ ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება? ესე იგი, ასეც იქნება, რადგან ჩვენი ფიქრები და სიტყვები ჩვენს ორგანიზმში გარკვეულ რეაქციებს „პროგრამებს". ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. საკუთარ ასაკთან მიმართებაში ორი სწორი ვარიანტი არსებობს: ან შენი ასაკით უნდა იამაყო, ან ამაზე არც იფიქრო და არც ილაპარაკო.

თუ მკაცრ დიეტას მიმართავთ

მაშინაც კი, როცა აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ გჭირდებათ წონაში დაკლება, მკაცრი დიეტისგან თავი შეიკავეთ. ქალები, რომლებიც მკაცრ დიეტას იცავენ, მუდმივად დაძაბულები არიან. მკაცრი დიეტა, დროთა განმავლობაში, წნევასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის კანის მეორე მტერია (პირველი — მზეა).

თუ სპორტს აქტიურად მისდევთ

ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში სამჯერ, მინიმუმ 20 წუთს მაინც უთმობთ სპორტს. იმ შემთხვევაში, თუ ხშირად სეირნობთ ფეხით, ორი წლით მაინც გაახალგაზრდავდებით. ხოლო სპორტის ინტენსიური ვარჯიშები (მაგალითად, აერობიკა) მინიმუმ ხუთი წლით გაგაახალგაზრდავებთ.

თუ მწეველი ხართ

გაითვალისწინეთ, რომ 45 წლის მწეველი ქალები თავიანთ თანატოლ არამწეველებთან შედარებით, 8 წლით უფროსებად გამოიყურებიან. ჯერ მარტო კანთან დაკავშირებული პრობლემები რად ღირს: ნიკოტინის სიჭარბის გამო ხომ კანი ჟანგბადით სათანადოდ ვერ იკვებება...

თუ გზაში საათ-ნახევარზე მეტ დროს ხარჯავთ

თუ მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 3 საათზე მეტი გეხარჯებათ, უმჯობესია, სამსახურის შეცვლაზე იფიქროთ. თუ ეს შეუძლებელია, ეცადეთ, ხშირად იაროთ ფეხით.

თუ საუზმობა გავიწყდებათ

საიმისოდ, რომ ზედმეტი ერთი წელი მიიწეროთ, კვირაში ორჯერ მაინც გამოტოვეთ საუზმე.

თუ პოლივიტამინებს არ იღებთ

პოლივიტამინების დახმარების გარეშე, ვიტამინების სრული დოზის მისაღებად, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რადგან მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით კვება მოგიწევთ.

თუ ხშირად გამოუძინებელი ხართ

ცუდია, თუ დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 7 საათზე ნაკლები გძინავთ. ცნობისთვის, ყველაზე დიდხანს ისინი ცოცხლობენ, ვისაც დღე-ღამეში 9 საათზე მეტხანს სძინავთ. თუმცა, ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმად 8-9-საათიანი ძილი მიიჩნევა.

თუ ხშირად იცინით

რამდენიმეწუთიანი გულიანი სიცილი ორგანიზმში ენდორფინებს (ორგანულ ანტიდეპრესანტებს) გამოიმუშავებს. ეს კომპონენტები კი იმუნურ სისტემას აძლიერებს.

თუ კბილებს კარგად უვლით

კბლებთან დაკავშირებული პრობლემები იმუნურ სისტემას აქვეითებს და სისხლძარღვებს ავიწროებს. ამიტომ ყურადღებით მოეკიდეთ ამ პრობლემას და დროზე მიაკითხეთ სტომატოლოგს.

თუ ოჯახური პრობლემები გაქვთ

გაუთავებელი კამათი და უთანხმოება ოჯახში, აშკარა კვალს ტოვებს და არა მარტო გარეგნულ მხარეზე. ოჯახის დანგრევა კი — პლუს ერთ წელს უდრის.

თუ ქმარი ასაკით თქვენზე ბევრად უფროსია

ჩვენი ბიოლოგიური საათი ჩვენი ახლობელი და საყვარელი ადამიანების ასაკის მიხედვით მოქმედებს. ასე რომ, თუკი მეუღლე თქვენზე 10 წლით ან მეტით არის უფროსი, შეგიძლიათ წელიწად-ნახევარი „მიიმატოთ".

თუ ძაღლი გყავთ

შინაური ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლები, დადებითი ემოციებისა და სოციალური ურთიერთობების ნაკლებობის კომპენსაციას ახდენენ. ამასთან, სუფთა ჰაერზე მათთან ერთად სეირნობა ნერვულ სისტემაზე შესანიშნავად მოქმედებს.

თუ შვებულების გარეშე მუშაობთ

წელიწადში მინიმუმ 2 კვირა (იდეალურია 3-4 კვირა) თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ — ამ პერიოდში, სასურველია, მკვეთრად შეიცვალოთ გარემო.

დაბოლოს

თუ რომელიმე პუნქტის შეცვლას ვერ მოახერხებთ, ნუ ინერვიულებთ — ყოველთვის მოიძებნება რაღაც ისეთი, რითიც თქვენი ბილოგიური საათის ეკონომიას შეძლებთ. მით უმეტეს, რომ ნებისმიერ მოქმედებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან მხოლოდ მოწევის კომპენსაციას ვერ შეძლებთ, ამიტომ, სიგარეტს სასწრაფოდ თავი უნდა დაანებოთ. ■

რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი ქორწინება?



ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა მიაგნეს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ქორწინების ხანგრძლივობის წინასწარმეტყველება შეუძლიათ. მართალია, გამოკვლევების მიხედვით, ეს მეთოდი მხოლოდ 94 პროცენტით მართლდება, მაგრამ მისი შედეგები მაინც საინტერესოა. ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ხშირად ჩხუბობენ მეუღლეები და როგორ „ამკობენ“ ერთმანეთს ამ დროს. მთავარია, ცოლიც და ქმარიც დისკუსიის დროს ერთსა და იმავე მეთოდს მიმართავდეს.

მკვლევართა აზრით, არსებობს მეუღლეების სამი მთავარი ტიპი, რომელსაც ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრება გარანტირებული აქვთ.

პირველი ტიპი — „მშვიდები“ — ადამიანები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, კონფლიქტის თავიდან აცილებას.

მეორე ტიპი — „მოკამათეები“ — მეუღლეები, რომლებიც ყველა წვრილმანის გამო თავშეუკავებლად არკვევენ ურთიერთობას.

მესამე ტიპი — „კონსულტანტები“ — ცოლ-ქმარი, რომელიც ყურადღებით ისმენს ერთმანეთის არგუმენტებს და ორივესთვის მისაღებ გამოსავალს ეძებს.

როდესაც წყვილდებიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობის გასარკვევად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ (მაგალითად, „მოკამათე“ და „კონსულტანტი“ ან „მშვიდი“ და „მოკამათე“), მათი ქორწინება ყოველთვის ირღვევა. ■

ნიღბები ტუჩების მოსაგლეჯად

როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი, ყინვა... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.

ტუჩის ვარჯიში

ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

ტუჩის ნიღბები

● ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

● ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

● თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

● თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

სამარხვო კექსი

მასალად საჭიროა:

120 გ თაფლი;
60 გ შაქრის ფხვნილი;
50 გ მარგარინი;
1 ჩ/კ საფუარი;
250 გ ფქვილი;
2 ს/კ ჯავზი;
2 ჩ/კ დარიჩინი;
1 მწიკვი მარილი;
50 გ გარგარის ჩირი;
400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მომზადების წესი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. გამოაცხვეთ ცხიმწასმულ ფორმაში.

მოათავსეთ ცომი ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-26

აჰმედმა წესი დაარღვია და მეკობრეთა შიშით, ოთხ მეომარს გუშაგობა დაავალა. გუშაგები ბანაკის ოთხ მხარეს განლაგდნენ. ერთ-ერთი მათგანი კი მუროჩის სიახლოვეს ჩამოჯდა. ვიდრე ის იქ დარჩებოდა, გაპარვა შეუძლებელი იყო, მაგრამ გუშაგებს დიდხანს არ გაჰყვათ გაბედულება. როგორც კი იქაურობა ნისლმა დაფარა, ნელ-ნელა თავისიანებისკენ გადაინაცვლეს. მოგვიანებით დაღლილობამ და მშვიდმა ღამემ თავისი გაიტანა, მუროჩის სიახლოვეს მყოფმა თურქმა, მიწისკენ ჩახარა თავი და ხვრინვა ამოუშვა. სწორედ ამას ელოდა მუროჩიც, მაგრამ მაინც არ აჩქარებულა. ცოტა ხანს მოიცადა, გუშაგს რომ უფრო ღრმად ჩასძინებოდა და მერე ფრთხილად გაცოცდა მისკენ. დიდი ხანი მოანდომა იმ მცირე მანძილის გავლას, რომელიც გუშაგამდე აშორებდა. ფრთხილობდა, რომ ბორკილის ჟღრიალს არ გაეცა, მაგრამ გუშაგს ისე ღრმად ჩასძინებოდა, რომ არათუ ბორკილის ხმას, მეხის გრიალსაც ვერ გაიგონებდა.

ორიოდე ნაბიჯიღა აშორებდა, როდესაც გუშაგს ხელიდან შუბი გაუვარდა. ქვაზე დაცემისას ფოლადის წვერმა ცივად გაიჟღარუნა. მუროჩი მაშინვე მიწას გაეკრა. გუშაგს რომ შეეხედა, აუცილებლად შენიშნავდა. შეიძლება, ვერც მიმხვდარიყო, ვინ იყო. ალბათ, მეკობრედ მიიჩნევდა, რომელიც მას ფრთხილად ეპარებოდა და განგაშს ატეხდა. მერე კი ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ ამას მუროჩისთვის მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. აჰმედი აღარ გაიმეორებდა შეცდომას და მომავალში უფრო საიმედოდ შებორკავდა: ან ახლა გაიქცეოდა, ან ველარასოდეს. მუროჩის უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. უკან დახევა გვიან იყო. გუშაგი ხელის გაწვდენაზე გახლდათ. ერთი ნახტომი და თურქი მის მკლავებში აღმოჩნდებოდა. რომ შემოეხედა, გაგუდავდა, მერე კი, სადაც ვიწრო იყო, იქ გამწყდარიყო...

გუშაგმა მძიმედ ასწია თავი და შუბს წაეტანა. უკან გახედვა არც კი უფიქრია. შუბი მხარზე მიიყრდნო და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

მუროჩი ჩრდილივით უხმაუროდ დაიძრა ადგილიდან. გუშაგთან მიცოცდა, შუბი ააცალა და ისევ უხმაუროდ გაეცალა. ახლა უნდა გადაეწყვიტა, თუ საით წავიდოდა. გზაჯვარედინიდან გზა რამდენიმე მხარეს იტოტებოდა, მაგრამ ის მარტო ერთ მიმართულებას იცნობდა — ანისიდან მომავალ გზას, რომელიც უკვე გამოვლილი ჰქონდა. რა ხდებოდა სხვა გზებზე, წარმოდგენა არ ჰქონდა. თავიდან იფიქრა: უკან გავბრუნდებიო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. შორს წასასვლელად არც ძალა ეყოფოდა და არც — დრო. დიდხანს ელოდა გუშაგის ჩაძინებას. მალე ის სხვა გუშაგს უნდა შეეცვალა და მისი გაუჩინარება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. საით დაიწყებდნენ მის ძებნას?.. რა თქმა უნდა, ანისისკენ მიმავალ გზაზე და მალევე წამოეწეოდნენ. მათთან სისწრაფეში გაჯიბრებიდან არაფერი გამოვიდოდა. მოძებნიდნენ და ისევ ბაღდადის გზას გაუყენებდნენ. არა, ანისისკენ მიმავალი გზა არ გამოადგებოდა. ნაადრევი იყო უკან დაბრუნებაზე ფიქრი. ჯერ თავი უნდა დაეხსნა, ბორკილი მოეშორებინა და მერე დასდგომოდა არდოტისკენ მიმავალ გზას. ახლა ისეთი გზა და ალაგი უნდა შეერჩია, რომელსაც მდევარი არ დაადგებოდა. რამდენიმე გზას შორის, ასეთი მარტო ერთი ეგულებოდა — ხეობა, რომელსაც ასე უფრთხოდნენ თურქები. მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ გაქცეული ტყვე თავისით დაადგებოდა ბაღდადისკენ მიმავალ გზას. ყველა გზას გაჩხრეკდნენ, მაგრამ ხეობისკენ არც კი გაიხედავდნენ. აჰმედს რომც მოესურვებინა იმ გზის გაჩხრეკა, მექარავნენი არ დაჰყვებოდნენ. თანაც, რატომ შეიწუხებდნენ ისინი თავს გაქცეული ფხოველის გამო? ის ხომ აჰმედის ტყვე იყო და ზარალიც მას მიადგებოდა. მექარავნენი მცირე ხნითაც არ დარჩებოდნენ გზაჯვარედინზე. გათენებისთანავე აშლიდნენ ბანაკს და გზას გაუდგებოდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ სახიფათო ალაგს. მარტო თავის მოლაშქრეთა იმედად კი აჰმედი ფეხს არ შედგამდა ხეობაში და ქარავანსაც არ ჩამოშორდებოდა.

აჰმედის ბანაკი უკან დარჩა. წინ მექარავნეთა კარვები გამოჩნდა. გუშაგები ფხიზლობდნენ. აბჯარასხმულები მიმოდიოდნენ კარვებს შორის და ყურადღებით ზვერავდნენ ხეობის ყელს, მაგრამ ბუნება მუროჩის მხარეს იყო. სქელი ნისლი საიმედოდ ფარავდა ლოდებს შორის მიმავალს და მისი ფეხის ხმასაც ახშობდა.

ხეობა ციცაბო ფერდობებში იყო ჩაჭედილი. მუროჩიმ ყურადღებით მოათვალიერა დამრეცი კედლები. ჭიუხებში გაზრდილს არ გაუჭრდებოდა შვერილებსა და ნაპრალებზე ფეხის მოკიდება, მაგრამ ჭრილობით დასუსტებული ვერ შეძლებდა ამას. არც კი უცდია ზემოთ ასვლა. თავი რომ ვერ შეეკავებინა და ფერდობზე დაცურებულიყო, თავსაც გასცემდა და იქნებ ისე დაშავებულიყო, რომ წასვლა ველარ მოეხერხებინა. ისევ გზის გაგრძელება და ფერდობზე ასასვლელი სხვა ალაგის მოძებნა არჩია. როგორც კი ფერდობს უკან მოიტოვებდა, საფარს მოძებნიდა და ქარავნისა და აჰმედის რაზმის წასვლას დაელოდებოდა. ამასობაში ინათებდა. მერე ბორკილსაც მოიშორებდა და ანისისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა.

ხეობა გაიჭიმა. მუროჩიმ საკმაო მანძილი გაიარა, მაგრამ შესაფერის ადგილს მაინც ვერ მიაგნო. რაც ღრმად შედიოდა ხეობაში, ნაპირები უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ცოტას კიდევ ვივლი და თუ შესაფერისი ადგილი არ გამოჩნდა, ფერდობზე ასვლას ვცდიო.

და ამ დროს...

საპირისპირო მხრიდან ქვაზე ნალის ცემის ხმა გაისმა. ცხენი ჭენებით მოუყვებოდა ხეობას. მუროჩი სწრაფად ამოეფარა დიდ ლოდს და შუბი შემართა. თავიდან ეგონა, რომ ხეობაში მეკობრეები მოაჭენებდნენ ცხენებს. ბაღდადიდან მომავალი ქარავანი ღამით ვერ გაბედავდა სახიფათო ხეობის გავლას და თუ გაბედავდა, ჭენებით სვლას მაინც ვერ შეძლებდა, მაგრამ არც მეკობრენი წამოვიდოდნენ ასეთი ხმაურით. ისინი ჩუმად მიეპარებოდნენ მექარავნეთა ბანაკს და მოულოდნელად დაეცემოდნენ თავს.

ვიდრე მუროჩი გამალებული ზვერავდა ხეობას, ნისლიდან ცხენი გამოვარდა, რომელსაც უკან მგლის ხროვა მოსდევდა. მხედარს მარჯვენაში ხმალი ეჭირა, მაგრამ მგლებს არ იგერიე-

ბდა. თავი ცხენის კისრისკენ დაეშვა და ცდილობდა, უნაგირიდან არ ჩამოვარდნილიყო.

ერთი მგელი დაწინაურდა და გვერდიდან შეახტა ცხენს. მხედარმა უღონოდ გადაუქნია ხმალი. მგელმა დაიყმუვლა და ცხენს ფლოქვებში ჩაუვარდა. ცხენმა წაიფორხილა, მოწყვეტით დაასკდა მიწას და მხედარი ქვეშ მოიყოლა. თითქოს გამარჯვება იგრძნესო, მგლებმა ერთხმად დაიყმუვლეს და კბილების ხრჭიალით ეცნენ წაქცეულ ცხენსა და მხედარს.

მხედრის თეთრმა ჩალმამ მუროჩი მიახვედრა, რომ მის წინაშე თურქი იყო: მეომარი, ან ვაჭარი. რისთვის უნდა მოენდომებინა მისი დახმარება, თანაც დაჭრილსა და ხელებშებორკილს? მაგრამ როცა წაქცეული მხედარი იხილა, რომელსაც მგელები გლეჯდნენ, საფარი მიატოვა. ორი მგელი მაშინვე მისკენ გამოქანდა. მუროჩიმ შუბი მოიქნია და პირველ მგელს გვერდი გაუფატრა. მეორე მგელი შედგა და უკან დაიხია. მერე კი დაიყმუვლა და მისკენ გამოქანდა. მუროჩიმ შუბი შემოაბრუნა და მთელი ძალით აძგერა მკერდში. გამოქანებული მგელი, ისე წამოეგო შუბზე, როგორც ხორცის ნაჭერი შამფურზე. ტყიურმა უმალ დალია სული, მაგრამ შუბი ჩაეჭედა ნეკნებში და მუროჩიმ ვეღარ შეძლო მისი ამოძრობა.

მხედარი... მას ხომ ხმალი ჰქონდა, — გაუელვა გონებაში და მზერით მოჩხრიკა მიწა. ხმალი იქვე, მისგან რამდენიმე ნაბიჯზე ეგდო. მუროჩი სწრაფად მოსწყდა ადგილს და ხმალი აიტაცა, დროულიც იყო. რამდენიმე მგელი მისკენ ყმუილით გამოქანდა.

მუროჩიმ უკან დაიხია და პირველ მგელს გადაუქნია ხმალი. თავწაკვეთილი ნადირი დაკლული ქათამივით აფართხალდა, მეორე მგელი გვერდიდან შემოახტა. მუროჩიმ უგანა და ხმალი დაჰკრა. ფოლადი თეძოზე მოხვდა ნადირს და მენჯი ჩამოასხიპა. მის ყმუილზე დანარჩენმა მგლებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ახლა თავად მუროჩი მიჰყვა ხმლის ქნევით. რამდენიმე ნაბიჯის მერე ცხენსა და მხედარს მიადგა. მგლებს სრულიად დაეფლითათ ცხენი. ორი იქვე ხრავდა თეძოდან მოგლეჯილ ბარკალს, ერთი ხეობის სიღმისკენ მიათრევდა მის შიგნეულს. დანარჩენები კი ისე ესეოდნენ ცხენის ლეშს, როგორც ბუზი ნაკელს, მაგრამ მხედარი ცოცხალი იყო. სუსტად კვნესოდა და ცხენის ქვემოდან გამოძრომას ლამობდა.

მუროჩის დანახვაზე მგლებმა ცხენის ლეშს თავი მიანებეს და კბილების ღრჭიალით მისცვივდნენ. ალბათ ეგონათ, საკბილოს გვართმევსო. ძნელი და სახიფათოც იყო მათთან შებმა, მაგრამ ახლა უკან რომ დაეხია, მგლები ნაფლეთებად აქცევდნენ მხედარს.

მგლები გაავებულები უტევდნენ. აქეთ-იქიდან ურბენდნენ, ზედ ახტებოდნენ და ეშვის ჩავლებას ცდილობდნენ. მუროჩი გაშმაგებული იქნევდა ხმალს. მის ფეხებთან უკვე ორი შუაზე გაჩეხილი მგელი ეგდო, როცა მკლავზე მწველი ტკივილი შეიგრძნო. უზარმაზარი მგელი ზედ დაჰკიდებოდა და გააფთრებული ფლეთდა. ჭრილობიდან ნიაღვარივით იფეთქა სისხლმა. მუროჩიმ ძლიერად აიქნია მკლავი. მგელი მკლავიდან მოსწყდა, მაგრამ როგორც კი მიწაზე დაეხეთქა, ისევ შემოუბრუნდა. მუროჩიმ ელვასავით დაუქნია ხმალი. ჭახანი გაიღო ძვალს დაძგერებულმა ფოლადმა. თავგაპობილი მგელი გვერდზე გადავარდა და ფართხალი დაიწყო. ამ დროს სხვა მგელი წვივზე ეძგერა. ბიძგმა წონასწორობა დააკარგვინა. შექანებული ხმალს დაეყრდნო, მაგრამ დიდი ხნით მაინც ვერ შეიკავა თავი. წინიდან გამოქანებული მგელი მკერდზე დაეძგერა და გადააქცია. დაცემამდე მაინც მოასწრო ხმლის მოქნევა და თავი წააკვეთა წვივზე ჩაფრენილ ნადირს. მერე მკერდზე შემომხტარს მოუქნია ხმალი და...

რა მოხდა მერე, აღარ გაუგია. უკან გადავარდნილმა ლოდს დაჰკრა თავი და თვალთ დაუბნელდა...

ხეობაში ატეხილმა ხმაურმა, მექარავნეთ ბანაკამდეც მიაღწია. გუშაგებმა მაშინვე განგაში ატეხეს და ბრძოლისთვის მოემზადნენ. გამოფხიზლდა აჰმედის რაზმიც. მეომრებმა ხმლები იშიშვლეს და მეთაურის გარშემო მოიყარეს თავი. ყველას ახსოვდა აჰმედის ბრძანება: ბრძოლაში არამც და არამც არ ჩავერევითო. თუ მექარავნენი მეკობრეებს მოიგერიებენ, რაღა გვექნება საომარი და თუ მძარცველები დაჯაბნიან, ავმხედრდებით და აქაურობას გავეცლებითო. მეკობრეთა დადევნების შიში არ ჰქონდა აჰმედს. ფიცხელ შეტაკებაში მძარცველები ვერც კი შენიშნავდნენ მის მცირერიცხოვან რაზმს და რომც შეენიშნათ, საკბილოს აღარ მოეშვებოდნენ, მაგრამ თავდასხმა არ მოხდა. აბჯრის ჟღრიალის, ცხენის ფლოქვის ცემისა და მეკობრეთა ყიჟინის ნაცვლად, ხეობიდან მგლის ღრენა-ყმუილი გაისმა. გასაგები იყო, რომ მგლები ვიღაცას დაესხნენ თავს, მაგრამ მექარავნეებს არც კი უფიქრიათ ხეობაში შესვლა და გაჭირვებულთა დახმარება. ადამინის ხორცზე შეჩვეულ მგლის ხროვასთან შეტაკება საშიში იყო. შეიძლება, ხეობაში არც იყვნენ მგლები და ეს ყველაფერი მეკობრეთა ხრიკი იყო. ვიდრე მექარავნენი ყოყმანობდნენ, ღრენა-ყმუილი შეწყდა და გზაჯვარედინზე სიჩუმემ დაისადგურა. აჰმედმა მხოლოდ ამის მერე შენიშნა მუროჩის გაუჩინარება. მომხდარით გაშმაგებული ყელში სწვდა გუშაგს, მიწაზე დასცა და მათრახი დაუშინა.

— ჩემი ბრალი არ არის... არ ჩამძინებია, გამუდმებით თვალწინ მყავდა, ჩანს, არეულობით ისარგებლა და ვიდრე ჩვენ მეკობრეთა მოსაგერიებლად ვემზადებოდით, გაიპარა. — თავს იმართლებდა გუშაგი. აჰმედს ჭკუაში დაუჯდა გუშაგის სიტყვები, მისი ცემა შეწყვიტა და მეომრებს ამხედრება უბრძანა, მაგრამ მისდა გასაოცრად მეომრები ადგილიდან არ დაძრულან.

— მეურჩებით კიდეც!.. ჩქარა ცხენებზე! შორს წასვლას ვერ მოასწრებდა!.. — იყვირა აჰმედმა და ისევ მოიმარჯვა მათრახი.

— ნუ ფიცხობ, აჰმედ! ახლა გურჯის დევნა საშიშია. ვაითუ, მეკობრეებს გადავაწყდეთ და თავი წავაგოთ. გამთენიისას მოვძებნოთ. შორს მაინც ვერ წავა. დასუსტებულია და ხელებიც შებორკილი აქვს. — გაუბედავად უთხრა თურქმა ათისთავმა.

აჰმედი ჩაფიქრდა. ათისთავი სიმართლეს ამბობდა. ნისლიან ღამეში მეკობრეებს რომ გადასწყდომოდა, ტყვესთან ერთად, რაზმსაც დაკარგავდა და სიცოცხლესაც.

— კარგი... გათენებამდე მოვიცადოთ, — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ და ათისთავს ზურგი შეაქცია.

ის ღამე აჰმედმა თეთრად გაათენა. ცალკე მეკობრეთა თავდასხმის შიში

უკარგავდა მოსვენებას, ცალკე მურო-ჩის გაქცევა ვერ მოენელებინა. მთელი ღამე მარტო იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აწამებდა, როცა ხელში ჩაიგდებდა. თავიდან სასჯელად თვალებ-ის დათხრა დაუდგინა, მერე ენის მოჭ-რა. ესეც ეცოტავა და გადაწყვიტა, თვალებსაც დავთხრი და ენასაც ამოვ-გლეჯო. ბოლოს კი ხელ-ფეხიც მიამა-ტა მოსაკვეთ-ამოსაგლეჯ სიას, მაგრამ მისი ჩანაფიქრი, ჩანაფიქრად დარჩა. მზის ამოსვლისთანავე მექარავნეებმა ბა-ნაკი აშალეს და სამგზავრო სამზადისს შეუდგნენ. ამის დანახვაზე აჰმედმა მექარავნეებს დაყოვნება და გაქცეული ტყვის მოძებნა მოსთხოვა.

— შენი ტყვეა და თავად მოძებნე, — უპასუხეს მექარავნეებმა.

— მე მოვძებნო?! მაშ, რაში გადა-გიხადეთ ოქრო? თქვენ ჩემს ხალხსა და საქონელზე ხართ პასუხისმგებელი. თუ გინდათ, ნუ მოძებნით და გზა გავაგრძელოთ, მაგრამ მაშინ ზარალი უნდა ამინაზღაუროთ! — ბრაზი მოე-რია აჰმედს.

— ერთ დირჰემსაც ვერ მიიღებ! — გამომწვევად მიუგდო მექარავნეთა მე-თაურმა.

— რაო?! — ხმალზე ხელი გაივლო აჰმედმა.

— წესებით მელაპარაკები?! მაშინ მეც იმავეთი გიპასუხებ. ჰო, ჩვენ პა-სუხს ვაგებთ შენს ხალხსა და საქონელზე, მაგრამ შენ თვითონ დაარ-ღვიე წესი, ცალკე დაბანაკდი. ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყავი, გურჯი ვერ გაიქცეოდა! — ცივად მოსხიპა მექარავნეთა მეთაურმა.

აჰმედი გაშრა. მექარავნე მართალი იყო. საჩივრითაც ვერაფერს გახდებო-და. ნებისმიერი ყადი (მოსამართლე) მას გაამტყუნებდა. მექარავნეთა გუშაგე-ბი, მარტო საერთო ბანაკში მყოფ ხალხ-სა და საქონელზე აგებდნენ პასუხს. ამაში იღებდნენ გადასახადს. ვინც ცალკე დასცემდა ბანაკს, თავად უნდა მიეხედა საკუთარი ხალხისა და საქონ-ლისთვის.

— კიდევ მომთხოვ ზარალის ანაზღაურებას? — დამცინავად ჰკითხა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა მექარავნემ.

— არა, — ყრუდ ჩაილაპარაკა აჰმედ-მა და თავის მეომრებს მიუბრუნდა.

მეკობრენი არსად ჩანდნენ, მაგრამ მექარავნეებმა მაინც ვერ გაბედეს ხე-ობაში ბრმად შესვლა. მეთაურმა ათა-მდე მეომარი შეარჩია, ხეობის დასაზ-ვერად გაგზავნა და ცოტა ხანში ქარა-ვანიც დაძრა.

ქარავნის ბოლო ხეობაში შესული არ იყო, როცა ერთ-ერთმა მზვერავმა ჭენებით მოაგდო ცხენი და მექარავნ-ეთა მეთაურს გაყოლა სთხოვა.

მეთაურმა ცხენს დეზი ჰკრა და ჭენებით დაედევნა მზვერავს. ორიოდე მოსახვევის მერე მზვერავები გამოჩნდ-ნენ. ისინი თავს წამოსდგომოდნენ ნაფლეთებად ქცეულ ცხენსა და ორ მგზავრს. ერთი მათგანი ცხენის ქვეშ იწვა, მეორე კი მოშორებით, ლოდის ძირას გართხმულიყო. მათ გარშემო რვა თუ ათი მგლის ლეში ეგდო. ჩანს, მგზავრებს მგლები დასხმოდნენ თავს. ისინი, სადამდეც შეეძლოთ, იგერიე-ბდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ნადირთა სიმრავლეს თავისი გაეტანა და მგლებს ორივე მგზავრი მოეკლათ. მარტო ერთს ვერ მიხვდა მექარავნეთა მეთაური — რატომ დაგლიჯეს მგლებმა ცხენი და ახლოს არ გაეკარნენ მგზავრებს? მგლების ეშვების ნაკვალევი ორივეს ემჩნეოდა, მაგრამ ეს მგლებთან ბრძოლისას მიღებული იარები უნდა ყოფილიყო. მერე კი მგლები ახლოს აღარ გაჰკარებიან მგზავრებს. ვიდრე მექარავნეთა მეთაური მომხდარში გარკვევას ცდილობდა, ცხენის ქვეშ მოყოლილი მგზავრი შეინძრა და სუს-ტი კვნესა აღმოხდა.

— ცოცხალია! — ახმაურდნენ მზ-ვერავები.

— დაეხმარეთ! — ბრძანა მექარავნ-ეთა მეთაურმა. მზვერავებმა სწრაფად შეასრულეს განკარგულება. მგზავრი ცხენის ქვემოდან გამოიყვანეს და...

— ეს ხომ ალი ჰასანია! — აღმოხ-დათ გაოცებულებს.

— ეს კიდევ, აჰმედის გურჯია! — იყვირეს სხვა მზვერავებმა, რომლებიც მეორე მგზავრს დასტრიალებდნენ თავს.

მზვერავების სიტყვებს აჰმედმაც მო-ჰკრა ყური, რომელიც ქარავანთან ერ-თად მოახლოვდა. მან მაშინვე ააჩქარა ცხენი და თავს წამოადგა გონდაკარ-გულ მუროჩის.

— ცოცხალია, მაგრამ ძლიერ დაუ-ზარალებიათ მგლებს. ალბათ, ვერ გადარჩება, — ამოხედა გონწასულ მუროჩისთან ჩამუხლულმა ერთ-ერთმა მზვერავმა და მის დაფლეთილ მკლავსა და წვივზე მიანიშნა.

აჰმედი ჩამოქვეითდა და სახეში ჩააცქერდა დაჭრილს. ის ოდნავშესამ-ჩნევად სუნთქავდა. აჩეხილი მგლები და სისხლით მოსვრილი ხმალი, რომელ-იც მარჯვენაში შერჩენოდა, ფიცხელ ბრძოლაზე მიანიშნებდა.

— ესაც შენი გურჯი. ხედავ, ძებნაც კი არ დაგჭირდა. — უთხრა მოახ-ლოებულმა მექარავნემ.

— როგორ მოხვდა აქ?.. მე ანისის გზაზე ვაპირებდი მის ძებნას, ის კი საით წამოსულა? — გახედა აჰმედმა.

— გზა შეეშლებოდა ან კიდევ რამემ შეუშალა ხელი. შეიძლება, გუშაგს ვერ აუქცია მხარი და იძულებით შევიდა ხეობაში. თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ზარალი არ მოგად-გა. — უპასუხა მექარავნემ.

— ზარალი?! ეგ ველარ გადარჩება. მკლავიც დაფლეთილი აქვს, წვივიც. სახეზეც ეშვების კვალი ატყვია. აქიმო-ბადაც არ ღირს. უფრო მეტად დავზა-რალდები. — ხელი ჩაიქნია აჰმედმა.

— ნუ უაქიმებ. იქნებ მაინც გადა-რჩეს. — უთხრა მექარავნემ.

— არა... თავი მომაბეზრა. ეგ არ მორჯულდება და როდემდე მეყოლება შებორკილი. ხმალი თუ მოიგდო ხელ-ში... ვერ ხედავ? რა დამართა მგლებს. ეგენი მაგის დასხეპილია, არავის დაინ-დობს. ამ მგლებივით აკაფავს. — თქვა აჰმედმა. მერე კი ხმალი მოიმარჯვა და მუროჩის გვერდიდან მიუდგა, რათა ერთი დარტყმით წაეგდებინა თავი.

მექარავნენი მშვიდად ადევნებდნენ თვალს. მათთვის უკვე გადაწყვეტილი იყო ფხოველის ბედი. მისი სიცოცხლე აჰმედს ეკუთვნოდა და თუ მან ტყვის მოკვლა განიზრახა, არავინ ეცდებოდა მის შეჩერებას.

და ამ დროს...

— ხელი არ ახლო, აჰმედ! — გაის-მა მოულოდნელად.

აჰმედმა ხმალი დაუშვა, გაოცებუ-ლი შემობრუნდა და ალი ჰასანს მია-ბჯინა მზერა, რომელიც უკვე მოე-სულიერებინათ მექარავნეებს.

— ხელი არ ახლო! — გაიმეორა ჰასანმა.

აჰმედი მუროჩის მოშორდა, ჰასანის სიახლოვეს ჩაიმუხლა და დამცინავად უთხრა.

— ვგონებ, რაღაც დაგავიწყდა. გურჯი ჩემი ტყვეა და მისი სიცოცხ-ლეც მე მეკუთვნის!

— მაგ გურჯმა გადამარჩინა, — თქვა ჰასანმა.

— მაგრამ მანამდე გაიქცა. შენ კი კარგად იცი, როგორ სჯიან ურჩ მო-ნას! — ავად გამოცრა აჰმედმა.

— კარგი, მაშინ მომყიდე, — ამ სიტყვებთან ერთად, ჰასანმა ქამრიდან ქისა მოიხსნა და ფეხებთან მიუგდო.

აჰმედმა ქისას ჩახედა. მერე დირჰემე-ბი ხელისგულზე წამოიყარა, დინჯად გადათვალა და უპასუხა.

— აქ მისი ფასის ნახევარია!

— მაგ ფასად ბაღდადში ოთხ ლამაზ ქალს იყიდი!

— ბრაზით მიუგო ჰასანმა.

— მე გუშინ გთავაზობდი მაგ გურ-ჯს. შენ ერთი დირჰემიც არ გაიმეტე. ახლა ფასი შეიცვალა: ან ერთ ამდენს დაამატებ, ან კიდევ... — ხმალი შეათა-მაშა აჰმედმა.

— ბაღდადს მიიღებ დანარჩენს, — უპასუხა ჰასანმა.

— არა. ვაჭრობა აქ დამთავრდა და ანგარიშიც აქვე გასწორდება! — იუარა აჰმედმა.

— არ მენდობი?! — ბრაზი მოერია ჰასანს.

— გენდობი, მაგრამ შენც დაშავე-

ბული ხარ, გურჯიც. რომელიმემ რომ ვერ ჩააღწიოთ ბაღდადამდე, ვინღა გამისწორებს ანგარიშს? — დამცინავად მიუგო აჰმედმა.

— ისმაილ, გაუსწორე ანგარიში, — მექარავნეთა მეთაურს გახედა ჰასანმა.

— არ გირჩევ, ჰასან, იზარალებ. გურჯი საშინლად არის დაშავებული. ბაღდადამდე ვერ ჩააღწევს. — გააფრთხილა მექარავნეთა მეთაურმა.

— გაუსწორე ანგარიში, — ჯიუტად გაიმეორა ჰასანმა.

მექარავნეთა მეთაურს აღარაფერი უთქვამს. ქამრიდან ქისა მოიხსნა და აჰმედს ხელში ჩაუდო.

— ალაჰს ვფიცავ, არ მესმის შენი. გუშინ ორი სომეხი იყიდე. მეგონა, მენახირეებად გინდოდა, მაგრამ ორივე დვინის გზას გაუყენე. ახლა ამ გურჯს ყიდულობ. თანაც იცი, რომ ბაღდადს ვერ ჩააღწევს. ალბათ ტყუიან, როცა შენზე ამბობენ: ურიცხვი ქონების პატრონიაო. ვაჭრობისა არაფერი გესმის, არც მეკობრე ხარ და არც მდიდარი წინაპრების პატრონი. მაშ, საიდან უნდა გქონდეს ის ქონება? — ჩაიცინა აჰმედმა, მერე ქისა ხელში შეათამაშა და თავის მეომრებს მიუბრუნდა.

— საფიქრალი გამიჩინე, ჰასან! გურჯი არ მაფიქრებს, მოიგებ თუ წააგებ, შენი საქმეა, მაგრამ შენც დაშავებული ხარ, ისიც და ორივე ერთად როგორ გატაროთ ბაღდადამდე? შენ რამდენიმე დღე დაგჭირდება იარების მოსაშუშებლად, გურჯს უფრო მეტი, მაგრამ მექარავანს ვერ შევაჩერებ. — განაგრძო მექარავნეთა მეთაურმა.

— არც ქარავნის გაჩერებას გთხოვ და არც — ბაღდადში ჩაყვანას, — უპასუხა ჰასანმა.

— მაშ რა ვქნა. აქ დაგტოვოთ? — გაუკვირდა მექარავნეს.

— ალ-ჯასირის ციხემდე მიმიყვანე. იქამდე ერთი დღის სავალია, როგორმე გავუძლებთ. ამით შენც არ იზარალებ. საფასურს ბაღდადში ჩაყვანისას გადაგიხდი. — შესთავაზა ჰასანმა.

— ნება შენია. სადაც იტყვი, იქ მიგიყვან. — დაეთანხმა მექარავნე და თავის ხალხს უბრძანა: ჰასანი და გურჯი ტახტრევანში გადაიყვანეთო.

მურროჩიმ მძიმედ აზიდა ქუთუთოები და მიმოიხედა. თავიდან ვერაფერი დაინახა, მაგრამ მოგვიანებით მზერას წაფარებული ნისლი გაიფანტა და...

არ ელოდა ასეთი სურათის ხილვას. დაიბნა.

რბილ და სურნელოვან ლოგინში იწვა. მისი სამყოფელი მდიდრულად იყო მორთული. კედლებზე თორ-აბჯარი და იარაღი ეკიდა. იატაკი ხალიჩებს დაეფარა. იფიქრებდა, სამოთხეში ხომ არ მოვხვდიო, რომ არა საწოლთან ჩამომჯდარი ჩია მოხუცი, რომელიც წყლიან თასში ასველებდა ტილოს და შუბლს უგრილება.

— ვინ ხარ და როგორ მოვხვდი აქ? — ჰკითხა მურროჩიმ.

პასუხად მოხუცმა თასში ჩააგდო ტილო და სირბილით გავარდა ოთახიდან.

ცოტა ხანში ოთახში ტანმაღალმა კაცმა შემოაბიჯა. ეცნო ის კაცი მურროჩის. ალი ჰასანი იყო, რომელიც წინადღეს უამბობდა თავის ამბავს, მაგრამ როგორ უნდა მოხვედრილიყო გათურქებულ ქართველთან ერთად ამ ოთხში?.. ის ხომ ღამით გაიპარა. მერე მგლის ხროვას გადააწყდა. შეებრძოლა და...

რამდენიმე მგელი მოკლა, მერე მთელი ხროვა შემოესია. ერთი აჩეხა... მეორე... მესამე მკერდზე შემოახტა, სახეზე გაჰკრა ეშვი და მიწაზე დასცა...

არა... არა... მგლები არ დამინდობდნენ წაქცეულს. მე მოვკვდი და ეს ჯოჯოხეთის ხილვაა. — გაიფიქრა მურროჩიმ. — მაგრამ ეს გათურქებული ჰერეთელი?.. ის საიდან მოხვდა საიქიოში?.. ალბათ, ისიც მოკვდა და ახლა აქაც არ მაძლევს მოსვენებას...

ამასობაში, ჰასანი საწოლთან მივიდა, სახეში ჩააცქერდა და თქვა:

— დიდება ალაჰს, არ მეგონა, თუ გადარჩებოდი.

— სად ვარ და შენ როგორ მოხვდი აქ? — სუსტი ხმით ჰკითხა მურროჩიმ.

— ალ-ჯასირის ციხეში ხარ. ციხისთავი ჩემი მეგობარია. მან შეგვიფარა. — უპასუხა ჰასანმა.

— ციხეში?.. შეგვიფარა?.. როგორ მოვხვდი აქ? — დაიბნა მურროჩი.

— არაფერი გახსოვს? — ჰკითხა ჰასანმა.

მურროჩის კარგად ახსოვდა, როგორ გაეცალა აჰმედის ბანაკს, როგორ ეძებდა ფერდობზე ასასვლელს და როგორ შეება მგლებს, მაგრამ რისთვის უნდა ეამბნა ეს ყველაფერი მისთვის?

ჰასანმა კი იფიქრა, ვერ იხსენებს იმ ღამესო და თავად განაგრძო ლაპარაკი.

— შენ მე გადამარჩინე, ფხოველო. შენ რომ არა, ახლა ჩემი ძვლებიღა ეყრებოდა იმ ხეობაში!

— მაშ ის მხედარი შენ იყავი?! — გონება გაუნათდა მურროჩის.

— მე ვიყავი და ჩემი გადარჩენისას დაგგლიჯეს მგლებმა, — დაუდასტურა ჰასანმა.

იმ ღამით მურროჩი ვერ მიხვდა, ვის გამო შეება მგლებს. ბნელოდა და ვერ შეათვალიერა ცხენის ქვეშ მოყოლილი მხედარი. ჰასანმა კი მაშინვე იცნო. მისმა სიტყვებმა მიახვედრა, ვინც უნდა ყოფილიყო მხსნელი. ფიცხ შეტაკებაში ხვნეშით იქნევდა ხმალს და თანაც კბილების ღრჭიალით აყოლებდა: მოკვდი ნადიროო!.. მიხვდა, რომ განგებამ ტყვე ფხოველი მოუვლინა მხსნელად. მის გადარჩენას შეევედრა ალაჰს. ახლა მასზე იყო დამოკიდებული მისი სიცოცხლეც. თუ ფხოველი გაიმარჯვებდა იმ ომში, ისიც იცოცხლებდა და თუ დამარცხდებოდა, მასთან ერთად ჰასანიც დაიღუპებოდა.

ერთი მგელი დასცა მიწაზე ფხოველმა, მეორე... მესამე წვივში ჩააფრინდა. განწირული ყვირილი აღმოხდა ჰასანს, როცა დაინახა, როგორ შექანდა მისი მხსნელი. ამ დროს სხვა მგელი შეახტა მკერდზე. ამ დატაკებას მურროჩიმ ველარ გაუძლო. წაბორძიკდა, უკან გადაქანდა, მაგრამ მაინც მოასწრო ხმლის მოქნევა. შუაგაჩეხილი მგელი გვერდზე გადავარდა. ფხოველმა კი თავი ლოდს დაჰკრა და გონი დაკარგა. არნახულმა შიშმა შეიპყრო ამის მნახველი ჰასანი. ბოლო მგელი შუაგაჩეხილი ეგდო მიწაზე, მაგრამ იქნებ შორიახლოს სხვებიც დაძრწოდნენ. ახლა ერთი, ქეციანი მგელიც რომ გამოჩენილიყო, ველარაფერი უშველიდა. მისი მხსნელი უგონოდ იწვა მიწაზე, თავად კი განძრევის საშუალება არ ჰქონდა. აღარაფერი შეაჩერებდა ნადირს და ის ბოლომდე მიიყვანდა ხროვის მიერ დაწყებულ საქმეს...

შიშით ატანილმა რამდენჯერმე დაუყვირა ფხოველს, მაგრამ ვერაფერი გააგონა. მაშინ თავად შეუდგა ბრძოლას. ძალა მოიკრიბა და ცხენის ქვემოდან გამოძრომა სცადა, მაგრამ დაჭრილს დიდხანს არ გაჰყვა ძალა. ერი-ორჯერ გაიბრძოლა და მერე მასაც წაერთვა გონება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმღიერესი ემიგრანტები

„მსოფლიოს შერვე საოცრების“ თანაავტორი და ქართული კულტურის დაფლავი მოამაგე

წერილი მეშვიდე.
წინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-26

მანანა გაბრიჭიძე

რუსუდან დაუშვილი, *ისტორიკოსი, პროფესორი:*

— მას შემდეგ, რაც ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ფილონ ალექსანდრიელმა „მსოფლიოს შვიდი საოცრების“ სია შეადგინა, მეცნიერთა მიერ არაერთხელ იყო ამ სიის შეცვლის, შევსების, ან „მერვე საოცრებად“ თავისი ეპოქის ძეგლის შეტანის მცდელობა.

XXI საუკუნის „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ მიჩნეულია სპარსეთის ყურეში განხორციელებული პროექტი „პალმა ჯუმეირა“ — პალმის ფორმის ხელოვნური კუნძულების კომპლექსი ზღვაში. როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ხელით შექმნილი ეს მეორე ძეგლია, დიდი ჩინური კედლის შემდეგ, რომელიც კოსმოსიდან ჩანს. ამ უნიკალური პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებით და ქართველი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ამ პროექტის ავტორი ჩვენი თანამემამულე, ემიგრანტი ოთარ ზალდასტანიშვილია. ოთარი 1988 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ რ. კორინთელმა გააცნო პირველად ქართველ მკითხველს, ზალდასტანიშვილების მთელი ოჯახი კი 1993 წელს გურამ შარაძემ წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“. საქართველოში უკეთ იცნობენ ოთარის ძმას, ამერიკელ ბიზნესმენ გივი ზალდასტანიშვილს, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და „ამერიკული აკადემიაც“ დააარსა.

სხვათა შორის, მე არაერთხელ მომიწია გივისთან, როგორც საარქივო კომისიის წევრთან შეხვედრამ. მასთან, სხვა ემიგრანტებთან და მაშინ ამერიკაში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტთან, მის ძმისშვილ ლიზი ზალდასტანიშვილთან შეხვედრის დროს პარლამენტში, როდესაც ლევილიდან და ჰარვარდიდან ჩამოტანილ ემიგრანტულ არქივებზე ვმუშაობდით, საპარლამენტო კომისიის წევრებმა გურამ შარაძის ხელმძღვანელობით, ფოტოც კი გადავიღეთ. 80 წელს მიღწეული გივი ამ ცოტა ხნის წინ, თბილისში გარდაიცვალა.

ქართველმა ოფიცერმა, დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო კომისიის წევრმა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა, აჯანყების დამარცხების შემდეგ საიდუმლოდ დატოვა საქართველო და თურქეთის გზით ემიგრაციაში წავიდა. მისი პარიზში გამოცემული წიგნი „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თვითმხილველის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომია ამ დიდებულ და ტრაგიკულ მოვლენებზე. საფრანგეთში მალე მისი ოჯახის

ოთარ ზალდასტანიშვილი

წევრები: მეუღლე — მარი ხირსელი და შვილები — გივი და ოთარიც ჩავიდნენ, სადაც 17 წელი იცხოვრეს. საფრანგეთში მშობლებმა შვილები ქართული ტრადიციით აღზარდეს და შესანიშნავი განათლებაც მისცეს. II მსოფლიო ომის დროს, სოლომონი ქართველ ტყვეთა გასათავისუფლებლად რუმინეთში ჩავიდა და დიდი ბრძოლით მიაღწია 500 ქართველის ბანაკიდან გამოყვანას, მაგრამ დაავადდა და 1941 წლის დეკემბერში, ბუქარესტის საავადმყოფოში, ტვინის ანთებით გარდაიცვალა... სოლომონ ზალდასტანიშვილის მეუღლემ და ვაჟმა გივიმ 1947 წელს დატოვეს ომგადახდილი და დანგრეული ევროპა და ამერიკაში გადასახლდნენ, სადაც უკვე ცხოვრობდა ოთარი. საფრანგეთ-

სხედან: რუსუდან დაუშვილი, ქრისტეფორე კირკიტაძე, ნინო აფაქიძე, ლიზი ზალდასტანიშვილი, მამია ბერიშვილი, რუსუდან კობახიძე, კარლო ინასარიძე.

დგანან: ნანული ბერიშვილი (მამია ბერიშვილის ძმისშვილი), ციცი ბუქურაული, ლია ხატისკაცი, რუსუდან ნიშნიანიძე, გურამ შარაძე, ნინო ტიტვინიძე, გივი ზალდასტანიშვილი; მარჯვნივ — შუშანა ფუტკარაძე

ში სკოლადამთავრებულმა გივიმ ჰარვარდის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, მარიმ კი ჭრა-კერვას მიჰყო ხელი, რათა შვილებს მატერიალურად დახმარებოდა. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, გივიმ ბიზნესს მოჰკიდა ხელი.

— ოთარ ზალდასტანიშვილს რა განათლება ჰქონდა მიღებული?

— გივიზე სამი წლით უმცროსი ოთარი 1922 წელს დაიბადა თბილისში. დაამთავრა პარიზის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, შემდეგ სწავლა გააგრძელა სორბონის უნივერსიტეტში, 1946 წელს კი ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში. გატაცებული იყო ორი დიდი ქართველი მეცნიერის — მუსხელიშვილისა და ვეკუას შრომებით და მათ თეორიებზე დაყრდნობით 1952 წელს სახელგანთქმულ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილთან ერთად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აეროდინამიკასა და ნიადაგის მექანიკაში (რომელიც შემდეგ ძალიან გამოადგა „ჯუმეირასათვის“ ზღვაში ხელოვნური ნიადაგის შექმნისას), გახდა აეროდინამიკის კათედრის გამგის მოადგილე და როგორც პროფესორმა, დაიწყო ლექციების კითხვა აეროდინამიკაში. ჰქონდა უამრავი თეორიული ნაშრომი და პატენტი. 1949 წელს, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ოთარ ზალდასტანიშვილმა ბოსტონში სამშენებლო კომპანიაში დაიწყო მუშაობა. 1952 წელს, გახდა კომპანიის პარტნიორი, 1964-89 წლებში — პრეზიდენტი, ხოლო 1989-1997 წლებში — დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1971 წელს ფირმას სახელი შეეცვალა და დაერქვა Zaldastani Associates Incorporated. სხვადასხვა დიდ სამშენებლო პროექტებს მისი ხელმძღვანელობით 25 ინჟინერი ახორციელებდა. ზალდასტანიშვილს შესრულებული აქვს პროექტების რეკორდული რაოდენობა — 1000-ზე მეტი ამერიკაში, ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. მათ შორისაა: ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტადიონისა და ბრაუნის უნივერსიტეტის მოიჰანის აუდიტორიის აღდგენის პროექტები, სასახლეები ვაშინგტონსა და ამერიკის სხვა ქალაქებში, მაღლივი შენობები საფრანგეთში, ალჟირში, ერაყში, აშშ-ის მემორიალი მეორე ფრონტის გახსნისას ნორმანდიაში დესანტის გადასხმის ადგილას და ბოლოს, „ჯუმეირას“ გენერალური გეგმა საუდის არაბეთში. ის იყო პიონერი სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკის განვითარებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ავტოსტრადის ზედა სივრცის გამოყენება. მის სახელს უკავშირდება მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ინოვაციები. ოთარ ზალდასტანიშვილს საინჟინრო დარგში სხვადასხვა ორგანიზაციისაგან უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. მათ შორის, სამოქალაქო ინჟინერიის ამერიკის საზოგადოებისაგან. ამ ჯილდოს, როგორც წესი, არაამერიკელებს აძლევენ. იყო უილოკის კოლეჯის, ბოსტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრისა და ბრუკსის სკოლის კურატორი.

— ქართველებიდან მხოლოდ ალექსანდრე ქართველიშვილთან ჰქონდა კავშირი?

— დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, აქტიურად მონაწილეობდა ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. 8 წელი იყო ეროვნული ორგანიზაციის — ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, რომლის მიზანიც იყო საქართველოსა და მისი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა. როცა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ზალდასტანიშვილი 1961 წელს მესამედ აირჩიეს ასოციაციის პრეზიდენტად, გაზეთი „ქართული აზრი“, რომელიც ნიუ-იორკში იბეჭდებოდა, წერდა: „საზოგადოების მხრივ ეს იყო უდიდესი მადლობის გამოხატულება თავისი თავმჯდომარის მიმართ. მართლაც, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, უდიდესი ცვლილება მოხდა ქართულ ისტორიაში, მან მოიპოვა შეერთებულ შტატებში არსებული კორპორაციებისა და საზოგადოებების უფლება და გადაიქცა იმ ოფიციალურ დაწესებულებად, რომლის მიმართაც სახელმწიფო გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს: მას იცავს, მფარველობს და ეხმარება“. ოთარი მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის გაერთიანებული სარდლობის ყოფილ თავმჯდომარე ჯონმალხაზ შალიკაშვილთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროექტებზე შავ ზღვაზე, სუფსაში, ახალი პორტის გეგმაზე. ეხმარებოდა თავის ძმას გივი ზალდასტანიშვილს თბილისში „ამერიკული აკადემიის“ შექმნაში. რაც შეეხება „ჯუმეირას“ — „პალმა“ ეწოდება იმიტომ, რომ ორი დაშორებული კუნძული დუბაის სანაპიროსთან 17-ტოტიან პალმის ხეს ქმნის. იგი ნახევარმთვარის ფორმის რიფებით არის გარშემორტყმული, თვითონ არქიპელაგი 200 კუნძულისაგან შედგება, ამასთან, რამდენიმე კუნძული ზოგიერთი ქვეყნის ანალოგია და ამის გამო მას „მსოფლიოს“ უწოდებენ. არქიპელაგზე 100 ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ათასი ვილა, პენტჰაუზი და 5000 კერძო ბინა. „პალმაზე“ უძრავი ქონების ფასი ერთიდან შვიდ მილიონამდე მერყეობს და ეს ერთადერთი ადგილია დუბაის მახლობლად, სადაც არამუსლიმანს მიწის შეძენის უფლება აქვს. მშენებლობა ჯერ არ არის დამთავრებული, დასრულების შემდეგ კი ის დღეში 20000 სტუმარს მოემსახურება. მიწის, ვილების, სახლების ყიდვის პროცესი კი უკვე დიდი ხანია დაწყებულია. მაგალითად, ბექჰემების წყვილმა აპარტამენტებში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.



„პალმა ჯუმეირა“

სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ამ „მერვე საოცრების“ შესახებ არსებულ უამრავ ინფორმაციაში არ არის მითითებული დამპროექტებლის ვინაობა, შეიძლება იმიტომაც, რომ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ოთარ ზალდასტანიშვილის საქმიანობა. მაგრამ უფრო სამწუხაროა ის, რომ საქართველოში ასეთ დიდ პიროვნებას არ იცნობენ. ამის დასტურია ისიც, რომ მის გარდაცვალებას 2005 წლის 9 აგვისტოს მხოლოდ ერთი ქართული გაზეთი გამოეხმაურა მოკრძალებული ნეკროლოგით. ოთარ ზალდასტანიშვილი დაკრძალეს 11 აგვისტოს მაუთ ობურნის სასაფლაოზე. იმ დღეს წესი აუგეს და სულის მოსახსენიებელი პანაშვილი აღავლინეს თბილისშიც, ფერისცვალების ტაძარში...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარიო პიუზოს შვილი Paramount Pictures-ს სასამართლოში უჩივის

საყოველთაოდ ცნობილი რომანის — „ნათლიის“ (1969 წ.) ავტორის, მარიო პიუზოს შვილმა ენტონიმ კინოკომპანია „პარამაუნტ ფიქჩერსის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რადგან მან ენტონი პიუზოს საავტორო თანხა არ გადაურიცხა, რომელიც 2006 წელს გასაყიდად გამოსული თამაშის — „ნათლია“ — შემოსავლებიდან ეკუთვნოდა.

სკინშოტი თამაშიდან The Godfather

მამის წიგნისა და კინოფილმის პერსონაჟთა გამოყენების საკომპენსაციოდ, ენტონი პიუზო 1 მლნ დოლარს მოითხოვს და აცხადებს, რომ კომპანიამ კონტრაქტის პირობა დაარღვია. მარიო პიუზომ გარდაცვალებამდე შვიდი წლით ადრე, 1992 წელს კინოსტუდიასთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, ავტორს ფილმ „ნათლიის“ ნებისმიერი ელემენტის შემცველი, აუდიოვიზუალური პროდუქციის შემოსავლიდან გარკვეული წილი უნდა მიეღო. 1999 წელს მწერლის გარდაცვალების შემდეგ, მის ინტერესებს შვილი წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამ პროფილის პრესის წარმომადგენლებმა „ნათლიის“ მიხედვით შექმნილ თამაშს არცთუ ისე დიდი შეფასება მისცეს.

■

რუსული კინოს ოსტატის არაჩვეულებრივი თავგადასავალი ჰოლივუდში

რეჟისორ ტიმურ ბეკმამბეტოვს ჰოლივუდში უპრეცედენტო ნდობა გამოუცხადეს და 150 მილიონი ბიუჯეტის მქონე ფილმის გადაღება შესთავაზეს, რომელშიც მთავარ როლებს მსოფლიო კინოს სუპერვარსკვლავები ანჯელინა ჯოლი, მორგან ფრიმენი და ჯეიმს მაკქევოი ითამაშებენ. რუსი მაყურებლის გულის გასახარად, სურათში კონსტანტინე ხაბენსკისაც ვიხილავთ, რომელიც ერთ-ერთ სცენაში ანჯელინა ჯოლის ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს... რეჟისორმა „ოცნებათა ფაბრიკაში“ მიღებული შთაბეჭდილება ჟურანლისტებს გაუზიარა: „თავდაპირველად ძალზე გამიჭირდა, რადგან მე რუსულ წეს-ჩვეულებებს მივეჩვიე: რაიმის მისაღებად ხუთჯერ მეტს ვითხოვ. ჰოლივუდშიც იმაზე გაცილებით მეტს ვითხოვდი, ვიდრე მჭირდებოდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყველაფერს ვიღებდი. საერთოდ, ამერიკელები იმაზე უფრო მეტად გვგვანან, ვიდრე წარმომედგინა; ამერიკა კი სულ სხვაგვარია. ის ამერიკელები, რომლებიც გავიცანი და რომლებთანაც მუშაობამ მომიწია, ზედაპირული ადამიანი-რობოტის სტერეოტიპისგან ძალზე შორს დგანან. ისინი — ცოცხალი, ემოციური, შემოქმედებითი და შესაძლოა, ჩვენზე უფრო მეტად არაორგანიზებული ადამიანები არიან. ფილმის ერთ-ერთმა პროდიუსერმა მიამბო, თითქოს, ანჯელინა ჯოლიმ კონტრაქტის დადების დროს პირობა წამოაყენა და განაცხადა, რომ ფილმში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ რეჟისორ ბეკმამბეტოვს ყველაფრის გაკეთების ნებას დართავდნენ, რასაც ისურვებდა. ჩემს ფილმში ანჯელინას არათუ საკუთარი სვირინგების დამალვა, ახალის გაკეთება დასჭირდა. მათ შორის, რუსული სიტყვების — „решимость“ და „боль“ („გამბედაობა“ და „ტკივილი“). გამბედაობა და სიმტკიცე მხოლოდ ჯოლის გმირის თვისება როდია. ვფიქრობ, გამძლეობა ანჯელინას ცხოვრებისეული სლოგანია. იგი საოცრად მებრძოლი, გაბედული და ნიჭიერი ადამიანია. მასში მაქსიმალიზმი — პროფესიონალიზმს ერწყმის. ზოჯერ ანჯელინა დაუსრულებელი სამუშაო დღით გატანჯული ჩვეულებრივი გოგონაა, მაგრამ საკმარისია ბრძანება — „მოტორი“ გაიცეს, რომ ერთ წამში საოცრად ელვარე, ელეგანტურ სუპერგმირად გადაიქცევა“... „ზოგჯერ მეკითხებიან: რას უპასუხებდით მათ, ვინც ირწმუნება, რომ ჰოლივუდი და თქვენი „მზვერავის“ მსგავსი ფილმები მაყურებელს აჩლუნგებს და ახალგაზრდა თაობის დეგრადაციას იწვევსო? არაფერსაც არ ვუპასუხებდი! „ელიტური ხელოვნების“ თაყვანისმცემელთა აზრით, რომ არა ჰოლივუდი, მილიონობით ადამიანი ჩაიკოვსკის მოსასმენად კონსერვატორიას მიაწყდებოდა ან ბიბლიოთეკებს მიაშურებდა და დოსტოევსკის გადაიკითხავდა... მე ფილმებს მათთვის არ ვქმნი, ვისაც მსგავსი პოზიცია აქვთ. ჩემი კინო იმ მაყურებლისთვის იქმნება, რომელიც ხელოვნებას გულწრფელად აღიქვამს. ვინც რებუსის ამოხსნას კი არ ლამობს, უბრალოდ, განიცდის იმას, რასაც ეკრანზე ხედავს. ხოლო როდესაც იპოვი იმას, რაც მილიონთა გულებს აღელვებს, მიხვდები, რომ ფუჭად არ გიშრომია. ეს ის მომენტია, რომლის გამო ფილმის გადაღება ღირდა. ეს შთაგონებაა, ეს „დრაივია“!!!

■

რომან პოლანსკის ახალი ტრილერი

2008 წლის შემოდგომაზე რეჟისორი რომან პოლანსკი ახალი პოლიტიკური ტრილერის — The Ghost გადაღებას დაიწყებს. სცენარი რობერტ ჰარისის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით დაიწერა. ფილმში მთავარ როლებს ნიკოლას კეიჯი და პირს ბროსნანი ითამაშებენ. ნიკოლას კეიჯის გმირი — მწერალია, რომელიც დიდი ბრიტანეთის გადამდგარი პრემიერ-მინისტრის, ადამ ლენგის (პირს ბროსნანი) მემუარების დასაწერად დაიქირავეს. მემუარებზე მუშაობის პროცესში მწერალი შეიტყობს, რომ მისი წინამორბედი გაურკვეველ ვითარებაში ნავიდან გადავარდა და ტბაში დაიხრჩო... მოქმედება ძირითადად, ოკეანის სანაპიროზე მდებარე სახლში, დიდთოვლობისას მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ადრე რომან პოლანსკიმ ჰარისის წიგნის მიხედვით შექმნილი ფილმის — „პომპეი“ გადაღებებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

■

სტივენ სპილბერგი მსოფლიოში ყველაზე ყოვლისშემძლე ოჯახის საიდუმლოს გაგვიმხელს

სტივენ სპილბერგის სტუდიამ DreamWorks გამომცემლობისგან Scholastic Media წიგნების სერიის The 39 Clues („39 გასაღები“) ეკრანიზაციის უფლება იყიდა. ნაწარმოები მსოფლიოში ყველაზე ყოვლისშემძლე კეჰილების ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ამბობენ, ამ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ნაპოლეონი, გუდინი, მოცარტი და სხვა არანაკლებ ცნობილი პირები. მაყურებელს შესაძლებლობა მიეცემა, 14 წლის ემისთან და 11 წლის დენ კეჰილთან ერთად ოჯახის ყოვლისშემძლეობის წყაროს მიაგნოს. ბავშვები მთელ მსოფლიოში მიმობნეული 39 გასაღების საძიებლად მიეშურებიან, რადგან ეს გასაღებები მათი ოჯახის საიდუმლოს გასაღებია... პროექტი The 39 Clues, რომელსაც „მულტიმედიურ თავგადასავალს“ უწოდებენ, სტარტს 2008 წლის 9 სექტემბერს აიღებს. პროექტის ფარგლებში ორი წლის განმავლობაში ათეულობით წიგნის, სპეციალური რუკებისა და ონლაინთამაშის გამოშვება იგეგმება, რაც ახალგაზრდა მკითხველს პროექტის ყველა გამოცანის ამოხსნაში და 10.000-დოლარიანი პრიზის მოგებაში დაეხმარება. ეკრანიზაციის პროდიუსერი და რეჟისორი თავად სტივენ სპილბერგი იქნება. რეჟისორი ამბობს, რომ The 39 Clues ერთდროულად რამდენიმე ფილმისთვის საჭირო მასალას შეიცავს. პირველი ფილმის სცენარის ავტორის შერჩევას სტუდია უახლოეს დღეებში დაიწყებს. ■

ირაკლი ფირცხალავა გამარცვეს?!

ცოტა ხნის წინ, მომღერალი ირაკლი ფირცხალავა ამერიკის საგასტროლო ტურნედან დაბრუნდა. ამჯერად, მომღერალმა ნიუ-იორკში გამართა კონცერტები და არაერთი თავგადასავლიც გადახდა თავს — ჯერ ბუნებრივი კატაკლიზმების, შემდეგ კი სავარაუდოდ, პროფესიონალი ქურდბაცაცების მსხვერპლი გახდა. დაგეგმილი 4 კონცერტიდან სამი საკლუბო კონცერტი მშვიდად ჩატარდა. კლუბ-რესტორნის გახსნისადმი მიძღვნილი მეოთხე კონცერტი კი, რომელიც ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში უნდა გამართულიყო, კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო. მოულოდნელად მოვარდნილმა ნიაღვარმა მოედანზე დადგმული აპარატურა ისე დაასვეღა, რომ მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა. ნიუ-იორკში კარგა ხანს 35-გრადუსიანი სიცხე იდგა, მაგრამ ირაკლის იქ ჩასვლისას მკვეთრად აცივდა და ისეთი გადაუღებელი წვიმები დაიწყო, რომ კონცერტის ორგანიზატორებმა ამინდის მკვეთრ ცვლილებაში ხუმრობით მოსკოველი მომღერალი დაადანაშაულეს... კიდევ ერთი არასასიამოვნო მოულოდნელობა ირაკლის საფულის დაკარგვა აღმოჩნდა. მომღერალს საფულე დიდხანს არ გახსენებია... ხოლო როდესაც საუნდჩეკის, კონცერტის, თაყვანისმცემლებთან ერთად სურათის გადაღების, ავტოგრაფების დარიგებისა და ქალაქში გასეირნების შემდეგ ჯიბეები მოიჩხრიკა, აღმოაჩინა, რომ საფულე აღარ ჰქონდა...

ამიტომაც, ამ დანაკარგს მხოლოდ საკუთარი დაბნეულობის შედეგად მიიჩნევს. „იმის გაფიქრებაც კი არ მსურს, რომ ვიღაცამ საფულე ამომაცალა. ალბათ, თავად დავკარგე. საბედნიეროდ, ბევრი ფული არ მედო, რაც მედო, ისიც მხოლოდ რუსული რუბლი. იძულებული ვიყავი, სასწრაფოდ ბანკში დამერეკა და ჩემი საკრედიტო ბარათი დამბლოკა. ყველაზე მეტად სავიზიტო ბარათები მენანება, რომლებსაც საფულეში ვინახავდი“, — ამბობს ახალგაზრდა მომღერალი. ■

ლოს-ანჯელესის სასტუმრო ფილ სპექტორს სასამართლოში უჩივის

სასტუმროს — Westin Bonaventure Hotel and Suites — დირექციამ მუსიკალურ პროდიუსერს, ფილ სპექტორს, მის მეუღლესა და აგენტს სასამართლოში უჩივლა და მათ 104.000-დოლარიანი ვალის გადახდა მოსთხოვა. 2007 წელს, როდესაც მსახიობ ლანა კლარქსონის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ფილ სპექტორის სასამართლო პროცესი

მიმდინარეობდა, პროდიუსერმა სასტუმროს დირექციასთან ნომრების დაჯავშნის თაობაზე კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ პროდიუსერს სასტუმროში ცხოვრების ღირებულება დღემდე არ გადაუხდია და მას თაღლითობაში, ხელშეკრულების დარღვევასა და მრავალ სხვა დანაშაულში სდებს ბრალს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ფილ სპექტორის საქმის განხილვის დროს ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტის გამოტანა ვერ შეძლეს. სასამართლომ დაასკვნა, რომ პროცესი ჩიხში შევიდა. ბრალდებულს განმეორებითი სასამართლო გარჩევა არ ელის. ჯგუფების: The Beatles, The Ronettes, The Ramones, მომღერლების — შერისა და ტინა ტერნერის პროდიუსერი 2003 წლის თებერვალში დააპატიმრეს, როდესაც ლოს-ანჯელესის გარეუბანში მდებარე მის სახლში მსახიობ ლანა კლარქსონის გვამი აღმოაჩინეს!

ბრალდების მხარე ვარაუდობს, რომ სპექტორმა მსახიობი ქალი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. დაცვა კი ირწმუნება, რომ ლანა კლარქსონმა თავი მოიკლა. ■

უილ სმიტმა მოსკოვის სასტუმროს სახურავზე თეხმურთი ითამაშა

წლევანდელი მოსკოვის კინოფესტივალის მთავარი მოვლენა ჰოლივუდის კინოვარსკვლავების — უილ სმიტისა და შარლიზ ტერონის სტუმრობა აღმოჩნდა. მსახიობებმა ნიკიტა მიხალკოვთან ერთად ფესტივალი გახსნეს და მსოფლიოში ყველაზე უცნაური სუპერგმირის შესახებ გადაღებული ახალი კომედია „ჰენკოკი“ წარადგინეს, სადაც მთავარ როლებს თავად თამაშობენ. უილ სმიტის მთვრალი გმირი ერთი ადამიანის გადასარჩენად ნახევარ ქალაქს ნანგრევებად გადააქცევს, ბეტმენივით დაფრინავს და გზადაგზა სარეკლამო ბილბორდებს და საგზაო მოძრაობის ნიშნებს ნაცარტუტად აქცევს... რეალურ ცხოვრებაში კი აღმოჩნდა, რომ უილ სმიტი ალკოჰოლურ სასმელებს ახლოსაც არ ეკარება და საარაკო გალანტურობითა და მეგობრული ხასიათით გამოირჩევა. ამაში საკუთარი თვალით დარწმუნდნენ არხის — „ევროპა პლუს“ დილის შოუს „ბრიგადა У“ წამყვანები: ჯემი, ტანია და ილია, რომლებიც სასტუმროში — Ritz-Carlton გამართულ დახურულ ვახშამზე მოხვდნენ. წვეულებას საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ, მათ შორის, რეჟისორი ფიოდორ ბონდარჩუკი და CTC-ის ხელმძღვანელი ალექსანდრ როდნიანსკი. რუსეთის კინობიზნესის რჩეულმა საზოგადოებამ ჰოლივუდის ვარსკვლავთა რუსეთში ჩასვლა ზარ-ზეიმით აღნიშნა. შარლიზ ტერონმა დაღლილობა მოიმიზეზა და წვეულება ადრევე დატოვა, რასაც მამაკაცთა იმედის გაცრუება მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ, სტუმრებმა მშვენივრად მოილხინეს. უილ სმიტი ხალისიანად ცეკვავდა, შამპანური მდინარესავით უხვად მოედინებოდა, ერთი კერძი კი მეორეს ცვლიდა. ფილმის — „ადამიანები შავებში“ ვარსკვლავმა დამსწრე საზოგადოება რუსეთის შესახებ ინფორმაციის ფლობით გააოცა. გადაცემის „ბრიგადა У“ წამყვანებმა უილ სმიტს Ritz-Carlton-ის სახურავზე ფეხბურთის თამაში შესთავაზეს და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, თანხმობა მიიღეს! რამდენიმე ზუსტი ჩაწოდების შემდეგ, ვარსკვლავმა რუსეთის საფეხბურთო ნაკრების გამარჯვების აღსანიშნავად, Euro-2008-ის ბურთზე საკუთარი ავტოგრაფი დატოვა.

50 Cent–ის საყვარელი, მეგობარი აღმოჩნდა

საყოველთაოდ ცნობილმა მუსიკოსმა 50 Cent-მა საყვარელი გაიჩინა! და თანაც მისი გოგონა „ღამის ფარვანად“ მუშაობს!.. ჟურნალისტებმა სკანდალური სიტუაციის პიკანტური დეტალები გამოიძიეს და დაადგინეს, რომ გოგონას საქმიანობა ჯგუფის „პოდიუმი“ პროდიუსერმა ანტონ ჩერნოსკულოვმა გამოააშკარავა! 50 Cent-ის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფის — „პოდიუმი“ ახალი კლიპის სიუჟეტია, რომელიც სიმღერის — „მაპატიე, მივფრინავ“ მიხედვით შეიქმნა. კლიპში მთავარ როლს მოდელი და მსახიობი სოფია ნენაშევა თამაშობს, რომელმაც ცნობილი რეპერის უკანასკნელ ვიდეოკლიპში მუსიკოსის საყვარლის როლი ითამაშა.

„...იყო და არა იყო რა, იყო ერთი ახალგაზრდა, მიმზიდველი გოგონა. დღისით მეგობრებს ხვდებოდა, საღამოს შეყვარებულთან ერთად ატარებდა, ღამღამობით კი შარაგზაზე გადიოდა... ეს საქმიანობა მისთვის ფულის შოვნის საშუალება იყო. შეყვარებულს მუდამ ატყუებდა. ეუბნებოდა, რომ ბიბლიოთეკაში იჯდა, ხანაც ბებიის ავადმყოფობას იმიზეზებდა, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, — ნათქვამია და ყმაწვილმა სიმართლე შეიტყო. სერიოზული საუბრის შემდეგ, მათი ურთიერთობა შეწყდა!..“ „კლიპის სცენარის გამოგონება არც კი დაგვჭირდა, ეს სიუჟეტი თავად ცხოვრებამ შემოგვთავაზა. საქმე ისაა, რომ სიმღერა „მაპატიე, მივფრინავ“, ჩვენმა პროდიუსერმა მას შემდეგ შექმნა, რაც მეგობრისგან ერთი უიღბლო სიყვარულის ამბავი მოისმინა, რომლის მთავარი გმირი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი აღმოჩნდა. ამ ამბით შეძრულმა ანტონმა სიმღერა დაწერა, რომელიც შემდეგ კლიპის სიუჟეტს დაედო საფუძვლად“, — ამბობს ჯგუფ „პოდიუმის“ სოლისტი მარინა მატვეევა.

უცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მეთორმეტე
წინამორბედი წერილები იხ. „გზა“, №16-26

გიორგი მახარაძე

ავღანელი გურჯები

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა და მკვლევარმა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოხმაურების სახით, გამოაქვეყნა ფრიად საინტერესო სტატია — „შევკრიბოთ ქართული ეტრატის გაფანტული ფურცლები“. კერძოდ, ავტორი წერდა: „არის ცნობა ინდოეთ-ავღანეთის საზღვრებზე ქართველი მოსახლეობის შესახებ, „გორგიჯანები“ ეწოდებათ“. იქვე თავის მოსაზრებასაც გადმოგვცემდა იმის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ ისინი ამ ადგილებში და ყოველივე ამას საქართველოში ნადირ-შაჰის ლაშქრობას უკავშირებდა. „ეს, ალბათ, ის ქართველობაა, რომელნიც ნადირ-შაჰმა აყარა 1735 წელს და ხორასანს დაასახლა“, — წერდა ბატონი გიორგი.

დიდხანს არაფერი ისმოდა მათ შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით, პრესაში კვლავ გამოჩნდა ავღანელი გურჯების თემა — ავღანეთის სამხედრო პერიპეტიების ქართველი მონაწილეების, პოლკოვნიკების — თენგიზ ეპიტაშვილის და ვალერი ჩხეიძის მოგონებებზე დაყრდნობით, მწერალმა რევაზ მიშველაძემ (ნოველის სახით) და ჟურნალისტებმა — ვაჟა გავაშელმა და ალეკო ასლანიშვილმა მიაწოდეს მკითხველს.

ამბობენ, ავღანეთში სულ 250 ათასი ქართველი ცხოვრობსო.

სად ცხოვრობენ ეს ავღანელი გურჯები?

ზოგი სად მიუთითებს და ზოგი — სად. გიორგი ლეონიძის ვერსიაზე უკვე მოგახსენეთ, სხვაც არსებობს — ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით, სპარსეთის საზღვრის გასწვრივო; კიდევ სხვაც — ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში და ბოლოს, ცენტრალურ ავღანეთში თუ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში, პაკისტანის, ირანისა და ავღანეთის საზღვრებთან ახლოს, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ყანდაარის მეზობლად უნდა იყოს ის პროვინცია, სადაც ავღანელი გურჯები სახლობენ.

ჩვენებური ბაღ-ვენახი, 300 წლის მანძილზე შენარჩუნებული ადათ-წესები, სტუმრის პატივისცემა, მაგრამ სამტროდ მოსულის მიმართ სისასტიკე — ასე გადმოგვცემს ჟურნალისტი ვაჟა გავაშელი, ავღანეთში ნაომარი თენგიზ ეპიტაშვილის მონათხრობს იქაურების შესახებ. სიმამაცესა და გაბედულებას უქებდნენ თურმე, გურჯებს ავღანელები: ირანელები ბრძოლებში ჩვენთან შედარებით, ცხვრები არიან, გურჯებთან შედარებით კი ჩვენ ვართ ცხვრებიო, — უთქვამთ ავღანელთ.

— არ გამართლდა გიორგი ლეონიძის ვარაუდი იმის შესახებ, რომ რაკი ავღანელი გურჯები ფერეიდნელებზე ერთი საუკუნით და მეტითაც გვიან არიან გადასახლებულნი, ენა და ეროვნება მათზე არანაკლებ უნდა ჰქონდეთ შენარჩუნებულიო...

ზემონახსენებ მასალებში მოყვანილია ტყვედ ჩავარდნილთან საუბარი იმის გასარკვევად — მართლა ქართველი იყო თუ არა იგი (და არა დასაკითხავად). მოვიყვან ამ ოთხმოცი წლის კაცთან, ქართული ენის სხვებზე უკეთესად მცოდნე გურჯთან, საუბრის ფრაგმენტებს, რათა დარწმუნდეთ, რომ იქაურები ფერეიდნელებზე ცუდი ქართულით საუბრობენ:

— გურჯი?

— დიახ.

— რამეთით ხარ?

— თბილისი გაგიგონიათ?

თავი დამიქნია.

— ურუსით რატომ ჩონს მოსაკლავად იარე?

— არა. მე თქვენიანი ვარ. ცუდადაა თქვენი საქმე.

— რათ ცუდ?

— რუსის ბრძანებით, ეს მხარე დაიბომბება.

— შონ ჩონ გეცოდე?

— დიახ, მეცოდებით.

და ასე შემდეგ...

ავღანელები მესაქონლეები არიან, მაგრამ თურმე ყველის კეთება არ იციან. ბატონ ვალერი ჩხეიძისთვის ერთ თავის ავღანელ კოლეგას უთქვამს, რომ „გუჯარები“ (ზოგჯერ ასეც ეძახიან ქართველებს) ერთადერთი ავღანური ტომია, რომელიც ყველს აკეთებსო.

ნუთუ ავღანელ გურჯებს, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი ლადო აღნიაშვილი არ გამოუჩნდებათ?..

დასასრული.

სიენა მილერს ჰიტ ლეჯერის პიჟამაში სძინავს

ბრიტანული ჟურნალისთვის Telegraph მიცემულ ინტერვიუთი სიენა მილერმა დუმილი დაარღვია და აღიარა, რომ ჰიტ ლეჯერი მის გულში კვლავ ცოცხლობს და ამ გრძნობას

ის ცისფერი კუბოკრული პიჟამა ასაზრდოებს, რომელიც ლეჯერმა 2005 წელს ფილმის — „კაზანოვა“ გადაღებების დროს აჩუქა. „ჰიტმა, მე და დედაჩემმა ვენეციაში ჯადოსნური ღამე გავატარეთ. კოსისპირულად წვიმდა. ჰიტი წმ. მარკოზის მოედანზე გაიჭრა, მეც უკან მივყევი. მოედნის გარშემო გიჟებივით დავრბოდით... ფეხი დამიცდა და წავიქეცი. მის ნომერში შევირბინეთ და ჰიტმა პიჟამა მომცა, რომ სახლამდე მიმეღწია“... „შარშან ნოემბერში ჰიტი მესტუმრა. უძილობას უჩიოდა და მე პიჟამა დავუბრუნე, რათა დაძინებაში დახმარებოდა... მისი გარდაცვალების ამბავს საშინლად განვიცდიდი იმ ამბავს, რომ ეს პიჟამა აღარ მქონდა... ჰიტის მამამ საგანგებოდ ჩემთვის მოძებნა და დამიბრუნა იგი“, — იგონებს მსახიობი, რომელიც ახლა ღამ-ღამობით ამ პიჟამაში გამოწყობილი იძინებს და ძვირფასი სახსოვარი პრაღაში ახალი ფილმის — „ჟოე გადაღებებზეც კი წაიღო. ჟურნალისთვის — ლლე მიცემულ ინტერვიუში სიენა მილერმა გულახდილად თქვა, რომ ჰიტის სიკვდილის შემდეგ, ცხოვრებას ახლებურად უყურებს. „ჰიტის სიკვდილმა საშინელი შოკში ჩამაგდო. ის საოცარი ბიჭი იყო. მის დაკრძალვაზე ვიგრძენი, რომ სიცოცხლის ასეთი დასასრული — საშინელებაა. მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია და ბედნიერება შევიგრძენი“.

მიუზიკლი რომის პაპის ლოცვა-კურთხევით

რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ვატიკანმა ბიბლიურ თემაზე შექნილი მიუზიკლი ოფიციალურად მოიწონა! სპექტაკლის — Maria di Nazareth, una storia che continua („მარია ნაზარეველი: ისტორია გრძელდება“) პრემიერა 2008 წლის 17 ივნისს ვატიკანში შედგა. ღვთისმშობლის პარტია ახალგაზრდა საოპერო მომღერალმა ალმა მანერამ შეასრულა, რომელიც ადრე რომის ოპერაში მღეროდა. მიუზიკლის ლიბრეტო მარია პია ლიოტამ (მთავარი როლის შემსრულებლის დედა) და ადელ დოროთი ჩიამპამ შექმნეს. მუსიკა კომპოზიტორ სტელვიო ჩიპრიანის ეკუთვნის, მიუზიკლის ქორეოგრაფიული ნაწილი კი სალვატორ სპანიოლომ განახორციელა. სპექტაკლი ღვთისმშობლის ბავშვობასა და ახალგაზრდობის წლებზე მოგვითხრობს. ვატიკანმა მიუზიკლის სიუჟეტი და დადგმა მოიწონა. „ამ პროექტს სიამოვნებით დავუჭირეთ მხარი, რადგან მარია ნაზარეველმა კაცობრიობამდე ღვთის სიტყვა მიიტანა“, — განაცხადა პაპის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭოს ხელმძღვანელმა, მთავარეპისკოპოსმა კლაუდიო მარია ჩელიმ. მიუზიკლის შექმნაში ვატიკანს მატერიალური მონაწილეობა არ მიუღია. პრემიერის შემდგომ, ამ სპექტაკლს ევროპის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მაყურებელი იხილავს.

ორლანდო ბლუმმა მიხაილ გორბაჩოვთან ერთად ვახშმობის შანსი დაკარგა

კევინ სპეისიმ, კეიტ ბეკინსეილმა და ჰიუ გრანტმა ონკოლოგიურ დაავადებათა კვლევისთვის 4 მლნ დოლარი შეაგროვეს. ცოტა ხნის წინ ჰოლივუდის ვარსკვლავები ლონდონში საქველმოქმედო აუქციონს დაესწრნენ. ღონისძიებას, რომელსაც Raisa Gorbachev Foundateion Gala ეწოდებოდა, მუსიკოს-აქტივისტი ბონო და მსახიობი ორლანდო ბლუმიც შეუერთდნენ. აუქციონი ჰიუ გრანტის ფსონით გაიხსნა, რომელმაც ღონისძიების ორგანიზატორთან, საბჭოთა კავშირის ყოფილ პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვთან ერთად ვახშმობაში 250.000 დოლარი გადაიხადა. გულდაწყვეტილმა ორლანდო ბლუმმა კი განაცხადა: ბედნიერი ვარ იმით, რომ საქველმოქმედო ღონისძიებაში ვმონაწილეობ, გორბაჩოვთან ერთად სიამოვნებით ვივახშმებდა, მაგრამ ფსონი მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდაო... „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მომიწვიეს და ამ ღონისძიების ნაწილი ვარ, რადგან მიხაილ გორბაჩოვის ნაღვაწს დიდად ვაფასებ. მან სამყარო შეცვალა და ამით ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა“, — აღნიშნა მსახიობმა.

საქველმოქმედო აუქციონზე შემოსული თანხით ბრიტანეთისა და რუსეთის კიბოს კვლევის ფონდები დაფინანსდება.

მერაია ქერი გაშიშვლდა

მერაია ქერის ახალი სინგლის — Loving You Time პრომოვიდეოს გადაღებების დროს მომღერალი კამერის წინ გაშიშვლდა. ჰავაის კუნძულებზე, მდინარე ოაჰუს კლდოვან სანაპიროზე, პოპის დედოფლის სხეულს მხოლოდ ბიკინი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფარავდა, მაგრამ სათანადო განწყობილების შესაქმნელად და ვარსკვლავური სხეულის გამოსამზეურებლად, მას ორი ჭიქა ალკოჰოლური სასმლის მიღება დასჭირდა... ამიერიდან მერაიას სექსუალური სხეული მხოლოდ მისი ახალი მეუღლის — ნიკ კენონის მზერას აღარ დაატკბობს. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 39 წლის მერაია ქერისა და 27 წლის მსახიობისა და რეპერის ნიკ კენონის ორთვიანი მხურვალე რომანი 5 მაისს ბაჰამის კუნძულებზე მდიდრული ქორწილით დაგვირგვინდა.

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

დანვე დაიწყეს ფიქრი „დედოფლის თავიდან მოსაშორებლად“. მეფესაც გაანდვეს თავიანთი აზრი: ცოცხალი თავით არ შევურიგდებით „უგვარო დედოფლის“ მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. მეფის უერთგულეს მოურავსაც მისდგნენ. ვინ იცის, რამდენ სისაძაგლეს სდებდნენ ბრალად?! მეფის ღალატიც კი დასწამეს. განსაკუთრებით, შადიმან ბარათაშვილი და ფარსადან ციციშვილი აქტიურობდნენ. დაჟინებით სთხოვდნენ დედოფალთან განშორებას და გიორგი სააკაძის სიკვდილს. ერთხანს წინააღმდეგობას უწევდა გვირგვინოსანი, თავადების ნებას, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწიეს საწადელს — ლუარსაბ მეფე თანამეცხედრეს განეშორა, გიორგი სააკაძეს კი მეფის საზაფხულო სასახლეში საგანგებოდ გამართულ ნადიმზე უპირებდნენ მოკვლას (ლუარსაბი დაარწმუნეს, რომ სააკაძეს ფარულად შაჰ-აბასთან ჰქონდა კავშირი გაბმული). თავადმა ბააკა ხერხეულიძემ გაანდო სააკაძეს თანამოძმეთა განზრახვა. მოურავმა ოჯახთან ერთად გაქცევა მოახერხა და სპარსეთს შეაფარა თავი...

მართალია, შაჰ-აბასი ლუარსაბ მეფეს სიყვარულს უმტკიცებდა, თბილისიც გადასცა, მაგრამ გულში მისი სიძულვილი ედო (ირანის შაჰს ლუარსაბ მეფის და ჰყავდა ცოლად). 1612 წელს შაჰი მაზანდარში ჩავიდა. საქართველოში თავისი ქვეშევრდომი ამირ-ყული ჯილვადარი გამოგზავნა — სანადიროდ იწვევდა მეფე ლუარსაბსა და მეფე თეიმურაზს. ნადირობა მხოლოდ საბაბი იყო: შაჰს ქართველ გვირგვინოსანთა მიტყუება და განადგურება სურდა. ქართველთა მეფეებმა მოსალოდნელი საფრთხე იგრძნეს და სპარსეთს არ წავიდნენ. შაჰის მიერ გაგზავნილი კაცი კარგა ხანს შეაჩერეს საქართველოში. მიხვდა შაჰი, რომ მეფეები თავს არიდებდნენ. ისიც შეიტყო, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი შეკავშირებულიყვნენ და საბრძოლო თადარიგს შესდგომოდნენ, რადგან კარგად უწყოდნენ სპარსელთა მბრძანებელი მის მიწვევაზე უარს უყურადღებოდ არ დატოვებდა და დღეს თუ ხვალ, საქართველოს მოადგებოდა. 1613 წელს მართლაც, დადგა ეს დრო. შაჰ-აბასმა კახეთიდან დაიწყო. თეიმურაზ მეფე ხუთასკაციანი ჯარით შეება მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს. ერთხანს გმირული შემართებით იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს თავისი ქნა სპარსელთა სიმრავლემ: მტრის ალყაში აღმოჩნდნენ ქართველები. ტყვეობას სიკვდილი არჩია თეიმურაზმა და მომხდურთ თავგანწირვით შეუტია. ქართველებმა მოახერხეს კიდეც ალყის გარღვევა და სამშვიდობოს გასვლა. კახთა მეფე ქართლში ლუარსაბს შეხვდა. გვირგვინოსნებმა იმერეთს შეაფარეს თავი.

შაჰ-აბასი იმერეთთან ომს მოერიდა. არადა, მეფე გიორგი მესამემ უარი შეჰკადრა, კახეთისა და ქართლის გვირგვინოსანთა მისთვის გადაცემაზე. ბოლოს შაჰი ომითაც დაემუქრა, მაგრამ არც ამან გაჭრა. მაინც არ აძლევდა ხელს იმერეთთან ომი შაჰ-აბასს: იმერეთი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და თურქებთან ომის წამოწყება სტამბოლის კართან დადებული ზავის დარღვევას მოასწავებდა. არც დამარცხებისა და ქართველ მეფეთაგან დამცირების ატანა შეეძლო. სწორედ ამ დროს გამოუჩნდა „მხსნელად“ შადიმან ბარათაშვილი — აღმზრდელი ლუარსაბ მეფისა. შაჰს ეახლა და შესთავაზა, — თუ მიბრძანებ, მე გამოვიყვან ლუარსაბს იმერეთიდან, მხოლოდ მე დამიჯერებს ჩემი გაზრდილიო. მართლაც მოახერხა მოღალატემ მეფის დაყოლიება... ბევრს ევედრნენ თურმე ლუარსაბს, არ მიეღო ირანის მბრძანებლის წინადადება, მაგრამ მტკიცედ განაცხადა ჭაბუკმა გვირგვინოსანმა: შაჰი ჩვენი სამშობლოს შუაგულში დგას და მშვიდობის ჩამოგდებას მთხოვს; თუ არ ვეახლები, მთელ ქვეყანას ააოხრებს და მიწასთან გასწორებს, ამის მიზეზი კი მე ვიქნები; ამ ხანმოკლე წუთისოფელში სინდისდამძიმებულ ცხოვრებას და ამდენი ადამიანის ცოდვის ტვირთვას მირჩევნია, შაჰს ვეახლო... რაც მომელის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისაო! — თქვა და შაჰთან შესახვედრად გაემართა. ცბიერი სიხარულით მიეგება სპარსელთა ხელმწიფე. ბოროტი განზრახვის დასაფარავად, სამდღიანი ნადიმიც გაუმართა, შემდეგ სად აღარ ატარა სანადიროდ (ქართლში უკვე სპარსთა ციხიონები იდგა)! თან ქებადიდებას ასხამდა. უწონებდა ვაჟკაცობას. იცოდა ლუარსაბმა, რაც იმალებოდა ირანელი სიძის „სიყვარულის“ მიღმა...

მეფე-წმინდანი ლუარსაბი

ბოლოს გულისნადები გაუმხილა სპარსეთის ხელმწიფემ ქართლის მეფეს: ქრისტიანობა უნდა დააგდო და მაჰმადიანობა მიიღოო... — არასოდეს არ მოხდება ეს! — მტკიცედ მიუგო ლუარსაბმა. შაჰი მიწიერი დიდებისა და პატივის შეთავაზებით ცდილობდა, უფლის ერთგული მონისა და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული მეფის დაყოლიებას. ვედრებით რომ ვერას გახდა, მუქარაზე გადავიდა. არც ამან გაჭრა. შაჰის ბრძანებით, ლუარსაბ მეფე შეიპყრეს, ირანში წაიყვანეს და ასტრაბადის ციხეში გამოკეტეს.

8 წელი გაატარა ქართველმა გვირგვინოსანმა პატიმრობაში. 1622 წელს შაჰ-აბასმა ლუარსაბის მოკვდინება ბრძანა. გვირგვინოსანმა წინასწარ იგრძნო აღსასრულის მოახლოება. თანამოძმენი იხმო და სთხოვა, ამა სოფლიდან მისი გასვლა ეგლოვათ: მსურს, მე თვითონ ვისმინო გოდება ქართულიო, — უთქვამს მეფეს. შემდეგ, ეპისკოპოსიც იხმო, ზიარება სთხოვა... მაცხოვრის ხატს მიაპყრო მზერა და წარმოთქვა: „შენ უწყი, უფალო ჩემო ქრისტე, ვითარცა არცა ანგარებით, არცა სიმდიდრის მოყვარებით არ დამიტოვებია მამული და სამყოფელი ჩემი... მხოლოდ საქართველოს იავარ-ყოფას, წმინდა ხატთა და ეკლესიათა დარღვევას მოვერიდე, სხვაგვარად ვერავინ შემიპყრობდა... სახარებისეულ სწავლებას მივყევი: „მწყემსმან კეთილმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვის“. გავწირე თავი და არა მივეც განსარყვნელად, იავარსაქმნელად და შესაქმელად სიწმინდენი და ალაგნი ქართლისანი... ეს მხოლოდ შენ უწყი, რამეთუ მეცნიერ ხარ გულისსიტყვათა და გონებათა. არც ჩემს ახოვანებასა და სიჭაბუკეს ვნაღვლობ. არც მეფური დიდება და პატივი მედარდება... ესე ყოველივე დამიტევებია შენი და საქართველოს სიყვარულისთვის“.

ჯალათიც მოადგა კარს. იქ მყოფთ გარეთ გასვლა უბრძანა. სევდიანი ღიმილით დაემშვიდობა ლუარსაბ მეფე ქართველთ. კიდევ რამდენიმე ჯალათი შევიდა გვირგვინოსანთან... მშვილდის საბელით განაშორეს ქართლის მეფის თავი სხეულს...

უსაზღვროდ გაახარა შაჰ-აბასი ქართლის მეფის მოკვეთილი თავის ხილვამ. ხან სცემდა, ხან ლანძღავდა და დახარხარებდა წამებულის თავს. ბოლოს ყურით ასწია და უფსკრულში გადააგდო...

მშობლიურ მიწაში განსვენებაც არ ეღირსა ქვეყნის ერთგულ გვირგვინოსანს, თუმცა ზეციურ მფარველად ხომ მაინც ექცა საქართველოს... ■

მსოფლიოთმოვალური სპეციი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-26

სტალინი დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერთა მოზიდვას საბრძოლო ტექნიკის ახალ სახეობათა შესამუშავებლად, მათ ჩაბმას მრეწველობის განვითარებაში. გამოჩენილი მეცნიერები სხვადასხვა სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებში იყვნენ გაერთიანებული.

ქვეყანაში რადიოლოკაციური მრეწველობის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, ბელადმა ცნობილი რადიოტექნიკოსი ბერგი მიიწვია თავისთან. მოგვიანებით მეცნიერი იგონებდა: *„სტალინთან პირისპირ სამი საათი გავატარე. სანამ მას საჭირო ინფორმაციას მოვახსენებდი, ბელადი კაბინეტში ბოლთას სცემდა, თან ჩიბუხს ეწეოდა... ჩემი გამოსვლის შემდეგ, ჩვენი შეხვედრა ასე შეაჯამა: „კი, ვფიქრობ, ამხანაგი ბერგი მართალია!“.* ამის შედეგად, კურსკის ბრძოლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან, რადიოლოკაციის საბჭო ჩამოყალიბდა...

1942 წელს სტალინმა, კოსმოსის ათვისების შესაძლებლობებზე საუბროდ, მეცნიერთა ჯგუფი მიიღო. წლის ბოლოს კი მისი თავმჯდომარეობით, ჩატარდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო თათბირი, რომელიც ატომური ბომბის შემუშავების პრობლემას დაეთმო. თათბირზე მიწვეულები იყვნენ აკადემიკოსები: იოფე, კაპიცა, სემიონოვი, ხლოპინი და მათთან ერთად, ახალგაზრდა პროფესორი კურჩატოვი.

აკადემიკოსმა იოფემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად, სულ ცოტა, ათი წელი მაინც იქნებოდა საჭირო.

„— არა, ამხანაგო მეცნიერებო! — თქვა სტალინმა. — ეს ვადა ჩვენ ხელს არ გვაძლევს. ჩვენი მხრივ, მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა თქვენი საქმიანობა უფრო სწრაფად წარიმართოს... ახლა კი უნდა გადავწყვიტოთ, ვინ უხელმძღვანელებს ატომურ პროექტს. ვფიქრობ, ამხანაგი იოფე შეძლებდა ამ ამოცანის გადაჭრას...

იოფემ მაშინვე მოხსნა თავისი კანდიდატურა და დამსწრეთ, იგორ კურჩატოვის კანდიდატურა შესთავაზა: მის ლაბორატორიაში იმ დროისთვის უკვე აღმოჩენილი იყო ატომის დაშლის მოვლენა.

სტალინი დიდხანს და გამომცდელად უყურებდა იოფეს, შემდეგ თქვა:

— მაგრამ მე რომ ამ გვარის მქონე აკადემიკოსს არ ვიცნობ?!.

— ამხანაგო სტალინ, — უპასუხა იოფემ, — ის აკადემიკოსი არ გახლავთ, ჯერ მხოლოდ პროფესორია, მაგრამ — იმედის მომცემი პროფესორი.

კურჩატოვის სასარგებლოდ თავისი კანდიდატურა მოხსნა აკადემიკოსმა კაპიცამაც, რადგან მას უარი უთხრეს, პროექტზე სამუშაოდ მოეზიდა ბირთვული ფიზიკის სპეციალისტები, რომლებიც რეზერფორდის ლაბორატორიაში მუშაობდნენ.

— კეთილი, ამხანაგო იოფე, — თქვა სტალინმა. — მაგრამ მაშინ, მას ჯერ აკადემიკოსის წოდება მიანიჭეთ...“

1943 წლის თებერვალში ოფიციალურად გაფორმდა განკარგულება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ლაბორატორია №2-ის შექმნის შესახებ, რომლის ხელმძღვანელად კურჩატოვი დანიშნეს. იმავე წელს იგორ კურჩატოვი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

წარმოიდგინეთ, ყველაფერი ეს, სტალინგრადის ბრძოლის დროს ხდებოდა!..

ომის წლებში აუცილებელი იყო მთელი ქვეყნის ეკონომიკის, მისი ყველა ცალკეული დარგის მწყობრი, სანიმუშო მუშაობა. ყველაფერი ერთ მთლიანობად უნდა შეკრულიყო და ამ ყველაფრის მართვა და გაკონტროლება ერთიანი ცენტრიდან, მტკიცე და ძლიერი ხელით უნდა განხორციელებულიყო. ასეთ „მტკიცე ხელს“ წარმოადგენდა იოსებ სტალინი. ის არა მარტო სრულად ფლობდა ძალაუფლებას, არამედ მარჯვედ იყენებდა მას, გონივრულად ხელმძღვანელობდა როგორც ფრონტს, ასევე — ზურგს, ქვეყნის მთელი ძალების მობილიზებას ახერხებდა.

სტალინი თანამედროვეთა შეფასებებში

გადაუჭარბებლად შეიძლება იმის მტკიცება, რომ სტალინი დიდი სამამულო ომის წლებში ქვეყნის მთავარი ხელმძღვანელი იყო. მის ხელში იყო თავმოყრილი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფო მართვის სადავეები. ომის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხი მისი თავკაცობით წყდებოდა. მისი მოღვაწეობის შედეგებს საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსთვის, ხალხისთვის, არმიისთვის.

ომის პირველსავე უმძიმესი დღეებიდან ბელადმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აიღო საკუთარ თავზე განუზომელი პასუხისმგებლობა არმიის, ქვეყნის და მილიონობით საბჭოთა ადამიანის ბედზე კრიტიკულ სიტუაციაში, ომის დასაწყისში სტალინმა შეძლო, დარჩენილიყო მოწოდების სიმაღლეზე და უმოკლეს ვადაში გადაეყვანა სამხედრო რელსებზე უზარმაზარი ქვეყნისა და მისი შეიარაღებული ძალების მთელი ცხოვრება.

სტალინის ისეთი უკომპრომისო არაკეთილმოსურნეც კი, როგორიც ისტორიკოსი დმიტრი ვოლკოგონოვი იყო, აღნიშნავდა: *„უმაღლესი მთავარსარდალი რამდენიმე დღე არ გამოდიოდა კაბინეტიდან, მოსასვენებელ ოთახში ხანმოკლე, მოუსვენარ ძილს მიეცემოდა და წინასწარ გააფრთხილებდა ხოლმე პოსკრებიშევს: ორ საათში გამაღვიძებო... როცა ერთხელ პოსკრებიშევს შეებრალა გადაღლილი ადამიანი და ის დანიშნულ დროზე ნახევარი საათით გვიან გააღვიძა, სტალინმა საათს დახედა და, მართალია, ხმადაბლა, მაგრამ საკმაოდ მკაცრად უსაყვედურა თანაშემწეს... სტალინი, რომელიც თითქმის გათენებულზე ბრუნდებოდა ხოლმე აგარაკზე, ნახ-*

ევრად თვალდახუჭული, გონებაში არჩევდა უამრავ ოპერაციას, რომელიც მის ფსიქიკაზე, ნერვებზე, ნებისყოფაზე გადიოდა... მას ბურღავდა აზრი იმის შესახებ, რომ დაახლოებით ორმოცდაათი თავდაცვითი და საიერიშო ოპერაციისგან შედგებოდა ომის ვეებერთელა სურათი, რომელიც ბრძოლებს, დამარცხებებსა და გამარჯვებებს აერთიანებდა. ამ ყველაფერმა მის გონებასა და გულში „გაიარა“, უმალ ძლიერ დააბერა, ისედაც უკვე არცთუ ახალგაზრდა უმაღლესი მთავარსარდალი“.

ცნობილმა რუსმა პოლიტიკურმა მოღვაწემ კერენსკიმ, რომელიც 1917 წელს რუსეთის პრემიერ-მინისტრი და უმაღლესი მთავარსარდალი იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: *„სტალინმა ლამის ფერფლად ქცეული რუსეთი დააყენა ფეხზე და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. სტალინმა დაამხო ჰიტლერი, ფაშიზმისგან იხსნა რუსეთი და მთელი კაცობრიობა“.*

ინგლისელ მწერალსა და მსახიობს, პიტერ უსტინოვს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი, ეთქვა ის, რაც თავის წიგნში — „ჩემი რუსეთი“ თქვა: *„ალბათ ვერც ერთი სხვა ადამიანი, გარდა სტალინისა, ვერ შეძლებდა, ომის დროს გაეკეთებინა იგივე, რაც მან შეძლო, ემოქმედა ისევე დაუნდობლად, ისევე მოქნილად ან მიზანმიმართულად, როგორც ამას მოითხოვდა ესოდენ არაადამიანური მასშტაბების ომის წარმატებით წარმართვის აუცილებლობა“.*

ყოფილ დისიდენტს, ფილოსოფოსს, სოციოლოგსა და მწერალს ზინოვიევს ასევე ჰქონდა საფუძველი, ემტკიცებინა: *„დიდი სამამულო ომიც კომუნისტური სისტემის წყალობით მოვიგეთ. მე ხომ ომი პირველი დღიდანვე ვნახე, მთლიანად გავიარე იგი. მე ვიცი, რა და როგორ ხდებოდა. რომ არა სტალინი, რომ არა სტალინური თავკაცობა, ჯერ კიდევ 1941 წელს გაგვანადგურებდნენ“.*

აი, კიდევ ერთი ამონარიდი სრულიად სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლის, სტალინის თანამედროვის, ომის დასაწყისის საშინელი დღეების მოწმის, დიდი მეცნიერის — აკადემიკოს ვერნადსკის მოგონებიდან. 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ის თავის დღიურში წერდა: *„მაგონდებოდა ივან პავლოვის გამონათქვამები... მას მიაჩნდა, რომ ტვინის ყველაზე იშვიათი და ყველაზე რთული სტრუქტურები სახელმწიფო მოღვაწეებს, თუ შეიძლება ასე ითქვას — ჭეშმარიტ მოღვაწეებს აქვთ. ჩემთვის ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება, როცა რადიოში სტალინის საუბარი ისმის... საოცარია, რაოდენ განუზომელია ადამიანებზე ძალაუფლება, რომელიც ამ კაცის ხელშია თავმოყრილი და ასევე განუზომელია მისი მხრიდან მათზე შთაბეჭდილების მოხდენის უნარი...“*

ადამიანზე, მით უმეტეს ისტორიულ პიროვნებაზე მისი საქმეებით, მისი მოღვაწეობის საბოლოო შედეგებით მსჯელობენ. ობიექტურობა და უბრალო პატიოსნებაც კი მოითხოვს, სტალინთან დაკავშირებით, ვთქვათ: ისტორიაში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი დიდი მოვლენა, რომელიც შეედრებოდა დიდ სამამულო ომში გამარჯვებას, ამ გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიულ ბედზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

თანამედროვეთა გამონათქვამებსა და შეფასებებში ნათლად და მკაფიოდ იკვეთება ამ ომის მხედართმთავრის — XX საუკუნის უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწისა და მოაზროვნის, იოსებ სტალინის სახე.

აი, რას ამბობდა ბელადის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მოღვაწეობაზე მარშალი ვასილევსკი: *„სტალინზე, როგორც ომის წლებში სამხედრო ხელმძღვანელზე, უეჭველად სიმართლე უნდა დაიწეროს. ის არ ყოფილა სამხედრო ადამიანი, მაგრამ გენიალური გონებით გამოირჩეოდა. მას შეეძლო, ღრმად ჩასწვდომოდა საქმის არსს და გარშემო მყოფთათვის კონკრეტული ამოცანის სამხედრო გადაწყვეტა ეკარნახა“.*

აქვე მოვიტანთ მარშალ კონევის გამონათქვამსაც: *„ძალზე საინტერესო იყო სტალინის რეაქცია ჩვენს წინადადებაზე, მისთვის გენერალისიმუსის წოდების მინიჭების შესახებ. ეს უკვე ომის შემდეგ ხდებოდა. პოლიტბიუროს სხდომას, რომელზეც ეს საკითხი განიხილებოდა, ჟუკოვი, ვასილევსკი, მე და როკოსოვსკი ვესწრებოდით. სტალინი თავიდან უარზე იყო, მაგრამ ჩვენ ჯიუტად ვაყენებდით ამ წინადადებას. მე ორჯერ ვილაპარაკე ამის შესახებ და უნდა ვთქვა — იმ მომენტში გულწრფელად მიმაჩნდა, რომ ეს აუცილებელი იყო. ამის მოტივაციას იმით ვამაგრებდით, რომ რუსული არმიის მხედართმთავარს, რომელმაც დიდი გამარჯვებები მოიპოვა და გამარჯვებით დაასრულა კამპანია, აუცილებლად ენიჭება ასეთი წოდება“.*

საბჭოთა მარშლებისა და გენერლების ასეთი პოზიცია აშკარად არ აძლევდა ხელს ხრუშჩოვს და მრავალი წელი აღელვებდა მას, რადგან ანგრევდა სიცრუის იმ პირამიდას, რომელიც ხრუშჩოვმა ააგო თავის მოხსენებაში — „პიროვნების კულტის შესახებ“. შემდგომში, უკვე ყველა პოსტიდან მოხსნილი, ის თავის მემუარებში წერდა: *„მაოცებს ზოგიერთი დიდი სამხედრო მეთაური, რომლებსაც სურთ, თავიანთ მოგონებებში სტალინი ხალხის მამად წარმოაჩინონ და ცდილობენ დაგვიმტკიცონ — ის რომ არა, ომში ვერ გავიმარჯვებდით და ფაშისტების უღელქვეშ აღმოვჩნდებოდით. ეს ბრიყვული, მონური მსჯელობაა. ახლა, როცა სტალინი ამქვეყნად აღარ არის, ჩვენ რა, გერმანული, ინგლისური ანდა ამერიკული უღელის ქვეშ მოვექცევით? არა, არასოდეს!“*

ისტორიამ ამჯერადაც მასხრად აიგდო ხრუშჩოვის წინასწარმეტყველება. პარტიისა და სახელმწიფოს ნგრევის პროცესმა, რომელიც „პიროვნების კულტთან“ მისი პირადი ბრძოლის ნიღბით დაიწყო, ქვეყანა საშინელ კატასტროფამდე მიიყვანა...

დასასრული შემდეგ ნომერში

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 17

„ქართულ ადათ-წესებს სანაგვეზე ნუ მოვისვრით“...

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა უცნობი გოგონას მესიჯი, რომელიც მართალია, თინეიჯერულ ასაკში აღარ არის, მაგრამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება მაინც უჭირს. შეგახსენებთ, უცნობს ბებიამისის ძმისშვილი შეუყვარდა. კაციც სიყვარულითვე პასუხობდა, მაგრამ ერთი წელია, ის გოგონას აღარ ეკონტაქტება, რადგან: „დედაჩემის ეშინია და ამიტომაც, ჩემთან ურთიერთობას გაურბის. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ, რაიმეთი მეც დამეხმაროთ“.

„ეს ხომ სისხლის აღრევაა, რაც მართლა ამაზრზენია“

ერენიტა:

„ვერ წარმომიდგენია, ასეთ ახლობელს სხვანაირად როგორ უნდა შეხედო? უცნობო, გამოფხიზლდი! სანამ გვიანი არაა, ამ სამარცხვინო გრძნობისგან გათავისუფლდი და გონს მოეგე!

ჰუსკუ:

„3 წელი შენთან თუ იყო, დედაშენის მაშინ არ ეშინოდა? რომ უყვარდე, უკან არაფერზე დაიხევდა, სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლებდა, არ დაიკარგებოდა. ჯობია, დაეკონტაქტო და საბოლოოდ გაარკვიო ყველაფერი. თუ უყვარხარ, აუცილებლად, ყველაფრის მიუხედავად, შეგირთავს, თუ არადა, დაივიწყე“.

თოსხიჩა:

„დედაშენის რატომ ეშინია? ის თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგია? კი, მაგრამ რა უფლება აქვს, შენს ცხოვრებაში რომ ერევა? თქვენ ხომ სრულწლოვანები ხართ? მას მართლა რომ ჰყვარებოდი, დედაშენის არ შეეშინდებოდა. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ!“

ცუნცულა:

„ძვირფასო, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ: უკვე 2 წელია, მამიდაშვილის ბიძაშვილს ვხვდები. მოძღვარმა გვითხრა: — სისხლით ნათესავები არ ხართ და ეს ცოდვად არ ჩაგეთვლებათო, მაგრამ ცოლიანი კაცის საყვარლობა, მაინც ცოდვაა. რა ვქნა, მიყვარს და მის დაკარგვას ვერ გადავიტან. სიხარულო, შენი მესმის. გჯეროდეს, აუცილებლად დაგიბრუნდება!“

უცნობი:

„რას გეტყვი, იცი? ქართულ ადათწესებს ნუ ჩაწიხლავ. ბებიის ძმისშვილი ხომ ბიძად გეკუთვნის?! როგორ უნდა იფიქროთ საერთოდ ოჯახის შექმნაზე?! ზუსტად ესაა ქართველების გადაგვარება“...

მარიკუნა:

„გასაგებია, რომ 3 წელი ერთად იყავით, მაგრამ მგონი, აღარ უყვარხარ და თავს ნუ მოიტყუებ. შენი ცოლად მოყვანა რომ ნდომოდა, აქამდე შეგირთავდა. ჯობს, დაივიწყო და ისეთი ადამიანი მოძებნო, რომელიც 1 წლით არ მიგატოვებს. აბა, კარგად. წარმატებები!“

ხუანი კი არადა, 9717:

„უცნობო, ირაკლის (სერიალიდან „შუა ქალაქში“) თქმის არ იყოს, — ახლა მოიცააა! ვინ შეგიყვარდა, გენაცვალე, ბიძა? კარგი, რა. ალბათ, გაგიგონია: სიყვარული იწყება თვალების პაჭუნით და მთავრდება ლოგინის ჭრაჭუნით. თუმცა, ამას სად გაიგონებდი, ეს სიტყვები მე მეკუთვნის. ჰოდა, გაიარე, ვინცხას თვალი ჩაუპაჭუნე, ერთმანეთი დაგევასებათ და იჭრაჭუნეთ და იბეედნიერეთ. ვაჰ, კაცო, გადამრევს ეს ხალხი. თავი ბრაზილიაში მგონია. რა, ქრისტიანები არ ვართ?.. ჰო, სერიალებს აღარ უყურო, კარგი?“

ნათუშკეგი:

„ბებიაშენის ძმისშვილი დედაშენის ბიძაშვილია. შენ ბიძაშვილი გყავს? მერე, შენმა შვილმა ის რომ შეიყვაროს, მოგეწონება? დღეს საქართველოში მცხოვრები მუსილმანები აღარ იქცევიან ასე. ქართულ ადათწესებს სანაგვეზე ნუ მოვისვრით და ცოდვის ნაშიერებით ნუღარ დავამძიმებთ მიწას“.

იკუშკეგი:

„რთულად ყოფილა შენი საქმე. ნამდვილად ვერ შეგაქებ და ვერც თანაგიგრძნობ. თუმცა, არც შენს გაკიცხვას ვაპირებ. ცხოვრებაში ყველას ჩვენ-ჩვენი ჯვარი გვაქვს სატარებელი. უკაცრავად, მაგრამ ჩემი აზრით, შენი შეყვარებული მაგარი აფერისტია. 3 წელი ერთად თუ იყავით, ცხადია, თქვენ შორის სიახლოვეც იქნებოდა, ის კი ისევე, როგორც ყველა არამზადა, გაიპარა. სისულელე არ ჩაიდინო და მის გამო ოჯახსა და ნათესავებს არ დაუპირისპირდე. ნუთუ, ერთი წლით გაუჩინარებას აპატიებ? ნუ მაფიქრებინებ, რომ უთავმოყვარეო ხარ“.

„თუ ქრისტიანი ხარ, ასეთი ურთიერთობა არ გეპატიება“

კუსკუსა:

„თქვენს საქციელს გამართლება არა აქვს. ვერ ვხვდები, როგორ უნდა შეგიყვარდეს ასეთი ახლო ნათესავი? ის ალბათ, თავის შეცდომას მიხვდა და დაგივიწყა“.

ეკა:

„არა, რაღა ნათესავებს მიასტებით ხოლმე, ჰა? აგრესიული სულაც არ ვარ, მაგრამ არ გინდა, რა, უცნობო, ასეთი პონტი. P.S. კარგი, რა, ლიკა, განა ასეთი „უჟასი“ ვარ? რომ არ მიყვარდე, მესიჯს არ მოგწერდი. უფ, დავიღალე, რა!“

ეგოისტკა:

„თავში ჭკუა არ გაქვს? იმ ბიჭს საერთოდ უნდა შეეშვა. მაპატიე, მაგრამ თვალებს იბრმავებ თუ სულელი ხარ?“

კესიკო:

„ამ მძიმე სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ბიძაშენის დავიწყებაა. ეს ხომ სისხლის აღრევაა, რაც მართლა ამაზრზენია“.

აგლახანუმი:

„აუ, საიდან ასეთი უსინდისობა? მგონი, ორივე მაგარი მოსაჭკვიანებლები ხართ“.

სატანას სისხლი:

„გაგიჟდი? ის კაცი ხომ ბიძად გეკუთვნის? ამხელა გოგოს ტვინი რამ აგირია? თუ მასზე ფიქრს გააგრძელებ, წაგებული დარჩები. თანაც, მან ხომ მიგატოვა?!“

სალი-ბალი, *13 წლის:*

„ვფიქრობ, არავისი და არაფრის უნდა შეგეშინდეს. მეც შენნაირ სიტუაციაში ვარ, მაგრამ სამწუხაროდ, გაგის არ ვუყვარვარ, მე კი ძალიან მიყვარს“...

მეოცნებე:

„კი, მაგრამ როცა ნათესავს სხვა პონტში შეხედე, მაშინ რას ფიქრობდი? ალბათ იტყვი, — გულს ვერ უბრძანებო. ჩემი აზრით, იმ ტიპს არ უყვარხარ, თორემ არაფრის შეეშინდებოდა“.

ლელე:

„ეს როგორ შეიძლება? ამ ხალხმა სინდისი სულ დაკარგა? გავგიჟდი, რა. თუ ქრისტიანი ხარ, ასეთი ურთიერთობა არ გეპატიება. სურვილი მაქვს, უცნობ გოგონას დავეკონტაქტო“.

წიწილა:

„ამბობ, რომ პატარა აღარ ხარ. მაშინ, ისიც უნდა იცოდე, რომ ბებიაშენის ძმისშვილი ბიძად გეკუთვნის და თქვენი სიყვარული არანორმალურია. ვგონებ, თქვენს სიყვარულს არც ეკლესია დაუჭერს მხარს. შეიძლება, მკაცრი მოგეჩვენო, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს: შენს შვილიშვილს შენსავე დისშვილზე ან ძმისშვილზე გაათხოვებ? მოდი,

მხოლოდ დღევანდელი დღით ნუ იცხოვრებ, მომავალზეც იფიქრე. ხომ გაგიგონია: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. ჰოდა, არ გეშინია, რომ ნათესავთან ურთიერთობის გამო უფალი დაგსჯის! მზად ხარ, მთელ შენს 7 თაობას მომავალი დაუმახინჯო? კარგად დაფიქრდი და სხვების დაცინვის ობიექტი ნუ გახდები. დამიჯერე, მხოლოდ გათხოვებაში არაა ბედნიერება“.

RICE:

„უცნობო, მინდა შეგახსენო, რომ საქართველოში ცხოვრობ, სადაც ნათესაურ კავშირს დიდი ყურადღება ექცევა. გირჩევ, ის ადამიანი დაივიწყო. თუ შენი თავი არ გებრალება, მშობლები და მომავალი შვილები მაინც შეიბრალე, მათ ხომ ამ შენი ნაბიჯით ცხოვრება გაუმწარდებათ! ჯობია, სხვა შეიყვარო. მგონი, მან ეს უკვე შეძლო!“

ფსიქოთერაპევტი:

„ამბობ, — პატარა აღარ ვარო, მაგრამ ჩემი აზრით, შენ ისევ ბავშვი ხარ. გამაგებინე, იმ კაცს ჭკუა სად აქვს? ხალხნო, ნათესავებს ველარ ცნობთ? უცნობო, დაივიწყე ეს ცოდვიანი სიყვარული და სულიერი სიმშვიდე მოიპოვე. მერწმუნე, შენს წილ ბედნირებას აუცილებლად იპოვი. P.S. სიყვარული მარადიულია, მხოლოდ პარტნიორები იცვლებიან! ჰოდა, გამოცვალეთ „პროვაიდერი“ :))

შატალისტკა:

„აუ, რას არ გაიგებს კაცი, რა. ვა, აბა, ასეთი რამე შეიძლება? — გოგოს ბებიამისის ძმისშვილი შეუყვარდა და თან, ცოლად გაყოლასაც აპირებდა, ახლა კი რჩევასაც ითხოვს. უკაცრავად, მაგრამ რა გირჩიოთ? კურთხევა მოგცეთ?... აუ, რას გვიშვრება ეს სერიალები?!“

ლელუკეგი:

„ვაი, უბედურო საქართველოვ, საით მიექანები? უცნობო, ღმერთის არ გეშინია? ყველა მეცოდება, ყველას ვუგებ, მაგრამ შენ ვერ გაგამართლებ!“

თავისუფალი ჩიტი:

„მე შენზე პატარა ვარ, სულ რაღაც 18 წლის და გეტყვი, რომ თავს უნდა მიხედო. მერწმუნე, ცხოვრება ამით არ დამთავრებულა. კარგია, რომ ხვდები და ამბობ, პატარა აღარ ვარო...“

ტოპოლინა:

„გირჩევ, ნათესავის სიყვარული გულიდან ამოიგდო. მართალია, ეს გაგიჭირდება, მაგრამ გრძნობაზე უნდა გაიმარჯვო. ყველანაირად შეეცადე, „ოცნების კოშკები“ არ ააგო... P.S. მაფიოზ, არაფერია შეუძლებელი. იმედია, თეთრი რაში გყავს, ჩემო პრინცო :))

განძის მაძიებელი:

„მე მყავდა ბებია და მისი ძმისშვილი ახლო ნათესავად მიმაჩნია. მერწმუნე, შენ მიერ არჩეული გზა ტაძრამდე ნამდვილად არ მიგიყვანს! ეკლესია 7 თაობაზე ნათესავთა კავშირს კრძალავს. თქვენს ურთიერთობას სისხლის აღრევა ჰქვია. რა, კაცები დაილია? ეცადე, ბედნიერება სხვასთან იპოვო“.

ეკუნია:

„სხვა ვერავინ იპოვე? გირჩევ, დაივიწყო და სხვა შეიყვარო. ისე, ის არც ისეთი კაცური ყოფილა, თორემ არავისი შეეშინდებოდა, 1 წლით არ მიგატოვებდა“.

მადო, *17 წლის:*

„თავის მოკვლით ვერაფერს უშველი. იცოდე, ცხოვრება მწარეა და მხოლოდ შენ არ იტანჯები. დედას დაელაპარაკე. იქნებ, მან გაგიგოს, თუ არა და, სახლიდან წადი. გთხოვ, არაკაცის გამო თავის მოკვლა არ გაბედო. გკოცნი. მე შენთან ვარ“.

სვანი:

„ქართველები მთლად გამოვჩერჩეტდით? აბა, ნათესავი როგორ უნდა შეგიყვარდეს? უტვინო!“

კისკისა:

„შენი განკითხვის უფლება არ მაქვს, მაგრამ ეს ხომ დიდი ცოდვაა? უფალს სთხოვე, სწორ გზაზე დაგაყენოს. მოძღვართან მიდი და ის გირჩევს, როგორ უნდა მოიქცე. სისხლის აღრევა უდიდესი ცოდვაა და გთხოვ, სულს ჯოჯოხეთისთვის ნუ გასწირავ. გირჩევ, ნათესავზე ფიქრს შეეშვა. ღმერთს ებარებოდე“.

ნაზი ბებო:

„ასე როგორ შეიძლება, მუსლიმანი ხარ? ეს რა მესმის, რა დრო დადგა? შვილო, შენ სიყვარულის ამბავი დედაშენმა ან ბებიამ იცის? თუ ჯერ არ გაუგიათ, რას იზამ, რომ შეიტყონ? სასწრაფოდ წადით ეკლესიაში და ეს სატანური ფიქრები გულიდან ამოიგდეთ. შვილო, გთხოვ, ეშმაკი განდევნე. თქვენთვის მეც ვილოცებ. ამქვეყნად ბიჭები და გოგონები დაილია? ბებო გენაცვალოს, ეს ნაბიჯი არ გადადგა. დედას, ბებიას გაუფრთხილდი. უფალს ვთხოვ, რომ გონს მოეგოთ!“

ლუნა:

„იმას თუ ხვდები, რომ პატარა აღარ ხარ, იმას ვერ უნდა ხვდებოდე, რომ ნათესავის შეყვარება არ შეიძლება? ან იმას არა აქვს ტვინი? ჭკვიანი ადამიანი შედეგზე ყოველთვის ფიქრობს და იმას არ შეიყვარებს, ვისი შეყვარებაც არ შეიძლება. შენ შეცდომის გამოსწორება შეგიძლია. გულს სხვისი შეყვარება უბრძანე. ალბათ, ზოგი იტყვის, — მერე რა მოხდა, ყვავი ჩხიკვის მამიდააო, მაგრამ მერწმუნე, ეს ნაბიჯი ნამდვილად არ უნდა გადადგა. შენთვის ვილოცებ ბედნიერებას გისურვებ!“

გრუზინკა:

„შე კაი ადამიანო, 3 წელი შენთან თუ იყო და არაფრის ეშინოდა, ახლა რამ დააფრთხო? ალბათ, არ უყვარდი. აბა, სად წავიდა? ნუთუ, არ იცის, რომ ელოდები? მერწმუნე, ნაგავი ურნაში უნდა მოისროლო. ღმერთს მიენდე და ადამიანი, რომელიც შენი ღირსი არაა, დაივიწყე“.

თომა გურული:

„ამას წინათ ვიღაც ცისფერი ითხოვდა შველას, ახლა ვიღაც გარყვნილი გვთხოვს, — დამეხმარეთო. რაღა ბებიაშენის ძმისშვილს ჩაუგორდი ლოგინში? ნუთუ, კაცები დაილია? ხალხნო, სულ გაგიჟდით? იმ ცისფერს, კიდევ, უკვირს, ცოლი რომ გაექცა. მოვკვდი სიცილით! ვა, სად პოულობთ ამდენ არანორმალურს? დედისგან დაწყევლილი ყველა შვილი „გზას“ უმესიჯებს?.. P.S. ლიკა, მაპატიე, ავღელდი ეს ფიცხი კაცი“.

აზიელი:

„ერთი წელი ცოტა ნამდვილად არაა. თავად შეეხმიანე და ყველაფერი გაარკვიე... მაგრამ ნათესაობა? უმჯობესია, არც გამოჩნდეს!.. ო, ღმერთო, შენ დაგვიფარე!“

„შენს შვილიშვილს შენსავე ძმისშვილზე გაათხოვებ?“

„აგვისტოში გოგონას ველოდები, ჩემი მეუღლე კი ცისფერია“

მომავალი დედა:

„სანამ მესიჯს მოგწერდით, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ თქვენზე უკეთ ვერავინ გამამხნევებდა. მოკლედ, ვარ 17 წლის. აგვისტოში გოგონას ველოდები (ანუ ფეხმძიმედ გახლავართ), მაგრამ არაფერი მახარებს, რადგან ჩემი მეუღლე ცისფერია. ნეტავ, იცოდეთ, როგორ მიყვარს. ზოგჯერ მგონია, რომ ვგიჟდები — ხმამაღლა ვიცინი და თან ვტირი:) ძალიან მეშინია. ჩემს საყვარელ ადამიანს კიდევ 4 წელი ვერ ვნახავ. მე მის მშობლებთან, და ძმასთან ერთად ვცხოვრობ. მართალია, ისინი არაფერს მაკლებენ, მაგრამ მე ხომ ყველაფერზე მეტად ნიკა მჭირდება! ამ ამბის გამო მეგობრებიც დავკარგე. მათ არ სჯერათ, რომ სულ ტყუილად დაიჭირეს. თუმცა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს; ჩემი სიხარული ძალიან მენატრება. იქნებ, თქვენ მაინც მირჩიოთ რამე. გკოცნით“.

***P.S.** თუ მომავალი დედის წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ერთელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*

მსოფლიო თასი, რომლის შესახებაც არასდროს გსმენიათ

ადრე, ფეხბურთის ნაკრების შესაქმნელად, ჯერ სახელმწიფო უნდა შეგექმნა, რათა შემდეგ მისი წარდგენა შეგძლებოდა. მაგრამ მიმდინარე წლის ივლისში უკვე იმ ქვეყნების საერთაშორისო ტურნირიც ჩატარდება, რომლებსაც, მთელ დანარჩენ მსოფლიოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფიფაც კი არ აღიარებს. ჩემპიონატი თვითაღიარებულ სახელმწიფო სამპიში (მეტ-ნაკლებად ლაპლანდიას რომ შეესაბამება) ჩატარდება. მსოფლიო ჩემპიონატ VIVA-2008-ის პირველი მატჩი სამპი — ერაყის ქურთისტანის წინააღმდეგ 7 ივლისს, 23 საათზეა დანიშნული.

VIVA-ს პირველი თასის გათამაშება 2006 წელს გაიმართა, მაგრამ პოლიტიკური უთანხმოებების, ორგანიზებასთან დაკავშირებული სირთულეების (საჭირო გახდა ჩემპიონატის ჩრდილოეთ კვიპროსიდან ოქსიტანიაში გადატანა) და ვიზებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მასში მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ამჯერად ტურნირში მამაკაცთა ხუთი (ზემოთ ნახსენების გარდა, ასირიის პადანიისა და პროვანსის) და, აგრეთვე, ქალთა ორი (სამპისა და ქურთისტანის) ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ტურნირს ატარებს ორგანიზაცია New Federation Board, რომელიც იმ სახელმწიფოების წარმოდგენის მიზნით შეიქმნა, რომელთა სუვერენიტეტიც მსოფლიო საზოგადოებას არ უღიარებია. ფედერაციაში შედიან მონაკო (ოღონდ, ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბში არ აგერიოთ), ტიბეტი, ზანზიბარი, სამალილენდი, ბოშათა ნაცია (რომელიც მთელი მსოფლიოს ბოშებს წარმოადგენს), სამხრეთ მოლუქის კუნძულები, რიეკა (ხორვატიის სიდიდით მესამე ქალაქი, რომელიც 1920-იან წლებში მცირე ხნით დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო) და არქიპელაგი ჩაგოსი.

დამოუკიდებლობის პრეტენზიის მქონე ქვეყნებიდან ზოგიერთი მართლაც არსებობს (მაგალითად, ფედერაციის დროებითი წევრია ჩეჩნეთი), სხვების არსებობა კი ალბათ, უფრო ახირების ბრალია. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვაში, სოფოლკის სანაპიროდან ექვსი მილით დაშორებულ მიტოვებულ პლატფორმაზე 1967 წელს შექმნილი ჯუჯა სახელმწიფო სილენდი შეჯიბრებაზე საკუთარ ეროვნულ ნაკრებს კი ჩაიყვანს, თუმცა საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად საბავშვო კლუბი „ვესტბერგი“ ეყოლება.

როგორიც უნდა ყოფილიყო თამაშის ხარისხი (მაგალითისთვის, 2006 წელს სამპისა და მონაკოს მატჩი 21:1 დასრულდა), კოლექტიური ოპტიმიზმის ასეთმა დემონსტრირებამ ადამიანი მაინც უნდა აღაფრთოვანოს და თუ საფრანგეთის აღმოსავლეთში, შვეიცარიის საზღვრის გასწვრივ მდებარე თვითაღიარებულ სოჟეს რესპუბლიკას საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესახებ არსებული ზღაპრის დაჯერება სურს, მაშინ თქვენც კეთილი ინებეთ და დაიჯერეთ, რომ მას აღდგომის კუნძულზე გასამარჯვებლად ყველა აუცილებელი პირობა აქვს. ■

დუბაისა და მოსკოვში მბრუნავ ცათამბჯენებს აშენებენ

ახლახან საზოგადოებას მბრუნავი ცათამბჯენების მსოფლიოში პირველი ექსტრავაგანტური პროექტი წარუდგინეს. მათი ყოველი სართული თავისი ღერძის გარშემო საათში ერთ ბრუნს მაინც გააკეთებს, რისი წყალობითაც, შენობის სილუეტი გამუდმებით შეიცვლება.

პირველი ორი კოშკი დუბაისა და მოსკოვში აშენდება. პროექტის ავტორის, არქიტექტორ დევიდ ფიშერის აზრით, ამით დასაბამი მიეცემა დინამიკური არქიტექტურის ახალ ერას. ფიშერმა თავიდანვე აღიარა, რომ ცათამბჯენების დაპროექტებით ადრე არასდროს ყოფილა დაკავებული და ისიც აღნიშნა, რომ მისი „ცათამბჯენები უნიკალურია, რადგან ეს პირველი მბრუნავი და მუდმივად დინამიკაში მყოფი შენობები იქნება“.

შენობების მბრუნავი სართულები წინასწარ დამზადებული ნაწილებისგან იქნება შედგენილი, რომლებიც ბეტონის ღერძის გარშემო იბრუნებს. სართულების უმეტესობა არქიტექტორის პორტატული კომპიუტერის მეშვეობით გაკონტროლდება და მათი მოძრაობა ტალღისებური ფორმების

შექმნის მიზნით იქნება სინქრონიზებული. თუმცა ის მომავალი მფლობელები, რომლებიც მთელ სართულს შეიძენენ, მისი ბრუნვის მართვასაც და, შესაბამისად, ხედის ამორჩევასაც თავად შეძლებენ.

მომავალი ცათამბჯენების ნაწილების ქარხნული წარმოება უახლოეს ხანებში იტალიაში, ქალაქ ბარის სიახლოვეს მდებარე ქარხანაში უნდა დაიწყოს. ფიშერის თქმით, დუბაიში, დასრულებულ შენობაში შესვლა მყიდველებს უკვე 2010 წლის ბოლოს შეეძლებათ. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დაფინანსების დეტალები დღემდე გაურკვეველი რჩება, დეველოპერები მაინც იმედოვნებენ, რომ 80-სართულიანი ცათამბჯენის ნაწილს მაინც წინასწარ და, თანაც, 700 მილიონ დოლარად (355 მილიონ გირვანქა სტერლინგად) მაინც გაყიდიან.

ფიშერის თქმით, მისი პროექტის განხორციელებით დიდ ბრიტანეთში მდებარე კომპანია Rotating Tower Dubai Development-ია დაკავებული. მოსკოვში 70-სართულიანი პროექტს კი Mirax Group ქალაქის ახალ რაიონში განახორციელებს. არქიტექტორმა იმედი გამოთქვა, რომ მესამე „დინამიკური კოშკი“ ნიუ-იორკში, დანარჩენები კი შეიძლება, ისეთ ქალაქშიც აშენდეს, როგორიც ლონდონია... ■

ჰიტლერის შთამომავლებმა საკუთარი მოდგმის ამოძირკვა გადაწყვიტეს

ადოლფ ჰიტლერის რამდენიმე ნათესავი, უფრო კონკრეტულად კი ფიურერის ძმის სამი შვილიშვილი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მათი გარდაცვალების შემდეგ გერმანიის მესამე რაიხის ფიურერის მოდგმაც არსებობას საბოლოოდ შეწყვეტს.

თავის დროზე, ადოლფ ჰიტლერის ძმა, ალოისი ბრიტანეთში სასტუმრო საქმის შესასწავლად ჩავიდა. იქ ირლანდიელ გოგონაზე იქორწინა და ლივერპულში პატარა რესტორანი და სასტუმროც გახსნა. თუმცა ალოისი მალევე გაკოტრდა და ისევ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც გერმანელი ქალი შეირთო. მისგან ალოისს ვაჟიშვილი — ჰანსი შეეძინა, რომელიც მალე იდეური ნაცისტი გახდა და 1942 წელს, საბჭოთა ტყვეობაში დაიღუპა.

პირველი, ირლანდიელი ცოლი ალოისს გერმანიაში არ გაჰყვა, რადგან, როგორც მან მოგვიანებით პრესას განუცხადა, ქმარს სისასტიკის მოჭარბება შეატყო. 1911 წელს დაბადებულმა მათმა ერთადერთმა ვაჟიშვილმა ვილიამ-პატრიკმა გერმანიის სათავეში აღზევებულ ბიძასთან ახლო ნათესაური კავშირით სარგებლობა და ამ გზით, კარიერის შექმნა გადაწყვიტა. გერმანიაში ჩასული ვილიამ-პატრიკი მამამ და ბიძამ ბუღალტრად მოაწყვეს, მაგრამ ეს სამსახური ვილიამ-პატრიკის ამბიციურ მოთხოვნილებებს ოდნავაც კი ვერ აკმაყოფილებდა. ამატომაც ბიძის დაშანტაჟება გადაწყვიტა და დაემუქრა, რომ თუ უფრო პრესტიჟულ სამუშაოს არ მომცემ, პრესას შენთვის უხერხულ ფაქტებს, კერძოდ, ჩვენ გვარში ებრაული და ირლანდიული სისხლის არსებობას დავუდასტურებო.

ჰიტლერმა ძმისშვილს მესამე რაიხში ხელმძღვანელი თანამდებობა მართლაც შესთავაზა, ოღონდ იმ პირობით, თუ ის დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობაზე უარს იტყოდა. მაგრამ ვილიამ-პატრიკმა ბიძის ულტიმატუმის შესრულებას ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგება ამჯობინა, სადაც 1939 წელს ლექციების კომერციული ტური „ბიძაჩემი ადოლფ ჰიტლერი“ დაიწყო. მოგვიანებით კი წიგნიც „რაზე ფიქრობენ გერმანელები“ გამოსცა.

1942 წელს ვილიამ-პატრიკმა პრეზიდენტ რუზველტს წერილი მისწერა, რომელშიც ამერიკულ არმიაში გაწვევასა და ნაციზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნას სთხოვდა. წერილს პასუხის ნაცლად გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები მოჰყვნენ, რომლებმაც, გულმოდგინე გამოძიების მიუხედავად, ჰიტლერის ძმისშვილის ბიოგრაფიაში დასაძრახი ვერაფერი აღმოაჩინეს. ამიტომაც, ათასნაირი ბიუროკრატიული გაჯანჯლების შემდეგ, ვილიამ-პატრიკი ამერიკულ ფლოტში მაინც ჩარიცხეს. ამბობენ, რომ როცა გასაწვევ პუნქტში მისული ვილიამ-პატრიკისთვის გვარი უკითხავთ და პასუხად „ჰიტლერი“ მიუღიათ, ერთერთ ოფიცერს ჩასცინებია და უთქვამს, მაშინ მე ჰესი ვყოფილვარო. საბრძოლო მოქმედებების დროს ვილიამ-პატრიკი ერთხელ დაიჭრა. ომის შემდეგ მალევე იქორწინა და სიცოცხლის ბოლომდე სისხლის ანალიზის პატარა ლაბორატორიას უძღვებოდა.

ვილიამ-პატრიკი 1987 წელს გარდაიცვალა. მას ოთხი ვაჟიშვილი დარჩა, რომელთაგან ერთი გასული საუკუნის 80-იან წლებში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. დანარჩენი სამი ვაჟი კი შეთანხმდა, რომ შთამომავლობას არასდროს იყოლიებდა. და თუ ამ შეთანხმებას სამივე ძმა ბოლომდე დაიცავს, მაშინ მათი სიკვდილის შემდეგ ჰიტლერის მოდგმა ამ ქვეყნიდან სამუდამოდ გაქრება. ■

„ბოლომდე მეყვარება ღმერთი, რომელიც ჩვენი მუსლისთვის ევნო...“

ქალიშვილობაში ბასტი ერქვა, ახლა, წმინდა ნინოს სახელს ატარებს — მართლმადიდებლური წესით მონათვლის დღიდან... 6 დასთან ერთად, ბოლნისში ცხოვრობდა. მხიარული და თავნება ბავშვი იყო. ოჯახს მატერიალურად უჭირდა. მესაქონლეობას მისდევდნენ, შემოსავლის ძირითადი წყაროც ეს იყო. „სოფლის საქმეები მიყვარდა, ძროხებსაც ვუვლიდი“, — იგონებს ბასტი მუსტაევა.

ეკა ესართია

— ჩემი უფროსი და თხოვდებოდა, ალალ დეიდაშვილს მიჰყვებოდა (მაჰმადიანობა ნათესავებზე დაქორწინებას არ კრძალავს). საცარი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, ძალიან გავბრაზდი და დედას ვეჩხუბე: განა მეც მუსლიმანი არ ვიყავი, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა ჩემში... ისე, ბავშვობაში, ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა და ვიცოდი, რომ ქართული ტრადიციების თანახმად, დეიდაშვილების ერთმანეთზე დაქორწინება მიუღებელი იყო. თან, დედას უნდოდა ჩაესიძებინა საკუთარი დისშვილი და ამან საერთოდ, გამომიყვანა მდგომარეობიდან, გავბრაზდი და სახლიდან წამოვედი.

— თქვენი პროტესტის მიუხედავად, ქორწინება მაინც შედგა?

— კი, დაქორწინდნენ.

— სახლიდან წამოსვლის შემდეგ, სად წახვედით?

— 1976 წელი იყო, 18 წლის გოგო ვიყავი. თბილისში ჩამოვედი, ნათესავთან მივედი. ბეჭდვის კურსებზე დავდიოდი. ჩემს ნათესავს მდგმურები ჰყავდა, ერთ-ერთი მათგანი, მურმან ჭიღლაძე, ჩემი მეუღლე გახდა.

— როცა განსხვავებული მრწამსის მამაკაცი შეგიყვარდათ, არ ფიქრობდით, რომ ეს ურთიერთობა ორივეს პრობლემებს შეგიქმნიდათ?

— არ ვამბობ, რომ მიყვარდა, ჩემი გათხოვება — დედაზე გაბრაზებულ გულზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ განაპირობა.

— როგორ შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას თქვენი და მეუღლის ოჯახების წევრები?

— ჩემი მშობლები ძალიან გაბრაზდნენ. მამაჩემი ისე გარდაიცვალა, წყენამ ბოლომდე არ გაუარა. არადა, ჩემს ქმარს კარგად ხვდებოდა, სულ იმას მეუბნებოდა, — მერჩივნა, კოჭლსა და ბრმას გაჰყოლოდი, ოღონდ მუსლიმანი ყოფილიყოო... ქმრის მშობლები კარგად შემხვდნენ. ჩემი მამამთილი ძალიან თბილი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს მისი სული!.. მატერიალურად მათაც უჭირდათ. მახსენდება, როგორ გაათენა ჩემმა მულმა ღამე, კაბა რომ შეეკერა ჩემთვის და დილით გავეხარებინე.

— ისევე, როგორც ყველა ერს, ქართველებსაც საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ტრადიციები აქვს. შეგუება არ გაგიჭირდათ?

— სხვათა შორის, ყველაფერი მალე ავითვისე; ძალიან ვცდილობდი, შვილები ქართველებად გამეზარდა, არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, — დედა აზერბაიჯანელი ჰყავთ და იქაურ ყაიდაზე იზრდებიანო... ეკლესიაშიც დავდიოდი და მეჩეთშიც, მაგრამ ქრისტიანობა ჩემს გულთან უფრო ახლოს იყო. ჩემი მამამთილი რომ გარდაიცვალა, ბავშვები მაშინ მოვნათლეთ. თბილისის საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი, თანამშრომელი მყავდა — ელზა არუთინაშვილი, ძალიან ბევრს მიყვებოდა საქართველოს ისტორიაზე, ქართველ მწერ-

რობოტები – ცოცხალ სპორტსმენთა წინააღმდეგ

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის „ევრო-2008“ ერთ-ერთი მასპინძლის, ავსტრიის ნაკრების ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა, ფეხბურთს რობოტები რომ თამაშობდნენ!.. ციურიხში გამართული, ევროპის ალტერნატიული ჩემპიონატის შესარჩევ ტურში ავსტრიელმა რობოტებმა გერმანელი რობოტები ანგარიშით — 10:0 დაამარცხეს. ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა პეტერ კოპაჩეკმა მატჩის დასრულების შემდეგ, სენსაციური განცხადება გააკეთა და პირობა დადო, რომ უკვე 2015 წელს მისი მექანიკური ფეხბურთელები ცოცხალ სპორტსმენებს გაუწევენ კონკურენციას! ეს განცხადება ჯერჯერობით მხოლოდ თამამი პროგნოზია. დღეისათვის ადამიანის მსგავსი ყველაზე სწრაფი კონსტრუქციები 2.4 მეტრის დაფარვას 35 წამს ანდომებენ. „ჭკვიანი“ მანქანები ფეხბურთის ვირტუოზებადაც რომ მოგვევლინონ, მაყურებელი მაინც ცოცხალ სპორტსმენთა ნაკლებად ტექნიკურ, სამაგიეროდ, ემოციურ თამაშს მიანიჭებს უპირატესობას.

ლებზე, მისი გავლენის ქვეშ მოვექეცი და საოცრად შემიყვარდა ქართული კულტურა.

— მეუღლის ოჯახის წევრებს არასოდეს უთხოვიათ, მოინათლეო?

— მეუღლე წინააღმდეგი იყო — რატომღაც, ეშინოდა, არ ვიცი — რისი... დედამთილი რამეს რომ მაწვდიდა ხელში, ქონს წამისვამდა და იტყოდა: მონათლული რომ არ ხარ, ურია წაიღებსო... თხოვნით კი, არასოდეს უთხოვიათ... სულ შვილებზე ვფიქრობდი: რომ მოვკვდე, რა უნდა ქნან — ქრისტიანული წესით მიმაბარონ მიწას თუ მუსლიმანურითმეთქი? თავს ცუდად ვგრძნობდი, დეპრესიაში ვიყავი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მოვკიდე ჩემს ნათლიას ხელი და წმინდა ქეთევანის სახელობის ტაძარში, მამა აბიათართან მოვინათლე. მოგვიანებით, ჯვარიც დავიწერე, ყველაფერი ღვთის მადლით და ღვთის წყალობით მოხდა.

— ნათლობისას, ადამიანს ცოდვები მიეტევება. რა ხდებოდა ამ დროს თქვენს სულში, რას გრძნობდით?

— საოცარ სიმსუბუქეს. თან განვიცდიდი, მშობლების სულზეც ვფიქრობდი, გონებაში კი ჯიუტად ვიმეორებდი: ღმერთი ერთია!.. მერე დედას ვხედავდი სიზმარში განაწყენებულს. ერთხელ,? მოსახსენებელში ჩავწერე და დამესიზმრა — ქართველ მგალობელთან ერთად იჯდა და გაკვირვებული მიყურებდა... ჩემი და რომ მესტუმრა მოულოდნელად სახლში, შევიშმუშნე: ვფიქრობდი, ახლა რომ მითხრას — მაჩვენე, რა გკიდია გულზეო, — და ჯვარი დაინახოსმეთქი...

ქმარ-შვილთან ერთად

ეკლესიაშიც დავდიოდი და მეჩეთშიც, მაგრამ ქრისტიანობა ჩემს გულთან უფრო ახლოს იყო

— რა რეაქცია ექნებოდა ან თქვენ რას უპასუხებდით?

— დადებითი რეაქცია ნამდვილად, არ ექნებოდა... არაფერი მითქვამს, დავუმალე... მე უკვე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ბოლომდე მეყვარება ღმერთი, რომელიც ჩვენი გულისთვის ევნო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელი ყოფილა ქრისტიანობა, საოცრად ბედნიერი ვარ. დიდება უფალს, ღმერთმა ყველა გაგახაროთ! ■



„ნისანის“ სარბოლო სკოლა კლიენტებისთვის

იაპონური ავტოგიგანტი საგანგებოდ სპორტული მანქანის — GT-R — კლიენტებისთვის სარბოლო სკოლას — Race Academy — გახსნის. აგვისტოდან სექტემბრამდე, „ნისანის“ კლიენტებს სწავლის თეორიული კურსის გავლის, 45 წუთის განმავლობაში სპორტული ავტომობილის — GT-R — გატარების, აგრეთვე კუპეზე, — 350Z — დრიფტინგის თვისებების გამომუშავების შესაძლებლობა მიეცემათ. მაგალითად, ბრიტანელ მყიდველებს Race Academy-ის ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ, რომელიც ნიურბურგრინისა და სილვერსტოუნის ტრასებზე გაიმართება.

Nissan GT-R ევროპაში ჯერ კიდევ მანამდე გახდა პოპულარული, ვიდრე „ბებერ კონტინენტზე“ ამ მოდელის პირველი ავტომობილები გამოჩნდებოდა. ერთ თვეში იქაურმა კლიენტებმა 1500 ეგზემპლარი შეიძინეს, რომლებიც ბაზარზე პირველ წელს იყო გატანილი. ყველაზე მეტი შეკვეთა — 950 კომპანიამ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებისგან მიიღო. GT-R-ის შეძენილი მსურველი სხვა ავტომოყვარულები ამ მოდელს მხოლოდ 2009 წლის მარტში მიიღებენ. ■

Pininfarina-ს საკოლექციო მოდელი

ტორითაა აღჭურვილი. 100კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მანქანა 5,6 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. 2006 წელს „პინინფარინამ“, ასევე ერთადერთ ეგზემპლარად, შექმნა სუპერავტო Ferrari P4/5. ეს მანქანა საავტომობილო კოლექციონერ ჯეიმს გლიკენჰაუზის შეკვეთით აიწყო. ■

იტალიური ატელიე — Pininfarina — ახალ ავტომობილზე მუშაობას შეუდგა, რომელიც ერთ-ერთი კერძო კოლექციონერის სპეცშეკვეთით მზადდება და კაბრიოლეტის — Rolls-Royce Phantom Drophead Coupe — ბაზაზე აიგება. ფართო აუდიტორიას ასეთ მანქანას მიმდინარე წლის აგვისტოში კალიფორნიაში, Pebble Beach Concour d'Eelegance-ის კონკურსზე წარუდგენენ. სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა და კომპანიაში მხოლოდ აღნიშნეს, რომ ექსკლუზიური კაბრიოლეტი, რომელსაც Hyperion ერქმევა, მეორე მსოფლიო ომამდელი Rolls-Royce-ის სტილში იქნება შესრულებული და ერთადერთ ეგზემპლარად გამოვა. კაბრიოლეტის ტექნიკური და დინამიკური მაჩვენებლები კონკურსზე — Pebble Beach — მისი პრემიერის შემდეგ გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ სერიული Rolls-Royce Drophead Coupe 6,75-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი, 453 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის მო-

სეტყვა „ფოლკსვაგენის“ ავტოსადგომზე

ძლიერმა სეტყვამ, რომელიც ამას წინათ გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოვიდა, ქალაქ ემდენში მდებარე, Volkswagen-ის ავტოსადგომზე, 30 ათასზე მეტი მანქანა დააზიანა. გერმანული გამოცემა Sueddeutsche Zeitung იუწყება, რომ ყინულის ზოგიერთი ნამსხვრევი მაგიდის ჩოგბურთის ბურთის ზომის იყო. ამჟამად, VW-ის სხვა ქარხნებიდან მიწვეული ექსპერტები მანქანებს ამოწმებენ, რათა ზარალის ოდენობა განსაზღვრონ. მათი თქმით, სტიქიას ავტომობილების მინები არ დაუზიანებია. წინასწარი მონაცემებით, კომპანიას 100 მილიონი ევროს ზარალი მიადგა, მაგრამ კომპანიის მესვეურები აღნიშნავენ, რომ საწარმოს მატერიალურ ზარალს სადაზღვევო კომპანიები აუნაზღაურებენ. ■

„პორშემ“ ახალი კუპე წარმოადგინა

ამ რამდენიმე დღის წინ კომპანია „პორშემ“ ოფიციალურად წარმოადგინა განახლებული კუპე და კაბრიოლეტი — 911 Carrera 4 და Carrera 4S, — რომელიც Porsche Traction Management-ის ელექტრომართვის სრულამძრავიანი სისტემითაა აღჭურვილი. ავტომობილებს უფრო მძლავრი მოტორები დაუყენეს და მცირედ შეუცვალეს ექსტერიერის დიზაინი, მათ შორის — წინა და უკანა ბამპერი, დიოდური წინა და უკანა მაშუქები, აგრეთვე, უკანა ხედვის სარკეები. საბაზო, 3,6-ლიტრიანი ძრავა, რომელიც განახლებულ Porsche 911 Carrera 4-ზეა დაყენებული, 20 ცხ.ძ-ით უფრო მძლავრია და ამჟამად 345 ცხ.ძ-ს შეადგენს, Carrera 4S-ზე კი, 3,8-ლიტრიანი აგრეგატის სიმძლავრე 30 ცხ.ძ-ით გაიზარდა და 385 ცხ.ძ-ს მიაღწია. ორივე მოტორი შვიდსაფეხურიანი რობოტიზებული გადაცემათა კოლოფით — PDK — მუშაობს, რაც ავტომობილს უფრო ეკონომიურს გახდის. გერმანული მარკის მონაცემებით, ასეთი სპორტული მანქანები 100 კმ მანძილის დასაფარავად, 10 ლიტრზე ოდნავ მეტ საწვავს იყენებენ. განახლებული Porsche 911 ფართო პუბლიკის სამსჯავროზე წლევანდელ შემოდგომაზე, პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე წარდგება. ევროპულ ბაზარზე კი ასეთი მანქანები ოქტომბრის ბოლოს გამოჩნდება. ■

„ალფა რომეოს“ ყველაზე მძლავრი სუპერავტო

კომპანია „ალფა რომეო“ სუპერავტოს — 8C Competizione-Gთ — ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის შექმნას გეგმავს. იტალიური მარკის ხელმძღვანელმა, ლუკა დე მეომ განაცხადა, რომ მანქანა შეზღუდული ტირაჟით გამოვა მარკის 100-წლისთავთან დაკავშირებით, რომელსაც ავტომწარმოებელი 2010 წელს აღნიშნავს. დე მეოს აზრით, კონცერნ „ფიატს“, რომელშიც კომპანია „ალფა რომეო“ შედის, ყველაზე მძლავრი, 8C Competizione-ს შესაქმნელი პროექტისთვის „მწვანე შუქი“ ჯერჯერობით არ აუნთია, მაგრამ თუ ავტომობილის გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მიიღებენ, სიახლეს საბაზო მანქანასთან შედარებით, უფრო მსუბუქი ძარა და შედარებით მძლავრი ძრავა ექნება.

შეგახსენებთ, რომ Alfa Romeo 8C Competizione-ს საბაზო მოდიფიკაცია კუპეს ძარაზეა აგებული, ხოლო ღია ვერსიის გამოშვება 2009 წლიდან დაიწყება. ორივე ვერსია 500 ეგზემპლარად გამოვა. სუპერავტო 45 ცხ.ძ. სიმძლავრის, 4,7 ლ მოცულობის Maserati-ს ძრავათი აღიჭურვება, რომელიც გადაცემათა ექვსსაფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I კვ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ავრეთვე ნებისმიერი სხვა
დასაბეჭდების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
ელვა

ქ. თბილისი
ოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



1 სპორტის სახეობა
2 ფოტოგრაფის სახელოსნო
3 ამერიკის შტატი
4 კურკოვანი ხილი
5 საეკლესიო წესების კრებული
6 სმენადობის პირობები რომ შერბეს
7 წყალქვეშ სუნთქვის აპარატი
8 ნახევრად მაიმუნი
9 საბნის შალითა
10 სამშობიარ-ოს ექიმი
11 მინი-რესტორანი
12 მრავალი
13 ტუზი
14 ფოთლო-ვანი ხე
15 ფრანგი ფეხბურთელი
16 ხვლიკის სახეობა
17 სიგრძის საზომი ერთეული
18 შეკვიბრების ბოლო ნაწილი
19 იაპონური ჭიდაობა
20 ქამა სოკო
21 ჭრილობა
22 კარჩაკეტილი საზოგადება
23 სიყვარულის ღმერთი ინდ. მით.
24 ცურვის სტილი
25 პერუს დედაქალაქი
26 ჰიუგოს რომანი
27 ზერო
28 ტატუირება
29 მექსიკის დედაქალაქი
30 ფრანგული ავტომობილი
31 გერმანიის ფეხბურთის გუნდი
32 ჩიბუხი
33 ძნელად განსახორცე-ლებელი რამ
34 პანტომიმის მსახიობი
35 დიდ ბრიტანეთის დედაქალაქი
36 ქალის თავსაბურავი
37 ... ტალერი
38 მაგარი ქანი
39 ქვეყანა აფრიკაში



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მენზურა; 2. ნანტი; 3. გუგა; 4. პანო; 5. იმიტაცია; 6. მანაგუა; 7. ხუნტა; 8. ონი; 9. ემიგრაცია; 10. ფაბიო; 11. ცენტნერი; 12. ელექტრა; 13. ბე; 14. იენა; 15. ტატამი; 16. ეთიკა; 17. ფორინტი; 18 ტყე; 19. რომბი; 20. კამბალა; 21. კარზაი; 22. იორი; 23. ლა; 24. ალტი; 25. ნობელი; 26. კრეტა; 27 ბარსელონა; 28. ჯერარდი; 29 კია; 30. როკი; 31. ჯირითი; 32. მასტიფი; 33 ტელეგრამა; 34 ლუ; 35. ლაფი; 36 მაისი; 37. კორონაცია; 38. ესე; 39 პინა; 40 პოლემიკა; 41. აფონია.

სურათებზე: მიხაელ ბალაკი; ჯენარო გატუზო.

როგორია თქვენი პედაგოგიური იდეალი?

1. თქვენი შვილი ძალზე ცელქი და ონავარია, უამრავ საზრუნავს გიჩენთ: ხან ჩალურჯებული თვალით ბრუნდება შინ და ხანაც დახეული შარვლით:

ა) თქვენ გამოჰკითხავთ მომხდარის თაობაზე, გაუკერავთ შარვალს და მტკივან ადგილზე ცივ კომპრესს დააფენთ — 3;

ბ) თავდაპირველად დახმარებას აღმოუჩენთ, შემდეგ კი დატუქსავთ და ეტყვით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ამგვარი ცელქობა ცუდად დამთავრდება — 0;

გ) საერთოდ არ მიაქცევთ ყურადღებას, საკუთარ თავს თვითონ მიხედოს — 5.

2. თქვენს შვილს ჰყავს მეგობრები, მაგრამ ისინ ურჩი, გაუგონარი და ცუდად აღზრდილი ბავშვები არიან:

ა) ამის თაობაზე დაელაპარაკებით მათ მშობლებს — 2;

ბ) შინ მიიპატიჟებთ შვილის მეგობრებს და ეცდებით, მათზე კარგი ზეგავლენის მოხდენას — 5;

გ) მიუთითებთ შვილს, რომ მეგობრები ცუდ მაგალითს აძლევენ მას — 0.

3. თქვენს შვილს უყვარს თამაში, მაგრამ ატყობთ, რომ წაგების დროს ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებს:

ა) არანაირ ზომას არ მიმართავთ, დაელოდებით, როდის ისწავლის წაგების მშვიდად მიღებას — 0;

ბ) უარს იტყვით მასთან თამაშზე, ვიდრე ის ასე მტკივნეულად განიცდის წაგებას — 3;

გ) შეგნებულად შეუქმნით ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ის წაგებაზე ნორმალურ რეაგირებას ისწავლის — 5.

4. თქვენი შვილი მზად არის 24 საათი ითამაშოს. საღამოობით დაძინების არანაირი სურვილი არ აქვს:

ა) თქვენ აუხსნით, რაოდენ აუცილებელია ორგანიზმისთვის ძილი — 3;

ბ) უფლებას მისცემთ გვიან დაიძინოს, მაგრამ დილას ჩვეულ დროს გააღვიძებთ — 5;

გ) განსაზღვრულ დროს აწვენთ დასაძინებლად და მარტო ტოვებთ. ზღაპარს მხოლოდ მაშინ უყვებით, როცა დღისით კარგად იქცევა — 0.

5. თქვენი შვილი საბავშვო გადაცემებით აღარ კმაყოფილდება და ტელევიზორის ყურების სურვილი მთელი დღის განმავლობაში აქვს:

ა) საბავშვო გადაცემის დამთავრებისთანავე თქვენ დასაძინებლად აწვენთ მას, ტელევიზორს კი მხოლოდ მისი დაძინების შემდეგ რთავთ — 0;

ბ) ცდილობთ აუხსნათ, რისი ყურება შეიძლება მისთვის და რისი არა, თანაც ისე, რომ მან გაიგოს — 2;

გ) შეურჩევთ მას მისთვის შესაფერ ტელეგადაცემებს — 3;

დ) წინასწარ შეუთანხმდებით რამდენი საათის განმავლობაში აქვს მას ტელევიზორის ყურების უფლება; აი, რას და როდის უყუროს, ამას თავად ბავშვი აირჩევს — 5.

6. საკმაოდ თავხედი შვილი გყავთ და უკმეხ პასუხებსაც იძლევა:

ა) განუმარტავთ, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია და ამისთვის ყველა გაკიცხავს მას — 5;

ბ) ასე მოქცევას აუკრძალავთ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მკაცრად დასჯით — 0;

გ) ყოველდღიურად, როცა კი წესიერად მოიქცევა, წაახალისებთ მას — 3.

7. მართალია, თქვენი შვილი ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით დაინტერესებას ატყობთ:

ა) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გატაცებები ასეთ ასაკში სრულიად უწყინარია და თავს არაფრით იწუხებთ — 3;

ბ) ბავშვური სიყვარულის აღკვეთას მაშინვე ეცდებით — 0;

გ) აუხსნით, თუ რა არის სიყვარული და როგორი ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ქალსა და მამაკაცს — 5.

8. სხვა ბავშვები ავიწროებენ თქვენს შვილს — სცემენ და დასცინიან მას:

ა) ასწავლით, რომ თავი უნდა დაიცვას და ვალში არავის დარჩეს — 5;

ბ) მოჩხუბარი ბავშვების მშობლებს დაელაპარაკებით — 3;

გ) საკუთარი შვილის ცხოვრების ისე მოწყობას შეეცდებით, რომ ამ ბავშვებთან რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი ჰქონდეს — 0.

9. უფროს შვილს ყველა აუცილებელ პირობას უქმნით, მაგრამ ის ამას სათანადოდ არ აფასებს და უმცროს დას (ძმას) გამუდმებით ერჩის:

ა) უმცროსების თანდასწრებით კეთილგონიერი საქციელისკენ მოუწოდებთ უფროსს — 5;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსია, მას ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობთ — 3;

გ) შვილების ურთიერთობაში საერთოდ არ ერევით — 1.

10. თუკი თქვენი შვილი უხეშად ექცევა თანატოლებს, თანაგრძნობას არ იჩენს მათ მიმართ და თავს ესხმის მათ:

ა) თქვენ მიგაჩნიათ, რომ ისევე უნდა მოექცეთ შვილს, როგორც ის ექცევა თანატოლებს, რათა მან საკუთარ ტყავზე გამოცადოს ყველაფერი, რასაც სხვებს უკეთებს — 0.

ბ) ეცდებით, იმაზე მეტი ყურადღება დაუთმოთ მას, ვიდრე აქამდე უთმობდით — 5;

გ) აუკრძალავთ ისეთი ფილმების ყურებას, სადაც ძალადობის დემონსტრირება ხდება — 2.

ტესტის შედეგები

0-18 ქულა: საკუთარი მაგალითის გათვალისწინებით, თქვენ ისეთივე ცხოვრებისთვის ზრდით შვილს, როგორიც თავად გქონდათ და გაქვთ; უგულებელყოფთ იმას, რომ ის სხვა თაობის წარმომადგენელია. მიგაჩნიათ, რომ თქვენი დამჯერი და უფროსების პატივისმცემელი შვილი საუკეთესო თვისებებითაა აღჭურვილი, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მესამე ათასწლეულში სხვა თვისებებია უმთავრესი: საკუთარი თავის რწმენა, დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი უნარი. ეს თვისებები მომავალში აუცილებლად დასჭირდება თქვენს შვილს, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ არ ცდილობთ მათ განვითარებას. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ცხოვრება წინ მიდის და ყველაფერი იცვლება?!

19-35 ქულა: ჯერ კიდევ გიჭირთ სრულყოფილად იმის გაანალიზება, თუ როგორ გარემოში მოუწევს თქვენს შვილს ცხოვრება. მაგრამ ერთ რამეს ვერავინ დაგიკარგავთ: თქვენ ცდილობთ, იყოთ უფრო თანამედროვე, არ იყენებთ აღზრდის სტერეოტიპულ მეთოდებს, გარკვეული დოზით ბავშვს დამოუკიდებლობას აჩვევთ და არ ცდილობთ საკუთარი ავტორიტეტით მის დათრგუნვას.

36-50 ქულა: ღრმად გწამთ, რომ თქვენს შვილს ისეთ გარემოში მოუწევს ცხოვრება, სადაც დაფასებული იქნება ინიციატივა, მაგრამ მკაცრად განიკითხება ეგოიზმი, სადაც პატივს მიაგებენ დამოუკიდებელ აზროვნებას, გულწრფელობასა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას. უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ ღირსეული პედაგოგიური პოზიცია გახლავთ. გვინდა, გვჯეროდეს, რომ მომავალში სამყარო მართლაც ამ იდეალების მატარებელი გახდება.

ჰოროსკოპი

(3 - 9 ივლისი)

ვეძერი

სამსახურში მოსალოდნელია თანამდებობრივი ან სახელფასო ზრდა. კარგი პერიოდია საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად ან საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. ზედმეტად ბევრ დროს ნუ დახარჯავთ სასიყვარულო ურთიერთობების გარკვევაზე.

ჯუჯი

შესაძლოა, ხელი მიჰყოთ უჩვეულო საქმიანობას, რომელიც დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. კარგი **გუნება**-განწყობილება საწადლის მიღწევის აუცილებელი წინა **პირობაა** — როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმიანობაშიც.

ტყუპი

ბევრი მოძრაობა და მოგზაურობა გელით. იმიჯის შეცვლა კარგად იმოქმედებს თქვენს ფსიქოსომატურ მდგომარეობაზე. შესაძლოა, მოულოდნელად, მეგობრებმა მატერიალური დახმარება გაგიწიონ.

ჯიგრხიტბი

თქვენი ენერგეტიკული და შემოქმედებითი პოტენციალი საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს, ამიტომ დროს უქმად ნუ დაკარგავთ და ეცადეთ, ახალ საქმეს მოჰკიდოთ ხელი. ფარული სასიყვარულო კავშირი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

ლომი

უმჯობესია, სწრაფად დასძლიოთ კრიზისული სიტუაციები, მატერიალური რესურსები კი სამართლიანად გაანაწილოთ. შესაძლებელია, ახალი სიყვარული გეწვიოთ, რომლისთვისაც თავგანწირვასაც არ მოერიდებით. გირჩევთ, დასვენებაზეც იზრუნოთ.

ქალწუდი

მაღალი სასიცოცხლო ტონუსი გაქვთ. პრაგმატიზმი, სიფრთხილე და შრომისმოყვარეობა საუკეთესო შედეგებს მოგიტანთ. გაქვთ შანსი, საზოგადოებრივი სტატუსი აიმაღლოთ. საფუძვლიანად შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება საყვარელი ადამიანის მიმართაც.

სასწორი

თუ სიზარმაცესა და გაუბედაობას მოერევით და მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, საწადელს იოლად მიაღწევთ. შესაძლებელია, პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის გადაწყვეტილება მიიღოთ.

ბოსტიანი

არ არის გამორიცხული, რომ დამატებითი შემოსავალი მიიღოთ. კარგი დროა დასასვენებლად წასასვლელად, სადაც მხიარულად გაატარებთ დროს. საყვარელ ადამიანთან დროებით განშორება თქვენს გრძნობას გაამყარებს და შესაძლოა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძვლადაც იქცეს.

ეფუვიდლიხაფი

რომანტიკული განწყობილება დაგეუფლებათ, რის გამოც, იოლად დაიპყრობთ ნებისმიერი ადამიანის გულს. სიფრთხილე გმართებთ გზებზე. შესაძლოა, დამატებითი შემოსავალი გაგიჩნდეთ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული, მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრათ.

თხიმ ჩუა

თუ მიღწეულით არ დაკმაყოფილდებით, წინსვლა გარანტირებული გაქვთ. იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და აკონტროლეთ კვების რაციონი. ჯობს, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას დათმობაზე წახვიდეთ — ამით მხოლოდ მოგებული დარჩებით.

ბეჩწუდი

მოვლენები ისე განვითარდება, რომ გარშემო მყოფების დახმარება დაგჭირდებათ. ერიდეთ თავყრილობებს და თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელებისგან. უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობის ან უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის დასაწყებად, ნაკლებად ხელსაყრელი დროა.

თევზები

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, გარეგნული ბრწყინვალებისკენ მიისწრაფვით. გარშემო მყოფებისთვის რჩევა-დარიგებას არ დაიშურებთ, ოღონდ ეცადეთ, ამის გამო, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა არ დაძაბოთ. კარგი დასვენებაც ნამდვილად არ გაწყენთ.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	2	9	8	5	7	6	3	4
4	6	5	1	3	2	9	8	7
8	7	3	6	9	4	1	2	5
2	4	6	9	8	5	7	1	3
5	9	1	2	7	3	4	6	8
3	8	7	4	1	6	2	5	9
9	1	4	3	6	8	5	7	2
6	5	8	7	2	9	3	4	1
7	3	2	5	4	1	8	9	6

7	5	4	9	8	1	3	6	2
9	6	2	4	3	7	1	8	5
3	8	1	5	6	2	9	7	4
2	1	5	8	7	3	6	4	9
6	9	8	1	4	5	7	2	3
4	7	3	6	2	9	5	1	8
1	2	9	7	5	4	8	3	6
8	4	7	3	9	6	2	5	1
5	3	6	2	1	8	4	9	7

3	4	2	9	5	8	6	1	7
1	8	5	7	6	3	9	2	4
7	6	9	2	1	4	5	8	3
4	7	1	3	9	5	2	6	8
6	9	3	8	2	1	7	4	5
5	2	8	6	4	7	3	9	1
9	5	7	4	8	6	1	3	2
2	1	4	5	3	9	8	7	6
8	3	6	1	7	2	4	5	9

* მარტივი

	7		1					3
4	5				7			6
	3		8	4		5	9	
5		7		9	4			2
	8		7				6	
9			3			4		1
	4	5		8	1		3	
2			4				5	8
8					9		1	

** საშუალო

			5			8		
	7			8				4
6			9				2	
3				7			4	
		8	4			9		
	2		3	5				7
	1				5			2
4				6			9	
		5			3			

*** რთული

	6			3				9
			1				6	
9				7				2
	2		7		3			6
		6	8			1		
3				5			7	
2				1				4
	3				5			
7				6			8	

ფოტოკუიიოზები

საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში